

766
1986



ISSN 0234-7385

ქართული რეალთაუკი

(26) XII-XIII

XII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



ქართული რავალთავი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

XII



თბილისი
„მეცნიერება“

1986

4 Г
81.2 Гр.
499.962.1
Ф 544

კრებულში შესულია გამოკვლევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე, ქართული კოდეოლოგიისა და ტექსტოლოგიის, ქართულ-ადმოსავლური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესახებ. რამდენიმე წერილი ეძღვნება ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შესწავლას. რიგ წერილებში აღძრულია ბიზანტიურ და სომხურ ლიტერატურათა ქართულთან ურთიერთობის საკითხები.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე სტატიები, რომლებშიც გაშუქებულია აკადემიკოს მარი ბროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობის ცალკეული მომენტები.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ც. აბულაძე, მ. მამაცაშვილი (მდივანი), ელ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ხოშტარია.

ტ ო მ ი ს რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ც. ქურციკიძე

მანანა ღოლაშვიდი

ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ*

18317

ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად ინახება ერთი, მეტად საყურადღებო კრებული (ცაგარლით № 72, ბლეიკით № 79), რომელიც ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად არის მიჩნეული. კრებული შედგება ჰავიოგრაფიული, ჰომილეტიკურ-ასკეტიკური და დოგმატიკური თხზულებებისაგან. იგი ფართოდ არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურული წრეებისათვის და არაერთგზის არის მოხმობილი კ. კეკელიძის „უცხო ავტორებში“. მისთვის საგანგებო ყურადღება მიუქცევიათ ა. ცაგარელს, ნ. მარს, რ. ბლეიკს და სხვა მკვლევრებს.

ამ ნუსხის პირველი აღწერილობა ეკუთვნის ა. ცაგარელს¹, რომელსაც არ ჰქონია ხელნაწერის დაწვრილებით აღწერის პრეტენზია და მისი შედგენილობისათვის უთითებს მხოლოდ ძირითად თხზულებებს: ბასილი დიდის, ზოსიმეს და ეფრემის „სწავლათ“. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც არის ილარიონ ქართველის ცხოვრების არსებობა ამ ხელნაწერში, მას გამორჩენილი აქვს მხედველობიდან. ეს ფაქტი პირველად შენიშნა ნ. მარსმა².

ხელნაწერის დაწვრილებითი აღწერილობა მოგვცა რ. ბლეიკმა³.

ძირითადი აღმწერლები (ა. ცაგარელი, რ. ბლეიკი) ნუსხას მთლიანად ექვთიმეს ავტოგრაფად თვლიან. ამის საფუძველი უნდა ყოფილიყო ნუსხის 97V-ზე მოთავსებული ექვთიმე ათონელის ანდერძი 990 წლისა, რომლის ნაწყვეტები გამოქვეყნებული აქვთ ნ. მარსა („წიგნი ბერძულისაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა...“) და რ. ბლეიკს.

უკანასკნელ დრომდე ეს აზრი საყოველთაოდ იყო გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნ. მარის აზრი, რომ ხელნაწერი მხოლოდ ნაწილობრივ უნდა წარმოადგენდეს ექვთიმე ათონელის ავტოგრაფს, რაც მას უთუოდ დაფუძნებული ჰქონდა იმ გარემოებაზე, რომ ხელნაწერი რამდენიმე ხელით არის გადაწერილი, ფაქტიურად ყურადღების გარეშე დარჩა.

ათონის ქართული ფონდის ხელნაწერების მიკროფირების ჩამოტანის შემდეგ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ამ ნუსხას ფოტოპირის საშუალებით.

რა გვიჩვენა ხელნაწერის უშუალო გაცნობამ და შესწავლამ?

უნდა შევნიშნოთ, რომ არსებითი აღმოჩნდა ხელნაწერის ტექნიკური მხარის შესწავლა მისი შედგენილობისა და სხვა საკითხების დაზუსტების

* წაიხთხულია მოხსენებლად 1982 წ. 12.X, ათონზე ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი). წერილში განხილული საკითხების შესახებ იხ. ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი. თბ., 1982, გვ. 77—80.

¹ А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. I. СПб., 1886, с. 92.

² Н. М а р с, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. Ч. I. СПб., 1900, с. 85—86.

³ R. B l a k e, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos. Paris, 1932—1934, p. 253.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

თელსაზრისით. ა. ცაგარლის მიხედვით ხელნაწერი შეიცავს 127 ფურცელს. ცაგარლისაგან განსხვავებით ბლეიკი უთითებს 132 ფურცელს. ხელნაწერი დღევანდელი სახით შეიცავს 131 ფურცელს და მას აკლია რიგით მე-4 ფურცელი იმ პაგინაციის მიხედვით, რომელსაც ეყრდნობოდა ბლეიკი და რომელიც ჩვენი დაკვირვებით შესრულებულია უცნობი პირის მიერ ცაგარლის შემდეგ ბლეიკამდე. ეს პაგინაცია უწყვეტია, გასდევს მთელ ხელნაწერს, მიუხედავად იმისა, რომ ნუსხას მის სხვადასხვა ნაწილში ფურცელთა დიდი რაოდენობა აკლია.

პაგინაციის გამკეთებელს, როგორც ჩანს, ქართული ენა არ სცოდნია და ამის გამო პირველი ფურცლები ხელნაწერისა (1r—8v) დანომრილია ისე, რომ ფურცლები თავდაყირა დგას და ამიტომ პაგინაცია მოხვედრილია verso-ზე და ეხლანდელ ქვედა აშიაზე. მე-9 ფურცელს კი ორივე აშიაზე აქვს პაგინაცია და ამის შემდეგ გრძელდება ნორმალური პაგინაცია. როგორც ჩანს, ამ ფურცლიდან ხელნაწერი უფრო შეკრული ყოფილა. დასაწყისი ფურცლები გადაბრუნების გარდა არეული ყოფილა აგრეთვე თანმიმდევრობის თელსაზრისითაც. რიგის დარღვევით და გადაბრუნებულად დანომრილი ეს ფურცლები ბლეიკს ტექსტის თანმიმდევრობით დაულაგებია, რაც პაგინაციასთან მიმართებით ასეთ რიგს გვაძლევს: 6, 5, 3, 2, 1, 7, 8. მე-4 ფურცლის შესახებ ვერ ვმსჯელობთ, ვინაიდან იგი დაკარგული ჩანს. აღმოჩნდა, რომ ბლეიკის მიერ აღდგენილია ცაგარლის დროინდელი განლაგება პირველი რვა ფურცლისა, რასაც გვიჩვენებს 6-ით პაგინირებულ ფურცელზე არსებული ცაგარლისეული აღნიშვნები: ხელნაწერის № 72 და ფონდის ნომერი 36. ამ ფურცელზე ბლეიკს დაუწერია ხელნაწერის ახალი, თავისი ნომერი (79). აღსანიშნავია, რომ ბლეიკისეული ნომერი უზის აგრეთვე 1-ით პაგინირებულ ფურცელსაც. როგორც ჩანს, ბლეიკს აღნიშვნა გაუკეთებია იმ პირველ ფურცელზე, რომელიც მას დახვდა ხელნაწერის თავში, შემდეგ კი, გადალაგების პროცესში მას იგივე ნომერი ხელნაწერისა დაუწერია რიგით პირველ ადგილზე მოთავსებულ 6-ით პაგინირებულ ფურცელზე. არ არის გამორიცხული, რომ ცაგარლის აღნიშვნებმა მიახვედრეს ბლეიკი, რომ ტექსტის პირველი ფურცლები არეული უნდა ყოფილიყო პაგინაციის გამკეთებლის მიერ.

დღეს გადაღებულ მიკროფირზე ფურცლების განლაგების ის სახეა, რომელიც მას მისცა ბლეიკმა. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ ტექსტობრივმა შესწავლამ შეიტანა ორი პატარა კორექტივი ფურცლების განლაგებაში: საჭირო გახდა 7-ით პაგინირებული ფურცლის მოთავსება ხელნაწერის თავში (ფებრონიას წამების ტექსტში) და 8-ით პაგინირებული ფურცლის გადატანა 112v-სა და 113r-ს შორის (ბასილი დიდის გიორგის შესხმის ტექსტში) და დღეს უნდა გვქონდეს ფურცელთა ასეთი თანმიმდევრობა: 7, 6, 5, 3, 2, 1 (მე-4 დაკარგულია).

ფურცლობრივი პაგინაციის გარდა ხელნაწერს აქვს აგრეთვე რვეულებრივი სათვალავი. რვეულებრივი სათვალავის შესწავლამ გამოავლინა აქამდე შეუძინეველი ფაქტი: ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება.

ხელნაწერი იწყება რვეულებრივი სათვალავის გარეშე დარჩენილი, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული რვა ფურცლით, რომელსაც მოსდევს ვ-6-ით პაგინირებული რვეული. აქედან მოყოლებული ვიდრე 97v-მდე ხელნაწერი ასეთ სურათს გვიჩვენებს: ვ რვეული (9r—16v) სრულია; ზ რვეული (17r—24v) სრულია; მ რვეული მთლიანად აკლია (უნდა ყოფილიყო 24v-სა და 25r-ს შორის); თ რვეული (25r—31v) 14 გვ.; ი რვეული (32r—39v) სრულია; ია რვეული (40r—47v) სრულია; იბ რვეული (48r—55v) სრულია;



ივ რვეული (56r—61v) 12 გვ.; იდ რვეული (62r—68v) 14 გვ.; იე რვეული (69r—76v) სრულია; ივ რვეული (77r—82v) 12 გვ.; იზ რვეული (83r—87v) 10 გვ.; მომდევნო რვეულებს რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი ასოები არა აქვთ შესაბამისი ფურცლების დაკარგვის გამო: [იშ] რვეული (88r—92v) 10 გვ.; [ით] რვეული (93r—97v) 10 გვ.

რვეულთა ეს რიგი გრძელდება 97v-მდე, რომელზედაც მოთავსებულია ექვთიმე ათონელის ანდერძი, კარგად ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. აღმოჩნდა, რომ ანდერძის მომდევნო ფურცლიდან, საიდანაც გრძელდება ტექსტები, მოცემულია ახალი რვეულებრივი სათვალავი — აზგდვ რვეულები (ა რვეული, 98r—104v, 14 გვ.; ბ რვეული, 105r—112v, სრული; გ რვეული, გვ. 233ა—118v, 14 გვ.; დ რვეული, 119r—126v, სრული; ე რვეული, 127r—132v, 12 გვ.). ამ ვითარებამ დაგვაყენა გარკვეული სიძნელეების წინაშე.

სანამ ხელნაწერის რვეულებრივი სათვალავის ტექსტებთან შებირისპირებით ხარვეზებს დავადგენდით და წარმოვიდგენდით, თუ რა მოცულობისა უნდა ყოფილიყო თითოეული ტექსტი და როგორ უნდა განლაგებულიყო ისინი რვეულების მიხედვით, ჩვენ ვიდექით დიდი ცდუნების წინაშე, რომ ა—ე რვეულების გაგრძელებად მიგვეჩნია ვ—ით რვეულები. ა—ე რვეულები თითქოსდა ხელნაწერის თავში უნდა გადაგვეტანა, რომ ისინი ბუნებრივად გაეგრძელებინათ ვ—ით რვეულებს.

მაგრამ ხელნაწერის შინაარსობრივმა და ტექნიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხელნაწერი თავში ნაკლები რჩება და მეორე ნაწილი მას ვერ ავსებს.

საქმე ის არის, რომ პირველი ნაწილის დასაწყის ვ რვეულში მოთავსებულია ანტონ დიდის ცხოვრება, რომელსაც თავში აკლია ტექსტის დაახლოებით ორი მესამედი⁴. ეს ტექსტი ნაკლები ორი მესამედისათვის საჭიროებდა ოთხ რვეულს მაინც. ა—ე რვეულები კი მთლიანად შეესაბამება ტექსტებით (სუმეორ ლოლოთეტის გიორგის წამება, ბასილი დიდის გიორგის შესახებ, ექვთიმე ათონელის ბასუხი თეოდორე ხუცესს, სიტყუა მცირე ეფთუმესთვის და საბაესთვის) და იქ ანტონ დიდის ცხოვრების ტექსტის მოთავსება არ ხერხდება. ამიტომ ცხოვრების ადგილი შესაძლოა ვიგულისხმოთ მხოლოდ იმ დასაწყის რვეულებში, რომლებიც ხელნაწერს ამჟამად აკლია. მაშასადამე, დღეს არარსებულ აღსადგენ ბგდვ რვეულებში უნდა ყოფილიყო ანტონ დიდის სრული ცხოვრების დიდი ნაწილი.

იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება, ისმის საკითხი, არის ის ორი სხვადასხვა ხელნაწერის მექანიკური შეერთება, თუ იგი იმთავითვე გააზრებული იყო როგორც ერთი მთლიანობა, გარკვეულ მიზანდასახულებას დაქვემდებარებული?

ასეთ პირობებში როგორია ექვთიმეს როლი მთელი ხელნაწერის შექმნაში და როგორ უნდა აიხსნას ის უცნაურობა, რომ ავტოგრაფული ნუსხა ორი ნაწილისაგან შედგება, რამდენიმე ხელით არის გადაწერილი და რომ ხელნაწერში არსებული ექვთიმე ათონელის მნიშვნელოვანი ანდერძი, თავისი ხასიათით ნუსხის დამამთავრებელი, მოთავსებულია სწორედ ამ ორი ნაწილის გასაყარზე?

უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში ამ ანდერძის გარდა არის კიდევ ორი ანდერძი-ბოლოთქმა: 1) ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ შემდეგ: „ღმერთმან დაჯაჯროს, შეგვნდვეთ, საწყლისა დედისაგან დავწერეთ, უკეთესი არა

⁴ ტექსტი შედარებულია ვ. იმნაიშვილის გამოცემასთან: მამთა ცხოვრებანი. თბ., 1975, გვ. 9—53. მას აკლია გამოცემის 15 გვერდი, რაც უდრის ჩვენი ხელნაწერის 64 გვერდს.

გუქონდა“ (68v). 2) ზოსიმეს „სწავლის“ შემდეგ: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთუმესთვის, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნა“ (A 1769, მე-2 ფურც.). ეს ორივე ანდერძი მცირე შენიშვნის სახეს ატარებს და რადიკალურად განსხვავდება ზემოაღნიშნული ანდერძისაგან, რომელიც შეიცავს ამომწურავ ცნობებს კრებულის შედგენის ადგილის, დროის, ავტორისა და შთამავონებლის შესახებ და რომელიც ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძის ტიპური მაგალითია.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა ხელნაწერის 97r-v-ზე მოთავსებულმა ანდერძებმა, რომელთა შესწავლა ახლებურად აშუქებს ხელნაწერის შექმნის ისტორიას და ექვთიმეს ავტორაფის საკითხსაც. საქმე ის არის, რომ ექვთიმეს ანდერძს ახლავს ვაგრძელება, რომლის ავტორადაც სხვა პირი გვევლინება.

მოგვაქვს სრულად ექვთიმეს ანდერძი და მისი ვაგრძელება: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატრონისისა ჭუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა იოვანე მახარებელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა მე, გლახაკმან და ნარჩევმან ყოველთა კაცთამან და ყოველსა ბრალისა თანამდებმან ეფთიმე ვთარგმანე წმიდაჲ ესე წიგნი ბერტულსაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა.

აწ გვევდრები, ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოგვკსენენით, პირველად მამაჲ ჩემი იოვანე და მე, უღირსი ესე ეფთიმე, რაჲთა თქუენცა ღმერთმან სასყიდელი შრომისაჲ მოვანიჭოს, ამენ.

ღაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა და ვასრულდა გლახაკისა ეფთიმეს მიერ მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ნიკოლაისისა, ინდიკტიონსა დ, დასაბამითვანთა წელთა ხ'ჟ'თ“.

ამ ანდერძს უშუალო ვაგრძელების სახით ერთვის ვინმე იოანეს ანდერძი: „ესე რიცხვ უტოთმელად არს, წმიდანო ღმრთისანო, უბადლო წერისათჳს ღმერთმან დაგაჯეროს, შემინდევით(!) და ლოცვასა მომიკსენეთ ფრიად ცოდვილი იოანე, რომელმან ესე წიგნაჲ დაეჩხრიკე უტებით, დარბაზული ასოჲ ჰასთენ შეუძლე შეცვალებად, ებისტოლედ მასწავლელი არა მყვა, მაგრა ვეხავ ღმერთსა, რომელ სიტყუაჲ მართალია ამით, რომელ თვთ გიორგი დეკანოზსა დიდითა ხარკებითა შეუწამებია მთაწმიდას. ღაიწერა ესე წიგნი კოსტანტი მეფისა ზე მონომახისა. შემინდევით, წმიდანო მამანო“ (97r-v).

ექვთიმეს ანდერძს მის ვაგრძელებასთან ერთად უნდა შევხედოთ როგორც ერთ მთლიანობას, მით უმეტეს, რომ ექვთიმეს და იოანეს ანდერძები დაწერილია ერთი ხელით, რომელიც ამავე დროს ხელნაწერის უდიდესი ნაწილის ხელია. ზემოთქმული მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოვლენები ხელნაწერში დანახულია იოანეს პოზიციიდან, რაც გამორიცხავს ექვთიმესეულ ავტორაფობას.

იოანე, რომელსაც მოაქვს ექვთიმეს ანდერძიც, ბოდიშობს თავისი ნაწერის გამო, იმის გამო, რომ მას „ებისტოლედ მასწავლელი“ არ ჰყავდა და ამიტომ გამხდარა იძულებული, ასერიგად შეეცვალა დარბაზული ასო. დარბაზული ასო უნდა გულისხმობდეს ასომთავრულს. როგორც ჩანს, ექვთიმეს ავტორაფი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი, იოანეს კი იგი ნუსხურით გადამოუღია. სხვა აზრი არ შეიძლება ჰქონდეს ფრანკს „დარბაზული ასოჲ ჰასთენ შეუძლე შეცვალებად, ებისტოლედ მასწავლელი არა მყვა“-ო.

ვინ არის ეს იოანე და რა წვლილი აქვს მას შეტანილი კრებულის შე-

ქმნის საქმეში? ვინ არის გიორგი დეკანოზი? რა დროს განეკუთვნება მათი მოღვაწეობა? ვინ არიან ეს პირები, რომლებიც ასე ორგანულად უკავშირდებიან ხელნაწერს?

იოანეს დაუჩხრეკია „ესე წიგნაჲ“. მას კრებულის შექმნის პროცესში ხელთა აქვს დედანი, საიდანაც იწერება ტექსტი და რომელთან მიმართებითაც ხდება მისი შემოწმება. ხელნაწერში დასტურდება რამდენიმე (7) ხელის არსებობა⁵. იოანე არის კრებულის მთავარი გადამწერი, რომელიც წარუძღვება წიგნის გადაწერისა და ტექსტების შემოწმების საქმეს. იგი მოღვაწეობს ათონის მთაზე და ხელნაწერი წიგნის შექმნაზე მომუშავე პატარა ჯგუფის ხელმძღვანელად გვევლინება.

იოანეს ანდერძის მიხედვით, მთელი მასალის „შეწამება“ უკისრია გიორგი დეკანოზს, რომელიც იმდენად დიდი ავტორიტეტია იოანესთვის, რომ ეს უკანასკნელი სრულიად გულდამშვიდებულია მასალის სისწორისა და სიზუსტის მხრივ.

საბედნიეროდ, სრულიად მარტივად ვაირკვა გიორგი დეკანოზის ვინაობა. იოანე ანდერძში აღნიშნავს, რომ „დაიწერა ესე წიგნი კოსტანტი მეფისა ზე მონომახისა“-ო. კონსტანტინე მონომახი მეფობდა 1042—1055 წლებში. ეკვი არ არის, რომ მისი თანამედროვე გიორგი დეკანოზი არის გიორგი ათონელი, რომელიც დეკანოზად იყო 1042—1044 წლებში.

ამრიგად, ნათლად გამოჩნდა, რომ ანდერძები სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზეა შექმნილი. ის, რაც ექვთიმე ათონელის ხელიდან უნდა გამოსულიყო, ანდერძის მიხედვითვე დაწერილია 990 წ., ხოლო იოანეს ანდერძიდან ირკვევა, რომ კრებული შექმნილია 1042—1044 წლებში, გიორგი ათონელის ეპოქაში, მისივე უშუალო მონაწილეობით. პირველი ანდერძი ექვთიმეს დედნისეულია და გადმოსულია ვარკვეული კომენტარით ახალ კრებულში.

თუ გავიხსენებთ, რომ ექვთიმესეული ანდერძი მოთავსებულია ხელნაწერის შუაში და, აგრეთვე იმას, რომ აქედან ხელნაწერში ხელახალი რვეულები ათვლა გვაქვს, ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორი უნდა ყოფილიყო ექვთიმე ათონელის ავტოგრაფული ნუსხა, რა შედგენილობისა იყო იგი?

სავარაუდოა, რომ ექვთიმეს ავტოგრაფი შეიცავდა ხელნაწერის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ანდერძით მთავრდება. ხელნაწერის II ნაწილი, რომელშიაც ექვთიმეს თხზულებებია თავმოყრილი, დაემატა კრებულს ავტოგრაფის გადაწერის შემდეგ იოანეს ჯგუფის მიერ. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ ამ ნაწილში მეორდება ისევ პირველი გადამწერის ხელი (111r—128r). მხოლოდ ამ ვითარებით შეიძლება აიხსნას ანდერძის თითქოსდა უადგილოდ ჩართვა და ახალი რვეულებრივი სათვალავი მეორე ნაწილში.

აქვე უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ მეორე ნაწილი შეიძლება ცოტა მოგვიანებით დაურთეს კრებულს.

ძირითადი მორტივი ამ კრებულის შექმნისა არის ექვთიმე მთაწმიდელის თარგმნილი და ორიგინალური თხზულებების თავმოყრა.

⁵ I ხელით დაწერილია 1r—97v (რვა თხზულება). ამ ხელით არის გადაწერილი ნუსხის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ბოლოში ახლავს ექვთიმე ათონელისა და იოანეს ანდერძები. ეს ხელია მიჩნეული ექვთიმე ათონელის ნაწერად. 68v-ზე ეს ხელი იცვლება II გადამწერის ხელით, უფრო წვირილი ნუსხურით. ამ ხელით ნაწერი მხოლოდ ეს ერთი გვერდი გვაქვს, ვინაიდან ტექსტს ამ ადგილას აკლია დაახლოებით ორი გვერდი. 69r-დან გრძელდება ისევ I გადამწერის ხელი ანდერძებამდე (97v-მდე). III ხელით დაწერილია 98r—110v; IV ხელით დაწერილია 111r—128r. ჩვენი აზრით, ეს ისევ პირველი გადამწერის ხელია. V ხელით გადაწერილია 128v—131r. VI ხელით — 131v—132r; ეს არას ძალზე ვაკრული, მხედრულში გადასული ნუსხური. VII ხელით — 132v, ხელნაწერის ბოლო გვერდი.

ხელნაწერის შედგენილობის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამოვლენას, რომ ბლეიკის აღწერილობის პირველ ნაკლული თხზულება შედგება სამი უსათაურო და თავნაკლული თხზულებისაგან, რომელთა ამ ხელნაწერში არსებობა არ იყო ცნობილი. ეს თხზულებებია: ფებრონიას წამება, ანტონ დიდის ცხოვრება, თქუმილი ჭუარისა ამაღლებისათვის.

სინ. 6 და ქუთ. 3 ნუსხებში მოთავსებულ ფებრონიას წამების ტექსტებთან შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ექვთიმე ათონელს ეკუთვნის არა კიმენური რედაქციის თარგმანა, როგორც იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში⁶, არამედ ამ ხელნაწერში შემონახული მესამე, უცნობი რედაქცია თხზულებისა.

ანტონ დიდის ცხოვრების ტექსტის კიმენური (A 19) და მეტაფრასული (A 79) რედაქციების ტექსტთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ათონური ტექსტი განსხვავებულია ორივე ცნობილი რედაქციისაგან. ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის არა მეტაფრასული რედაქცია ცხოვრებისა, როგორც ეს მიჩნეული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში⁷, არამედ ამ ხელნაწერში არსებული უცნობი, მესამე რედაქცია თხზულებისა.

ექვთიმე ათონელის თარგმნილი უნდა იყოს აგრეთვე ხელნაწერის ბოლოს მოთავსებული საბა განწმედლის ცხოვრება. აქაც ისევე, როგორც ფებრონიას წამებისა და ანტონ დიდის ცხოვრების შემთხვევაში, საკითხი დგება თხზულების უცნობი, მესამე, შემოკლებული რედაქციის არსებობის შესახებ.

ნუსხის შესწავლის შედეგად გამოჩნდა, რომ:

1. კრებული აქამდე ცნობილი თხზულებების გარდა შეიცავს ფებრონიას წამებას, ანტონ დიდის ცხოვრებას, თქუმულს ჭუარის ამაღლებისათვის.

2. ფებრონიას წამებისა და ანტონ დიდის ცხოვრების ამ ხელნაწერისეული ტექსტები რედაქციულად განსხვავებული აღმოჩნდა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი თარგმანებისაგან. სწორედ ეს რედაქციები მიეკუთვნება ექვთიმე ათონელს და არა აქამდე ცნობილი ტექსტები.

3. „სიტყუაჲ მცირე“ აღმოჩნდა საბა განწმედლის ცხოვრების შემოკლებული რედაქცია, რომლის თარგმანი ასევე ექვთიმე ათონელის სახელს უკავშირდება.

ეს არის ის ახალი, რაც გამოავლინა ხელნაწერის უშუალო გაცნობამ. მაგრამ ნუსხა ძლიერ ნაკლულია და, ვფიქრობთ, რომ თხზულებების რიცხვი ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო ნუსხაში, საეარაუდოა, ხელნაწერის თავსა და ბოლოში, შესაძლებელია, იმ ნაწილშიც, რომელიც წინ უძღვის ანდერძს და რომელშიაც რვეულთა სათვალავი დაკარგულია.

ხელნაწერის შედგენილობის დაზუსტებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა A 1769 ფრაგმენტის ჩართვას ნუსხაში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცული ეს ორფურცლიანი ფრაგმენტი იმთავითვე Ath. 79 ხელნაწერის ნაწილად და ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად არის მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში⁸.

ფრაგმენტის ერთ-ერთი ფურცლის აშიაზე მიწერილია: См. Ath. Kat. № 72, стр. 92, რაც ა. ცაგარლის კატალოგის გვერდს აღნიშნავს⁹. ფრაგმენ-

⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1980, გვ. 207.

⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. V. თბ., 1957, გვ. 162.

⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, ტ. V, თბ., 1955, გვ. 249.

⁹ А. Ц а г а р е л и. Сведения..., с. 92.



ტის ამავე ფურცლის აშიაზე კ. კეკელიძის ხელით ჩამოწერილია Ath. 79 ნუს-
ხის ძირითადი შედგენილობა (ბასილი დიდის, ზოსიმეს, ეფრემ ასურის სწავლა-
ლანი და ილარიონ ქართველის ცხოვრება). როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძისა-
თვის ცნობილი ყოფილა, რომ A 1769 ფრაგმენტი Ath. 79 ნუსხის ნაწილი
ყო.

ამრიგად, აქამდე ცნობილი ყველა მონაცემი მიგვანიშნებდა, რომ A 1769
ფრაგმენტი წარმოადგენდა Ath. 79 ნუსხის ნაწილს. მართლაც, შესაძლებელი
გახდა ფრაგმენტის ორივე ფურცლისათვის მიგვეჩინა ზუსტი ადგილი Ath.
79 ხელნაწერში.

ეს ორი ფურცელი ხელნაწერში იყო ა. ცაგარლის დროს (1886 წ.), რა-
საც უჩვენებს ის ფაქტი, რომ ცაგარლის აღწერილობაში ასახულია ფრაგმენ-
ტის ფურცელზე მოთავსებული ეფრემ ასურის „სწავლათა“ სათაური. ეს ფურ-
ცლები არ არის ასახული პაგინაციაში და აღარ იყო ხელნაწერში რ. ბლეიკის
დროს (1932 წ.). ზუსტი შემოფარგვლა ფრაგმენტის წამოდების დროისა არ
ხერხდება.

ფრაგმენტის პირველმა ფურცელმა იპოვა თავისი ზუსტი ადგილი, იგი
ჩაჯდა 68v-სა და 87r-ს შორის. მან დაასრულა ზოსიმეს „სწავლის“ ბოლო-
ნაკლული ტექსტი ექვთიმე ათონელის ბოლოთქმით და აღადგინა ეფრემ ასუ-
რის „სწავლათა“ სათაური და დასაწყისი.

ფრაგმენტის მეორე ფურცელი აღმოჩნდა ფებრონიას წამების ნაწილი.
მიუხედავად იმისა, რომ ფებრონიას წამების ტექსტი ძალზე ნაკლულია ამ
ნუსხაში, ფრაგმენტის ფურცელს მაინც დაეძებნა ზუსტი ადგილი. მან დაიკავა
ფებრონიას წამების ნაკლული ტექსტის პირველი ფურცლის ადგილი.

ამრიგად, დადასტურდა, რომ A 1769 ორფურცლიანი ფრაგმენტი არის
Ath. 79 ნუსხის ნაწილი.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რა თხზულებებია ხელნაწერში შესული, რა
მოცულობისა არის ეს ტექსტები ამჟამად და ფურცელთა რა რაოდენობა ეკა-
ვთ მათ, ისმის კითხვა, ხომ არ საჭიროებს ხელნაწერი რაიმე კორექტირებას
თხზულებათა თანმიმდევრობისა და რვეულთა შევსების მხრივ.

ნუსხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რვეულებში განაწილების
თვალსაზრისით ყოველ ტექსტს უჭირავს ხელნაწერში ის ადგილი, რაც მას
ჰქონდა თავდაპირველად. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ფებრონიას
წამების ტექსტი, რომელიც ამჟამად ხელნაწერის თავში ზის უსათაუროდ
შემოადინიშნულ უკულმა პაგინირებულ შვიდ ფურცელზე. იგი ძალზე ნაკლუ-
ლია. სინ. 6 ხელნაწერთან შედარებამ გამოავლინა, რომ ტექსტს აკლია დაახ-
ლოებით თვრამეტი (18) გვერდი ანუ ცხრა ფურცელი. ფებრონიას წამების
სრული ტექსტი საჭიროებს ორ (2) რვეულს მაინც. როგორც ითქვა ზემოთ,
ხელნაწერის დასაწყისში აღსადგენ ბ^აგ^ად^ე რვეულებში კი ანტონ დიდის
ცხოვრების ტექსტი უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ჩვენი აზრით, ფებრონიას წამების ტექსტის ადგილი ხელნაწერის თავ-
ში არ ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ რვეულებრივი სათვალავი ტექსტს გას-
დევს მხოლოდ ი^აზ რვეულის ჩათვლით (87v-მდე). მომდევნო ი^აშ და ი^ათ
რვეულების (88r—97v) აღნიშვნა ფურცლებზე არ ჩანს, რის გამოც არ ხერხ-
დება ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ რამდენი რვეულისაგან შედგებოდა ნუს-
ხის პირველი ნაწილი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ზემოთ ჩამო-
თვლილი თხზულებების გარდა ხელნაწერის პირველი ნაწილი შეიცავდა სხვა
თხზულებებსაც (ე. ი. დამატებით რვეულებს) მიქაელ სუნკელის სიმბოლოს
წინ. სწორედ ამ ადგილას, ეფრემ ასურის სწავლათა და მიქაელ სუნკელის

სიმბოლოს ტექსტებს შორის არის საგულეველი ფებრონიას წამების მოთავე-
სება. პირველ ნაწილში ფებრონიას წამების ტექსტის მოთავსების სასარგებლოდ
ლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ეს ტექსტი ეფრემის სწავლათა და მიქაელ
სუნკელის სიმბოლოს ტექსტების მსგავსად პირველი ხელით არის ნაწერი და
ბუნებრივად ჯდება მათ შორის.

იმ შემთხვევაში კი, თუ ფებრონიას წამების ტექსტი პირველი ნაწილის
ბოლოს კი არ იჯდა, არამედ მეორე ნაწილში იყო მოთავსებული, მაშინ ის
ამ ნაწილის ბოლოს, აწ დაკარგულ ვ³ზ³წ³ რვეულებშია საძიებელი*.

ხელნაწერი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ილარიონ
ქართველის ცხოვრების გამო. კერძოდ, ამ ხელნაწერთან და მის ანდერძთან
დაკავშირებით იდგა საკითხები, ორიგინალურია, თუ თარგმნილი ეს თხზულებ-
ბა, ექვთიმე ათონელის დაწერილია იგი, თუ თარგმნილი ან გადაწერილი მის
მიერ და ა. შ.

Ath. 79 ნუსხის უშუალო გაცნობა არკვევს ილარიონ ქართველის ცხოვ-
რებასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს:

I. გაიარკვა ნუსხაში მოთავსებული ცხოვრების რედაქციის საკითხი. ილა-
რიონ ქართველის ცხოვრება ამ ხელნაწერში პირველად შენიშნა ნ. მარმა
1900 წ.¹⁰ ნუსხაში ცხოვრების არსებობის ფაქტი დაადასტურა რ. ბლეიკაც
თავის აღწერილობაში¹¹. მაგრამ ნ. მარი და რ. ბლეიკი არ უთითებენ, ცხოვ-
რების რომელ რედაქციას შეიცავს ათონური ნუსხა, ხოლო ვინაიდან რ. ბლეიკს
თავის აღწერილობაში ამ ცხოვრებასთან დაკავშირებით მითითებული აქვს
პ. პეეტერსის წერილი¹², შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ხელნაწერში შე-
სულია ცხოვრების ვრცელი ათონური რედაქცია.

კ. კეკელიძემ ამ ხელნაწერში ილარიონ ქართველის ცხოვრების არსებო-
ბის ფაქტი იცოდა ნ. მარის მეშვეობით. ილარიონ ქართველის ცხოვრების
რედაქციებიდან იცნობდა რა იმ დროს გამოვლენილ მეტაფრასულ, ვრცელ
ათონურ და სინაქსარულ რედაქციებს (მოკლე რედაქცია ჯერ არ იყო აღმო-
ჩენილი), მან დაუშვა, რომ ათონის ხელნაწერი შეიცავს ცხოვრების ვრცელ
რედაქციას¹³.

რ. ბლეიკის აღწერილობაში გამოქვეყნებული ცხოვრების ტექსტის და-
საწყისის საფუძველზე რამდენიმე წლის წინათ გამოთქმულ იქნა ვარაუდი,
რომ ხელნაწერი შეიცავს ცხოვრების არა ვრცელ ათონურ, არამედ მოკლე
რედაქციას და რომ ეს რედაქცია გადაწერილია ექვთიმე ათონელის მიერ¹⁴.

* ფებრონიას წამების ტექსტთან დაკავშირებით საინტერესოა S 3637 ხელნაწერში სხვა
ნუსხიდან მოხვედრილი მინაწერების რიგში მოთავსებული ანდერძი: „დასასრულსა წმიდისა
ფებრონიასა ცხოვრებისასა ეწერა: „წმიდაო ფებრონიავ, მეოხ მეყავ წინაშე ღმრთისა. რო-
მელნიცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ეფთჳში და წმიდა მამა ჩემი იოანე“. ესე
ანდერძი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი არს, რამეთუ წმიდითა ჴელითა მისითა ნუს-
ხისაგან დაიწერა. ლოცვა ჰყავთ გლახაკისა მწერალთათჳსცა“ (S 3637, 157r). როგორც ვხე-
დავთ, ფებრონიას წამების ტექსტი შეტანილი ყოფილა ექვთიმეს ავტოგრაფში, იგი გადასუ-
ლა ავტოგრაფიდან გადაწერილ, დღეისათვის უცნობ ნუსხაში, სადაც ეფთჳიმეს ანდერძს
დარბთვია გადამწერის შენიშვნა: „ესე ანდერძი...“

¹⁰ H. M a r p, *Агиографическіе материмлы...*, с. 85—86.

¹¹ R. B l a k e, *Catalogue...*, p. 253.

¹² P. P e e t e r s, S. H i l a r i o n 'd'I b é r i e, *Analecta Bollandiana*. T. XXXI, *Bruelles*, 1913, p. 236—243.

¹³ კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული ავტოგრაფის ისტორიიდან. — თბილისის უნი-
ვერსიტეტის მოამბე, № 1, 1919—1920, გვ. 39—67; ერთდღები ძველი ქართული ლიტერა-
ტურის ისტორიიდან, IV. თბ., 1957, გვ. 134—158.

¹⁴ ივ. ლოლაშვილი, ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი და მოკლე რედაქ-
ციათა ურთიერთობისათვის. — ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის სა-



ეს ვარაუდი გამართლდა. Ath. 79 ნუსხაში მართლაც აღმოჩნდა ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია, რომელიც აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ორი ხელნაწერით: A 518 (1708 წ.) და Q 762 (XIII—XIV სს.).

ილარიონ ქართველის ცხოვრება მოთავსებულია Ath. 79 ნუსხის იმ ნაწილში, რომელიც ექვთიმეს 990 წლის ავტოგრაფიდან არის გადაწერილი. მაშასადამე, ცხოვრების მოკლე რედაქციის არსებობა 990 წლის ხელნაწერში უძველესი ფაქტია. ცხოვრების სხვადასხვა რედაქციების შემცველ ნუსხებს შორის კი 990 წლის ხელნაწერი ჯერჯერობით ყველაზე უძველესია.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხში, თუ რომელი რედაქცია არის უძველესი: ვრცელი ათონური, თუ მოკლე რედაქცია.

ერთი თვალსაზრისის თანახმად, ვრცელი ათონური რედაქცია არის წყარო მოკლე რედაქციისა¹⁵, მოკლე რედაქცია გამოკრებილია ვრცელიდან. მეორე თვალსაზრისის თანახმად, მოკლე რედაქცია არის წყარო ვრცელი ათონური რედაქციისა¹⁶. ორივე თვალსაზრისს აქვს განმამტკიცებელი და საწინააღმდეგო არგუმენტები. ორივე თვალსაზრისი ჯერჯერობით ვარაუდის დონეზე რჩება. ასეთ ვითარებაში Ath. 79 ნუსხაში მოკლე რედაქციის დადასტურება კარგი საბუთია მოკლე რედაქციის უძველესობის ვარაუდისათვის.

II. ბლეიკის აღწერილობის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო, რომ ექვთიმე ათონელის ანდერძი წიგნის თარგმნის შესახებ მოთავსებულია ილარიონ ქართველის ცხოვრების ბოლოს, რაც ამ თხზულების ბერძნულიდან თარგმნის უტყუარ არგუმენტს წარმოადგენდა. ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულების ორიგინალობის თითქმის გადაწყვეტილ საკითხს ამ არგუმენტის სახით დიდი სიძნელე ჰქონდა გადასახავი.

ნუსხის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ანდერძი მოსდევს არა ილარიონ ქართველის ცხოვრებას, არამედ სულ სხვა, რიგით მერვე თხზულების, მიქაელ სუნჯელის სიმბოლოს შემდეგ არის მოთავსებული.

რამ განაპირობა ბლეიკის შეცდომა და როგორ შეიძლება აიხსნას იგი? ამ შეცდომის მიზეზები სრულიად ნათელია ჩვენთვის:

1. ნ. მარმა შენიშნა, რომ Ath. 72 (=Ath. 79) ხელნაწერში ა. ცაგარელს შემუმჩნეველი დარჩა ილარიონ ქართველის ცხოვრება. ნ. მარმა გამოაქვეყნა¹⁷ ცნობა ათონურ ხელნაწერში ილარიონ ქართველის ცხოვრების არსებობის შესახებ და იქვე მოათავსა ფოტონიმიუში ამ ხელნაწერიდან. ნიმიუში კი წარმოადგენდა ექვთიმე ათონელის ანდერძის ნაწყვეტს. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ანდერძი ილარიონ ქართველის ცხოვრების ბოლოს არის მოთავსებული. ამ შთაბეჭდილების ქვეშ მოქცევა იყო ბლეიკის შეცდომის დასაწყისი.

კითხვები. VII—VIII. თბ., 1976, გვ. 27—28. მ. დოლაძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები. თბ., 1974, გვ. 24, 30.

¹⁵ ივ. ლოლაშვილი, ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელ და მოკლე რედაქციათა ურთიერთობისათვის. — ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები. VII—VIII. თბ., 1976, გვ. 27—28. ე. გაბიძაშვილი, სენაქსარულა რედაქციები. — ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV. თბ., 1968, გვ. 154.

¹⁶ ბ. კილანაძე, ქართული ავტოგრაფის კიმენურ რედაქციათა ატრიბუციისათვის. საღისერატციო ნაშრომი, თბ., 1973, გვ. 143—184. მ. დოლაძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974, გვ. 24, 30.

¹⁷ H. M a r p, Агиографические материалы..., с. 85—86.

2. ილარიონ ქართველის ცხოვრების, რიგით მეხუთე თხზულების, შემდეგ ნუსხაში მოთავსებულია ზოსიმეს „სწავლა“, რომელიც ბლეიკთან შედარებით ტოვებულა. ზოსიმეს სწავლის დასაწყისი მოთავსებულია დღევანდელი პაგინაციით 68v-ს ბოლოს. იგი ძნელად შესამჩნევია, რადგან რაიმე თვალსაჩინო ტექნიკური მონაცემით არ გამოიყოფა მთელი ტექსტიდან. მისი ყურადღებიდან გამორჩენა ძალზე იოლი იყო.

3. ზოსიმეს სწავლას ნუსხაში მოსდევს ეფრემის სწავლანი. ტექსტის სათაური და დასაწყისი ფურცელი ხელნაწერში უკვე აღარ იყო ბლეიკის დროს: ფრაგმენტი საქართველოში იყო წამოღებული. ამ მიზეზით ბლეიკი ეფრემის სწავლათა ტექსტს ვერ ნახავდა ხელნაწერში და ვერ შეიტანდა მას თავის აღწერილობაში.

ასე და ამრიგად აღმოჩნდა ბლეიკისათვის ექვთიმეს ანდერძი ილარიონ ქართველის ცხოვრების შემდეგ, ამგვარი შეცდომისათვის თვით ხელნაწერში იყო შემზადებული ნიდაგი.

იმ გარემოების გამო, რომ ექვთიმეს ანდერძი მოთავსებულია სხვა თხზულებების შემდეგ, ძლიერმა საბუთმა ექვთიმე ათონელის მიერ ილარიონ ქართველის ცხოვრების თარგმნის სასარგებლოდ ძალა სრულიად დაკარგა.

III. ცხოვრების ბოლოს მოთავსებულია ბოლოთქმა-შენიშვნა: „ღმერთმან დაგაჯეროს, შეგვანდევთ, საწყლოსა დედისაგან დაგწერეთ, უკეთესი არა გუქონდა“. როგორც ვხედავთ, შენიშვნის ავტორი, ვინც არ უნდა იყოს იგი, არის ილარიონ ქართველის ცხოვრების მხოლოდ გადამწერი, ვინაიდან ის ახსენებს დედანს, საიდანაც იწერს ცხოვრების ტექსტს.

ამ შენიშვნის შესახებ უკვე იყო მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში. ივ. ლოლაშვილის მიერ შენიშვნა აღიარებულია ექვთიმე ათონელის დაწერილად¹⁸. ამის საფუძველზე მიჩნეულია, რომ ეფთვიმეს ეს თხზულება მხოლოდ გადაუწერია. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ აზრს. დაუშვამტებთ მხოლოდ ერთს: ვინაიდან ნუსხა ჩვენ მიგვაჩინა არა ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად, არამედ ავტოგრაფიდან გადაწერილად. ამის გამო პირველ რიგში გასარკვევია, ვის ეკუთვნის ეს ბოლოთქმა-შენიშვნა, კრებულის გადამწერი იოანეს, თუ იგი ექვთიმე ათონელის ავტოგრაფიდან არის გადმოსული ამ ნუსხაში?

ამ საკითხის ხელაღებით გადაწყვეტა ძნელია, მაგრამ ჩვენ მაინც ვიზრებთ იმ აზრისკენ, რომ იგი ექვთიმე ათონელის ავტოგრაფის საკუთრება იყო და იქიდან გადმოჰყვა ცხოვრების ტექსტს. შევეცდებით ვაჩვენოთ ეს:

ნუსხაში შიგ ტექსტში არსად არ შეიმჩნევა გადამწერი იოანეს კვალი, არსად ჩანს ტექსტში შეტანილი მისეული შენიშვნა. ცხადია, ექვთიმე ათონელის ავტოგრაფი მისთვის ხელშეუხებელი რამ არის. ერთადერთი შენიშვნა, რომელიც იოანე გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს, ავტოგრაფისეულ ნაწილში, 68v-ზეა მოთავსებული („ზოსიმეს და ეფრემის სწავლათა თავთავი წითლითა ეწერა დედასა და მე არა მაქუნდა...“), ისიც ქვედა აწიანზე და არა შიგ ტექსტში. გარდა ამისა, ცხოვრების ტექსტს არ ეტყობა, რომ დაზიანებული დედნიდან არის გადმოწერილი. ტექსტი თითქმის სრულად არის მოღწეული ჩვენამდე (აქლია მხოლოდ ერთი ფურცელი 60v-სა და 61r-ს შორის). გაუგებარი ადგილის ამოკითხვის შედეგად ვაჩენილი არც ერთი ლაფსუსი, გადასწორება, ჩამატება ან დამახინჯება ტექსტში არ შეიმჩნევა. იგი სიტყვა-სიტყვით

¹⁸ ივ. ლოლაშვილი, მე-11 საუკუნის უცნობი პოეტურა თხზულებანი. — მნათობი, 1982, № 5, გვ. 161.



მისდევს აქამდე ცნობილი ორი ნუსხის (A 518 და Q 702) ტექსტს ჩვეულებრივი ვარიანტული სხვაობებით. ერთი სიტყვით, არსიდან ჩანს, რომ იოანეს დედანი ანუ ექვთიმეს ავტოგრაფი 990 წლისა დაზიანებული ან ძნელად ამოსაკითხავი იყო.

მაშასადამე, დაზიანებულ ანუ „საწყალ დედად“ უნდა ვიგულისხმოთ ის დედანი, საიდანაც ექვთიმე ათონელი იწერდა ცხოვრების ტექსტს, და ბოლო-თქმა-შენიშვნაც მისეულად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ეტყობა, ექვთიმე ათონელს იმდენად გამოუყებებია ტექსტი, რომ იოანეს იგი უკვე გამართული ჩავარდნია ხელთ. დედნის დაზიანების კვალი უკვე ექვთიმეს ავტოგრაფ-შივე წაშლილა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ეს შენიშვნა ეკუთვნის ექვთიმე ათონელს, ბუნებრივია, ის ცხოვრების მთარგმნელად და შემთხვევლად ვეღარ გამოცხადდება. ამდენად გასაგები ხდება, თუ რატომ არ არის აღნიშნული არც იოანე მთაწმიდლის ანდერაქში და არც გიორგი ათონელის ბიოგრაფიულ თხზულებაში ის ფაქტი, რომ ექვთიმემ თარგმნა ან დაწერა ეს ცხოვრება. სხვა საკითხია, თუ რატომ შეიტანა ექვთიმე ათონელმა ეს ცხოვრება თავის თარგმანთა კრებულში. როგორც ვიცით, ამ დროისათვის ათონზე უკვე აღებულია ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა წარმოჩინების კურსი, რომელიც კონცეფციის სახით ჩამოყალიბდა „ათონის კრებულში“.

მართალია, ეს თხზულება ექვთიმეს თარგმანებს შორის არის მოქცეული, მაგრამ ეს არც ისე საკვირველია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. სხვას რომ შეედეგინა ექვთიმეს თარგმანების კრებული და შიგ არ შეეტანა ილარიონ ქართველის ცხოვრება, რომელიც ავტორის მიერ დაწერილი, ეს სავესებით გასაგები და ლოგიკური იქნებოდა.

მაგრამ ექვთიმეს ხომ არ ექნებოდა მიზნად დასახული თავისი თარგმანების კრებულის შედგენა. ის ბერძნულიდან თარგმნიდა ბასილი დიდის, მიქაელ სუნკელის, ზოსიმეს, ეფრემ ასურის და სხვა ავტორთა თხზულებებს და ამით ქართულ მწერლობას ამდიდრებდა ქართული თხზულებებით (თუნდაც თარგმნილით). პრინციპულად დაუშვებელი რა უნდა ყოფილიყო იმაში, რომ მას ამ თხზულებებთან ერთად გადაეწერა ხელში მოხვედრილი ილარიონ ქართველის ცხოვრება, ილარიონ ქართველისა, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის წმინდანი იყო ქართველთათვის. ექვთიმე ათონელის ეპოქამდე ქართველ სამონასტრო მოღვაწეთაგან მხოლოდ ილარიონ ქართველსა და პეტრე იბერს (ქართველს) დაუმკვიდრათ ზედწოდება ქართველი. ილარიონ ქართველის, როგორც წმინდანის უაღრესი მნიშვნელობა ზედმიწევნით ექნებოდა შეგნებული ექვთიმე ათონელს. ყოველივე ზემოთქმულის გამო ექვთიმე ათონელის მიერ ილარიონ ქართველის ცხოვრების გადაწერის ფაქტი და შეტანა კრებულში მისი თარგმნილი თხზულებების გვერდით არ უნდა იყოს მოულოდნელი და საკვირველი.

როდის არის შექმნილი ცხოვრების მოკლე რედაქცია? ექვთიმეს დროისათვის, სახელდობრ, 990 წლისათვის მოკლე რედაქცია კარგა ხნის დაწერილი ჩანს: დედანი იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ გადაწერის ამის აღნიშვნა საჭიროდ მიუჩნევია ზემომოტანილ შენიშვნაში. ზუსტად თქმა იმისა, თუ როდის შეიქმნა იგი, ძნელია. ვრცელი ათონური რედაქციის საშუალებით შეიძლება მოკლე რედაქციის სავარაუდო დათარიღებაც.

ვრცელი ათონური რედაქციის დათარიღებისათვის მივუბრუნდეთ თხზულების ტექსტს: „და მუნცა (რომში) მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ, ვითარცა უკუანასკნელ მოწაფემან მისმან ნე-



ტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრა, მოიქცა რამ მიერ შემდგომად მიცვალებულნი
 სა მისისა“.

როგორც ტექსტის ამ ადგილიდან ჩანს, თხზულების ავტორისათვის ისაკს მიუწოდებია ცნობები თავისი მოძღვრის ილარიონ ქართველის შესახებ. მაშასადამე, ეს რედაქცია დაწერილია ილარიონ ქართველის მოწაფის ისაკის თანამედროვის (IX საუკ. II—IV მეოთხედი) მიერ. რაც არ უნდა უმცროსი ყოფილიყო იგი ისაკზე, თხზულების დაწერის დრო არ გადასცილდება X ს. I ნახევარს.

თუ აქედან ამოვალთ, მაშინ თხზულების მოკლე რედაქციის შექმნა X ს. დასაწყისშია სავარაუდებელი.

ა ლ ჟ ი რ ი ლ ო ბ ა

ხელნაწერი Ath. 79 პატარა ზომისაა (16,5×13,2). ნაწერია ეტრატზე, უყდო, ნუსხური.

აქამდე ხელნაწერი ითვლებოდა ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად. ნუსხაში მოთავსებული (97v) ექვთიმე ათონელის ანდერძის საფუძველზე იგი დათარიღებული იყო 990 წლით. ექვთიმეს ანდერძის შემდეგ მოთავსებული იოანეს ანდერძიდან კი ირკვევა, რომ ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს ათონზე ექვთიმე ათონელის 990 წლის ავტოგრაფიდან გიორგი ათონელის დეკანოზობის დროს (1042—1044 წწ.).

1. [თუესა ივნისსა კდ. წამებად წმიდისა ფებრონიასი]. — „... ტანჯვად ქრისტიანეთა, რომელნიმე ცეცხლად მისცნის, რომელნიმე მახულითა მოსრნის“... 2r—8v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. სათაური აღდგენილია სინ. 6 ხელნაწერის მიხედვით. წყდება: „ჰრქუა მას სელინოს: მე მცირედ-მცირედ მახულითა და“...

2. ტექსტის დასაწყისში ერთი ფურცელი აღადგინა A 1769 ფრაგმენტის მეორე ფურცელმა.

3. თხზულება როგორც ექვთიმე ათონელის თარგმანი მოხსენიებულია გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი“.

4. ტექსტი არ ემთხვევა კიმენტუსს (A 95, S 134, სინ. 6) და მეტაფრასულ (ქუთ. 3) რედაქციებს. მისი სახით გვაქვს თხზულების მესამე რედაქცია, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ.

5. ერთი ფურცელი (7r-v), რომელიც ფებრონიას წამების ბოლოს იყო მოთავსებული, გადავიდა ტექსტის დასაწყისში, ფრაგმენტისეული ფურცლის მომდევნოდ.

2. [ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი. ათანასესგან ებისკოპოსისა ალექსანდრიელისა]. — „... ვიდეს ძმანი და უთხრეს, ვითარმედ მას დღესა და ჟამსა გარდაიცვალა..“ 9r—24v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. სათაური და ავტორი აღდგენილია A 19 ხელნაწერის მიხედვით. წყდება: „ვიწმცა შეემთხვა მას დაჯრომილი და სიგლაზაკისაგან...“

2. ცხოვრება როგორც ექვთიმეს თარგმანი მოხსენიებულია გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი“.

3. ტექსტი განსხვავდება ცხოვრების კიმენური (A 19, A 1109)¹⁹ და მეტაფრასული (A 79) რედაქციებისაგან. მისი სახით გვაქვს თხზულების მესამე, უცნობი რედაქცია, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ.

3. [ბასილი დიდი. თქუმული ჯუარის ამბლებსათჳს. — „ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ...“]. „... ძისა კაცისაჲ, რაათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენს მისი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო...“ 25r—29r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. თხზულების ავტორი, სათაური და დასაწყისი აღდგენილია Ath. 32 ხელნაწერის მიხედვით.

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19.

3. თხზულება სინამდვილეში ეკუთვნის ანდრია კრიტელს. იგი მოღწეულია ორი თარგმანით: ექვთიმე ათონელისა და უცნობი მთარგმნელისა. ექვთიმე ათონელის თარგმანის შემცველი ქართული ნუსხები ბერძნული ტექსტის ავტორად ასახელებენ ბასილი დიდს (Ath. 32, Ath. 20, H 2251), ხოლო უცნობი მთარგმნელისეული ტექსტის შემცველი ნუსხები კი — ანდრია კრიტელს (იერუს. 23, ქუთ. 4).

4. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მთავარეპისკოპოსისა კესარიისა-კაბადუკიელისაჲ მიცვალებსათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი. — „საიდუმლოჲ არს დიდებული დღესისა ესე კრებაჲ...“ 29r—58v.

შენიშვნები: 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19.

2. ტექსტი ნაკლულია.

3. თხზულება შესულია ბასილი დიდის ითიკაში (A 100). იგი ეკუთვნის ანდრია კრიტელს, Pg, 97, გვ. 1072.

5. თუესა ნოენბერსა ით. წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა ჯსენებაჲ: ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ მისი. — „ესე წმიდაჲ და ნეტარი მამაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი...“ 58v—68v.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს თხზულების მოკლე რედაქციას. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა. ტ. I. თბ., 1946, გვ. 170—177; ბ. კილანავა, ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან. — ივირონი — 1000. თბ., 1983, გვ. 154—165.

2. ტექსტის ბოლოს არის ბოლოთქმა: „ღმერთმან დავაჯროს, შეგვრდეთ, საწყლისა დედისაგან დავწერეთ, უკეთესი არა გუქონდა“.

3. ტექსტი ნაკლულია: 60v-სა და 61r-ს შორის აკლია 1 ფურცელი.

6. სწავლაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ზოსიმესი. — „ნეტარმან მამამან ზოსიმე გამოისახა სასწაული ჯუარისაჲ პირსა თჳსსა...“ 68v—86v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. დასასრული ბოლოთქმითურთ აღადგინა A 1769 ფრაგმენტის პირველმა ფურცელმა. ხარ-

¹⁹ კიმენური რედაქციის ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ ვ. იმნაიშვილის მიერ: 1. ცხოვრება წმიდისა ანტონისა. თბ., 1970; მამათა ცხოვრებანი. თბ., 1975, გვ. 9—53.



ვეზების აღდგენა მოხერხდა პავიოგრაფიულ-ასკეტიკურ კრებულთან (A 1104, XI ს.) შედარების გზით.

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იგი როგორც ექვთიმე ათონელის თარგმანი მოხსენიებულია იოანე ათონელის ანდერძში და აგრეთვე გიორგი ათონელის თხზულებაში. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 54.

ტექსტს ახლავს ექვთიმე ათონელის ბოლოთქმა: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთჳმისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე“.

მიწაწერი: „ზოსიმეს და ეფრემის სწავლათა თავთავი წითლითა ეწერა დედასა და მე არა მაქუნდა... ვინ სწერდეთ, და...“ 68v.

7. სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემისნი, მიწერილნი იოვანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა. — „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელი მოვიდა სოფლად ცხოვრებისათჳს კაცთაჲსა, გუამცნო ურთიერთას სიყუარული...“ 87r—92v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. სათაური და დასაწყისი აღადგინა A 1769 ფრაგმენტის პირველმა ფურცელმა. წყდება: „არამედ ისმინენ ესევითარმან მან, ვითარმედ მრავალთა...“

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იგი როგორც ექვთიმეს თარგმანი მოხსენიებულია იოანე ათონელის ანდერძში და გიორგი ათონელის თხზულებაში. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 49.

3. ტექსტი შეიცავს მხოლოდ პირველ და მეორე სწავლას. სავარაუდოა, რომ იგი თავდაპირველად დანარჩენ რვა სწავლასაც შეიცავდა.

4. ხარვეზების დადგენა მოხერხდა A 1104 ნუსხასთან შედარების გზით.

8. მიქაელ სუნიკელისა იერუსალიმელისაჲ მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ. — „მრწამს ერთი ღმერთი — მამაჲ უშობელი და ერთი ძმ შობილი და ერთი სული წმიდაჲ...“ 93r—97v.

შენიშვნები: 1. ამ თხზულებით თავდებოდა კრებულის პირველი რედაქცია, ექვთიმეს ავტოგრაფი, რომელიც იოანეს გადაუწერია და დაუმთავრებია თავისი ანდერძით.

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 101.

ანდერძები: 1. ექვთიმე ათონელისა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატრონისისა ჭუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა იოვანე მახარებელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა მე, გლახაკმან და ნარჩევმან ყოველთა კაცთამან და ყოველისა ბრალისა თანამდებმან ეფთიმე ვთარგმანე წმიდაჲ ესე

წიგნი ბერძულისაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა
მამისა ჩემისა იოვანესითა.

აწ გვედრები, ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მო-
გვკსენენით, პირველად მამა ჩემი იოვანე და მე უღირ-
სი ესე ეფთიმე, რაათა თქუენცა ღმერთმან სასყიდელი
შრომისა მოვანიჟოს, ამენ.

დაიწერა წმიდა ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას,
საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და გასრულ-
და გლახაკისა ეფთიმეს მიერ მეფობასა ბასილისსა და
კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ნიკოლოსისა ინდიკტი-
ონსა დ' დასაბამითგანთა წელთა ხ'ჯ'თ" (97r-v).

იოანესი: „ესე რიცხვ უცთომელად არს, წმიდანო
ღმრთისანო, უბადოდ წერისათუს ღმერთმან დაგაჯეროს,
შემინდევეთ(!) და ლოცვასა მომიკსენეთ ფრიად ცოდ-
ვილი იოანე, რომელმან ესე წიგნა დაეჩხრიკე უცბე-
ბით, დარბაზული ასოა ჰასთენ შეუძლვე შეცვალებად,
ებისტოლედ მასწავლელი არა მყვა, მაგრა ვესავ ღმერთ-
სა, რომელ სიტყუა მართალია ამით, რომელ თუთ გი-
ორგი დეკანოზსა დიდითა ხარკებითა შეუწამებია მთა-
წმიდას. დაიწერა ესე წიგნი კოსტანტი მეფისა ზე მონო-
მახისა. შემინდევეთ, წმიდანო მამანო“ (97v).

ექვთიმე ათონელის ანდერძის ნაწყვეტები გამო-
ქვეყნებული აქვთ რ. ბლეიკსა²⁰ და ნ. მარს²¹.

18317

9. წამება და შესხმა წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გი-
ორგისი, აღწერილი სკემონ ლოლოთეტისა მიერ, რომელი იკითხვების საბერძ-
ნეთისა უმრავლესთა ეკლესიათა შინა დიდებულთა, რამეთუ სიღრმისათუს
იმხიებენ(!) ამას. — „ოდეს-იგი კერპთმსახურებისა წყუდიადსა მოეცვა სო-
ფელი ესე...“ 98r—112r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. A 50 ნუსხასთან შედა-
რების შედეგად გამოვლინდა ხარვეზი 1 ფურცელი 104v-სა და
105r-ს შორის.

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ.
კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 166.

10. შესხმა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა
წმიდამან ბასილი დღესა მას ღუაწლისა მისისასა. — „მარადის ბრწყინვალე
და ყოვლად ქებულ არიან წმიდათა მოწამეთა საკსენებელნი...“ 112r—128v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. 1 ფურცელი (8r-v) დღეს
ხელნაწერში მოთავსებული ფებრონიას წამებისა და ანტონ დი-
დის ცხოვრების ტექსტებს შორის, აღმოჩნდა გიორგის „შესხმის“
ნაწილი და ის მოთავსებულ უნდა იქნეს 112v-სა და 113r-ს შო-
რის. A 100 ნუსხასთან შედარების გზით დაზუსტდა ტექსტის ნაკ-
ლული ადგილები.

²⁰ R. Blake, Catalogue..., p. 253.

²¹ H. Marr, Агиографические материалы..., с. 85—86.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

2. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19.

3. თხზულება შესულია ბასილი დიდის „ითიკა“-ში 50-ე თავად (A 100). იგი ეკუთვნის ანდრია კრიტელს²².

11. წიგნი, რომელი მამამან ეფთვმე მიუწერა მთაწმიდით თეოდორეს ხუცესსა მრეკალსა პასუხად. — „ღმერთშემოსილო და სულიერო ძმად თეოდორე, ამათ პირთათვის, რომელ გეკითხნეს ჩემისა უღირსებისადა...“ 128v—131r.

შენიშვნები: 1. თხზულება წარმოადგენს ექვთიმე ათონელის ცნობილ პასუხს, რომელიც მას მიუწერია ათონიდან საქართველოში თევდორე საბაწმიდელი ხუცესისათვის.

2. დოკუმენტი რამდენჯერმე გამოცემული: 1. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 432. 2. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 82. 3. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები. III, თბ., 1970, გვ. 5—18.

3. დოკუმენტი ორი რედაქციით არსებობს. საბინინის რედაქციით აღრესატია თევდორე საბაწმიდელი, ხოლო ჟორდანიასთან — დიდი ბერი გიორგი (ჭყონდიდელი). საბინინის რედაქციით დოკუმენტს აქვს კითხვა-პასუხების სახე, ხოლო ჟორდანიასთან არის მხოლოდ ექვთიმე ათონელის საპასუხო წერილი. ი. დოლიძის გამოცემაში დოკუმენტის ორივე რედაქციაა მოცემული. Ath. 79 ნუსხის სულ დოკუმენტში საბინინის რედაქციის მსგავსად აღრესატია თევდორე საბაწმიდელი ხუცესი, ხოლო ჟორდანიას რედაქციის მსგავსად თხზულება დაწერილია პასუხის ფორმით.

4. ტექსტი სრულად არის მოღწეული.

12. სიტყუად მცირე წმიდისა მამისა ეფთვმესთვის და საბაასთვის. — „კურთხეულ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი...“ 131v—132v.

შენიშვნა: ცხოვრების ტექსტის შედარებამ ძველ და მეტაფორასულ (A 179, ქუთ. 5) რედაქციებთან გვიჩვენა, რომ „სიტყუად მცირე“ იწყება ისევე, როგორც საბას ცხოვრების ძველი რედაქცია („კურთხეულ არს ღმერთი...“)²³ და მასთან შედარებით წარმოადგენს შემოკლებულ და განსხვავებულ ვარიანტს. თხზულების სათაურიც („სიტყუად მცირე“) გვაფიქრებინებს, რომ თავიდანვე შეტანილი იყო არა სრული ცხოვრება, არამედ შემოკლებული ვარიანტი მისი, რომელიც ექვთიმე ათონელის სახელს უკავშირდება.

ამრიგად, Ath. 79 ნუსხის შესწავლის შედეგად გაირკვა შემდეგი:

1. ნუსხა აქამდე ითვლებოდა ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად. ზოგი მკვლევარი მას მთლიანად ექვთიმეს ავტოგრაფად თვლიდა, ზოგი კი მხოლოდ ნაწილობრივ. ნუსხა არ აღმოჩნდა ექვთიმეს ავტოგრაფი. იგი გადაწერილია ექვთიმეს ავტოგრაფიდან და გავრცობილია ექვთიმეს თხზულებებით.

2. ნუსხა მიჩნეული იყო 990 წელს გადაწერილად. გაირკვა, რომ 990

²² ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა ე. ქურციკიძემ. თბ., 1983, გვ. 026.

²³ ძველი რედაქცია გამოქვეყნებულია ორჯერ: 1. კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები (კიმენი), II, თბ., 1946, გვ. 117—219; 2. მამათა ცხოვრებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვ. იმნაიშვილმა. თბ., 1975, გვ. 56—125.

წელს იყო გადაწერილი ამ ნუსხის დედანი, ექვთიმეს ავტოგრაფი. თვით ექვთიმეს ნუსხა უნდა დათარიღდეს 1042—1044 წლებით.

3. პირველი თავნაკლული თხზულება აერთიანებს სამ უსათაურო თხზულებას: ფებრონიას წამებას, ანტონ დიდის ცხოვრებას და თქუმულს ჭუარისა ამალღებისათვის.

4. ბოლო, რიგით მეთორმეტე, თხზულება „სიტყუაჲ მცირე წმიდისა მამისა ეფთჳმესთვის და საბაჲსთვის“ აღმოჩნდა წმ. საბას ცხოვრების შემოკლებული რედაქციის ნაწყვეტი.

5. ექვთიმე ათონელის ცნობილი ანდერძი მოთავსებულია არა ილარიონ ქართველის ცხოვრების ბოლოს, როგორც ეს მიჩნეული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მიქაელ სუნიკელის „სიმბოლოს“ შემდეგ. ეს ანდერძი ექვთიმე ათონელის ავტოგრაფის დამავგირგვინებელ ანდერძს წარმოადგენდა.

6. ნუსხაში მოთავსებული ილარიონ ქართველის ცხოვრება აღმოჩნდა არა ვრცელი ათონური რედაქცია ცხოვრებისა, როგორც მიღებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მოკლე რედაქცია.

7. ილარიონ ქართველის ცხოვრების ბოლოს მოთავსებული ბოლოთქმის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე ათონელს არ უთარგმნია და არ დაუწერია ცხოვრება, არამედ მხოლოდ გადაუწერია იგი.

8. დადასტურდა, რომ A 1769 ფრაგმენტი არის Ath. 79 ნუსხის ნაწილი:

9. აქამდე ექვთიმე ათონელის თარგმნილად მიჩნეული იყო ფებრონიას წამების კიმენური რედაქცია. ექვთიმეს თარგმნილი უნდა იყოს წამების უცნობი, მესამე, Ath. 79 ნუსხისეული რედაქცია.

10. აქამდე ექვთიმე ათონელის თარგმნილად მიჩნეული იყო ანტონ დიდის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია. ექვთიმე ათონელის თარგმნილი უნდა იყოს ცხოვრების უცნობი, მესამე, Ath. 79 ნუსხისეული რედაქცია.

11. გამოვლინდა ექვთიმე ათონელის უცნობი თარგმანი — საბა განწმენილის ცხოვრების შემოკლებული რედაქცია.

12. ეს კრებული, გადაწერილი ექვთიმეს ავტოგრაფიდან და გავრცობილი ექვთიმეს თხზულებებით, „შეწამებულია“ გიორგი ათონელის მიერ. კრებულის მთავარი გადაწერი და გადაწერთა ჯგუფის ხელმძღვანელი არის ათონის მოღვაწე იოანე.

13. ფებრონიას წამების ტექსტის ერთი ფურცელი (7r-v) უნდა გადავიდეს ხელნაწერის თავში, მეორე ფურცლად. ფებრონიას წამებისა და ანტონ დიდის ცხოვრების ტექსტებს შორის მოთავსებული ფურცელი (8r-v) აღმოჩნდა ბასილი დიდის გიორგის წამების ნაწილი და უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ ადგილს 112v-სა და 113r-ს შორის.

14. სხვა ხელნაწერებთან შედარების შედეგად და რვეულებრივი სათვალავის შესწავლის საშუალებებით დადგინდა კრებულში შესული ტექსტების ხარვეზები, რაც ფურცლობრივ პაგინაციაში არ არის ასახული.

М. Ш. ДОЛАКИДЗЕ

О СОСТАВЕ АФОНСКОЙ РУКОПИСИ №79

Резюме

Афонский сборник №79, содержащий в основном переводные сочинения Евфимия Афонского, считался его автографом.

В результате изучения колофонов Евфимия Афонского и переписчика Иоанна выясняется, что рукопись является не автографом Евфимия, а списком, переписанным с его автографа (990) в 1042—1044 гг. при непосредственном участии Георгия Афонского и дополненным сочинениями Евфимия.

Нами изучен и уточнён также состав сборника: выявлено несколько сочинений, наличие которых в этом сборнике ранее не предполагалось; сочинения эти отличаются от известных в научной литературе редакций и именно они и являются переводами Евфимия Афонского.

Подтвердилось мнение, что фрагмент X в. А 1769 Института рукописей Грузинской ССР представляет собой часть афонского списка №79.

Рукопись содержит краткую редакцию Жития Иллариона Грузина, попавшую в этот список из автографа Евфимия 990 г. На основании анализа приписки к тексту Жития выяснилось, что Евфимия Афонского нельзя считать переводчиком и сочинителем этого Жития.

უჩა ცინფილიანი

„მეფეთა წიგნები“ ძველი ალექსის მცხეთურ ვერსიაში და მისი წყაროები

ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველი ცალკეული ბიბლიური წიგნის შესწავლის შემდეგ სულ უფრო ნათლად გამოიკვეთება კონტურები იმ ტიტანური შრომისა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა გასწია ქართული ბიბლიის სრული ტექსტის აღსადგენად.

ქართულ ბიბლიოლოგიაში გაზიარებული აზრის თანახმად, ბიბლიურ წიგნებზე მუშაობისას საბას ხელთ არ ჰქონდა ქართული ძველი ალექსის ერთადერთი მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა¹, — „ოშკის ბიბლია“, რომელიც ათონის ქართველთა მონასტერში ინახებოდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, საბას წინაშე დადგა ურთულესი ამოცანა, მოეძია და აღედგინა ის ბიბლიური წიგნები, რომელთა სრული ნუსხები საბას დროს საქართველოში აღარ იპოვებოდა.

როგორც ბოლო დროის კვლევა-ძიებამ ცხადყო, ბიბლიის ცალკეულ წიგნებში საბას განსხვავებული ვითარება დახვდა². ამან განაპირობა, რომ: ა. ნაწილი წიგნებისა მას მთლიანად თავიდან აღუდგენია („სიბრძნე სოლომონისი“, „ივანე სოლომონისნი“)³. ბ. მეორე ნაწილში საბა დამყარებია მის ხელთ არსებულ ხელნაწერებს, თუმცაღა ჩაუტარებია მათი ინტენსიური რედაქტირება სხვადასხვა წყაროების მიხედვით (ამ ჯგუფში, როგორც ირკვევა, შემოდის უდიდესი ნაწილი ბიბლიური წიგნებისა, მოკიდებული „მოსეს ხუთწიგნეულიდან“, ვიდრე „მცირე და დიდ წინასწარმეტყველთა“ წიგნებამდე). გ. მესამე ნაწილში საბა დასჯერებია შედარებით მსუბუქ რედაქტირებას. ესენია გელათური ბიბლიიდან აღებული „წინასწარმეტყველთა“ წიგნები, რომლებიც შესულია როგორც ბექდურ, ვახტანგ VI-ის 1710 წლის ბიბლიაში, ასევე მცხეთურ ხელნაწერშიც.

აქ გამოყოფილი სამი პუნქტი ზოგადი სქემაა იმ სამუშაოსი, რომელიც საბას ბიბლიაზე ჩაუტარებია. ამიტომ თითოეული პუნქტი, თავის მხრივ, ამ თვალსაზრისით დამოუკიდებელ შესწავლას საჭიროებს. მცხეთური ვერსიის შეჯერებამ ქართულ ბიბლიურ წყაროებთან ცხადყო, რომ „მეფეთა წიგნები“

¹ М а р р. Н. Я. Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета, XV, т. II, СПб., 1914, с. 378.

² ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, შესაქმის, გამოსვლათა და ლევიტელთა წიგნების ქართული ვერსიები. მრავალთავი, II, 1971, გვ. 38; ბ. გიგინეიშვილი, ერთი ნიმუში ს. ს. ორბელიანის ტექსტოლოგიურ-რედაქტორული მუშაობისა ძველი ალექსის ქართულ თარგმანებზე, მრავალთავი, VIII, 1980, გვ. 8—20; „მცხეთური ხელნაწერი“ (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოაკვლევა დურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981, გვ. 5—12.

³ ც. ქურციკიძე, ძველი ალექსის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ., 1973, გვ. 208, 217. ე. მეტრეველი, „მცხეთის ბიბლიის“ „ივანეთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის, მრავალთავი, VII, 1980, გვ. 98—115.

იმ ბიბლიურ წიგნთა შორის თავსდება, რომლებიც ბიბლიისავე ამა თუ იმ ქართულ ნუსხას კი ემყარება, მაგრამ საბას ხელში ინტენსიური რედაქტირება განუცდია.

როგორც ზემოთ ითქვა, საბას მცხეთურ ვერსიაზე მუშაობის დროს ხელთ არ ჰქონდა ოშკის ბიბლია. ეს კი ბუნებრივად სვამს კითხვას: რას დაეფუძნა „მეფეთა წიგნების“ ტექსტი მცხეთურ ვერსიაში?

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ A 570 და A 646 ხელნაწერებში დაცული „ბიბლიური ტექსტის განსაკუთრებული რედაქცია... უფრო უახლოვდება მცხეთის ბიბლიას, ვიდრე ათონის ან მოსკოვის გამოცემისას“⁴. შემდგომმა კვლევებით დაადასტურა, რომ მცხეთური ბიბლიის წიგნთა გარკვეული ნაწილი, მართლაც, მეტად მკიდრო ურთიერთობას ამჟღავნებს ხსენებულ ნუსხებთან, განსაკუთრებით კი A 646-თან, მაგრამ არის თუ არა ეს უკანასკნელი საბას ბიბლიის უშუალო წყარო, ამაზე დაბეჯითებითი პასუხი დღემდე არ არსებობს. ჩვენი აზრით, სავსებით სწორ ვარაუდს გამოთქვამს ც. ქურციკიძე „ტობის“ წიგნთან დაკავშირებით: „ტობის წიგნი S ნუსხაში (ე. ი. მცხეთურ ბიბლიაში უ. ც.) დამოუკიდებელი თარგმანი არ არის. როგორც ჩანს, ამ რედაქციის შემდგენელს ხელთ ჰქონდა C რედაქციის რომელიღაც ნუსხა (უთუ-ღა A 646-თან ახლოს მდგომი), რომელიც მას ვულგატის ტექსტთან უჯერებია“⁵.

ანალოგიურ დასკვნამდე მივყავანა ჩვენც „მეფეთა წიგნების“ ტექსტის შესწავლამ. ამ თვალსაზრისით საკითხთა მთელი კომპლექსია განსახილველი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორ მათგანზე შევჩერდებით, ესენია:

1. A 646 ხელნაწერის მარგინალიების გენეზისისათვის.

2. A 646 ხელნაწერის ლაკუნები და მათი შესაბამისი მონაკვეთები მცხეთურ ბიბლიაში.

განვიხილოთ საკითხები ამავე თანამიმდევრობით:

1. A 646 ხელნაწერი (ლიტერი F) XVI საუკუნის ნუსხაა, გადაწერილია ლამაზი მხედრული ხელით, აქვს საინტერესო მინაწერები აშიებზე, რომლებიც შინაარსობრივად რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ა. აკვილა-სვიმიახოსის ვარიანტები, ბ. გლოსები, გ. სხვადასხვა შინაარსის მინაწერები.

ამათგან აკვილა-სვიმიახოსის ვარიანტები (209v—233r) მრავალგზის იყო შესწავლის ობიექტი⁶ და მათზე აღარ შევჩერდებით, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი რამდენიმე სხვა მინაწერთან ერთად ტექსტის ხელითაა შესრულებული⁷. დანარჩენი მინაწერები კი გვიანდელ ხელს წარმოადგენს. ამჯე-

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 419.

⁵ ეს წიგნებია: მეფეთა, ნეშტა, ესთერისი, ტობიასი, იფითისი, ეზრა-ზორობაბელისი და ნემიასი — სწორედ ის წიგნები, რომლებიც შემოგვინახეს ხსენებულმა ნუსხებმა.

⁶ ც. ქურციკიძე, სს. შრ., გვ. 78—84, განსაკუთრებით 162—163. გ. კიკნაძე, ნეშტა პირველი წიგნის ქართული რედაქციები, მრავალგვ. I, 1971, გვ. 68—74. შიში-ვე, იფითის წიგნის ქართული რედაქციები, იქვე, გვ. 114—118. ნ. გოგუაძე, ნემიას წიგნის ძველი ქართული რედაქციები, იქვე, გვ. 79—87.

⁷ ც. ქურციკიძე, სს. შრ., გვ. 163.

⁸ მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, III, ქართული ბიბლია, ტფილისი, 1910, გვ. 37; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და მოსე ჯანაშვილი, კრებული: „მოსე ჯანაშვილი“, თბ., 1956, გვ. 47—49; უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმიახოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში, „მაცნე“, ენასა და ლიტერატურის სერია, № 1, 1973, გვ. 54—63.

⁹ მინაწერებში აქა-იქ საინტერესო ტერმინოლოგია გვხვდება: „აქა აკლა ერთი ფთე“ (174v); „აკლა აქა. დმერთიმცა გრისხავს, რა მართლად ვიწერია ამ ნაკაზმზე და“ (350r), „აქა დედასა აკლა“ (77r) და სხვ.

დასახელებული ოთხი გლოსიდან სამი (**არიოთი**, **ეტერი**, **ნოიტი**) 195v-ზე გვხვდება, სამსავე გლოსას წინ ვარსკვლავი უზის. ასეთსავე ვარსკვლავს ვხვდებით მეოთხე გლოსასთანაც (**მაქმანი**), რომელიც 204r-ზე დასტურდება. აღნიშნული გლოსების იდენტური ხელითაა შესრულებული 418r-ზე მოთავსებული გლოსაც, ოღონდ ამ უკანასკნელს ნიშნად ვარსკვლავის ნაცვლად ჯვარი უზის:

იამავრი (6,15 ტობ.) მხოლოდშობილი ZABCD, დედისერთა E. მხოლოდ-შობილნი ანალოგიურ დამოკიდებულებაშია ლექსიკონთან მეორე ხელით შესრულებული გლოსების უმრავლესობაც, თუმცა ზოგიერთი გლოსა მნიშვნელოვან სხვაობასაც ავლენს:

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი გ ლ ო ს ა

აზიგაილ მამა შებებისა ZAC.	მამა შებებისა.
დანდალი (4 მფ. 19,28) ლაგამი თუ პირის მახე ZAB. ლაგამი გინა პირის მახე Cab.	ლაგამი ან პირის მახე.
ვაზრი (2 მფ. 12,31) მახვილია ცელივით ZA. მახვილი ცელივით გინა ტყავის საფხეკი B.	ცელივით საჭერი.
კაბიწი (45,11 ეზეკ.) სამი კოდი, გინა სამი გრივი, სადამე ათ კოდს(+კაბიწად Z) იტყვიან ZAB.	სამი კოდი.
ლეღნგო (2 მფ. 13,8) უფუფარი (უფოელი C) ნაზუქი ZABC, უსაფუფრო E.	ნაზუქი უფუფარი (86v).
ლიბანდაკი (2 მფ. 18,14) შუბი მოკლე სასროლი ZAB. ისარი მოკლე Chq. შუბი Ca. ბერძული ისარი E.	შუბი მოკლე (98v).
პატრუჭაკი (1 მფ. 25,11) ტარივი გინა თხა საჯორცე ZAB. ტარივი გინა თხა CD.	საჯორცე გინა ტარივი, ანუ თხა (50v).
სკიტი (1 მფ. 25,18) ჩამიჩი ZAC. ძიძიბო B.	ჩამიჩი (51r, 61r).
კნდური (2 მფ. 17,28) სხილი ცერცვი ZAB.	სხილი ცერცვი (97v).
კჰმირი (1 მფ. 25,18) დასაფარებელი ZAB, დასაფარავი გინა წისქვილის ხორბლის ჩასაყარი Cab.	დასაფარებელი (51r).
ხარტუკი (4 მფ. 19,28) ლატანს შუა კ ა ე ი ა, ც ხ ვ ი რ ს გ ა მ ო ს დ ე ბ ე ნ და ორი კაცი გაითრეეს ZAB. რკინის კავი, ლატანთა საშუალ დაკრული, რომელიცა ცხვირთა შინა განაცვან წარსათრეველად Cab. გრგოლი Cq. კავი D.	კავი ცხვირთ გამოსადები (237v).
ხორი (10,3 ივლითი) ესე არს საქალო და სავეო თავსახურავი გვრგვნსავით ZA. ესე არს საქალო რამე თავსახურავი სარალუჭივით B.	თავსახურავი საქალო და საკაცო, გვრგვნსავით (446r).

შეენიშნავთ, რომ ნაწილი ზემოთ დამოწმებული გლოსებისა (**ვაზრი**, **ლეღნგო**, **კნდური**) წერილი ნუსხურითაა შესრულებული. აქვე მოგვყავს აგ-

რეთვე ამავე ნუსხურით შესრულებული რამდენიმე გლოსა, რომლებიც ლექსიკონისაგან არსებითად სხვაობს:



ლექსიკონი

გლოსა

გუარდაკი (2 მფ. 13,18) ესე არს ჭურჭელი საგბოლველი: ქვაბი, სიავი, ჩალხანა, ტაფა... ZA. საგბოლველი CD. ტაფაკი ანუ სხვა რამ საგბობი E.

მოსახარშავი ქვაბი, ანუ ქოთან (86v).

მარი (2 მფ. 16,1) მარი არს ხოისი, რომელი იქმნების საწყაოდ ათი ქსესტი Cb. მარი და ხოისი ორივე ერთია. ერთი მარი ათი ქსესტია Caq. დორაკი. მარი ათი ქსესტი E.

შუშა ღუნისა (93v).

ტაბახტო (2 მფ. 17,28) ლები ZA. ლები ქვეშაფენი B.

საბანი (97v).

ძნელი სათქმელია, რა არის ამ რამდენიმე განმარტების წყარო. სხვა გლოსების ფონზე ისინი ისე მკვეთრად სხვაობენ ლექსიკონის ჩვენებისაგან, რომ ეს უკანასკნელი მათ უშუალო წყაროს თითქოს არ უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ეს, როგორც ითქვა, მხოლოდ რამდენიმე გლოსას (მოსახარშავი ქვაბი, შუშა ღუნისა, საბანი) გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება მათ უდიდეს ნაწილს, ვფიქრობ, ზემოთ განხილული მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ წყარო ამ გლოსებისა საბას ლექსიკონია და არა პირიქით.

თავდაპირველად ასეთი გლოსა სულ რამდენიმე უნდა ყოფილიყო, კერძოდ კი ისინი, რომლებიც აშიებზე ვარსკვლავითაა აღნიშნული და ჩვენ პირველ ხელს მივაკუთვნეთ. შემდგომში ამ მოვლენას, ჩანს მიმბაძველებიც გამოსჩენია. ერთ-ერთი მათგანია იმ გლოსების ავტორი, რომლებიც შესრულებულია პირველი ხელისაგან განსხვავებული კალიგრაფიით როგორც მხედრული, ისე ნუსხური ასოებით. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ზოგი სიტყვის გასწვრივ (ბირთვ, ვარმი, მენიჯოგრე, ჩოტკეცი, განმარიალე და სხვ.) აშიაზე იმავე ფერის მელნით, მეორე ხელს რომ ახასიათებს, დასმულია პირობითი ნიშანი — ჯვარი. ეტყობა, აღნიშნული სიტყვებიც უნდა განემარტათ, მაგრამ შემდეგ ეს რატომღაც არ განუხორციელებიათ.

ამგვარად, A 646 ნუსხის აშიებზე მოთავსებული გლოსების შესწავლამ საბას ლექსიკონთან მიმართებით გაარკვია, რომ გლოსები ლექსიკონის წყაროს არ წარმოადგენს, პირიქით, ეს გლოსები (განმარტებები) თავად არიან საბას ლექსიკონზე დამოკიდებული. გაირკვა აგრეთვე ისიც, რომ არც ამ გლოსების ხელია საბას ავტოგრაფული ნუსხების ხელის იდენტური.

მაშასადამე, ამ ასპექტით A 646 ნუსხა არ წარმოადგენს საბას სამუშაო ცალს, რასაც მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ამ ნუსხაში არ შეინიშნება განსხვავებული ხელით ტექსტის სწორების არცერთი შემთხვევა, რაც ესოდენ დამახასიათებელია საბას რედაქტორული მუშაობისათვის¹⁰.

2. რა მოგვეცა ამ თვალსაზრისით A 646 ნუსხის ლაკუნების შესაბამისი ადგილებში შესწავლამ მცხეთურ ვერსიაში? როგორც ცნობილია, A 646 ხელნაწერი წარმოშობით თელავიდანაა, ეკუთვნოდა მარიამ ბატონიშვილს, მონახა

¹⁰ ამ თვალსაზრისით იხ.: ბ. გიგინეიშვილი, ხს. შრ., გვ. 11—18. ე. მეტრეველი, ხს. შრ., გვ. 102—103.

იგი თ. ჟორდანიამ 1888 წელს და თბილისს გამოგზავნა. ხელნაწერის ვარიანტები რიც კახელი უნდა იყოს, რაზეც ტექსტის ენაში აქა იქ გამოვლენილი კახური დიალექტიზმები მეტყველებს. ხელნაწერის ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ერთი კრიტიკოგრაფია, რომლის გახსნა ლ. ათანელიშვილს ეკუთვნის: „მირიან მოვიდა თელავს, ამ წიგნს მოყვა საწერლად“¹¹. ხელნაწერი ამჟამად ხარვეზიანია, მას აკლია: I მფ. 1—5 თავები; 14, 29—39; II მფ. 6, 5—20; 9, 12—11, 11; 12, 9—24; 13, 11—26. ამათგან უმრავლესობა დენისაგან მომდინარე ლაქუნა რომაა, ამას ტექსტის ხელით შესრულებული მი-ნაწერებაც ადასტურებს: „აქა დედასა აკლდა“ (77r), „აქა აკლია ერთი ფთე“ (74v) და სხვ. მაგრამ ზოგი მათგანი, კერძოდ, ყველაზე დიდი ლაქუნა 1—5 თავებისა, ჩანს შედარებით გვიანდელი ფაქტია, რასაც მცხეთური ნუსხის შესწავლაც გვიჩვენებს.

1—5 თავები, გარდა A 646 ნუსხისა, აკლია აგრეთვე XIII—XIV სს. J 113 ნუსხასაც, რომელიც დეფექტურია მეცხრე თავამდე; რაც შეეხება ჯანაშილისეული რედაქციის მეორე ნუსხას, A 570-ს, მას I—II მეფეთა წიგნები მთლიანად აკლია. მაშასადამე, აღნიშნული მონაკვეთი ბიბლიური წიგნებიდან ამჟამად მხოლოდ ოშკურ და მცხეთურ ვერსიებს შემოუნახავთ.

ოშკური და მცხეთური ვერსიების ურთიერთ შედარებამ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მათმა შეჯერებამ ლექციონარების ტექსტთან, სადაც აღნიშნული მონაკვეთი საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი, შემდეგი გვიჩვენა: მცხეთური ვერსია რედაქციულად ოშკურთან აქაც იმგვარსავე დამოკიდებუ-ლებას ამჟღავნებს, როგორსაც ჯანაშილისეული ვერსიის უხარვეზო ნაწილში, მაგრამ სრულიად განსხვავებული სურათი აჩვენა 2,16—3,3 მონაკვეთმა, რომელიც მკვეთრად ემიჯნება ოშკურ ვერსიას. ჩანს, საბას ხელთ ჰქონია ჯანა-შილისეული ვერსიის ისეთი ნუსხა, რომელსაც I მეფეთას დასაწყისი ხუთი თავი მთლიანად კი არ ჰკლებია, როგორც ეს F ნუსხაშია დღეს, არამედ მხო-ლოდ ის ნაწილი, რომელიც მცხეთურ ვერსიაში სხვა წყაროთი, კერძოდ ლექ-ციონარების ტექსტითაა შევსებული. გაირკვა აგრეთვე ისიც, რომ, თუ სხვა-გან სხვა პარიზის ლექციონარის ტექსტით სარგებლობს¹², აქ მას ლატლის ტიპის ლექციონარი გამოუყენებია. 2,16 მუხლის კომპილაციური ხასიათი იმა-ზეც მიგვანიშნებს, რომ წყარო დეფექტური ყოფილა ამ მუხლის სწორედ შუა ნაწილიდან:

O	S	LP ¹³
მაშინ ჰრქეს კაცმან მან, რომელ მოსრულ იყო შეწირვად მსხუ-ერბლისა: პირველად შე-ღა-ვწიროთ საკუ-მეველი და მსხუერ-პლი უფლისა და მერ-მელა მიიღე, რომელი	მაშინ ჰრქეს კაცმან მან, რომელ მოსრულ არნ შეწირვად მსხუ-ერბლისა: პირველად შე-ღა-ვწიროთ საკუ-მეველი და მსხუერპლი უფლისა, ვითარცა ჯერ-არს, და მა-	მაშინ ჰრქეს კაცმან მან შემწირველმან: ეკუმიოხლა პირველად ცმელი, ვითარცა ^a ჯერ-არს, და მა-შინ მიიღე ყოვე-ლისაგან, რომ-ლისათჳს გული

¹¹ ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბ., 1932, გვ. 293.

¹² ე. მეტრეველი, ხს. შრ., გვ. 102, 105 და შემდგომ.

¹³ ლიტერები: O—ათონის ბიბლია, S—მცხეთის ბიბლია, L—ლატლის ლექციონარი, P—პარიზის ლექციონარი, F—A 646, I—A 570, Jა—J 113, B—ბიბლიის ბაქარისეული გამოცემა.

a ვითარცა—იგი P.



გენებს ყოველთაგან შესაწირავთა. ხოლო მან ჰრქვს: არა, არამედ აწ მომეც მე, თუ არა მოვილო, რომელიცა მინდეს მე.

შინ მიიღე ყოვლისაგან, რომლისათვის გული უთქუმიდეს სულსა შენსა. და ჰრქუას მან: არა, არამედ მომეც აწ. უკუეთუ არა, მოვილო მძლავრ.

უთქუმიდეს სულსა შენსა. და ჰრქვს მან: არა, არამედ მომეც მე აწ. უკუეთუ არა, მოვილო მძლავრ.

პარიზის ლექციონარი ლატალისაგან სხვაობს მუხლის მეორე ნაწილში: „... და მაშინ მიიღე ყოვლისაგან, ვითარცა გული უთქუამს სულსა შენსა. და მან ჰრქვს მას: არა, აწ მომეც ჩუენ, არათუ მოვილოთ მძლავრობით“.

როგორც ვხედავთ, მცხეთური ნუსხა მუხლის პირველ ნაწილში ოშკურ ვერსიას მისდევს, მეორეში კი, პირიქით, მკვეთრად სხვაობს მისგან და ლექციონარების ტექსტს, კერძოდ ლატალის ხელნაწერის ჩვენებას იმეორებს ზედმიწევნით. მოკიდებული აქედან, ვიდრე III თავის მე-3 მუხლამდე, მცხეთური ვერსია თითქმის პირწმინდად იმეორებს ლატალის ხელნაწერის ჩვენებას და სხვაობს ყველა დანარჩენი წყაროსაგან — OPB. ჩანს, ბიბლიური წიგნებას დეფექტური მონაკვეთების აღსადგენად საბა ლექციონარების სხვადასხვა ხელნაწერებს იყენებდა. რამ განაპირობა ეს, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ პარიზის ლექციონარში ბიბლიური წიგნების გარკვეული ნაწილის გარდა (სიბრძნე სოლომონასი, ივანე სოლომონისნი, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები) საბას ხელით გაკეთებული შენიშვნები არცერთ სხვა ბიბლიური წიგნის საკითხავს არ აღმოაჩნდა, უდაოდ იმაზე მეტყველებს, რომ საბა ამ ხელნაწერთან მხოლოდ ზემოდსახელებული წიგნების მასალის მოსაძიებლად მისულა. მცხეთური და ლატალური ტექსტების სიახლოვის სამოწმოდ დამატებით წარმოვადგენთ მასალას:

O	LS	P
2,17 და განმრავლდა ცოდვად იგი მსხურბლთად მათ წინაშე უფლისა დიდად ფრიად.	და იყო ცოდვად იგი დიდი ყრმათად მათ ^a წინაშე უფლისა	და ცოდვად იგი კაცთად მათ დიდი იყო წინაშე უფლისა
18. მოებლარდნა მას ეგფული იგი	ემოსა მას ევფუთბარი ^b	ემოსა მას სამოსელი ეევფუთბარი
19. და დედამან მისმან უქსოვის მას ფრთეაქი მცირჴ სამისოა და მოართს იგი წლითი წლად...	და ორკეცი ^c მცირჴ უქმნის მას დედამან მისმან და მოართს მას ჟამითი ჟამად...	და ორკეცი მცირჴ ფრთჴ უქმნის დედამან მისმან და მიართს მას ჟამითი ჟამად...

a ~ყრმათა მათ დიდ S. b ეევფუდბარი S. c ორკეცი^c ჩუღაკეი S.



21. ყრმა იგი სამოველ აღორძინდებოდა და განბრძინდებოდა
- 23...რა არიან საქმენი ეგე თქუენნი, რომელი-ესე მესმის მე დრტუნვამ თქუენთს ერისა მისგან უფლისა
- 24... განავრილებთ გონებასა ამის ერისასა არა მსახურებად უფლისა
- 25...არა ერჩდეს კმასა მამისა მათისასა, რამეთუ ნებით ენება უფალსა წარწყმედაჲ მათი
26. სამოველ ყრმა იგი აღორძინებოდა და განდინდებოდა
- 27...იყვნესლა იგინი ქუეყანასა მას ეგვპტისასა, სახლსა მას ფარაოასსა, უღელსა მას ქუეშე მონებისასა
- 28... და გამოვირჩიე სახლი მამისა შენისაჲ... კუმევაღ საკუმეველთა და აღებად სამსახურებელთა ჩემთა წინაშე ჩემსა და მივეც მე სახლსა მამისა შენისასა ყოველი შესაწირავი იგი ცეცხლისაჲ
- 29...ადიდენ ძენი შენნი უფროს ჩემსა დიდებად მათა ნაყოფითა მით მსხუერპლთა ჩემთაჲთა, რომელთა შემოსწირვიდეს ჩემდა ძენი ისრაელისანი
33. არა მოვაკლო კაცი საკურთხეველისაგან ჩემისა თუალთ საცდელად შენდა განსაკავებლად თავისა შენისა
36. შემავდე მე ადვილსა მღვლეობისასა, რაჲთა შევკამო პური სახლსა უფლისასა
- 3,3. და სანთელი იგი ღმრთისაჲ მუნმდე არა აღნთებულყო

განდიდნა^a ყრმა იგი სამოველ

... რამათს ეგრეთ^b იქმთ სიტყუსა მისებრ^c, რომელი მესმის^d პირისაგან ერისა უფლისა?

... ნუ ეგრე ზამთ, ვითარმცა არა ჰმონებლით^e ერსა უფლისასა

... არა ისმენდეს კმასა მამისა მათისასა, რამეთუ ნებისით^f უნდა უფალსა განრყუნაჲ მათი

ყრმა იგი სამოველ ვიღოდა და განდიდნებოდა

... აყვნესლა იგინი ეგვპტეს მონად ფარაოასა

... და გამოვირჩიე სახლი მამისა შენისაჲ... კუმევაღ საკუმეველისა და აღებად ევეფუდისა და მივეც სახლსა მამისა შენისასა ყოველი იფქლო

... ადიდენ ძენი შენნი უფროს ჩემსა კურთხევაღ მათთს პირველად ყოველი ნაყოფი მსხუერპლთაჲ სახლისა ისრაელისა

არა აღგოცო შენგან კაცი საკურთხეველისაგან ჩემისა, რაჲთა ეკუმეზოდის თუალთა მისთა^g და დასდნებოდის^h გული მასი

... დამადგინეⁱ ერთსა ოდენ სამღვლელოსა შენსა ჳამად პურისა

სანთელსა მას უფლისასა ვიდრე აღგებადმდე^j

ამგვარად, სრულიად უეჭველია, რომ 2,16—3,3 მონაკვეთი საბას ლექციონარების ტექსტით შეუვსია, მაგრამ ლაკუნის დანარჩენ ნაწილში მცხეთური ვერსია უდაოდ ლექციონარებისაგან განსხვავებულ წყაროს ეყრდნობა. ეს წყარო, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, ჯანაშვილისეული ვერსიის აწ დაკარგული უცნობი ნუსხა უნდა იყოს. რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში, რომლებსაც ქვემოთ წარმოვადგენთ, თვალნათლივ წარმოაჩენს მცხეთური ვერსიის სხვაობას ლექციონარების ტექსტისაგან:

a განდიდნა] განადგინა S. b ეგრე S'. c მისებრ] ამისთვის L. d მესმის+მე L. e მონებთ S. f ნფსით S', ნებით L. PLS. g მისთა] შენთა P. h დასდნებოდეს S. i დამადგინე+მე PL. j აღებადმდე] აღნთებადმდე P.

OS

1,15 მე დედაკაცი ვარ ურვილი გულითა

16. შენ ნუ ეგრე გგონიეს მკვევალა ესე^a შენი არამედ^b დედაკაცი ერთი ასულთაგანი სურ-ღმრთისაჲ

24. თანა წარიბა ზუარაკი ერთი სმნიერი

2,12. და ძენი ელისნი ნაშობნი უძღებნი და უშჯულონი, რომელთა არა გულისხმა-ყვეს შიში ღმრთისაჲ

15. ვიდრე არა უკუმევიედ ცმელი იგი, ... მომეც მე კორცი შესა-წუავად

3,4. ჰრქუა: აქა ვარ^c, უფალო

9. და უკუეთუ შესძინოს წოდებად შენდა, არქუ^d მას, ვითარმედ ისმენს მონაჲ შენი

11. მე აღვასრულებ ყოველთა სიტყუთა ჩემთა ისრაელსა ზედა

14. ხოლო მე არა ესრე აღუთქუ, ვითარმედ ულხინო უშჯულოვებათა სახლისა მის ელისთა მსხუერპლითა მით და საკუმეველითა

15. ვერ იკადრა სამოელ თხრობად ელისა ჩუენებაჲ იგი

როგორც დამოწმებული მასალიდან ჩანს, მცხეთური ვერსიის წყარო აქ მანიშალურად სხვაობს ოშკური ტექსტისაგან, მაგრამ საბასთვის არც ეს წყაროა უცვლელად გაზიარებული. რედაქტირების ინტენსივობა ამ ნაწილში ხან მატულობს, ხანაც ნელდება. სარედაქციოდ გამოყენებული წყაროებიდან დრო და დრო ისევ ჩნდება ლექციონარების მასალა. ასე მაგალითად, I მფ. 5,9 მუხლი, რომელიც ოშკურ ვერსიაში თავისუფლად და არათანამიმდევრულად გადმოსცემს უცხოურ წყაროს და, ჩანს, ასევე იყო წარმოდგენილი საბას მიერ გამოყენებულ წყაროშიც, საბას აშკარად ლექციონარების მასალით გაუმართავს:

O

და ვითარცა წარიდეს კიდობანი იგი გეთდ, იყო კელი უფლისაჲ ქალაქსა მას გეთელთა და განმრავლდა სიკუდილი მით ზედა და გუემნა იგინი¹ გუემითა მით სამკედროვანებისაჲთა მცირითგან ვიდრე დიდადმდე.

PL

დედაკაცი ვარ მე ფიცხელთა დღეთაჲ

ნუ ჰგონებ მკვევალსა შენსა ასულთაგან (= განი L) უღირსთაჲსა

ზუარაკითა სამწლისაჲთა

ხოლო ძენი ელისნი იყვნეს ბილწ და არა იცოდეს უფალი

ვიდრე კუმევიდმდე ცმელისა... მომეც მე წუადი

თქუა... :აჰა ესერა ვარ, რაჲსა მიწეს მე?

და იყოს ოდეს გიწოდის შენ, თქუ: იტყოდენ უფალი, რამეთუ ესმის მონასა შანსა

მე ვყვნე სიტყუანი ჩემნი ისრაელსა შორის

და არა ეგრე ვეფუცე სახლსა ელისსა საკლველებითა და მსხუერპლებითა

სამოელს შეეშინა თხრობად ელისა ჩუენებისა მის.

SP

და მისლვასა მას^a მათსა^b იყო კელი უფლისა^c ქალაქსა მას ზედა და შეძრწუნება დიდი ფრად და ტანჯნა კაცნი მის ქალაქისანი მცირითგან ვიდრე^d დიდადმდე და გუემნა იგინი საგურკუელითა მათითა.

OS. a ესე—O. b არამედ] ვითარცა O. OS. c ვარ—O. d ჰრქუა S.
S'P: a მას—P. b მათსა] მისსა P. c უფლისაჲ P. d ვიდრე—P.



ანალოგიურადაა ნასწორები ე. წ. ანას საგალობელი (I მფ. 2,1—10), რომელიც, სხვათა შორის, ყველა წყაროში ერთი რედაქციისაა; მაგრამ მრავალ სხვა გასწორებას უშუალო წყარო ამჟამად არ ეძებნება მაშინაც კი, როცა სათანადო მასალა ლექციონარებშიც მოიპოვება:

ა. სვა ფენნას O]+ცოლსა თვსსა და ძეთა თვსთა (მისთა B) და ასულთა თვსთა (მისთა B) BS შდრ. ცოლსა თვსსა და ყოველთა ყრმათა მისთა და ძეთა და ასულთა L, I მფ. 1,4.

ბ. სიხარულით O]+და შევიდა იგი სახლად თვსა S, შდრ.: და შევიდა სავანესა თვსსა B]—PL, 1,18.

ბ. გრივი ერთი სამინდრო O]+და საწლითა ღვნოა S, შდრ.: სათველითა სამინდროთა და სამითა საწყაულითა ღვნითა PL, პურითა ყურბეულისა ფქვილითა იფქლისათა და თხიერი ღვნოა B, 1,24.

ღ. უთხრა მას O]+რამეთუ მივაგო შური სახლისა ჩემისა სახლსა მისსა ზედა უკუნისამდე ჟამთა S, 3,13. S-ის ჩვენება აქ, ისევე როგორც პირველ მაგალითში, თითქოს უფრო ახლოსაა B-თან: უთხარ მას, რამეთუ შური ვაგო მე სახლსა ზედა მისსა უკუნისამდე. შდრ.: შენ უთხარ მას, ვითარმედ შური ვიძიო სახლისა მისისა ვიდრე უკუნისამდე PL.

მ. უფლისა O]+აუწყა უფალმან სამოველს სელომს შინა, ოდეს გამოეცხადა უფალი სიტყუსაებრ უფლისა, და სარწმუნო იყო სამოველ S, შდრ.: და შესძინა უფალმან გამოცხადება სელომს, რამეთუ გამოეცხადა სამოელს და სარწმუნო იქმნა სამოელ წინაწარმეტყუელად უფლისა PL(B), 3,20.

3. შინა O]+რამეთუ არა იყო ჩუენება, არცა გამოცხადება წინაწარმეტყუელითა S, შდრ.: და არა იყო ხილვია განჩინებისა PL, არა იყო ხილვა მოვლინებული B, 3,1.

კიდევ უფრო ცხოველ ინტერესს იწვევს ის ნიმუშები, რომლებიც თვით ლექციონარებიდანვე მომდინარე მასალაში არალექციონარული წარმომავლობისაა: I მფ. 2,16—3,3 მონაკვეთი, როგორც ვიცით, მცხეთურ ვერსიას ლექციონარებიდან აქვს აღებული, მაგრამ ლექციონარების შედგენის დროს, ჩანს, ორი მუხლი ამ მონაკვეთიდან შეგნებულად ამოუღიათ. მცხეთურ ვერსიას ისინი შეუვსია კიდევ რომელიღაც სხვა წყაროს მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს მუხლები ოშკურ რედაქციას დღემდე შემოუნახავს, თუმცადა მცხეთური ვერსია მისგან დიამეტრალურად სხვაობს. ჩემი აზრით, საბასეული ტექსტი აქ კიდევ რომელიღაც სხვა, ჩვენთვის უცნობი წყაროდან კი არ მომდინარეობს, არამედ გვიანდელ, მცხეთური ბიბლიის შედგენის დროინდელ თარგმანს წარმოადგენს. შემთხვევები, როცა საბასეული ადგილების შესავსებად ახალ თარგმანს იშველიებს, ბიბლიის სხვა წიგნებშიც დასტურდება¹⁵ და „მეფეთა წიგნებისათვის“ სიახლეს არ წარმოადგენს. ვიმოწმებთ ფაქტობრივ მასალას:

¹⁴ საგულისხმოა, რომ მსგავსი რამ ამ ხასიათის მასალაში სხვაგანაც შეინიშნება (შდრ. აგრეთვე: II მფ. 22, 2—51, III მფ. 8, 23—53a). ჩანს, ფსალმუნური თუ საგალობლების ტიპის მასალა ყველაზე მყარი ერთეულია ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში. ამით უნდა აიხსნებოდეს რედაქციული ვადამუშავეების შედარებით პუსტი კვალი ამ ნაწილებში. ფაქტი მსგავსი მასალის განსაკუთრებულ სიძველეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

¹⁵ ბ. გიგინეიშვილი, სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები. მრავალთავი, II, 1973, გვ. 54. ნ. გოგუაძე, ხს. შრ., გვ. 86—87. ე. მეტრეველი, ხს. შრ., გვ. 113—114.

O

2,22. და რამეთუ წვებოდესცა ძენი იგი მისნი დედათა მათ თანა, რომელნი-იგი შემოვედრებულ იყვნეს კართა თანა კარვისა საწამებელი-სათა.

2,32. და დავადგინო მოღუაწებამ ძლიერი, რომელი ყოვლითურთ კეთილსა უყოფდეს სახლსა მას ისრაელისასა.

აქ მოყვანილი ტექსტობრივი ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 2,32 მუხლი, რომელშიც მეტად უცნაურად და უაზროდ გამოიყურება ფრაზა „და იხილოს მეყსა შინა განცუფრებით“. პარალელური უცხოური წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ მცხეთური ვერსიის ხაზგასმული იკითხვისის წყარო მაინც და მაინც სომხური თარგმანი უნდა იყოს: **և հայտեսի սոսպ չի զի զսպի ն չամ բարութիւն**. სხვათა შორის, სომხური ტექსტის სქოლიო აქ ებრაული წყაროს განსხვავებულ ვითარებაზეც მიუთითებს: **ახსება ყითაყათნს**, შდრ. ებრაული ორიგინალის პარალელური რუსული თარგმანი: И будешь видеть в храме соперника და ბაქარის ბიბლიის „და იხილო წინააღმდეგომი შენი ტაძარსა შინა“.

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მოკლე ანალიზი ტექსტისა უდაოს ხდის, რომ მთარგმნელს აშკარად ვერ დაუძლევია სათარგმნი წყარო და გაუგებრად, ბუნდოვნად გადმოუტია იგი.

საკონტროლო წყაროზე დაყრდნობით ჩანს გამართული კიდევ ერთი ადგილი ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული მონაკვეთიდან:

S

და ვითარ-იგი დაიძინებდეს დედათა ალთქუმულთა ბჭეთა თანა კარვისა საწამებელისათა.

და იხილოს მეყსა შინა განცუფრებით (!) ყოველივე კეთილი, რომელ ყოს უფალმან დემერთმან ისრაელისამან.

O

I მფ. 4,20. და ჰრქუეს მას დედათა მისთა, რომელნი თანა უდგეს: ნუ გეშინინ, რამეთუ შეილ ჰშევ.

S

და ყამსა სიკუდილისასა ჰრქუეს მას დედათა მათ, რომელნი მასლობელ იყვნეს: ნუ გეშინის, ძე შევ.

ამგვარად, „მეფეთა წიგნების“ I—V თავების განხილვამ ტექსტობრივი მიმართების თვალსაზრისით მცხეთურ ვერსიასთან სრულიად გარკვევით წარმოაჩინა საბას მუშაობის მეთოდი იმ შემთხვევაში, როცა მას ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის მხოლოდ დეფექტური დედანი აქვს ხელთ: დეფექტური ადგილების შესავსებად იგი პირველ რიგში მიმართავს ლექციონარებს და საჭირო მასალას მათგან იღებს, მაგრამ თუ ამ უკანასკნელთაც აკლიათ, მაშინ საკონტროლო წყაროს მიმართავს და საჭირო მასალას ახლად თარგმნის.

განვიხილოთ მცხეთური ვერსიის დედანში არსებული სხვა ლაკუნებიც: II. I მფ. 14, 29—39 მონაკვეთი ჯანაშვილისეული ნუსხის გარდა აკლია ლექციონარებსაც, მაგრამ არის J 113 ნუსხაში. მცხეთური ვერსია ლაკუნას ავსებს სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარე მასალით, რომელთაგანაც ერთ-ერთი უდაოდ J 113-ის ტიპის ტექსტია, ოღონდ ეს უკანასკნელი უფრო სრული ჩანს და რედაქციულადაც რამდენადმე განსხვავებული:

O

35. და აღაშენა მუნ საულ საკურ-

JS

და აღაშენა საულ საკურთხეველი უფლისაჲ, ესე პირველად აღაშენა

თხვეული უფლისა ღმრთისა თვის-
საჲ

38. უბრძანა საულ ყოველისა ერისა
შემოკრებაჲ

საულ საკუთხვეული უფლისაჲ
ესე პირველად აღაშენა უფლისაჲ
კურთხვეული უფლისაჲ
(უფლისათჳს ღმრთისა J) უბრძანა
საულ ყოველსა ერსა შემოკრებად
თესლად თესლადი (~ თესლად თეს-
ლადისა შეკრებაჲ J)

საგულისხმოა, რომ J 113-ის გავლენა შეიმჩნევა მას შემდეგაც, როცა
ჯანაშვილისეული ნუსხის ტექსტი აღდგება:

FO

41. ლხინება ყავ
42. და წილ იგდეს საულ და იონა-
თან და ერმან მან და აღმოკდა წი-
ლი იონათანისი. მიუგო ერმან მან
და ჰრქუა საულს: ნუ იყოფინ ეგე,
ვითარმცა მოკუდა იონათან, ხოლო
საულ არა ერჩდა სიტყუათა მათ
ერისათა.

JS

ლხინება ყავ მათთვისცა და დააგდეს
წილი ერსა ზედა და უბრძლო იპო-
ვა ყოველი ერი და თქუა საულ: გა-
ნაგდეთ ჩემ ზედა და იონათანს
(+ ზედა S) და ვისგანცა იყოს, მოვ-
კუდეთ. და მიუგო ყოველმან ერ-
მან: ნუ აყოფინ სიტყუად ეგე. და
არა ერჩდა საულ, არამედ განაგდეს
(+ მას ზედა და იონათანისა, ძისა
მისისა S) და აღმოკუდა იონათანს
(აღმოჰკდა წილი იონათანს ზედა S)

მაგრამ, ჩანს, არც J 113-ის ტექსტია რედაქტორისათვის ყოველთვის მი-
საღები. ასეთ შემთხვევებში მცხეთური ვერსიის ტექსტი, როგორც ეს არა-
ერთგზისაა აღნიშნული, საკონტროლო წყაროს მიხედვითაა გამართული და
თვალსაჩინოდ სხვაობს ძველი ქართული თარგმანებისაგან:

O

14,34. და აღკდა საულ მაღალსა ზე-
და და ჰრქუა ყოველსა მას ერსა:
მოიბთ კაცად კაცადმან ზროხაჲ
თუსი და ცხოვარი და დაკალთ მას
ზედა და შეწირეთ უფლისა ღმრთი-
სა, რაჲთა არღარა შჳამოთ სისხლი-
თურთ. და ყო ერმან მან, ვითარცა
უბრძანა მათ საულ და ჰამეს მას ღა-
მესა.

J

და უთხართ ყოველსა ერსა, რაჲთა
მოაძოს კაცად კაცადმან ზროხაჲ
თუსი და ცხოვარი და დაკალთ ლო-
დსა მას ზედა და შეწირეთ ღმრთისა
და ეგრეთ ჰამეთ, რაჲთა არღა-
რა შესცოდოთ უფალსა ღმერთსა
თქუენსა და სისხლი ჯორცსა თანა
ჰშჳამოთ, არამედ ჯორცი ხოლო. და
ყვეს ეგრეთ ერმან მან, ვითარცა
უბრძანა მათ მეფემან.

S: თქუა საულ: განუცხადეთ ყოველსა ერსა და უთხართ მათ, რაჲთა
მოიყვანონ კაცად კაცადმან ზროხაჲ თუსი და ცხოვარი და დაკალთ ამას ზე-
და, და სჳამდით, არა შესცოდოთ უფალსა სისხლიანითა მით ჰამითა. და ყო-
ველმან ერმან თუთუელმან ზროხანი მოიბნეს კელითა თუსითა მიმწუხრი და
დაკლის მუნ.

აქ, თავი რომ დავანებოთ მუხლების სტრუქტურას ძველ თარგმანებსა და
მცხეთურ ვერსიაში (ეს უკანასკნელი ზუსტადაა მორკვეული სომხური ვულ-
გატის მოდელზე), საკმარისი იქნება ხაზი გავუსვათ თხრობის მანერასა თუ
ტექსტობრივი ხასიათის ზოგიერთ სხვაობას (მაგალითად: ძველი ვერსიების
„მოიბთ (მოაძოს) კაცად კაცადმან“ იკითხვისის ნაცვლად „მოიყვ -

ნონ კაცად კაცადმან“ S-ში, ანდა: „რამთა არღარა... სისხლი ჯორცსა თანა ჰშჳამოთ, არამედ ჯორცი ხოლო“ ფრაზის ნაცვლად „არა შესცოდოთ სისხლიანითა მით ჰამითა“ S-ში), რომ ნათელი გახდეს მცხეთური ტექსტის გვიანდლობა.

111. II მფ. 6,5—20 აკლავ ჯანაშვილისეულ ნუსხას. ლექციონარებში შეტანილი ამ მონაკვეთის ნაწილი 6,12—20. მცხეთური ვერსია საკმაო სიზუსტით მისდევს J 113-ს და სხვაობს ოშკურისაგან. რაც შეეხება ლექციონარებს, მათგან მცხეთური პრინციპულად განსხვავდება:

O

6, 13. და იყენეს... შუდას! მე მღერთაჲ და საკლველები ზუარაკთა და კრავთაჲ

14. დავით როკვიდა ... პართ შორის მსტურთა(!) მათ მბობღნართა

16. იხილა რაჲ მეფე დავით სიმღერით, სიხარულით და როკვიტკმითა ნუსტუსაჲთა წინაშე კიდობნისა მის

19. და განუყოფდა ყოველსა მას ერსა ნაწილად ნაწილად და მიმოდასცემდა დანითგან ბერსაბედ მღერსწორად ყოველსა მას ისრაელსა თითოეულად მამებთგან დედებადმღერ კუერსა ერთსა პურსა და დრონსა ერთსა ჯორცსა და მანდარსა ერთსა ტაბაკისაგან

JS

და იყენეს... მე მღერნი შუდას (შუდასად S) და საკლავები ზუარაკთა და კრავთაჲ

დავით როკვიდა პართა შორის მსტურთა მათ და მბობღნართა

და იხილა მეფე დავით, რამეთუ როკვიდა ქნართა მომღერალი წინაშე კიდობნისა

და განუყო ყოველსა მას ერსა (+ და ყოველსა ძალსა ისრაელისათა, დანითგან ვიდრე ბერსაბედ მღერ S) მამებსა და დედებსა (მამაცსა და დიაცსა S) თითო კუერი პური და თითო დრონი ჯორცი და თითო მანდარი ტაბაკისაგან

P

და იყენეს... შუდასი კრებულნი მ...ერ და საკლველები ზუარაკთა და ვაცთაჲ

და იხილა დავით მეფე, იმღერდა რაჲ და როკვიდა და ქნარსა სცემდა წინაშე უფლისა

და იხილა დავით მეფე, იმღერდა რაჲ და როკვიდა და ქნარსა სცემდა წინაშე უფლისა

და ყოველსა ერსა ისრაელსა მამაკაცითგან ვიდრე დედაკაცადმღერთათოეულსა სცა კუეზაჲ ერთი პური და დრონი ჯორცი და ლელანგომ ტაბაკისაგან

მოყვანილი მაგალითებიდან საგანგებო ყურადღების ღირსია მე-19 მუხლი, რომელშიც რედაქტორს კვლავ შეუტანია რედაქციული თუ სტილისტური ხასიათის ცვლილებანი. დავძენთ, რომ ანალოგიური სურათი გვაქვს აგრეთვე II მფ. 9,12; 11,10; 12,9—24; 13,11—24 მონაკვეთებშიც, რომლებიც აკლავ ჯანაშვილისეულ ვერსიას. ხოლო მცხეთური ბიბლიის რედაქტორი მთ შესავსებად კვლავ J 113-ის ტიპის ტექსტს მიმართავს. ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს II მფ. 10,12—11,11 მონაკვეთში, სადაც ბიბლიური ტექსტების გვერდით მოგვეპოვება მატენადარანის ერთი ქართული ფრაგმენტიც. ეს უღარესად საინტერესო ფრაგმენტი აშკარად ჯანაშვილისეული რედაქციის ტექსტს შეიცავს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მცხეთური ხელნაწერი ი აქაც J 113-ის ტექსტს ვაჰყვად და ფრაგმენტის ჩვენებას დასცილდა:

ბ. იოაბ შეიკრიბა ზუფად ყოველი იგი ერი O] შეამტკუფ-
ფარა (=მტკუფებარა S) იოაბ ყოველი იგი ერი JS, 10,13. მატენაღარა-
ნის ფრაგმენტს, თავისი „იოაბ შეკრიბა ერი იგი მტკუფ ფრად“ იკითხვი-
სით ერთგვარად გარდამავალი საფეხური უჭირავს ოშკურ და იერუსალიმურ
რედაქციებს შორის.

ბ. ვითარცა იხილეს იოაბ, რამეთუ მეოტად შესთხინა ქალაქად, გარემოაქ-
ცა და წარვიდა O], 10,14. შდრ. ვითარცა იხილა იოაბ, რამეთუ მეოტებით
შეყარნა იგინი ქალაქად, გარემოიქცა და წარვიდა Mat. იერუსალიმური ნუსხა
„ვითარცა... ქალაქად“ ფრაზას ცვლის ერთი სიტყვით — „ხოლო“, რასაც
ზუსტად იმეორებს მცხეთური ხელნაწერიც.

ბ. ვითარცა იხილეს ძეთა ამონისთა, ვითარმედ ასურნი იგი მეოტ იქმნეს
OMat. იერუსალიმური აქაც გადამუშავებულ ტექსტს გვაწვდის: „ხოლო ძე-
თა ამონისთა იხილნეს რაჲ ასურნი უძღურად“, რასაც კვალდაკვალ მიჰყვება
მცხეთური ხელნაწერიც: „და იხილნეს რაჲ ასურნი უძღურად“, 10,15.

ღ. (ბერსაბშ) მუნთქუეს ოდენ განზანილ იყო არაწმიდებ ისაგან
მისისა O, შდრ. მატენადარანის ფრაგმენტი: განზანილ ოდენ იყო იგი წი-
დოვენებ ისაგან, მაგრამ: იგი ოდენ განზანილ (დაბანილ S) იყო წე-
ლისისაგან (+ თვისისა S) JS, 11,4.

თუ როგორ ხელდახელ უბრუნდება მცხეთური ხელნაწერა ჯანაშვილისე-
ული ვერსიის მოდელს, როგორც კი ეს უკანასკნელი აღდგება, ამას II მდ.
11,11 მუხლის ერთი თვალის გადავლებაც ნათელს ხდის:

ბ. „ყოველი ერი ისრაელი(!) და იუდაასი დგანან გარე კარვითა“ FSMat]
„ყოველი ერი ისრაელისაჲ და იუდაასი დამკვდრებულ არიან გარე კარვები-
თა (კარვით J)“ JO.

ბ. „იოაბ, უფალი ჩემი, დგას წინაშე განწყობილსა“ FSMat] „უფალი
ჩემი იოაბ და ყოველი იგი ერი მისი ველსა გარე (დგანან)“ O, „უფალი ჩემი
და ყოველი ერი წინაშე ლუაწლსა მას დგანან განწყობილნი“ J და სხვ.

როგორც განხილულმა მასალამ დაგვანახვა, მცხეთური ვერსიის რედაქ-
ტორს „მეფეთა წიგნების“ ტექსტის ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა წყაროე-
ბისათვის მიუშართავს. ეს განსხვავებული მასალა სისტემაში მოუყვანია სა-
კონტროლო წყაროს მეშვეობით. ამ უკანასკნელის მარეგულირებელი როლი
განსაკუთრებით ნათლად „მეფეთა წიგნების“ დასათაურების, თავებად და
მუხლებად დაყოფის სფეროში გამოვლენილა, რაზეც საგანგებო საუბარი
სხვაგანა გვაქვს¹⁶.

აქ მოკლედ შევჩერდებით კიდევ ერთ უბანზე, სადაც რედაქტორს გან-
საკუთრებული პრინციპულობა გამოუჩენია და გვერდი აუხვევია რა ძველი
ქართული წყაროების ტრადიციისათვის, საგანგებოდ ცდილა საკონტროლო
წყაროს ჩვენებას გაჰყოლოდა. საქმე ეხება საკუთარ სახელთა (გეოგრაფიულ
და პირთა) გადმოცემას. ქვემოთ მოვიტან რამდენიმე მაგალითს, რომლებიც
გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მცხეთური ვერსიის რედაქტორის ზე-
მოთ დასახელებულ ტენდენციასზე:

I მდ. 4,21 ვაჲ ბარიაქიბელ O] ბექაბოდ S, შდრ. *ქაქ ქარიქშ*.

II მდ. 6,10 ამინადაბ JO] აბელად S, შდრ. *არხიყარაქ*.

9,10 მემფიბალ FJO] მემფიბოსთე S, შდრ. *მსმჩჩიხიშქ*.

10,1 ანან FJ] ანონ S, შდრ. *ანინ*.

¹⁶ უ. ცინდელიანი, „მეფეთა წიგნების“ შედგენილობა: I — „მეფეთა წიგნების“
ლუკანესელი დაყოფა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1975, გვ. 63; II —
ჩანართების საკითხი, „მრავალთავი“, VII, 1980, გვ. 87, 95.

- 10,8 ბეთრამ და ისტობი JO] სუბას, რობას: და ესტობის S, შდრ. *სოცრკჲ ს იიქრკჲ.*
- 10,17 ლალმად JO] ქალამად S, შდრ. *ქ ქაიყამასქ.*
- 10,18 საბეთ O, საბეე J] სობაკ S, შდრ. *სიიქრასქ.*
- 13,11 ამნონ JO] ამონ S, შდრ. *ამინ.*
- 13,23 ა/ბასელ ასურს JO] ბეთმარონს S, შდრ. *ქ ქხქმარინ* ბ/გოფერსა JO] ეფერემისა S, შდრ. *ქხქრხმ* და სხვა.

ამგვარად, ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანოთ, კერძოდ:

1. მცხეთური ვერსიის რედაქტორის მიერ „მეფეთა წიგნების“ ძირითად წყაროდ გამოყენებული ტექსტი უდაოდ ჯანაშვილისეული რედაქციის ტექსტია, ოღონდ ჩვენთვის ცნობილი A 646 ნუსხასაგან რამდენადმე განსხვავებული როგორც სისრულის მხრივ, ისე რედაქციულად.
2. ძირითადი წყარო, A 646-ის მსგავსად, ლაკუნების შემცველი ყოფილა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ უნდა ჰკლებოდა „მეფეთა წიგნების“ დასაწყისი თავები (1—5), როგორც ეს დღეს A 646 ხელნაწერშია, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი — 2,16—3,3.
3. ლაკუნების შესავსებად მცხეთურ ხელნაწერს სხვადასხვა წყაროები გამოუყენებია. პირველ ყოვლისა, მას მიუმართავს სხვა რედაქციის ბიბლიური წყაროებისათვის, კერძოდ J 113-ის ტიპის მოკლე რედაქციისათვის.
4. იმ შემთხვევაში, როცა ბიბლიურ წყაროებშიც არ დაძებნილა საჭირო მასალა, მცხეთურ ხელნაწერს ლაკუნების შესავსებად გამოუყენებია ლექციონარების ტექსტი, რომელიც რედაქციულად უფრო ახლოსაა ლატალის ლექციონართან.
5. მაგრამ, თუკი აღარც ლექციონარები შეიცავს სათანადო მასალას, მაშინ მცხეთური ვერსიის რედაქტორი მიმართავს საკონტროლო წყაროს და მის მიხედვით ასრულებს საგანგებო თარგმანებს, რომლებშიც, არც თუ იშვიათად, ვლინდება ხელნაწერის შედგენის დროინდელი ენობრივი ნორმები.
6. როგორც ძირითადი წყაროდან მომდინარე, ასევე მის შესავსებად გამოყენებულ ტექსტობრივ მასალას მცხეთური ვერსიის რედაქტორის ხელში განუცდია სერიოზული რედაქციული ცვლილებები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საკონტროლო წყაროს გათვალისწინების შედეგია.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

К ВОПРОСУ ИЗУЧЕНИЯ ИСТОЧНИКОВ „КНИГ ЦАРСТВ“ МИХЕТСКОЙ ВЕРСИИ

Резюме

В предлагаемой статье мы ставили целью изучение вопроса об основных и дополнительных источниках „Книг Царств“ михетской версии. В результате анализа соответствующего материала мы пришли к заключению, что Сулхан-Саба Орбелиани при восстановлении полного текста „Книг Царств“ использовал несколько источников, а именно:

1. Основным источником для него служил текст, типичный для рукописи XVI века—A 646. Специальное изучение лакун и маргиналий данной

рукописи показало, что она не являлась рабочим экземпляром для Сулхана-Саба.



2. При восполнении лакун основного источника Сулхан-Саба в первую очередь прибегал к другим библейским спискам; в нашем случае, к списку типа J 113 (XIII—XIV вв.)

3. Не обнаружив и тут нужного для этой цели материала, редактор пользовался текстами, сохранившимися в грузинских Лекционариях.

4. Если же и Лекционарий не мог дать ему требуемого материала, опираясь на контрольные иноязычные источники, Сулхан-Саба Орбелиани заново переводил его.

თავად ოთხმეზური

ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ახალი
ქართული რედაქცია

ბიზანტიურ ლიტერატურაში გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა მრავალი კომენტარი არსებობს. ყველაზე უფრო ადრინდელი სქოლიო, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარის სახელითაა ცნობილი, შედგენილია VI საუკუნეში ბერძნულ ენაზე. ეს კომენტარი ეხება გრიგოლის ოთხ სიტყვას. არსებობს მისი თარგმანი სირიულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ქართულად ნათარგმნია მხოლოდ სამი სიტყვის (XXXIX, XLIII, IV) კომენტარი. ფსევდონონეს მითოლოგიურ სქოლიოთა ქართული ვერსია გამოცემულია ი. აბულაძის მიერ 1941 წლის ენიმკის მოამბის X ნომერში სათაურით „ელინთა ზღაპრობანი“. კომენტართა ქართველ მთარგმნელად ეფრემ მცირეა მიჩნეული.

მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსიის გამოცემა ეფუძნება სამ ხელნაწერს:

A 109 — გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, თარიღდება XII საუკუნით. მთარგმნელია ეფრემ მცირე. ამ ხელნაწერში არის XXXIX და XLIII სიტყვათა კომენტარები¹.

A 1490 — გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. XIII საუკუნე. მთარგმნელი — ეფრემ მცირე. ამ კრებულში არის XXXIX სიტყვის კომენტარის მოკლე რედაქცია, აგრეთვე XLIII და IV სიტყვათა კომენტარები².

A 16 — გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. თარიღდება 1739 წლით. ამ ხელნაწერში ეფრემ მცირის თარგმანებთან ერთად ექვთიმე მთაწმიდელისა და დავით ტბელის თარგმანებიც შედის. კრებულში მოთავსებულია XXXIX და XLIII სიტყვათა კომენტარები³.

A ფონდის ხელნაწერთა შორის გამოვლინდა კიდევ ორი ხელნაწერი — 80 და 518, რომლებშიც არის XXXIX და XLIII სიტყვათა კომენტარები.

ხელნაწერი A 80 გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულია. თარიღდება XIII საუკუნით. მთარგმნელია ექვთიმე მთაწმიდელი. კომენტარები მოთავსებულია კრებულის ბოლოს (290r—302v). ოღონდაც ბოლო გვერდები 299r—302v შესრულებულია XVIII საუკუნის II ნახევრის მხედრულით⁴.

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A I₂, 1976, გვ. 34.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, V, 1955, გვ. 32.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A I, 1974, გვ. 50.

⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A I, გვ. 270.

ხელნაწერი A 518 1708 წლით დათარიღებული კრებულია, რომელშიც გრიგოლის სიტყვათა ექვთიმესეულ თარგმანებთან ერთად ვხვდებით ანტიკონ-გრაფიული და ჰიმნოგრაფიული ხასიათის თხზულებებსაც.⁵

როგორც ჩანს, ი. აბულაძისათვის არ იყო ცნობილი ამ ნუსხებში „ელინ-თა ზღაპრობანის“ ტექსტის არსებობა. არც ხელნაწერთა აღწერილობაშია მითითებული, რომ A 80 კრებულში დაცული ტექსტი ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარებია. ეს ალბათ ამ გარემოებითაა განპირობებული, რომ ამ ხელნაწერებში კომენტართა სათაური საკმაოდ განსხვავებულია და, გარდა ამისა, სათაურს თან სდევს მინიშნება: „განმარტებამ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მაქსიმეს მიერ“. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართულ ვერსიაში მაქსიმეს სახელი?

აქ დგება მითოლოგიურ სქოლიოთა ავტორის ვინაობის საკითხი. სამეცნიერო გამოკვლევებში, რომლებიც გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა მითოლოგიურ კომენტარებს ეძღვნება, ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. აღწერილია 134 ბერძნული ხელნაწერი, რომლებშიც არის მითოლოგიური კომენტარები და ამ ხელნაწერთაგან შვიდში ვხვდებით ავტორის სახელად **Novos**-ს⁷. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 972 წლით დათარიღებული ნუსხა, რომელიც ბრატანეთის მუზეუმშია დაცული. პაციგმა, გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა კომენტარების ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა, შეისწავლა ეს ხელნაწერი და დაადგინა, რომ ნონეს სახელი X საუკუნის ხელნაწერში გვიანდელ კონიექტურას წარმოადგენს და რომ ავტორის სახელი აქედან ვაკრეცელდა დანარჩენ ხელნაწერებში⁸. პაციგი მიიჩნევს, რომ სახელი „ნონე“ შემთხვევითია, ხოლო მითოლოგიური კომენტარები ანონიმურია. გრიგოლ ღვთისმეტყველის გვიანდელი კომენტარები — კოზმა იერუსალიმელი (VIII ს.), ბასილი მინიშუსი (X ს.), ელია კრეტელი (XI ს.), ნიკიტა ჰერაკლიტელი (XI ს.), რომლებიც ხშირად მიმართავენ ამ მითოლოგიურ კომენტარებს, როგორც წყაროს, არსად არ ახსენებენ მის ავტორს. ბიზანტიურ ლიტერატურაში გრიგოლის სიტყვათა მითოლოგიური კომენტარები „ისტორიების“⁹ (**αἱ ἱστορίαι**) სახელწოდებით იყო ცნობილი.

კრებულის ანონიმურობაზე მიუთითებს აგრეთვე ისიც, რომ XII საუკუნეში იოანე ცეცე თავის „ხილიადებში“ მითოლოგიურ კომენტარებს მაქსიმეს მიაწერს¹⁰. ეს ტენდენცია ბერძნულ ხელნაწერებშიც გამოვლინდა. მაგალითად, ვატიკანის ერთ ნუსხაში (GK 504, XIII—XIV სს.) მაქსიმე აღმა-

⁵ ცნობა A 518 ხელნაწერში მითოლოგიურ კომენტართა არსებობის შესახებ მოგვაწოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა თამარ ბრეგაძემ. მანვე გამოგვცა ამ ხელნაწერიდან გადმოწერილი ტექსტიც, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ალ. გამყრელიძის არქივში ინახება ალ. გამყრელიძის მიერ A 80 და A 518 ხელნაწერებიდან გადმოწერილი ფსევდონონეს კომენტართა ეს ტექსტი, რომლის გამოჭეყნება, დანარჩენ სქოლიოებთან ერთად, მას განზრახული ჰქონდა.

⁶ S a j d a k I. Historia Critica Scholiastarum et Commentatorum Gregorii Nazianzeni, Meletemata Patristica I, Cracow, 1914, გვ. 8—27.

⁷ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „Novos“-ის შესატყვისად ვხვდებით „ნონეს“. ჩვენც ამ სახელს ხმარებისას ქართულ ტრადიციას მივდევთ.

⁸ Patzig E. De Nannianis in IV orationes Gregorii Nazianzeni commentariis, Leipzig, 1890, გვ. 25.

⁹ ქართულ თარგმანში „ისტორიათა“ შესაბამისად გვაქვს „თხრობანი“.

¹⁰ Patzig, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

რებლის თხზულებათა შორის მოთავსებულია IV, XXXIX და XLIII სიტყვათა მითოლოგიური კომენტარები¹¹.

როგორც ცნობილია, მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.) გრიგოლის სიტყვათა თეოლოგიური კომენტარების ავტორია. ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილია გრიგოლის XXXVIII სიტყვის მაქსიმესეული კომენტარი — „თარგმანებაჲ ძნიაღ გულისკმისაყოფელთა სიტყუათაჲ ქრისტეს შობისა საკითხავისაჲ“. ეს „თარგმანება“ შესულია ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულებში — A 1, A 80, A 87, A 16, A 1338, S 383, S 413, P 3, A 518. რაც შეეხება A 80 და A 518 ხელნაწერებში მითოლოგიურ სქოლიოთა სათაურში მაქსიმეს სახელს, ის, ვფიქრობთ, უნდა მომდინარეობდეს იმ ბერძნული ხელნაწერებიდან, სადაც აირეკლა სქოლიოთა ავტორის მაქსიმედ მიჩნევის ტენდენცია.

თუ რატომ მიიჩნევენ კომენტართა ავტორად ხან ნონეს, ხან მაქსიმეს, ამას პაციგი შემდეგნაირად ხსნის: X საუკუნეში, როდესაც ბიზანტიელმა სწავლულებმა ხელი მიჰყვეს ლიტერატურული ხასიათის კვლევებს, დაისვა საკითხი, თუ ვის მიერ და როდის იყო შექმნილი ეს კომენტარები. ზოგნი, იმის გამო, რომ ამ კომენტარებში გამოვლენილი იყო ანტიკური სამყაროს ღრმა ცოდნა, რომელიც არ გააჩნდათ იმდროინდელ საეკლესიო მსახურთ, მას მაჟორდენ ნონოს პანოპოელს, ზოგნი კი — მაქსიმეს, რომელიც საერთოდ ცნობილი იყო, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის კომენტატორი¹². გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საბოლოოდ დადგინდა, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა მითოლოგიური კომენტარების ავტორს ეწოდოს ფსევდონონე¹³.

A 80 და A 518 ხელნაწერებში მოთავსებული კომენტართა ტექსტი შემდეგ სურათს იძლევა: XLIII სიტყვის კომენტარი მთლიანად და XXXIX სიტყვის კომენტარის დიდი ნაწილი (8—23 თხრობები) მიეკუთვნება ი. აბულაძის მიერ გამოცემულ რედაქციას (ამ რედაქციას პირობითად აღვნიშნავთ ლიტერით C). ხოლო რაც შეეხება XXXIX სიტყვის კომენტარის პირველ შეიღ თხრობას, ის წარმოადგენს კომენტარის სრულიად განსხვავებულ რედაქციას (მას 4 ლატერით აღვნიშნავთ).

ჩვენი კვლევის საგანი ამჯერად სწორედ XXXIX სიტყვის კომენტარის ეს შეიღი თხრობაა. მაგრამ ვიდრე ძირითად საკითხზე გადავიდოდეთ, მოკლედ გადმოვცემთ, თუ რა ვითარებაა ბერძნულში XXXIX სიტყვის კომენტარის ტექსტის დადგენისა და გამოცემის თვალსაზრისით. ამ საკითხს დეტალურად ეხება სებასტიან ბროკი წიგნში „ფსევდონონეს მითოლოგიურ სქოლიოთა სირიული ვერსია“¹⁴. ბროკი აღნიშნავს, რომ XXXIX სიტყვის მითოლოგიური კომენტარის ბერძნული ვერსია ბოლო დრომდე მთლიანად არ ყოფილა გამოცემული. PG XXXVI ტომში გამოცემულია ამ კომენტარის ცამეტი თხრობა (1, 3, 4, 5, 7, 11, 12, 14, 18, 20, 21, 23, 24)¹⁵ ერთადერთი ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც ბროკი აღნიშნავს ლატერით GK^m. XXXIX სიტყვის კომენტარის ბერძნული ვერსიის სრული ტექსტი პირველად გამოსცა ბროკმა ზემოთ დასახელებულ წიგნში. ეს გამოცემა ემყარება XI საუკუნის ერთ ხელ-

¹¹ S a j d a k, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

¹² P a t z i g, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

¹³ S i n k o, T. De expositione Pseudo-Nonniana historiarum, quae in orationibus Gregorii Nazianzeni commemorantur, Crakow, 1922.

¹⁴ B r o c k S. The Syriac Version of the Pseudo-Nonnos Mythological Scholia, Cambridge, 1971.

¹⁵ PG XXXVI, 1066—1072.

ნაწერს—Gk^c. Cambridge, Trinity College, ms²⁰⁹. გარდა ამ ხელნაწერისა იგი ითვალისწინებს კიდევ ხუთ ბერძნულ ხელნაწერს. (Gk^a-British Museum, Add. 18231, 971/2 წწ; Gk^b-Princeton, Art Museum ms 2, XI ს; Gk^d-Oxford, Seld. gr. 45, XI ს. (ამ ხელნაწერში არის მხოლოდ 1—3 თხრობები); Gk^e- Oxford, Barocc. gr. 236, XII ს. (აქ არის 1,10—24 თხრობები); Gk^f-Oxford, Laud. gr. 37, XII ს.)¹⁶.

ბროკი განიხილავს ამ ხელნაწერებს და ჰყოფს მათ ორ ჯგუფად: Gk^{adf} და Gk^{bce}. იგი მიიჩნევს, რომ adf ხელნაწერთა ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ვერსიის უძველეს, თავდაპირველ ვარიანტს, ხოლო bce ხელნაწერთა ტექსტი ბერძნული ვერსიის შედარებით გვიანდელი ვარიანტი უნდა იყოს. ბროკის დაკვირვებით, XXXIX სიტყვის კომენტარის სირიული და სომხური ვერსიები ნათესაობას ამჟღავნებენ adf ხელნაწერთა ტექსტთან. ბროკი კომენტარის ტექსტს გამოსცემს გვიანდელი ვარიანტის Gk^c-ს მიხედვით, ხოლო adf ხელნაწერთა ვარიანტები, რომელთაც სირიული და სომხური შეესაბამება, ტექსტის სამეცნიერო აპარატში მოჰყავს. ის თვლის, რომ ამით უფრო თვალსაჩინოს ხდის სირიული და სომხური ვერსიების დამოკიდებულებას ადრეულ ბერძნულ ვარიანტზე¹⁷.

ქართული C და 4 რედაქციების ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ C რედაქცია საკმაოდ განსხვავდება ბერძნული როგორც adf, ისე bce ვარიანტებისაგან. ხოლო 4 რედაქცია ტექსტობრივად მისდევს ბერძნულ ხელნაწერთა adf ჯგუფს, ე. ი. ბერძნული ტექსტის თავდაპირველ ვარიანტს. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს ორივე რედაქციიდან:

C

Οἱ θεοὶ γοιοὶ τῶν Ἐλ-
λῆτων ἐκ Κρόνου καὶ
Ῥέας λέγουσι ῥεῦνησ-
μαι τὸν Δία. περισπῶμ-
ναι δὲ τρόπῳ τοιῶδε.
ὁ Κρόνος τῆ Ῥέᾳ ῥενο-
μενος σῆσοικαι, ἄπερ
ἔτιχεν αὐτῶν παιδία λαμ-
βάνων κατέπιεν (1)

იტყვან ღმრთისმე-
ტყუელნი წარმართ-
თანი, ვითარმედ კრო-
ნოს ქმარი იყო რეა-
სი და რომელიცა შვის
მისგან, მყის შთანთ-
ქის იგი, ვინაიცა უშ-
ვილოდ ეგო რეას (1).

4

ამას დიას ელენთა
იგი ღმრთისმეტყუ-
ელნი კრონოსს გახ
იტყვან შობალად. და
იშვა რაჲ, განერა მის-
გან ესრე გუარადო.
კრონოს რეას თანა —
შეეყო და უშვნა მან
მას შვილნიო და რა-
დენტაცა შობნ რეა,
კრონოს ყოველთავე
შთანსქმიდა (1).

Ταῦροι ἔθνος· εἰσι
Σχυμῖχόν. ἔθθα ἦν ἱερὸν
τῆς Ἀρτέμιδος· ταύτης
δὲ ἱέρεια ἦ Ἰφιγένεια
ἦν ἡ τῆς Ἀγαμέμνονος
θυγάτηρ (7).

მთათა სკვთელთასა
ეწოდების ტავრომ.
ამის ტავრომსა ქალაქ-
თავანსა ერთსა შინა
იმსახურების არტემი,
რომელმან იგი მუნ
მიიყვანა იფიგენია,
ასული აღამემნონისი
(7).

ესე უყუე ტავრნი ნა-
თესავნი არიან სკვთე-
ლნიო. ვინაიცა დგა
ტაძარი არტემისი, რო-
მელსა შინა იყო
მღვდელად იფიგენია,
ასული აგამენოსისი
ვისიმე (6).

¹⁶ Brock, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7.

¹⁷ იქვე, გვ. 157.

‘Ο Πέλοψ Ταντάλου
ἦν υἱός· τούτῳ δὲ ἐπέξε-
νὼπιθῆαν οἱ θεοί, και
βουλόμενος αὐτοῖς ξενί-
σαι ἔβησεν αὐτοῦ τὸν
υἱὸν και ἐβήσαν παρέ-
θετο αὐτοῖς· οἱ δὲ θεοὶ
θαυμάσαντες ἅμα και
ἐλεήσαντες τὸν Τάντα-
λον, συναγαγόντες τὰ
κρέα συνέβηκαν τὸν
Πέλοπα (9).

რამეთუ ტანტალოს
მეფე იყო ფრიგველ-
თაჲ, რომელმან მიჰხა-
და ღმერთთა ოდესმე
და სანუვაგედ მათდა
დაკლა და დაჭრა და
შეაგზო და დააგო ძე
თჳსი, რე მელთაგან
ღიმიტრი მოიღო მკა-
რი ასოთა მათგან და
შეჰჳამა. ხოლო სხუთა
მათ ღმერთთა შეეწყა-
ლეს ტანტალოს და
დაუკვრდა, ვითარ მი-
მადლებსათჳს მათი-
სა შეურაცხყო ძე
თჳსი. ამისთჳს შე-
წყენეს ურთიერთას
ასონი იგი და განამრ-
თელეს პელოპოს (9).

ესე უკუე პელოპოს
ტანტალოს ვისმე ძე
იყო. და ამას ტანტა-
ლოსს ესტუმრნეს
ღმერთნიო. რამეთუ
ტანტალოსს ენება
სტუმრობაჲ მათი, და-
კლა ძე იგი თჳსი პე-
ლოპოს და შეუგზო
იგი და დაუგო მათო.
ხოლო ღმერთთა მათ
დაუკვრდა და შეეწყა-
ლა ტანტალოსო. შე-
მოკრბეს ვორცი იგი
პელოპოსაჲო და შე-
წყენეს იგი ურთიერთ-
ასო (7).

ამგვარად, ჯ და ჟ, რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სხვა-
დასხვა ბერძნული წყაროდან მომდინარე რედაქციებია. ჟ-ში კომენტარის
თავდაპირველი, უძველესი სახეა წარმოდგენილი, ხოლო ჯ-ში — სრულიად
განსხვავებული. ჯ რედაქცია მომდინარეობს ისეთი ბერძნული წყაროდან,
რომელიც დღეისათვის არ არის ცნობილი. ამ საკითხს აქ არ შევეხებით, რად-
გან ეს ცალკე კვლევის საგანია.

ცხადია, რომ ჯ და ჟ, რედაქციათა მთარგმნელი ორი სხვადასხვა პარია.
საინტერესო სურათს გვაძლევს ამ თვალსაზრისით ამ რედაქციათა სტილის
შედარება. ჟ, რედაქციის მთარგმნელის ენა გაცილებით ნათელია, უფრო
მწყობრი და მსუბუქია, ვიდრე ჯ რედაქციისა. მოვიტანთ მაგალითებს.

ჯ

ვინაჲცა აქა მოძღუარი „უსრული
ნაშობ“ იტყჳს ღიონჳსის, რამეთუ
ძუცელსადა შინა იყო იგი, რაჲამს
მოკლდა დედაჲ მისი. ხოლო „ბარ-
კალის ლმობად“, რამეთუ, ვითარ
იგი ზღაპრობენ, უსრულოებაჲ იგი
მისი ბარკალსა შთადებითა სრულ
ყო ზევს. ხოლო სხჳსა „თავით შო-
ბაჲ“ სხჳსაგან ითქჳმის და ამისსა
შემდგომად „ღმრთად მამალ-დედ-
ლად“. ამასვე ღიონჳსის უწოდეს,
ვითარ იგი მამათასა ჰყოფდავე და
დედათაჲცა შეემთხუოდა. და
„მწყობრ მომთრვალეთა“ — მათვე
სატკროსთა და სელინოზთა, მეძვო-

ჟ

და იყო ესე იგი ღიონოსი, რომელ-
სა მოძღუარი „უსრულად ნაშობად“
იტყჳს. ხოლო „სალმობად ბარკალი-
სა“ იტყჳს ამისთჳს, რომელ ვითარ
იგინი ჩქურობდეს, ზევის ბარკალმან
გამოუშუა იგიო. ხოლო „ღმრთად
დედალ-მამალად“ მოძღუარი იტყჳს
ღიონოსის, ვითარ ოდესმე მდებებელ
არნ თავისა თჳსისა და ოდესმე მამ-
ლებელ. რამეთუ „მწყობრად მომთრ-
ვალეთა“ იტყჳს სატკრთა და ვავთა
და სელინოსთა. ხოლო არიან ესე
ყოველნი ეშმაკთა სახელნი. და იყ-
ნეს იგინი თანამზრახველ და მოსი-
ლოდე ღიონოსისა. ამათ „მკედრად

ბით თანამროკველთა დიონუსისათა, რამეთუ იგინივე იყვნეს მკედრობაჲ დაჯსნილ სიმორვალისა მიერ, ვითარ შეჰვაეს მწყობრსა მომთრვალეთასა (4).

დიმიტრისთვის ზღაპრობენ, ვითარმედ ასული იგი მისი პერსეფონი, რომელსა აწ ქალად უწოდეს, წარტაცებულ იქმნა პლუტონისაგან, რომლისათვის შეეთომილი დიმიტრი ატტიკელთა სოფლად მიიწია და დაივანა სოფელსა რასმე ელევსიდ წოდებულსა. და მუნ ეუწყა ტრიპტოლემომს მიერ და კელეოჲსგან, ვითარმედ პლუტონ ეტრფიალა პერსეფონის და წარტაცებით ჰყავს იგი ტუადას შინა. ამას ქველის-მოქმედებისათვის მისცნა მათ დიმიტრი თესლნი ქრთილისა და იფქლისა და საწუნეთანი (3).

დაჯსნილად“ უწოდეს მოძღუარნი ზს/ რომით (4).

საქონებელი
სინდონი

ესე იტყვან ელენნი, ვითარმედ დიმიტრი ღმერთი იყო მათი. და შვა მან ასული დიოსისგანო, რომელსა იგი უწოდეს ქალადცა და პერსეფორადცა. ამას უკუე ეტრფიალა პლუტონ* ვინმეო. და ვითარ ეტრფიალა, აღიტაცა იგი და შთავიდა ჯოჯოხეთადო. ხოლო დიმიტრი ვიდოდა და ეძიებდა ასულსა მას თესსაო, მას, რომელსა ქალად სახელსდებდეს. და ვითარ მრავალ ეძიებდა მას და მიმოვიდოდა, მივიდა იგი ატტიკელთა თანა და მუნ ცნა მან სელეოსის მიერ და ტრიოლეოსის ვისმე მიერ, ვითარმედ ქალი იგი აღტაცებულ იქმნა პლუტონის* მიერ და არს იგი ჯოჯოხეთს შინაო. და ვითარცა ესმა ესე ღმერთსა მას მათსა დედალსა, დასცხრა იგი მიმოსლისაგან მისისაო. ხოლო ნაცვალად ამის მადლისა მიგებაჲ ინება კაცთაჲ მათ, რომელთა უთხრეს ასულისა მისთვის მისისა. და მიანიჭა მან მათო თესლები ესეო, ვითარ იფქლი და ქრთილი და სხუაჲ იგი თესლებისა სიმრავლე (3).

როგორც ზემოთ მოტანილი ფრაგმენტებიდან ჩანს, ო რედაქციის ფრაზები უფრო კომპაქტური, ტევადია, თხრობა შეკუმშულია. მართალია, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ო რედაქციის პირდაპირი ბერძნული წყარო, მაგრამ იგრძნობა, რომ თარგმანი ბერძნულ ტექსტსაა დაქვემდებარებული. მაგალითად, ბერძნულ ფრაზას — „πλανηθεῖσα ἦλθεν εἰς τὴν Ἀττικὴν“ — ო რედაქციის მთარგმნელი თარგმნის: „შეთომილი დიმიტრი ატტიკელთა სოფლად მიიწია“. „πλανηθεῖσα“ — მდებრობითი სქესის მიმღეობა ზმნიდან πλανῶ ო რედაქციაში მიმღეობითვეა გადმოტანილი, მაშინ როდესაც Ⴇ რედაქციის მთარგმნელი შემდგენიარად თარგმნის იმავე ფრაზას: „და ვითარ... მიმოვიდოდა, მივიდა იგი ატტიკელთა თანა“. ამ შემთხვევაში ბერძნული მიმღეობა ქართულში ზმნური ფორმითაა გადმოტანილი. საერთოდ Ⴇ რედაქციის მთარგმნელი ფრაზას შლის, თხრობას განაგრცობს. იგი ხშირად უბრუნდება ერთხელ უკვე ნათქვამს, აზუსტებს ამა თუ იმ დეტალს. და რადგანაც თავად ბერძნული დედნისათვისაა დამახასიათებელი ხშირი გამეორებანი, ქართული რედაქცია კარ-

* პლატონ A 80, A 518.

გად ასახავს ბერძნულის ამ სტილისტურ თავისებულებას. მაგალითად: ταύτης δὲ ἡράσθη ὁ Πλούτων καὶ ἐραστὴς ἦρπασε καὶ κατήλαθεν ἐν τῷ "Αἰδῷ" „ამას უკუე ეტრფილა პლუტონ ვანმეო. და ვითარ ეტრფილა, აღიტაცა იგი და შთავიდა ჯოჯოხეთადო“.

ს და ყ რედაქციები ლექსიკის თვალსაზრისითაც განსხვავებულ სურათს გვაძლევენ:

	ს	ყ
μυθολόγους:	ზღაპრობენ	იტყოდეს სიცრუეით
ὁ ἡπῆροος	მიმდგომი	მორჩილი
οἱ τελοῦντες καὶ	სრულება და	შემწირველნი და
οἱ τελοῦνμένοι:	აღსრულება	შემწირაენი
πλανηθεῖσα	შეცდომილი	მიმოვიდოდა
ἡ χρεοσυρία	ჯოჯო-ა ქმნილება	მეჭორეცობა
οἱ "Ελληγες	წარმართნი	ელენი

ამგვარად, სხვაობა, რომელიც გამოვლანდა ს და ყ რედაქციათა სტილის, აგრეთვე ლექსიკური მასალის შედარებისას, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ს და ყ რედაქციათა მთარგმნელი ორი სხვადასხვა პირია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ხელთ გვაქვს ყ რედაქციის მხოლოდ შვიდი თხრობა. საფიქრებელია, რომ ყ რედაქციის მთარგმნელს მთლიანად ჰქონდა ნათარგმნი XXXIX და XLIII სიტყვათა¹⁸ კომენტარები. ამას ნათლად მიუთითებს ყ რედაქციაში კომენტართა სათაური: „წმიდისა გრიგოლი ღმრთის-მეტყუელისა თქუშულთა ორთა საკითხავთა შინა განცხადებასასა და წმიდისა ბასილის ეპიტაფია შესხმასა“. ასე რომ შვიდი თხრობა მხოლოდ ფრაგმენტია მითოლოგიურ კომენტართა იმ ქართული რედაქციისა, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ეს თხრობებია:

ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ვ ე რ ს ი ა

1. ზევსის დაბადება
2. რეა
3. პერსეფონე
4. სემელე და დიონისე
5. აფროდიტე
6. დიონისეს ფალოსი
7. არტემისის ტაძარი ტავროსში
8. ლაკედემონელნი
9. ტანტალოსი და პელოფსი.

ყ რ ე დ ა ქ ც ი ა

1. ზევსის დაბადება
2. რეა
3. პერსეფონე
4. სემელე და დიონისე
5. აფროდიტე
6. არტემისის ტაძარი ტავროსში
7. ტანტალოსი და პელოფსი

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ყ რედაქციაში თხრობათა რიგი არ შეესაბამება ბერძნულ ვერსიაში თხრობათა თანმიმდევრობას. ქართულში საერთოდ არ არის ბერძნულის მეექვსე თხრობა. ბერძნული ვერსიის მეცხრე თხრობა ყ

¹⁸ ეს სიტყვებია: „სიტყუა ნათელათჳს“ (XXXIX) და „სიტყუა ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“ (XLIII).



რედაქციაში მეშვიდე ადგილზეა. 4 რედაქციაში არ არის თხრობა ლაკედემონელთა შესახებ.

ცალკე შეეჩერდებით რამდენიმე უმნიშვნელო უზუსტობაზე, რომელსაც ვხვდებით ქართულ ტექსტში. ეს უზუსტობანი, ვფიქრობთ, უმეტესწილად აიხსნება თავად იმ ბერძნული ტექსტის დაზიანებით, რომელიც ხელთ ჰქონდა ქართველ მთარგმნელს. მაგალითად:

1. ბერძნული ფრაზა — **τῆρανος ἦν Κρητης** (1) ქართულად ნათარგმნია „მსაჯული იყო მძლავრი“. როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელს ἦ **Κρητης** აერია გრაფიკულად მასთან ახლოს მდგომ ზმნაში **αἰών**, რაც ნიშნავს „განსჯას“, „გასამართლებას“. აქედან გაჩნდა ქართულ ტექსტში „მსაჯული“ ნაცვლად „კრეტისა“. სწორი თარგმანი იქნებოდა — „მძლავრი იყო კრეტისა“. საფიქრებელია, რომ მთარგმნელმა ბერძნული ტექსტის დაზიანების გამო სწორად ვერ ამოიკითხა ეს სიტყვა, რადგან სხვაგან მას **Κρητη** სწორად ვაღმოაქვს: „**τῆρανος Κρητην**“ (1) — „მძლავრად კრიტელთად“; „**Κρητην δε τῆρανος εἶπεν**“ (1) — „ხოლო კრიტელთა მთავრად თქუა“¹⁹.

2. საზოგადო სახელი **ὁ μαῦρος**, რაც ნიშნავს „ბარკალს“, მეოთხე თხრობის დასაწყისში ვაღმოჩნდითა როგორც საკუთარი სახელი და გვაქვს: „არცა დიოსის და მიროსის საღმობანი არიან ესეო“. თუმცა შემდგომში ეს შეცდომა გასწორებულია და **ὁ μαῦρος**-ის შესაბამისად ყველგან ვხვდებით ამ სიტყვის სწორ თარგმანს.

3. ბერძნულ სიტყვას **ἡ Κόρη** ორი მნიშვნელობა აქვს. ერთია საზოგადო სახელი და ნიშნავს „ქალიშვილს“, ხოლო მეორე არის საკუთარი სახელი — კორე, იგივე პერსეფონე, დემეტრეს ასული. ბერძნული ვერსიის მესამე თხრობაში ეს სიტყვა საკუთარი სახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული. 4 რედაქციაში კი გვაქვს ამ სიტყვის თარგმანი — „ქალი“ და ერთგან „ასული“. იგივე ვითარებაა ამ სიტყვასთან დაკავშირებით **Σ** რედაქციაშიც. აგრეთვე ბერძნული სიტყვა **Ὀβρινας**, რომელიც ბერძნული ვერსიის მეხუთე თხრობაში საკუთარი სახელის მნიშვნელობითაა, 4 რედაქციაში თარგმნილია როგორც საზოგადო სახელი — „ცა“.

4. ბერძნულ ტექსტში ვხვდებით ფრაზას: **ἔπεισον δὲ ἄρχαιον παρβίχην** (1). იგი ასე ითარგმნება: „შეიარაღებულითა ცეკვას (უწოდებს) სამხედრო ცეკვას იარაღით“. **ἡ παρβίχην** არის დორიული წარმოშობის ცეკვა, რომელსაც შეიარაღებული ელინები ასრულებდნენ დღესასწაულებზე. **Σ** რედაქციის მთარგმნელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკუთარ განმარტებებს ურთავს ხოლმე ტექსტში, ამ სიტყვასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „როკვიდენ როკვასა აღჭურვილთასა, რომელ პირაჰიდ უწოდებენ“. როგორც ვხედავთ, **Σ** რედაქციის მთარგმნელისათვის კარგადაა ცნობილი ამ სიტყვის მნიშვნელობა. მაგრამ სხვა ვითარებაა 4 რედაქციაში. ზემოთ მოტანილი ბერძნული ფრაზის თარგმანი 4 რედაქციაში არის: „ხოლო საჭურველთა მათითა იტყუეს მღერასა მას და როკვასა მათსა, ცეცხლის სახესა მას ვმოზასა მათსა“. ბერძნულ სიტყვას **ἡ ἄρχηαι**, აგრეთვე ზმნასაც **ἀρχέομαι**, 4 რედაქციის მთარგმნელი თარგმნის როგორც „მღერა“. მაგალითად, „**παρὰ τῆς Ἰδέας ἀρχεῖσθαι**“ (1) — „რეიას მიერ, დედისა მისისა, მემღერად“ „**τοὺς Κορβάντας ἀρχεῖσθαι**“ (1) — „იმ-

¹⁹ 4 რედაქციაში ვხვდებით **ὁ τῆρανος**-ის ორნაირ თარგმანს: „მძლავრი“ და „მთავარი“. **Σ**-ში **τῆρανος**-ის შესატყვისი ყველგან არის „მძლავრი“.

დერდეს კორივანდნი“. ზემოთ მოტანილ ფრაზაში *ἡ Ἐρχη*-ს ვადმოტანილია სინონიმები: „მღერა“ და „როკვა“. საიდან გაჩნდა „ცეცხლის სახე?“ როგორც ჩანს, *ϕ*, რედაქციის მთარგმნელმა *ἡ παρβύχη* მიაშვავა ბერძნულ სიტყვას *τὸ πῆρ*, რაც ნიშნავს „ცეცხლს“. აქედან მომდინარეობს *παρβύχη*-ს მცდარი თარგმანი *ϕ*, რედაქციაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *ϕ*, რედაქცია მისდევს ბერძნულ *ad ἡ* ხელნაწერთა ტექსტს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამ ტექსტის მიმართაც ავლენს გარკვეულ განსხვავებას. ამის მიზეზი არის ის, რომ ქართველი მთარგმნელი ხშირად არ ფარავს თავის ანტიწარმართულ, უარყოფით დამოკიდებულებას იმ მასალის მიმართ, რომელიც ქართულად გადმოაქვს და საკუთარ ჩანართებს აკეთებს კომენტარის ტექსტში. ამგვარი დამოკიდებულება *ϕ*, რედაქციის კომენტარის სათაურშივეა ასახული. უმეტეს ბერძნულ ხელნაწერში კომენტართა საერთო სათაურია: „*Συναγαγή καὶ ἐξήγησις τῶν ἐπιγράφων τῶν ἀγίων πατέρων ἡμῶν Γρηγόριος*“. ცალკეული სიტყვის კომენტარს აქვს თავისი სათაური: „*εἰς τὰ ἄγια φῶτα*“; „*εἰς τὸν ἐπιτάφιον*“. *ϕ*, რედაქციის მთარგმნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათაურში მიუთითებს, რომ მისი ნათარგმნი კომენტარები გრიგოლის ორ სიტყვას ეხება და შემდეგ თავის მხრივ ამატებს: „რომელ მოიქსენებს ღმერთთა წარმართთასა, და ბილწებათა მათთა, და ბოროტთა მათ მსახურთა მათთასა, განსაქიქებელად მათდა და ჩუენდა განსამტკიცებელად მორწმუნეთა, ვითარმედ ესევეთარნი იყვნენ ბილწნი და ცუდსახელნი ღმერთნი წარმართთანი“. ამ ჩანართში აშკარად ჩანს ქართველი მთარგმნელის დამოკიდებულება წარმართებსა და მათ ღმერთებზე.

ანტიწარმართულ დამოკიდებულებას ქართველი მთარგმნელი ამქაღვნებს თავად ტექსტის თარგმნის დროსაც. ის მიიჩნევს, რომ წარმართთა ღვთაებები ნამდვილი, ჭეშმარიტი ღმერთები არ არიან და იქ, სადაც ნახსენებია ელინთა ღმერთების სახელები, ანდა ტექსტში არის უბრალოდ *οἱ θεοί*, ქართველი მთარგმნელი ჩაუბრუნებს ხოლმე „არაღმერთებს“. მაგალითად:

*ἐμαυτολόγων, ἄς ἐκ Κρόνου καὶ
‘Ρέας ἔχει τῶν γέννηται*

იტყოდეს სიცრუევით, ვითარმედ
კრონოსგან და რეასგან, არა-
ღმერთთა მათთაგან იშვაო (1).

*ἐν τῇ Φρυγίᾳ ἐσεβάσθη ἡ μήτηρ
τῶν θεῶν, Διὸς, Ποσειδῶνος, Πλού-
τωνος καὶ ‘Ηρας, μήτηρ μὲν θεῶν
τοῦτων.*

ფრიკვას ჰმსახურებდეს დედასა
ღმერთთასა, პოსიდონისსა და პლუ-
ტონისსა და ირასსა, დედად უკუე
იტყოდეს მას, ამათ არაღმერთთა
მათთად (2).

ელინთა ღმერთებზე საუბრისას ზოგჯერ ის საგანგებოდ მიუთითებს, რომ ეს ღმერთები „მათია“, წარმართებისაა. მაგალითად:

*ἡ Δημήτηρ θεὸς εἶναι λεγομένη
τίθει: θύγατέρα ἀπὸ τοῦ Διὸς*

იტყვან ელინნი, ვითარმედ დი-
მიტრ ღმერთი იყო მათი და შვა მან
ასული დიონისგანო (3).

*μαθησεα οὖν ταῦτα ἡ θεὸς ἔληξε
τῆς πλάνης*

და ვითარცა ესმა ესე ღმერთსა მას
მათსა დედალსა, დასცხრა იგი მიმო-
სლვისაგან მისისაო (3).



ქართველი მთარგმნელის ანტიწარმართულ ჩანართებს ვხვდებით მხოლოდ და მეშვიდე თხრობათა ბოლოს. ესენია: „ხოლო კორიანებდად მათსა ეშმაკსა თავე იტყუს“ (2), „ამისთვისცა ეცინის მოძღუარი სიცოფესა მას მათსა და ზღაპრობასა“ (7). ეს ფრაზები არც ერთ სხვაენოვან ტექსტში არ არის.

ცალკე შევჩერდებით კიდევ ერთ, საკმაოდ ვრცელ, მთარგმნელისეულ ჩანართზე. მეორე თხრობაში საუბარია მისტერიებზე, რომლებიც სრულდებოდა ფრიგიაში დედა-ღმერთის, რეას, პატივსაცემად „*ἐν τῇ Φρυγίᾳ ἐρίοντο τελεταὶ τινες ἐν αἷς ζῆθυσαιῶντες οἱ τελοῦντες καὶ τελοῦμενοι ἐξιστάμενοι: ἑαυτοὺς κατέτεμον ἑξέσει, μὴ ἀνθισθῆναι τῶν κακῶν διὰ τῆν παραφορᾶν*“ — „ფრიგიაში წარმოიშვა რაღაც მისტერიები, რომლის დროსაც ღმრთისაგან ზეშთაგონებულნი, საღმრთო საიდუმლოებას მზიარებულნი და ზიარებულნი, ქუთიდან შეცდენილნი, თავის თავს მახვილებით იჭრიდნენ, ვერ გრძნობდნენ ტკივილს სიგჳის გამო“. ქართველი მთარგმნელი ამ პასაჟის თარგმნის დროს ცალკე გამოყოფს „*ζῆθυσαιῶντες*“ (მრავლობითი რიცხვის მიმღეობა ზმნიდან *ζῆθυσαιῶν*), უთარგმნელად გადმოაქვს ეს სიტყვა (ენთესიობაა) და იძლევა შემდეგნაირ განმარტებას: „ხოლო ენთესიობაა იგი არს გამოცხადებაა რაამე საეშმაკოა, გინა თუ კერპისაგან გამოოცნებული, და გინა თუ სხუათა მათ ადგილთა შინა. ბნელისათა და შესავალთა მათ მღვიმისათა იქმნებოდა ეშმაკისა მიერ მათდა მიმართ, რომელნი მხოროველ მათდა იყვნენ. ამას ენთესიობაა ეწოდებოდა მათ მიერ, ვითარცა იტყოდეს, თუ საღმრთოა გამოცხადებაა“. „*ζῆθυσαιῶντες*“, აგრეთვე იმავე ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები „*ἐξιστάμενοι*“, „*ἐνθυσαιῶντες*“, რაც ნიშნავს „ღმრთისაგან ზეშთაგონებას“, „ღვთიურ სიშმაგვს“, წარმართული რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. ეს ის განსაკუთრებული სულიერი განწყობილებაა, რომელიც ეუფლება ღვთისმსახურის რიტუალის შესრულების დროს. როგორც ცნობილია, ამ ცნებას საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობოდა ანტიკურ ფილოსოფიაში²⁰. ქართველი მთარგმნელის განმარტებით, „ენთესიობაა“ ერთგვარი გამოცხადებაა, რომელიც წარმართ ღვთაებათა თაყვანისმცემლებს კერპთაგან ევლინებათ ბნელ ადგილებსა და მღვიმეთა შესასვლელებში. ქართველი მთარგმნელი ამასთანავე დასძენს, რომ თუმცა თავად წარმართნი ამ გამოცხადებას „საღმრთოს“ უწოდებენ, სინამდვილეში ეს არის „გამოცხადებაა რაამე საეშმაკოა“, რადგან ის ეშმაკისაგან მომდინარეობს. როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი თან თავისებურად განმარტავს ამ ცნებას, თანაც თავის ანტიწარმართულ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს წარმართული რიტუალის მიმართ.

ანტიწარმართული დამოკიდებულების გამოსახატავად 4 რედაქციის მთარგმნელი მიმართავს აგრეთვე ისეთ სტილისტურ ხერხს, როგორიცაა სხვათა

²⁰ პლატონი *ζῆθυσαιῶντες*-ს პოეტურ შემოქმედებას უკავშირებს და მისი წარმოშობის მიზეზად და ზემოთხეობიერ პირველსაწყისად სახავს: „*ἐγγυον οὖν αὐτὸν καὶ περὶ τῶν ποιητῶν ἐν ἄλλῃ τῷ τῷ, οὗτοι οὖν σοφῶς ποιοῖεν ἢ ποιοῖεν ἀλλὰ φῶσαι τινὶ καὶ ζῆθυσαιῶντες, ὅσπερ οἱ θεομάχαι καὶ οἱ χρημαθῆσι*“ (Πλάτων, Απολογία Σωκράτους, 22, b—c) Platon, Oeuvres Completes, T. I, Paris, 1970. „მალე შევიტყვე პოეტების შესახებ, რომ სიბრძნის წყალობით კი არ ქმნიან იმას, რასაც ქმნიან, არამედ რაღაც ბუნებრივი უნარით არიან ზემოთაგონებულნი, როგორც მისნები და წინასწარმეტყველნი“. საერთოდ „*ζῆθυσαιῶντες*“—ის ცნება ანტიკურ ფილოსოფიაში საკმაოდაა შესწავლილი. ამის შესახებ იხ. ბიბლიოგრაფია ა. ფ. ლოსვეის წიგნში „История античной эстетики“, М. 1969, გვ. 706. ამავე საკითხს განიხილავს ბ. ბრეგვაძე პლატონის დიალოგის „იონის“ წინათქმაში. იხ. პლატონი, „იონი“, „დღივი ჰიპია“, „მეზონი“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და შენიშვნები დ. ლურთო ბ. ბრეგვაძემ, 1974.

სიტყვის -ო. საერთოდ ამ სტილისტური ხერხის ძირითადი ფუნქცია ფრაზი-სათვის მეტი ემოციურობის მინიჭებაა. კომენტართა ქართულ ტექსტში ხშირად გამოყენებული სხვათა სიტყვის -ო, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დამატებით, ახალ სტილისტურ ნიუანსს იძენს. ამ ხერხის გამოყენებით მთარგმნელი თითქოს აუცხოებს მასალას, ცდილობს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ თხრობა წარმართთა „ბილწ“ ლმერთებზე უშუალოდ მისგან კი არ მომდინარეობს, არამედ ის მხოლოდ სხვის ნათქვამს ვადმოსცემს. სხვათა სიტყვის ო-ს მაგალითები ტექსტში საკმაოდ ბევრია. მოვეჩანთ მხოლოდ რამდენიმეს: „ქრონოს რეას თანა-შეეყო და უშვნა მან მას შვილნიო“; „ხოლო დია წარიბარა და წარსცა იგი კრიტედო“ (1); „და ვითარცა ესმა ესე ლმერთსა მას მათსა დედალსა, დაცხრა იგი მიმოსლვისაგან მისისაო“; „ვითარმედ თესლთა ნაყოფისა მხედველ არს და მიმცემელ იგი ვინმე დიმიტირო“ (3); „ესე უკუე ტავრნი ნათესავნი არიან სკვთელნიო“ (6) და სხვა.

და ბოლოს საკითხი დადგა გრიგოლის სიტყვათა მითოლოგიური კომენტარის 4 რედაქციის მთარგმნელის ვინაობის შესახებ. ვფიქრობთ, 4 რედაქციის მთარგმნელი გრიგოლის თხზულებების მთარგმნელთა წრეში უნდა ვეძიოთ. როგორც ცნობილია, გრიგოლის თხზულებებს თარგმნიდნენ: IX—X საუკუნეების უცხოში მთარგმნელები, გრიგოლ ოშკელი, დავით ტბელი, განსაკუთრებით კი ექვთიმე მთაწმიდელი და ეფრემ მცირე²¹. ჩვენ შევეცადეთ დავგვესაბუთებინა, რომ 4 რედაქციითა მთარგმნელი ორი სხვადასხვა პირია. შესაბამისად, ეფრემ მცირე, რომელიც 4 რედაქციის მთარგმნელად მიჩნეული, ვერ იქნება 4 რედაქციის მთარგმნელი. 4 რედაქციის მთარგმნელის ვინაობის დადგენისას ზემოთ ჩამოთვლილ მთარგმნელთაგან ექვთიმე მთაწმიდელზე შეეჩერდით. შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი ვარაუდი შემდეგი არგუმენტებით:

1. მითოლოგიურა კომენტარის 4 რედაქციის აღრეული ხელნაწერი, A 80, ექვთიმესეული კრებულია. მასში მოთავსებული გრიგოლის სიტყვათა ქართული თარგმანები ექვთიმეს მიერაა შესრულებული. რაც შეეხება 4 რედაქციის გვიანდელ ხელნაწერს, A 518-ს, რომელშიც გრაგოლის თხზულებათა ექვთიმესეულ თარგმანებთან ერთად შესულია აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებებიც, ის, როგორც თ. ბრეგაძე მიიჩნევს, წარმოადგენს მექანიკურ გაერთიანებას გრიგოლის თხზულებების ექვთიმესეულ თარგმანთა კრებულსა სხვა კრებულთან. ასე რომ A 518 ხელნაწერის პირველი ნაწილი იმავე ტიპის ექვთიმესეული კრებულია, როგორც A 80. ამდენად მითოლოგიური კომენტარის 4 რედაქცია, რომელიც მხოლოდ ექვთიმესეულ კრებულზე იგეხდება, შესაძლოა ექვთიმეს ეკუთვნოდეს.

2. 4 რედაქციის მთარგმნელისათვის მითოლოგიურ კომენტართა ავტორი მაქსიმეს სახელითაა ცნობილი. საერთოდ მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა ქართული თარგმანები ექვთიმეს მიერაა შესრულებული²². ასე რომ, არსებობს დიდი შესაძლებლობა, ექვთიმეს ხელი მოეკიდა მისთვის კარგად ცნობილი ავტორის კომენტართა თარგმნისათვის.

3. ექვთიმე მთაწმიდელისთვის არ იყო უცხო ანტიკური მითოსი და საერთოდ წარმართული სამყარო. მაგალითად, მის მიერ ნათარგმნ გერმან

²⁰ ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 29—38.

²² ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 96—98. მისევე, Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდები, VII, 1961, გვ. 35.

კონსტანტინეპოლის თხზულებაში „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარანგელოზისა მიქაელისთა“ ექვთიმესეულ ბიბლიურ და ისტორიულ ინტერპრეტაციათა შორის არის ერთი ჩანართი — ეპიზოდი არგონავტთა თქმულებიდან, კერძოდ, არგონავტთა შერკინებას ამბავი ბებრეკთა მეფე ამიკოსთან²³. ეს ინტერპოლაცია აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ექვთიმე საკმაოდ ჩარვიდა ერკვეოდა ანტიკურ მითოლოგიაში. ექვთიმემ ეს ამბავი, როგორც ჩანს, იცოდა ბიზანტიელი მწერლებისაგან²⁴, ან, შესაძლოა, მის უშუალო წყაროს აპოლონოს როდოსელის „არგონავტიკა“ წარმოადგენდა²⁵.

ექვთიმე მთაწმიდელი არა მარტო ავლენს ანტიკური მითოსის ცოდნას, არამედ ზოგჯერ იძლევა ისეთი სიტყვის, ან ტერმინის, საკუთარ განმარტებას, რომელიც ანტიკურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, იმავე თხზულების თარგმნისას იგი განმარტავს „არგონავტსა“ და „სოსთენს“ (ტიძარი, რომელიც ააგეს არგონავტებმა მეფე ამიკოსზე გამარჯვების ნიშნად).

„არგონავტი, რომელი გამოითარგმნების „უქმნი მენაენი“²⁶.

„სუსთენი, რომელ გამოითარგმნების „ძალი ცხორებისაჲ“.

ამავე ტიპის ჩანართს ვხვდებით 4, რედაქციის მეორე თხრობაში, როდესაც მთარგმნელი იძლევა წარმართული რიტუალის შემადგენელი ელემენტის **ξυμιασ[α]σις**–ის საკუთარ განმარტებას.

4. 4, რედაქციის თარგმანი ექვთიმეს სტილისათვის დამახასიათებელი კლება-მატების მეთოდითაა შესრულებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომენტარის ძირითად ტექსტში ვხვდებით საკმაოდ ვრცელ მთარგმნელისეულ ჩანართებს (მე-2 და მე-7 თხრობაში). გარდა ამისა 4, რედაქციაში არ არის ბერძნული ვერსიის მე-6 თხრობა „დიონისეს ფალოსი“ და მე-8 თხრობა „ლაკედემონელი“, სადაც საუბარია მამათმავლობაზე. როგორც ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა გარკვეული ეტიკური მოსაზრებების გამო არ გადმოიტანა ეს ორი თხრობა ქართულად.

5. ჩვენ ზემოთ შევადარეთ C და 4, რედაქციათა სტილი და აღვნიშნეთ, რომ 4, რედაქცია C-სთან შედარებით გაცილებით უფრო თავისუფლად, ლაღად იკითხება, 4, რედაქციის ენა უფრო გასაგები და ნათელია, ვიდრე C-სი, რომელიც ბერძნულ ტექსტსაა დაქვემდებარებული. ექვთიმესა და ეფრემის თარგმანები სწორედ ამ თვალსაზრისით განსხვავდებიან და უპირისპირდებიან ერთმანეთს.

6. 4, რედაქციაში ვხვდებით ისეთ სტილისტურ ხერხებს, რომლებსაც ხშირად მიმართავს ხოლმე ექვთიმე. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, სხვა-

²³ კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, II, 1945, გვ. 246.

²⁴ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949, გვ. 113.

²⁵ რ. მიმინოშვილი, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი ხერხები, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 55.

²⁶ როგორც ცნობილია, თავად ანტიკური ავტორები სხვადასხვაგვარად განმარტავენ „არგონავტს“. ზოგი ხომალდის სახელწოდებას „ჰერკლეს“-ს მისი ამგებლის სახელს უკავშირებს, ზოგიერთთა მიხედვით კი ხომალდის სახელი ზედსართავიდან „ჰერკლეს“ მომდინარეობს, რაც ნიშნავს „სწრაფს“, „მალს“. აპოლონოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო ა. ურუშაძემ, 1948, გვ. 15, სქ. 1. ექვთიმესეულ განმარტებაში ეს სიტყვა გაგებულია, როგორც **ჰერკლეს** (← **ჰერკლეს**) „უქმი“ და „**υστρης**“ — „მენავე“, ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949, გვ. 113, სქ. 1. „არგონავტის“ ამგვარ ინტერპრეტაციაში ასახულია ექვთიმეს უარყოფითი დამოკიდებულება არგონავტების, როგორც უსაქმო მეკობრეების, მიმართ.

თა სიტყვის -ო ყ, რედაქციის მთარგმნელისათვის გარკვეულ სტილისტურ ხერხს წარმოადგენს. ამ სტილისტური ხერხის გამოყენების ნიმუშები მრავლად არის ექვთიმეს ნათარგმნ თხზულებებში, რომლებიც A 135, A 92²⁷, აგრეთვე ათონ. 32²⁸ ხელნაწერებშია შესული.

ყ, რედაქციის ტექსტში ხშირად ვხვდებით ჰენდიადისებს. ამის ერთი მაგალითი ჩვენ უკვე განვიხილეთ: ერთი ლექსიკური ერთეული — „ჩეჩუი“ გადმოტანილია ორი სინონიმური მნიშვნელობის ერთეულით — „მღერა“ და „როკვა“²⁹. ყ, რედაქციაში ვხვდებით ჰენდიადისების სხვა მაგალითებსაც:

ἀπέρχεται ὄν ἡ Ἴθρα πρὸς τῆν Σημέλειν	„წარვიდა და მივიდა იგი სემელის თანაო (4)“.
εἶς δὲ τῶν μισῶν ἐκ τῶν ᾄμων φαίχυν	„ხოლო ერთმან ღმერთთაგანმან მიიღო და ჭამა მკრისაგან პელოპოსისა კორცი (7)“.
τὸν δὲ Δία ὑπέξέμωτο ἐν τῇ Κρήτῃ	„ხოლო ღია წარიბარა და წარსცა იგი კრიტედო“ (1).

როგორც ცნობილია, ექვთიმე მთაწმიდელიც ხშირად მიმართავს ამ სტილისტურ ხერხს აზრის გაღრმავების, თხრობისათვის მეტი ემოციურობის მიიჭების მიზნით.

ყ, რედაქციაში ვხვდებით გამოთქმებს: „ესე ესრეთ არს“ (2), „არს უკუე ესრეთ ესე“ (3), „ესე იგი არს“ (3), „არს უკუე ესრეთ ამის ჯერისათჳს“ (4). ამგვარი გამოთქმები ხშირია ექვთიმეს სხვა თარგმანებშიც.

როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემ, უპირველეს ყოვლისა, თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართულად ჯერ კიდევ გადმოუთარგმნელი თხზულებანი, ხოლო შემდეგ მან ისეთი თხზულებებიც თარგმნა, რომლებიც უკვე არსებობდა ქართულად. კერძოდ, მან ხელმეორედ გადმოიღო ქართულად ექვთიმეს მიერ ნათარგმნი გრიგოლის ჰომილიები³⁰. ეფრემი გრიგოლის ჰომილიათა ხელახალი თარგმნის აუცილებლობას შემდეგი მიზეზით ხსნის: „სიჩრთებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხალთა, ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა... რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ მისდადმდე, ამისთჳს რომელიმე თარგმანთაგანთა წმიდისა სიტყუათა შინა განეზავა“³¹. ეფრემის ეს სიტყვები, რომლებიც ხშირადაა ციტირებული ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის დასახასიათებლად, უშუალოდ გრიგოლის თხზულებათა ექვთიმესეულ თარგმანს ეხება. ეფრემმა „კითხვითა და გამოკითხვითა კაცთა ბრძენთა და სულიერთა“ შეადარა გრიგოლის სიტყვათა ექვთიმესეული რედაქცია კრიტიკულად დადგენილ ბერძნულ ტექსტს, გამოაკლო მთარგმნელის დამატებანი

27 ზ. სარჯველაძე, ერთი სტილისტური ხერხის ისტორიისათვის, მრავალთავი, IX, 1981, გვ. 64.

28 ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ჭურცაიძემ. თბ., 1933, გვ. 052.

29 აქვე, 63.

30 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 264.

31 რ. ბლექიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიომიხილველი, 1926, გვ. 169.

და შექმნა გრიგოლის თხზულებათა ბერძნულთან დაახლოებული ახალი ქართული რედაქცია³². ამრიგად, გრიგოლის ერთი ჰომილია ხშირ შემთხვევაში ქართულად რამდენიმე, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მთარგმნელობით მეთოდით შედგენილი რედაქციითაა წარმოდგენილი. გამონაკლის ამ თვალსაზრისით არც გრიგოლის სიტყვათა მითოლოგიური კომენტარი წარმოადგენს, რომელსაც, ისევე როგორც გრიგოლის სიტყვებს, მხოლოდ ერთი მთარგმნელი არ ჰყოლია და ამის გამო ორი რედაქციით მოაღწია ჩვენამდე. როგორც ჩანს, მითოლოგიურ კომენტართა ეფრემისეული თარგმანები უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდნენ, ვიდრე 4 რედაქცია, რადგანაც კომენტართა ეფრემისეული თარგმანი სრული სახითაა წარმოდგენილი და უფრო მეტ ხელნაწერშია შემორჩენილი, ვიდრე 4 რედაქცია.

Т. З. ОТХМЕЗУРИ

О НОВОЙ РЕДАКЦИИ МИФОЛОГИЧЕСКИХ КОММЕНТАРИЕВ ПСЕВДО-НОННА

Резюме

В древнегрузинской литературе существует грузинская версия мифологических комментариев псевдо-Нонна, известная под названием «Сказания эллинов» (изд. И. Абуладзе по трем рукописям: А—109, А—1490, А—16), переводчиком которого в научной литературе признан Ефрем Мцире. В фондах Института рукописей АН ГССР выявились еще две рукописи (А № 80 и 518 — сборники гомилий Григория Богослова в переводе Евфимия Мтацмидели), содержащие комментарии псевдо-Нонна.

Начало текста комментариев представляет собой нововыявленную, более древнюю редакцию грузинского перевода, основная же часть комментариев является общеизвестной версией Ефрема Мцире.

Изучение идеологических и стилистических особенностей данной редакции (наличие в нем антиязыческих интерполяций, частое применение гендиадисов, энклитической частицы — о и т. д.) дает нам основание его переводчиком считать Евфимия Мтацмидели.

³² ქ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

თამარ აბულაძე

ქართულ-აღმოსავლური ტექნიკური სამეცნიერო
ტირმინოლოგიის შესავალისათვის

(ვახტანგის „ქიმიის“ მიხედვით)

XVIII ს-ის I ათეულ წლებში ქართული კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებაში მოხდა ფრიალ მნიშვნელოვანი ძვრები, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ განმანათლებლობას. ამ მოძრაობის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო ვახტანგ VI, სჯულმდებელი, რეფორმატორი, მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი. ვახტანგის თაოსნობით და-აზრდა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელმაც შეკრიბა და დაადგინა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები და დაწერა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე; მან შეიმუშავა ქართული სამართალი, ჩამოაყალიბა სამართლის წიგნთა კრებული (კოდიკო), შეადგინა „დასტურლამალი“, შექმნა ქართული სტამბა, სადაც სხვა მნიშვნელოვან წიგნებთან ერთად დაიბეჭდა მისივე კომენტარებული „ვეფხისტყაოსანი“... განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვახტანგი მეცნიერების ზოგიერთ დარგს, რომელთა განვითარების ხაზი სხვადასხვა მიზეზთა გამო გაწყვეტილი იყო საქართველოში. ქართულ საზოგადოებრიობას ესაჭიროებოდა ამ მეცნიერებათა ელემენტარული საფუძვლები მაინც, რათა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „... უკუე ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შესარულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ“¹. ცოცხლდება მივიწყებული დარგები, ჩნდება ახალ მეცნიერებათა რიგი.

ვახტანგს დიდი დამსახურება მიუძღვის ასტრონომიის, ქიმიისა და სხვა დარგების გამოცოცხლებასა და აღორძინებაში. ნაყოფიერად მოღვაწეობს იგი ამ მიმართულებით ირანში ყოფნის დროს (1712—1719 წწ.); აქ თარგმნის ასტრონომიული შინაარსის თხზულებებს — ულუღბეგის ვარსკვლავთა კატალოგს — „ზიჯ“, „ჰიდამათ-ალ-ნუჯუმს“, „აიათს“... აქვე დაუწყია მას „ქიმიის“ შედგენაც. მეცნიერული თარგმანები განსაკუთრებით კარგად ნათელყოფს ვახტანგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ თავისებურებას — ყოველი ნათარგმნი ძეგლი, განსაკუთრებით კი მეცნიერული ხასიათის ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც მოემსახურება სწავლა-აღზრდის საქმეს. რაგ შემთხვევაში იგი გვევლინება არა მარტო მთარგმნელის, არამედ მეცნიერ-თანავტორის როლშიც. ზემოთქმული უშუალოდ ეხება ვახტანგის „ქიმიას“, მით უმეტეს, რომ ამ ძეგლში, გარდა ნათარგმნი მასალისა, შევიდა მისი ორიგინალური პარაგრაფებიც.

ქიმიური ხასიათის თხზულებები მსოფლიო მასშტაბითაც კი ძალიან მცირეა, ამდენად ვახტანგის თხზულება „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა

¹ აიათი, ტფ., 1712, გვ. ბ, გ, ციტირებულია: ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955.

ქმნის“, რომელიც ახლახანს გამოიცა თავისი ლექსიკონითა და კომენტარებით თ. ენუქიძისა და ვ. კოკოჩაშვილის მიერ, ფრიად საყურადღებო ძეგლად აღიქმება სეპობს მისი ერთადერთი სრული ხელნაწერი — ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა — S—3721, რომელიც ვახუშტის ხელითაა გადაწერილი. შემონახულია აგრეთვე ტექსტის ავტოგრაფის ნაწყვეტიც, სადაც შესულია §§ 94—102. იგი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში E—121 ნომრით. წინამდებარე გამოცემა ემყარება ამ ხელნაწერთა შესწავლა-შეჯერებას. როგორც გამომცემლები მიუთითებენ, ძველი „ავციურის ალქიმიის შემდგომი პერიოდის განვითარებას... როდესაც ვაიმრაველა ცნობები ქიმიურ ნაერთებზე, გაუმჯობესდა მათი მიღების მეთოდები და აღმოჩენილ იქნა ახალი ნაერთები². ნაშრომი პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათისაა, იგი გვაცნობს ქიმიის გარკვეული დარგების მდგომარეობას ირანში, რუსეთსა და საქართველოში. ვახტანგის „ქიმიას“ ასეთი შინაარსის დღეისათვის მიკვლეული პირველი ქართული ძეგლია. იგი საყურადღებოა გარკვეული პრაქტიკული ტრადიციების, ვახტანგის მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის შესასწავლად. მისი არსებობა XVIII საუკუნის ქართული მეცნიერული აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს³.

ვახტანგის ნაშრომში მნიშვნელოვნადაა ასახული აღმოსავლური, ლათინური თუ რუსული მეცნიერული წყაროების კვალი. ავტორს რამდენიმე პარაგრაფი ირანელი ალქიმიკოსის არ-რაზის (865—925) თხზულებიდან „საიდუმლოებათა საგანძურის“ აქვს შეტანილი; არ-რაზის მსგავსად იგი ქიმიურ ნივთიერებათა მთელ სამყაროს სამ ნაწილად ყოფს: მინერალური, მცენარეული და ცხოველთა. მინერალურ სამყაროში ექვს ჯგუფს გამოყოფს, ცხოველთა სამყაროდან გამოსული და მოსახმარი ნივთიერებებიდან ჩამოთვლის ათ სახეობას. ასევე საერთოა „ქიმიასა“ და მის ერთ-ერთ წყაროს — „საგანძურს“ შორის მარილთა ჯგუფები, მეტალთა დადნობისათვის გამოყენებულ ხელსაწყოთა ნუსხა, „ბრძნული თიხისა“⁴ და ჟანგაროს დამზადების წესი. ვახტანგმა არ-რაზის კონცეფციის ზოგადთეორიული ნაწილი გაიზიარა, აიღო მისგან გარკვეული სისტემა, მაგრამ არა მისი ალქიმიური არს⁵. გარდა ამისა, როგორც ეს „ქიმიის“ პარაგრაფთა ლექსიკიდანაც ჩანს, მას უსარგებლია რუსული წყაროებით ან ზეპირი გადმოცემებით. აქვე უხვადაა წარმოდგენილი ლათინურ-ბერძნული ტერმინოლოგიაც; რაც ვახტანგის „ქიმიას“ შევიდა ან მის მიერ გამოყენებული ქართული, რუსული ან სხვა წყაროების გზით, ანდა მას ჰქონდა საშუალება უშუალოდ მიემართა ლათინური პირველწყაროებისათვის. ძეგლში აისახა სულხან-საბას ლექსიკონის კვალიც — 169-ე პარაგრაფში მოცემულ ძვირფას ქვათა აღწერილობა მიჰყვება საბასეულ Z ნუსხას (H—1429), რომელიც მოსკოვშია გადაწერილი (1725 წ.). წერილობითი წყაროებიდან ვახტანგი § 128-ში მიუთითებს ერთ უცნობ ნუსხაზე, რომლითაც მას უსარგებლია: „ერთი ნუსხა ვნახე, რომ ამითი ოქრო ვაკეთებდით, ეწერა...“ § 119-ში ვკითხულობთ: „წამალი გარდმოიღე და ჩემის ძმის ნუსხის პირით გააკეთე“⁶. გამომცემლები მიუთითებენ, რომ ვახტანგის ძმაც (იესე ან ქაიხოსრო) ყოფილა ქიმიით დაინტერესებული და არსებობდა მათი ნუს-

2 ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, თბ., 1981, გვ. 17 (შემდგომი: „ქიმიას“).

3 ქიმიას, გვ. 36.

4 ცეცხლგამძლე თიხა.

5 იქვე, გვ. 11, 12.

6 „ქიმიას“, გვ. 141:

ხაც, რომელსაც ვახტანგი იხსენიებს⁷. ამავე დროს, როგორც ტექსტიდან ჩანს, ვახტანგს უსარგებლია სხვადასხვა ზეპირი გადმოცემითაც, თუმცა ზოგიერთ მათგანს იგი სექტიკურად უყურებს („სხვა ერთი მოლა მოვდა, ბერიაცი, იმან მითხრა: მე ვიცო, იმისგან გაკეთებული ვერა ვნახე რა“, ან: „ბევრად იტყვიან, მაგრამ მე ამის მეტი არა მინახავს“ და ა. შ.) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვახტანგის ორაგინალური პარაგრაფები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ეყრდნობა გარკვეულ პრაქტიკულ ჩვევებსა და ტრადიციებს, ძეგლში კი უშუალოდ ვახტანგისეული გ-დმოცემითაა წარმოდგენილი. ეს პარაგრაფები ლექსიკური თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება თარგმნილი პარაგრაფებისაგან. ვახტანგის მიერ აქ მოცემულ წესებს მოსევადების, ფერადი და ოპტიკური მინების, სულფიდური პრეპარატების, ფერადი მელნის დამზადებისა და სხვა მის მიერ დამოუკიდებლად აღწერილ ქიმიურ პროცესებს თანამედროვე მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევენ⁸. წყაროთა ლექსიკური ნარკვევარობა თვალნათლივ ადრეკლავა ქვემოთ ჩამოთვლილ ლექსიკურ-ტერმინოლოგიურ ფენებში, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებს მათს სადაურობაზე.

ჩვენი მიზანია ძეგლის შესწავლა ლექსიკა-ტერმინოლოგიის დონეზე. ამ თვალსაზრისით ადრე გავეცანით ვახტანგის მიერ ხმარებულ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინოლოგიას მის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი ასტრონომიული შინაარსის ძეგლების „სტროლაბის“⁹, „ჰიდაათ ალ-ნუჯუმის“¹⁰ „ზიჯის“¹¹ მასალაზე დაყრდნობით. მუშაობის პროცესში სრულიად ნათლად გამოიკვეთა ვახტანგის, როგორც მთარგმნელის, ტენდენცია — მისცეს ქართულ მკითხველს ზედმიწევნით ზუსტი, გაქართულებული თარგმანი, შემოიტანოს და დაამკვიდროს ქართული ასტრონომიული ტერმინოლოგია ნაცვლად აღმოსავლურისა¹².

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდი ლექსიკოგრაფიული მუშაობის გაფორმების ხანა იყო. XVII—XVIII სს-ში წარმოებულ ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობასთან — ცოდნის გადმოქართულებასთან დაკავშირებით წამოიჭრა ქართული მეცნიერული ენის გაცოცხლების, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საპირობა. ვახტანგის მოღვაწეობა ამ მხრივ ფრიალ საგულისხმოა. იგი სულხან-საბას მიერ წარმოებულ დიდ ეროვნულ საქმეში უშუალო მონაწილეობას ღებულობს¹³, თვითონაც ადგენს ლექსიკონებს — „ვეფხისტყაოსნის“¹⁴, „ზიჯის“, „ჰიდაათ ალ-ნუჯუმის“ ლექსიკონები, „სტროლაბში“ მის მიერ ქართულად ჩასწორებული აღმოსავლური ტერმინები... ლექსიკონებში იგი იძლევა ძნელადგასაგები სიტყვების განმარტებებს, თითქმის ყველგან აღნიშნავს მათს უცხო წარმომავლობას, ცდილობს მიუსადაგოს მათ,

⁷ „ქიმი“, გვ. 9.

⁸ მ. ჩართოლანი, სვანური სევადი (ლგჰევე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომკვლელობაში, ავად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXIII, 1962; მ. შენგელია, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1963.

⁹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H—457.

¹⁰ Q—1493.

¹¹ S—161.

¹² თუმცა ზოდიკოთა და ვარსკვლავთა აღმოსავლური წარმოშობის სახელებს ვახტანგი სულხან-საბას კვლად ბერძნულით ცვლის.

¹³ ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957.

¹⁴ ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ., 1937.

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია — გამოუძენოს აღმოსავლურ ტერმინებს ზუსტი ქართული ექვივალენტები, თუკი ისინი არსებობენ და დამატებით როს ახალი ტერმინები იმ აღმოსავლურ ტერმინთა ნაცვლად, რომელთა შესაბამისი ქართული შესატყვისი მაშინდელ მწიგნობრულ ენაში არ იყო. მართალია, ვახტანგი ამის ყოველთვის ვერ ახერხებს, მისი თარგმანები ხშირად ხელოვნურად გამოიყურება, მრავლად არის წინადადებები მთლიანად აღმოსავლური ლექსიკით ქართულ ჩარჩოში მოქცეული, კალკები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვახტანგის და იმდროინდელ მოღვაწეთა ბრძოლა „სხვათა სიტყვათა“ წინააღმდეგ ასრულებდა გარკვეულ როლს და „ცხოვრებასა და ლიტერატურაში სპარსოვლიდებთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება იყო“¹⁵.

ყოველი ტერმინი, რომლის ხმარება დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი და ვითარების შეცვლილი ხდება, თან ატარებს თავისი ისტორიის — ტერმინის ხმარება უკვე თავისთავად ნიშნავს ამ ცნების შემუშავებასთან დაკავშირებული მეცნიერული აზრის გარკვეულ ტრადიციას, რამდენადაც უფრო მყარადაა დამკვიდრებული იგი ენაში, იმდენად ხანგრძლივია დრო მისი ხმარებისა და ე. ი. ისტორია ამ ცნებასთან დაკავშირებული კონკრეტული მეცნიერული აზრისა. ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს თარგმნითი ხასიათის მეცნიერულ შრომებში. ამიტომ ვახტანგის მოღვაწეობის შესწავლა ამ მხრივ, ჩვენის აზრით, დიდად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა.

მუშაობის პროცესში „ქიმიის“ პარალელურად შევისწავლეთ ქართულ ენაზე არსებული რამდენიმე უძველესი კარაბადინის ლექსიკა, აგრეთვე სულხან-საბას ლექსიკონის ის ნუსხები, რომლებთანაც ვახტანგს რაიმე კავშირი ჰქონდა. ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებით, რომ „ქიმიის“ მიყენარება და მიწერაღა არაქართული დასახელებების ხმარებას, რაც ასე მრავალადაა ძველში, უნდა ჰქონოდა გარკვეული ტრადიცია; ასინი ძალზე ბევრია ძველ სამკურნალო წიგნებში (კარაბადინებში), რომელთაგან ზოგიერთი სწორედ აღმოსავლურიდან თარგმნილადაა მიჩნეული. ვახტანგი უშუალოდ იცნობდა რამდენიმე მათგანს¹⁶. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ვახტანგ აქტი-

¹⁵ ე. მეტრეველი, აღ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საუბუბლეო კრებული, თბ., 1959, გვ. 178.

¹⁶ მაგალითად, ქანანელის „უსწორო კარაბადინს“, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს XII საუკუნეს. ძველის ავტორი ქართველადაა მიჩნეული, მაგრამ მან კარგად იცის არაბული ირანული, ასევე ბერძნული ტერმინოლოგია. ამ კარაბადინის ლენინგრადის აღმ. მცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ნუსხა K—23, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმის Z—26 ხელნაწერის პირს წარმოადგენს, გადაწერილია ვახტანგ VI დროს. მას კარაბადინის გამოყენებულობა. კოტეტიშვილი „ვახტანგისეულს“ უწოდებს. ხელნაწერის ბოლოს დაკეთებულია წარწევა: ჩვენ, საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან ბატონიშვილმან ვახტანგ, დავუწერინეთ კარაბადინი ესე...“. „კომისიამ“ რედაქცია გაუკეთა ძველს, რისი კვალაც აშკარად ჩანს ტექსტების შედარების დროს. ამის შესახებ დაწერილებით იხ. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, 1940. შესავალი. უშუალოდ კავშირი აქვს ვახტანგს ზაზა ფანასკერტლისეულ (XV საუკ.) სამედიცინო კარაბადინთანაც, რომელიც მან შინაარსობრივად გამართა, დაუთმო შენიშვნები და სახმარ სამედიცინო წიგნად აქცია (ზაზა უნახკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, 1978 წ.). „წიგნი სააქიმოა“ ლ. კოტეტიშვილის აზრით არაბულადაა დაწერილი XII—XIII საუკუნეებში, ითარგმნა XIII საუკუნის დასაწყისში ხიჯაფთფლის მიერ (წიგნი სააქიმოა, ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII ს. თბილისი, 1936). ერთ-ერთი უძველესი კარაბადინია „ილიგარ დავდი“, რომელიც მეფე დავითის (დაუდხანის 1569—1578) შედგენილად ითვლება. მას ორი ირანული ან არაბული სამედიცინო კრებული შეუერთებია და ქართულად გადმოუცია. ამავე დროს ნაშრომში თვალსაჩინოა თვით ავტორის წვლილიც. მასში ჰარაბადაა არაბული ტერ-

ურ მონაწილეობას იღებდა სულხან-საბას სალექსიკონო მუშაობაში, შექპონ-და მასში თავისი ჩამატებები, შესწორებები, შევსებანი, რასაც გვერდს ვერ ავუვლიდით ვახტანგის ნაშრომთა ლექსიკა-ტერმინოლოგიის შესწავლის დროს¹⁷. ვახტანგის „ქიმიანე“ მუშაობისა და ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად ჩვენ გამოვეყავით ტერმინთა სამი ჯგუფი:

1. უთარგმნელი სიტყვები და ტერმინები, რომლებიც კანონზომიერად მეორდება ტექსტში;

ა. აღმოსავლური

ბ. რუსული

გ. ლათინურ-ბერძნული

2. ტერმინები, რომელთაც ვახტანგი ქართულ შესატყვისს უძებნის, უფრო ხშირად კი განმარტავს ქართულად.

3. ვახტანგის მიერ ხმარებული ქართული ტერმინები.

პირველ ჯგუფში, სადაც გავერთიანდა ვახტანგის მიერ კანონზომიერად ხმარებული უთარგმნელი ტერმინები და სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს აღმოსავლური ტერმინები, რომელთაც ძალზე ხშირად მიმართავს ავტორი, ზოგიერთ შემთხვევაში, ქართულ შესატყვისთა არარსებობის გამო. თუმცა ზოგჯერ ვახტანგი ვერ უძებნის მათ ქართულ ექვივალენტს. ასეთი აღმოსავლური სიტყვები საკმაოდ მრავალადაა ტექსტში:

ბ უ თ ა (სპ. **буя**) — ოქრომჭედლის ხელსაწყო, თიხის ჭურჭელი, ვერცხლის დასადნობად და დასახალასებლად¹⁸. „რა მით შესველდეს, ამოიღე და ორამს საოქრომჭედლოს ბუთაში ჩადე“¹⁹. პირი დაუჭირე ბუთას მიწით“ (§ 84), ასევე §§ 116, 118, 120, 168...

ფ ე ი ნ ი — გამოცემის ლექსიკონში განმარტებულია როგორც ნეხვი. ტექსტში ვხვდებით: „ფეინი დამწვარი“ (§ 132), „ფეინი მშრალი“ (§ 12), „ფეინი ცხენის“ (§ 10), „ფეინი ხმელი“ (§ 86) და ა. შ. არსებობს სპარსული სიტყვა **فین** (ფენა) — „ნაკელის გროვა“ (ქართული ფენა), მაგრამ ამავე დროს გვხვდება სიტყვა **فین** (ფეჰენ), რაც უშუალოდ „ცხენის ნეხვს“ ნიშნავს. მოვიყვანთ შესაბამის კონტექსტებს: „ზეიდამ ამთონი ზეთი დაასხი²⁰, ხუთ მისხალ ჯივას 1 მისხალი ზეთი, პირი დაუჭირე, ფეინს დამწვარში ჩადე“ (§ 132); „ზეიდამ იმ ჯამში ნახშირის მიწა და ფეინი მშრალი დააყარე“ (§ 12), „პელი ამას ჰქვიან, რომ მიწა მოსთხარო, ავხსავით ღრმა, ქვეშ ახალი წყალუკრავი კირი ჩაყარო. მერმე ზედ ცხენის ფეინი დააყარო სველი, შიგ რაც გინდოდეს, ჩადე“ (§ 110), „მოიტანე ხმელი ფეინი ერთი ლიტრა და მიწაზედ დააყარე და ეს შამიანხალი შიგ ასე ჩადე, კარგა დაიძალოს და ცეცხლი მოუკიდე. მანამდინ შიგ იყოს, სანამდინ ფეინი დაიწვას და ცხელი აღარ იყოს“ (§ 86). მოცემულ შემთხვევებში (კონტექსტის გათვალისწინებით) ფეინი მეორე ლექსიკური ერთეულიდან — **فین** (ფეჰენ) უნდა მომდინარეობდეს. ჩანს, ცხენის ნეხვს აქვს რაიმე განსაკუთრებული თვისება (ვთქვათ: მაღალი ტემპერატურა, ან მოცემული ტემპერატურის კარგად შენარჩუნების უნარი), რის გამოც მისი გამოყენება თერმოსტატად, ალბათ, მიზანშეწონი-

მინოლოგია („იადიგარ დაუდი“, ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI ს. თბილისი, 1938).

¹⁷ ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—137.

¹⁸ ამ ტერმინთა განმარტებები ძირითადად მოცემულია გამოცემისეულ ლექსიკონში.

¹⁹ ოქროს აქსირზეა ლაპარაკი.

²⁰ ჯივას — ვერცხლისწყალს.

ლი იყო. სწორედ ჰელიოს თერმოსტატად მოწყობაზე ლაპარაკი ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ მაგალითში („ჰელი ამას ქვიან, რომ მიწა მოსთხაროს...“)-სავეთ ღრმა...“). გარდა ამისა ფეინი ფორმა სპარსული ^{არა} (ფეინი)-იდან ჩანს მიღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას ლექსიკონის ერთ-ერთ ნუსხაში (კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H—797), რომელიც ვახტანგის მიერ გადაწერილად ითვლება, სკორეს განმარტებაში ვკითხულობთ: „კმელთა ნეხუთ წივა და ფუნეც ეწოდების“ (192). განმარტებაში არ არის ფეინი, მაშინ, როდესაც ფუნა დასახელებულია.

ავანი / აჰვანი (სპ. **هوان** — ჰავან) — როდინი, ფილთაქვა.

ტექსტში ვხვდებით: „ავანში დანაყე“, „ავანში ვალესე“, „მარმარილოს ავანი“... (§§ 84, 140, 204...). პარალელურად ვახტანგი როდინსაც ხმარობს (მაგ. „კალის როდინი“ (§ 118), ასევე: §§ 71, 85, 139...), ამავე მნიშვნელობით ავანი სხვა ქართულ ძეგლებშიც გვხვდება: მაგ. „იადიგარ დაუღმი“²¹ — 186₂₁, 418₁₇, 418₈ და ა. შ. „უსწორო კარაბადინში“²² — 56₁₁. „უსწორო კარაბადინის“ ლექსიკონში ავანი ერთის მხრივ არაბული — **هوان** (ანია)-ს მრავლობითიდან — **هوانى** (ავანი) მომდინარედაა მიჩნეული და ამ შემთხვევაში მას აქვს „ჭურჭლების, ვახების“ მნიშვნელობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სპარსული **هوان** (ჰავან-იდან, რაც „როდინს“ ნიშნავს. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონში²³, რომლის ერთ-ერთ წყაროდ ავტორი ასახელებს ვახტანგის „ტეხნოლოგიურ ჭიმისა, დაწერილს ვახუშტის ხელით“, ავანგი სპარსულ სიტყვადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც როდინი, ქვა ступка (სპ. **هوانگ** ფორმიდან).

ჰალი — ტექსტში ვკითხულობთ: „ოქროს ჰალის გაკეთება“ (§ 124), „ჰალი თუ როგორ უნდა, მარტო ის ეწერა“ (§ 128); „ბორა რომ წმინდად დანაყო, ნამიანს სახლში ან სარდაფში დადგა, გადნება წყალსავით. მერმე რომ ჰელში ჩადგა, ჰალი იქნას, აღარ გაჰყინავს, ნიშადურის ზეთი რომ გამოხადო და მერმე ჰელში ჩადგა, ჰალი შეიქნას, აღარ გაჰყინავს“ (§ 116). უკანასკნელ მაგალითში ერთად ვხვდებით ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას — ჰალს და ჰელს. ჰელი ფეინთან შეგვხვდა; იგი არის სპეციალური დანიშნულების ღრმა ორმო, რომელსაც ვახტანგი თვითონ განმარტავს. მასზე ქვემოთ შევჩერდებით, ტერმინთა მეორე ჯგუფის განხილვისას. ხოლო რაც შეეხება ჰალს, იგი გამოცემის ლექსიკონში არ არის ახსნილი და კითხვის ნიშნითაა გატანილი.

ჰალ (ჰალ) არაბული სიტყვაა და ნიშნავს „გადნობას, გახსნას“. ტერმინის ეს მნიშვნელობა სავეებით ესადაგება მოყვანილ კონტექსტებს, რომლებიც ასე უნდა ვავიგოთ: „ოქროს ნაღნობის გაკეთება“, „გადნობა თუ როგორ უნდა, მარტო ის ეწერა“, „ბორა რომ წმინდად დანაყო, ნამიანს სახლში ან სარდაფში დადგა, გადნება წყალსავით. მერმე რომ ორმოში (თერმოსტატში) ჩადგა, გამდნარი იქნას, აღარ გაჰყინავს...“ და ა. შ.

ანლაზი (სპ. **انلاز**) — ზომა, ოდენობა.

„სულეიმა მისხლის 1/4-დი, არჯასპი, ნიშადური 1/2 ნახევარ მისხალი, გვარჯილა 1/4 მისხალი — ესენი ყველა მოსქედ ვალესე და რკინაზედ, რაც ანლაზით გინდოდეს, დახატე“ (§ 198).

²¹ შემდეგში: „ილ“.

²² შემდეგში: „უქ“.

²³ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სანკ-პეტერბურგი, 1887 წ.

ანდაზი ხმარებოდა ქართულში „ზომის, საწყაოს, სიდიდის, ოდენობის, აღლის“ ... მნიშვნელობით²⁴. მაგ. „სნეულს შეჭამადისა მონდომება შეეძლოს, ანდაზით აჭამეთ და ასვით...“ („უქ. 4127).

ყურს (არ, სპ. قُرْصٌ) — აბი, კვერი.

ვახტანგი ხან აღმოსავლურ სიტყვას ხმარობს, ხან მის ქართულ შესატყვისს (მაგ. §§ 62, 211, 237, 269...), მაგრამ უფრო ხშირად ვხვდებით ყურსს — „გამხმარი ყურსი“ (§ 89) „ყურხის შექმნა“ (§ 168), „წითელი ყურსი“ (§ 15), აგრეთვე §§ 108, 110, 132 და სხვ. ქართველი მკითხველისათვის გასაგები იყო ამ ტერმინის ორივე ენობრივი ექვივალენტი — როგორც ქართული, ისე აღმოსავლური და ამდენად ვახტანგისათვისაც მისაღები. უნდა აღინიშნოს, რომ ყურსი კანონზომიერად ხმარებოდა ქართულში, მაგალითად, ძველ კარაბადინებში: „უქ“-ში არის სპეციალური „კარი ყურსებისა“ (70—73). აქ მოცემულია მრავალგვარი სამკურნალო აბის, ტაბლეტის დამზადების წესი, მათ შორის შემდეგი აბების: ყურსი აღილა (71გ), ყურსი აფიონი (73გგ), ყურსი ბანავუა (72ჰ), ყურსი ბუზურგ (724) და სხვა მრავალი. გვხვდება ყურსი მრავლობითის ფორმითაც. აკრას (اقراس) (136ჰ). თუმცა აქაც ისევე, როგორც „ქიმიასი“, არის ქართული კვერიც — კვერად დაქნა (70ჰ). ასევე: 70₁₂, 71₁ და ა. შ. ყურსი „იადიგარ დაუდსიც“ იხმარება. (58გ, 466₂₁, 428₂₈ და ა. შ.) სულხან-საბას ლექსიკონში კუერი განმარტებულია, როგორც: „პური მგრგვალი“ (H—1429), „შეზელილი გამხმარი“ (S—2498), „შაქარი და რაიც მობრტყედ შეპქმნა“ (H—1429, H—1658). ლექსიკონის S—2498 ნუსხაში კვერის გასწვრივ მიწერილია მისი „უცხო“ მნიშვნელობა ყურს²⁵. ყურსი ვახტანგს არ შეაქვს ლექსიკონის ქართულ ლექსიკაში, თუმცა მას არაერთი სიტყვა ჩაურთავს საბას ლექსიკონის ნუსხებში (მათ შორის ზემოთ ხსენებულ ნუსხაშიც) დამატების სახით. როგორც ჩანს, მისთვის გარკვეული იყო ქართული ტერმინის მიზანშეწონილობა, თუმცა, ისევე, როგორც სხვა ძეგლებში, მაგალითად, კარაბადინებში, ვახტანგის „ქიმიასიც“ შეიმჩნევა ამ ტერმინის არაერთგვაროვანი ხმარება.

მურდასანგი (სპ. مرده سنگ) „მკვლარი ქვა“, ტყვიის ქანგი — plumbum oxydatum.

„ქიმიასი“ ეკითხულობთ: „მოიტანე ოთხი წონა სპილენძი, ბტყლად გაწულდი... სპილენძის მეთერთმეტედი მურდასანგი. გოგირდი და მურდასანგი ერთად დანაყე...“ (58), აგრეთვე: „მურდასანგი ყვითელი“ (§ 62) მურდასანგი ხშირად ვხვდებით „წიგნი სააქიმოა“-ში²⁶ (47₂₈, 54₄₂, 376₂₆); „უქ“-ში (240₃₅, 371₃₀, 376/26...); „ილ“-ში (440₄, 534₂₈, 619₆). როგორც ჩანს, ეს სპარსული კომპოზიტი კანონზომიერად იხმარებოდა ქართულში „ტყვიის ქანგის“ შესატყვისად.

განსაკუთრებით ხშირია „ქიმიასი“ მცენარეთა აღმოსავლური დასახელებების ხმარება:

ხარდალი (სპ. خردال) — მღოგვი.

„ქიმიასი“ არის „დამწვარი ხარდალი“ (§ 108).

ჯავზი (სპ. არაბ. جوز) — კაკალი.

²⁴ იხ. „უქ“-ის ლექსიკონი.

²⁵ როგორც ცნობილია, სულხან-საბას ლექსიკონის მთელი რიგი ნუსხები ორ- ან სამ-ენოვანია, მათში ქართულ ტერმინთან ერთად მოცემულია არაბულ-სპარსული, თურქული, სომხური, ზოგიერთ მათგანში იტალიური შესატყვისებიც.

²⁶ შემდეგში: „წს“.

ჯავზის ზეთი (§ 55), ჯავზის ყვავილის ზეთი (§ 135), ჯავზი დამწვარი (§ 135), ჯავზის ყვავილი და ა. შ. „უკ“-ში ჯავზი ბოა, ჯავზი ჰინდი და სხვა, „წს“-ში: ჯავზი ბოაი, (82₂₆, 91₄₀...95₂₅) „ილ“-ში ჯავზი (119₂₀, 384₁₇, 487₂₄), ჯავზი ბაეა (328₆, 384₂₉).

„ქიმიში“, ასევე ძველ კარაბადინებში, ყველგან ვხვდებით საბარს „ალოეს“ მნიშვნელობით. შავი საბრი (§ 2), „წითელი საბრი“ (§ 36) — ამ მცენარის სწორედ არაბული სახელი (صبر) იყო დამკვიდრებული ქართულში: „წს“-ში ვხვდებით: „საბრი ყუტრი“ (54,24); საბრი ჰაბი“ (58,15); „ილ“-ში: „საბრი“ (515,8), „საბრი უსყური“ (217,11; 534,6); ასევე: 280,31; 411,27; 534,35. თუმცა აქვე არის უდი (სპ. عود) (118,32, 247,17...), რაფ. ერისთავის რედაქტორობით გამოცემულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში საბრი განმარტებულია როგორც აზუა, სქოლიოში კი რედაქტორის შენიშვნაა: „საბრი — არაბული და აზუა — თათრული და სპარსული“²⁷. ასევე სპარსულ-არაბულია „ქიმიში“ მოტანილი ზოგიერთი სხვა მცენარის სახელწოდებაც: მაგალითად, ლილიფარი (სპ. نيلوفر ، نيلوفر) — მცენარე ნინოფი, შადანაჯ (სპ. شاه دانج), ბადიანა (სპ. بادان) — კამა, შაბმალილა (სპ. شنبلیله) და სხვ. ყველა ამ დასახელებას ვხვდებით კარაბადინებშიც. საფიქრებელია, რომ სწორედ მათგან მომდინარეობს ამ მცენარეთა პრაქტიკული გამოყენებისა და მათი აღმოსავლურ დასახელებათა ხმა-რების ტენდენცია.

გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ აღმოსავლურ სიტყვას — ესაა ტაბარზადი (თაბარზადი) ასევე: ტაბარზათი, ტაბარაზი, თაბარზადი და ა. შ. (სპ. არ. طبرزد ، طبرزد). მას ჯერ კიდევ ვისრამიანში“ ვხვდებით: „რომელსაცა ლუიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა თერაიყი უფრო დააშუენდეს“²⁸. „ვისრამიანის“ ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც „თეთრ-შაქარი“. მას ბევრგან ვხვდებით ამავე მნიშვნელობით კარაბადინებში: „უკ“ — „შაქარი თეთრი ტაბარზათი“ (72,35). „უკ“-ის ლექსიკონში ასეა ახსნილი: „უნდა აყოს რაფინირებული თეთრი შაქარი (sacharum aldam). „წს“ — 96,13; 108,12..., იგი აქც განმარტებულია, როგორც თეთრი შაქარი²⁹. სულხან-საბას ლექსიკონის იმ ნუსხებში, რომლებთანაც ვახტანგს რაიმე კავშირი აქვს, ტაბარზადი ასეა განმარტებული: „ტაბარზადი — შაქარია მყინვარი — ნაბათი“. (H797, 8v), „შაქარია ერთი რიგი“ (A—75, 161v). S—2494-ში კი ამოაზე ტაბარზადის გასწვრივ ასეთი მინაწერია გაკეთებული: „კარაბადინში: შაქარი ტაბარზადი შეასვა, შაქრითა ტაბარზადითა...“ (121v). სპარსულ-არაბ. طبرزد ، طبرزد არის „თეთრი შაქარი“ და „ქვამარილიც“. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ტაბარზადი ყველგან შაქრის განსაკუთრებული სახეობის, ძირითადად „თეთრი შაქრის“ აღმნიშვნელად იხმარება. „ქიმიშიც“ ვხვდებით ამ ძველთაგანვე გავრცელებულ ტერმინს. აქ იგი მარილთან მიმართებაშია მოხმობილი: „მარილი თაბარზანდი წმინდა თეთრია. ამისი ნატეხი მაგარია, ბრწყინვალე“ (§ 168), „მარილი 11 არის: მარილი ტკბილი, მარილი მწარე, მარილი თაბარზად...“ (§ 167). როგორც ვხედავთ, თაბარზადი/თაბარზანდი ამ შემთხვევაშიც (პირველ მაგალითში) სითეთრის, გამკვირვალების აღმნიშვნე-

²⁷ ქართული ლექსიკონი შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, გამოცემული რაფ. ერისთავის რედაქტორობით, თბ., 1884.

²⁸ „ვისრამიანის“, თბ., 1962, 211,7.

²⁹ იხ. „წს“-ს ლექსიკონი.

ლია. ამრიგად, **თაბარზადი/ტაბარზადი** იხმარებოდა არა მარტო შაქართან მიმართებით (მისი სიეთრის, გამჟვირვალეობის აღმნიშვნელად), არამედ ამავე აზრით გვხვდება მარტთან დაკავშირებითაც, როგორც „ქვემარლი“.

ამავე ჭკუფში გაერთიანდა „ქიმიაში“ ხმარებული ამ რიგის სხვა ტერმინებიც, რომელთაც ვახტანგი ასევე ხშირად ხმარობს უთარგმნელად: **ყაბი** (ლანგარი) (§§ 84, 86, 105, 126...), **ჯახინ** (გაჯი, ქვა) (§ 167), **ჯასად** (სხეული, ხორცი) (§ 167), **ნახს** (სპილენძი) (§ 167), **მაფრაყ** (ბრინჯაო) (§ 168), **ნახჩ** (ქარვა) (§§ 224, 182), **ჯივა** (ვერცხლისწყალი) (§§ 18, 53, 87, 105...), **ანწალი** (გოგრა) (§ 132), **შამიანწალი** (მწარე კვახი) (§§ 87, 89, 86)³⁰, **ანწალუთი** (ცხოველურა წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება) (§§ 88, 132)³¹ და სხვ.

აქვე შედის რუსული ტერმინები ზოგიერთი აშკარად რუსული გახმოვანებით — **აღლინციკის კალა**, **ღინციკის მინა**, **ნაშათირი**, **ფეჩი**, **ფივის თხლე**, **ბოლოტის წყალი**, **კობიკი**, **რუმეა**, **ოტკა** (ხსნარის მნიშვნელობით), **რუბინი**, **ჩარკა**, **შუკა** (шукa), **ბოქკა**, **პოროშოკი**, **ყარანდაში**. ვახტანგის მიერ უთარგმნელად ხმარებულ ტერმინებში შედის ძეგლში უხვად მოხმობილი ლათინურბერძნული ტერმინები — **აკატა**, **აკორეისი** — *Aqua Regia* — „სამეფო წყალი“ (ანოტმეავასა და მარილმეავას ნერთი), **ელექსირი**, **ალევიტერმუს**, მის ვახტანგი ასე განმარტავს: „ამბრის ოტკა, რომელსა ჰქვია ალე ვიტერმუს“; **ანთიმონია** (**ანტიმონიუმი**) **ანისული** (მცენარე), **ანთრაკი** (ნახშირი), **წალი** (მარილი), **წალმონიაკი** (ამონაუშის მარილი), **იაკინთი**, **როწმარინი**, **მალწეი** და სხვ. ამ ტერმინებზე დაწვრილებით აღარ შეგვიჩვენებთ.

გვინდა გამოვყოთ რამდენიმე ლათინური ტერმინი, რომლებიც ერთგვარადაა ნაწარმოები, ესენია: **ანიმაზოლი**, რომელსაც ვახტანგი ასე განმარტავს: „**ანიმაზოლი**, რომელ არს ოქროს სული“ (§ 222). ასევე **ანიმალუნეი** — „**ანიმალუნეი**, რომელ არს ვერცხლის სული“ (§ 222). როგორც ვხედავთ, ეს განმარტებები არ არის ამომწურავი, მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, თუ რატომ მიმართა ვახტანგმა მათ ამ პარაგრაფში. ტექსტში ვხვდებით ქართულ „**ოქროს სულსაც**“ (§ 137) — „**ოქროს სულის გაკეთება**“ — ამ პარაგრაფში ლაპარაკია ოქროს დახალასებაზე. ასევე, „**სუფთა**, **ხალასი ოქროს**“ აღმნიშვნელადაა იგი ნახმარი § 138, 225-ში. „**ვერცხლის სულს**“, ამავე აზრით ნახმარს, ტექსტში ვერ შევხვდით: მის ნაცვლად ვახტანგი „**წმინდა ვერცხლს**“ ხმარობს (§ 94). ნათელია, რომ **ოქროსა** და **ვერცხლის სულის** ქვეშ იგულისხმება სუფთა, წმინდა, ხალასი ოქრო და ვერცხლი. ეს ტერმინები ტექსტში იმ ადგილასაა, სადაც მოცემულია „**ზურმუხტის მსგავსი**“ ფერადი მინის დამზადების ერთ-ერთი წესი. მოვიყვანთ კონტექსტს: „**ანიმალუნეი**, რომელ არს ვერცხლის სული, **ანიმაზოლის**, რ(ომე)ლ არს ოქროს სული, — ბოლი მომზადებული. ზალს ზალმონიაკი — ამათთან აიღევ სწორი წონა, აურივე...“ (§ 222). ამ კომპოზიტა პირველი ნაწილი (**ანიმა**), რომელიც მათ საერთო აქვთ, არის ლათინური *animus*, რაც სულს ნიშნავს. ზოლი (სოლი — *solis*) ნიშნავს მზეს, რაც ოქროს უკავშირდება და **ლუნა** (*luna*) — მთვარეს, რაც ვერცხლზე მიგვანიშნებს. აქედან ვასაგები ხდება **ანიმაზოლისა** და **ანიმალუნეის ოქროს** და **ვერცხლის** სულად განმარტება. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგი იყენებდა ან უშუალოდ ლათინურ წყაროს, სადაც იქნებოდა

ი-
“

³⁰ „უკ“-შაჰმი-ჰანთალ/შამიანდელი (69,25); „წს“-შამიანწალი (32,46; 58,29; 58,38...), „ილ“-შაჰმი-ჰანთალი (305,22; 328,33), ასევე **ჰანთალა** (464,24; 522,30; 591,13...).

³¹ „უკ“-ანძარუთი (70,8); ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სპმ. წიგნი — ანძარუთი (790,231), ანძარუთი (277,4; 300,3) და ა. შ.

ეს ტერმინები ნახმარი სუფთა ოქროსა და ვერცხლის აღმნიშვნელად, ანდა რომელიმე სხვა წყაროს, სადაც ასახვა პოვა ამ ლათინური ტერმინების ტრადიციამ.

ამგვარადაა ნაწარმოები ტერმინი ანიმამარტიც — ანიმამარტის ბროლი (§ 225), ტექსტში ვკითხულობთ: „ანიმაზოლი, რ(ომ)ელ არს ოქროს სული, ანიმამარტის ბროლი და ზალონიაკი მიქსი³² აიღევ“ — ვკითხულობთ § 225-ში, რომლის სათაურია „წითელი რუბინის გაკეთება, რომელ არს წითელი იაგუნდი“. ეს ტერმინი გამოცემის ლექსიკონში კითხვის ნიშნითაა გატანილი. მისი ახსნა კი შესაძლებელია, თუ მას ისევე დავშლით, როგორც ზემოთ განხილულ ტერმინებს: ანიმა+ამარტი. ამარტი „უკ“-ს ლექსიკონში განმარტებულია როგორც წითელი იახბი (იახბი — ძვირფასი ქვა, წითელი ან ყვითელი). ანიმამარტის ასეთი განმარტება სავსებით ესადაგება შესაბამისი პარაგრაფის სათაურს, და, ცხადია, მის შინაარსსაც. ამდენად ანიმამარტის ბროლი არის „წმინდა, სუფთა იახბის (იაგუნდის) ბროლი“.

ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ის აღმოსავლური ტერმინები, რომლებიც ვახტანგს უცვლელად გადმოაქვს. ისინი საკმაოდ ბევრია ტექსტში. ჩვენ სანიშნოდ მოვიხმეთ მათი ერთი ნაწილი. უცხო ტერმინთა ხმარებას სისტემატური ხასიათი აქვს იმ პარაგრაფებში, რომლებიც მიჰყვება არ-რასის თხზულებას, თუმცა ისინი მთელ ტექსტშია გაბნეული, ძირითადად მცენარეთა, მინერალთა და სხვა ამგვარ დასახელებათა სახით, რომელთა ხმარებასაც უკვე ჰქონდა იმ დროისათვის გარკვეული ტრადიცია.

მეორე ჯგუფში გაერთიანდა ის აღმოსავლური ტერმინები, რომლებიც ვახტანგს უცვლელად გადმოაქვს, მაგრამ იქვე იძლევა მათ განმარტებას. ეს ის ტერმინებია, რომელთა ქართული ექვივალენტი არ ან ვერ არის მოძებნილი ვახტანგის მიერ — უმრავლეს შემთხვევაში ასეთ შესატყვისთა არარსებობის გამო, თუმცა ზოგჯერ ვახტანგი არჩევს მათს ზუსტ, სიტყვასიტყვით თარგმანს. ამ ცნებათა მნიშვნელობა კი ძირითადად ცნობილია ვახტანგისათვის, მათ აზრს იგი ზუსტად აწვდის მკითხველს. მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს: ა მ ბ ა რ ი (სპ. არაბ. انبر) — „ამბარი სუნელია, ზღვისაგან გამოიღებენ, რომელნიმე ფუტკართა ფიტსა იტყვიან, სხვანი თევზთა შესას“ (§ 265).

ა რ ვ ა (ارواح) — სულები) — „არვა, რომელ არს სული, ოთხი რიგია: ერთი ზიბაყი, რომელ არს ჯივა, მეორე ნიშადური, მესამე ზირნიეხი, მეოთხე ქიბრით, რომელ არს გოგირდი...“ (§ 167).

ვახტანგი რუჰ-საც (روح — სული) მოიხსენიებს: „ამას სული ჰქვიან, სპარსულად რუჰის ეძახიან“ (§ 105). ამ სიტყვას სულის მნიშვნელობით „წს“-შიც ვხვდებით (21, 34; 21, 36). „...ცოცხალთა სულისათვის, რომელსა ჰქვიან რუჰი ჰავანი...“; ასევე: „ნაფსანი რუჰი, ტაბიათი რუჰი“ და სხვ.

ტერმინთა პირველი ჯგუფის განხილვისას, ჰალიხა და ჰელის — ამ ორი განსხვავებული ტერმინის შესახებ მსჯელობისას აღვნიშნეთ, რომ ვახტანგი თვითონ იძლევა ჰელის ამომწურავ განმარტებას: „ჰელი იმას ჰქვიან, რომ მიწა ამოსთხარო ავსავით ღრმა. ქვეშ ახალი წყალუკრავი კირი ჩაყარო, მერმე ზედ ცხენის ფეინი დაყარო სველი, შიგ რაც გინდოდეს, ჩადგა. ზედ წყალი დასახა... ასეც იქნება ჰელი, რომ მიწა მოსთხარო, სველი ფეინი ჩაყარო. რა გასურდეს, შიგ ჩადგა, რაც გინდოდეს. თავს დააფარო რამე... ორმო ჰე-ლიხა: სამი ადლი სიღრმე, 2 ადლი განი და სიგრძე. ადლნახევარი სიღრმე და ადლი განი და სიგრძეც. იქნება უფრო ცოტაც იქნება“ (§ 110). როგორც

³² მიქსი უნდა იყოს გარკვეული საზომი.

ნათქვამია პარაგრაფის კომენტარში, ეს იგივე თერმოსტატია, „რომლის მოქმედების საფუძველია წყალუქრავი კირისა და წყლის ურთიერთქმედებით გამოწვეული სითბო“³³.

არაყი დუათაშა³³ („ორჯერ ნახადი არაყი“) (§ 136), „ორნადული არაყი“ (§ 197).

თასყიდი — გაწმენდა, გაფილტვრა, სუბლიმაცია (არაბ. تصيد). ვახტანგი მას ასე განმარტავს: „თასყიდი იმას ჰქვია, რომ მიწაში რომ ჩაყარო და ყელში ამოვიდეს და მიეკრას ქურაზე დადგმით“³⁴ (§ 110).

„ღალმეი“ — „რომელ არს მიწა, სიყვითლე დაუცემს და მაგარია, საფრანგეთიდან მოვა“ (თუთიის მინერალი) (§ 246).

მუთხრიხი — „რომელ არს რკინის ქანგი“ (§ 86).

ჰადიდ — „რომელ არს რკინა“ (§ 167).

ყულყანდი — „ზაჯი ყულყანდი, რომელ არს შაბი წითელი (წითელი შაბი — Fe₂(SO₄)₃) (§ 50).

ყიბრუსი — „ზაჯი ყიბრუსი, რომელ არს შაბი მწვანე“ (რკინის კუპროსი — FeSO₄) (§ 60).

ვახტანგი ძვირფას თვალთა სახელებს სულხან-საბასეულ განმარტებებს ურთავს.

აკატო — „აინალჰური და იამანად უხმობენ“.

ბიერილი — „ზღვისა და ცის ფერია“.

იასპი — ეს თვალი მოწითანოა და ჰრელი“.

ტოპაზიონი — „თეთრი იაგუნდია“ და ა. შ.

მაგრამ ტექსტში ბევრია ისეთი სიტყვა, რომელთაც არც ვახტანგი განმარტავს და არც გამოცემის ლექსიკონშია ახსნილი. მაგ. ლექსიკონში თაყათირასთან მიითითებულება: „იხ. მარილი“, „მარილის“ სტატიაში, სადაც მარილის თერამეტი სახეა ჩამოთვლილი, ვკითხულობთ: „მარილი ჩინი ცოტა იშოვება, თეთრია, მაგარია. ეს მარილი თაყათირასთ, ამისი სუნი ქათმის კვერცხის მოხარშულის სუნს ჰგავს“ (168). თაყათირასთ ცალკე არ არის განმარტებული, მისი ახსნა კი თვითონ კონტექსტშია მოცემული — იგი მოტანილია მარილი ჩინის, რომელიც „თეთრია, მაგარია“ დასახასიათებლად. რაკი

طاقات (თაყათ) ძალას, გამძლეობას ნიშნავს, ხოლო است (როსთ) — მყარს, მტკიცეს, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მკერვ, მაგარ მარილზეა ლაპარაკი.

გამოცემისეულ ლექსიკონში განმარტებულია თაყდირი (არ. სპ. تقدير თაყთირ — გამოხდა). მას თვითონ ვახტანგი დაშრობილად განმარტავს (ამ ტერმინზე ქვემოთ დაწვრილებით შევჩერდებით). მყათარ კი კითხვის ნიშნითაა გატანილი ლექსიკონში, მაგრამ ეს ხომ იგივე ძირია, რაც (თაყთირ) — مقطر (მოყათთარ) მიმღობაა და ნიშნავს „გაფილტრულს, დისტირირებულს, გამოხდილს“. მოვიყვანთ შესაბამის ადგილს: „არჯასპის მეოთხედი წონა აზისაფრა თელბის მყათარ ჩაადე შიგ“ (§ 167). აბისაფრა³⁵, როგორც გამოცემის ლექსიკონშია განმარტებული, არის ნაღვლის წყალი, რაც შეეხება თელბის, იგი ლექსიკონში კითხვის ნიშნითაა გატანილი. تلبيس (თელბის) არის მინარევი, შერევა, ე. ი. აქ ლაპარაკია ყვითელ არჯასპთან

³³ დუათაშა სპარსული კომპოზიტია: دو (2) + آتش (ცეცხლი). მას ვახტანგი „ყელსმიკრულს“ უწოდებს (იქვე, § 110).

³⁴ „ქიშია“, გვ. 133.

³⁵ „უკ“-საფრა (7,24; 12,8) — ზაფრა, ყვითელი ნაღველი.



დისტორიულ აბისაფრას (ნაღვლის წვენი) **შერევაზე**. კითხვის ნიშანში აქვს დასმული შემდეგ სალექსიკონო ერთეულსაც — ყ ჰ ყ. ეს სიტყვა ტექსტში იმ ადგილასაა, სადაც ჩამოთვლილია ცხოველისაგან მიღებული სასარგებლო ნივთიერებები (§ 168). გამოცემის შესავალში, იქ, სადაც მოცემულია „საგანძურისა“ და „ქიმიის“ თანმხვედრი ადგილები აქ ყჰყ-ს ნაცვლად არის უჰყ³⁶. ჩვენ არ გვეჩვენა საშუალება გავცნობოდით არ-რაზის ხსენებულ თხზულებას ორიგინალში — „ქიმიის“ ხელნაწერში კი დამოწმებულია ყჰყ.

ყჰყ არის თავის ქალის ძვალი, კეფა — არაბული **قحف** (მრ. **قحف**) — ყეჰჰ. „ქიმიის“ ყჰყ ამ არაბული ტერმინიდან უნდა მომდინარეობდეს³⁷. მოვიყვანთ კონტექსტს: „რაც პირუტყვიდამ გამოვა, ამ საქმეში მოიხმარება, ათი არის: ერთი — ბალანი, მეორე — ყჰყ, მესამე — დამალი, მეოთხე — ნაღველი, სისხლი, რძე, საღაფის რქა, ბიზ, შარდი. ამათგან უკეთესი მოსახმარია ზალანი, დამაყა, ბიზ, ყჰყ, სისხლი. თუითო-თუითოს თავის რიგში ვიტყვი“ (§ 168). აქვე გვინდა შევხებით დამალი — დამაყა ტერმინს: ლექსიკონში დამალი და დამაყა ცალ-ცალკეა გატანილი. ეს კი ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულია — **دما** (დამალ) — ტვინი. კონტექსტში ხმარებული ბიზ ლექსიკონში განმარტებულია როგორც „კვერცი“ — სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი მოტანილ მაგალითში, მაგრამ ბიზ ტექსტში სხვა გაგებითაც გვხვდება: „ერთი ვაყია აზბუქალასი ბიზ ქენ“³⁸ (§ 168). აქ ბიზ უკვე ჩაყრას ნიშნავს, ესაა სპ. **بيختن** — ზმნის აწმყოს ფუძე **بيز** (ბიზ) — ჩაყრა, ჩაგდება, ჩასხმა... საფიქრებელია, რომ ბიზ ქენ სპარსული **بيز کردن** შედგენილი ზმნის კალკირებული ფორმაა. ტერმინის ეს მნიშვნელობა ლექსიკონში არაა ასახული.

ლექსიკონში არც აზბუქალასია განმარტებული. ჩვენი აზრით, ეს კომპოზიტია, რომელიც ასე უნდა დაიშალოს **كلس و عذب و كلس** (ქელს) არის კირი, ხოლო **عذب** (აზბ) — წყალი (მტენარი). აქ ლაპარაკია კირიან წყალსხნარზე.

აქვე გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება ლექსიკონში მოტანილ ზოგიერთ განმარტებათა მიმართ: ლექსიკონში აღაჯ სიტყვა ასეა განმარტებული: (თურქ. აღაჯ) — ძველი სიგრძის საზომი, უდრიდა დაახლოებით 5—6 კმ-ს. ამ სიტყვას ვხვდებით § 168-ში, სადაც ბორაკის ამბავია მოთხრობილი — „მერმე გაურჩე ბორი მალრიბი, ბორი ყარბი სიფიდ, ვითამ სომუდ აღაჯი ამ მარილების წყლით“. ცხადია აქ სახვებით შეუხაბამია აღაჯის ლექსიკონისეული განმარტება. აღაჯ თურქული სიტყვაა და ნიშნავს ხეს, **صعد** (სამად) — მარადიული, მუდმივი. აქ გარკვეულ მცენარეზე უნდა იყოს ლაპარაკი, შესაძლებელია ნივთიერებაზე. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია იგულისხმებოდეს სიგრძის საზომი³⁹.

ასევე: ლექსიკონში თასჰუყი / თასუხი განმარტებულია როგორც „წყლის საზიდი რუმბი“. ტექსტში ვკითხულობთ: „ერთი წილი ნიშადური თასჰუყი გარიე“ (§ 168). თასჰუყის მნიშვნელობა ლექსიკონში ერთგვარ

36 ქიმია, გვ. 12.
 37 ვახტანგს ბოლოციდური **ف** (ჰ) ს ნაცვლად შეეძლო წაეთხა **ق** (ყ) და მიეღო ყჰყ- აღმოსავლურ ხელნაწერებში ხომ დიაკრიტიკულ ნიშანთა გამოტოვება ჩვეულებრივი ამბავია.
 38 ვაყია (არ. აუჟია/აუჟია) — წონის ერთეული, უდრის 62¹/₂ მისხალს, ან 2,8,333 გ. „ქიმიის“ ლექსიკონი).
 39 სულხან-საბას ლექსიკონის მთელ რიგ ნუსხებში სალექსიკონო ერთეულის — ხეს გვერდით „სხვათა სიტყვის“ ადგილას მიწერილია აღაჯ (S—2498, H—797).

დაზუსტებას მოითხოვს. საბა **თასუხას** განმარტავს როგორც „სარწყულ კოლოტს“ კოლოტი — სატყბილე ტიკი ზროხისა — (H—1429, H—1658). აქ თასპუყი უნდა გავიგოთ როგორც „წყლის ასარწყავი“ და „არა წყლის საზიდი რუმბი“.

გაუგებარი რჩება გამომცემელთა მიერ შეტანილი ზოგიერთი შესწორება ტექსტში: § 270-ში, სადაც ლაპარაკია **ვერცხლის აქსირის** დამზადებაზე; აქ ვკითხულობთ: „... ბულთავინჩა 5 მისხალი, **ბუხი არლინი** 5 მისხალი — ეს ორი ერთად დანაყე. ვერცხლისწყალი რომ შეიკრას, ზედ დაყარე და გალესე ერთმანეთში და იყოს და მიწაზედ დადგი. მერმე... ვერცხლი — 10 (მისხალი), **ბუხი სიფიდი** — 10, **ბუხი ქაქირი** 10 მისხლები — ესები ერთად დანაყე“ (§ 270). სქოლიოში **ბუხი არლინთან** დაკავშირებით ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „ხელნაწერშია **ბეხი არლინი**“⁴⁰. **ბუხი არლინი** ლექსიკონში არ არის ახსნილი, მას კითხვის ნიშანი აქვს დასმული. ამდენად, გაუგებარია — თუკი უცნობია **ბუხი არლინის** მნიშვნელობა, მაშინ რატომ იცვლება **ბეხი ბუხად? ბეხ** კი შესაძლოა **بُهَي** (ბიხ) — იდან იყოს მიღებული, რაც ფეხვხ, ძირს ნიშნავს. ასევე **ბუხი საფიდი**, **ბუხი ქაქირი**... **سایه** (სეფიდარ) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „ტირიფს“ **سایه** (სეფიდან) — „მდოვავს“. შესაძლოა ამათგან რომელიმე ან სხვა მსგავსი დასახელების მცენარის სახელი იგულისხმებოდეს. **بِهَر** (ბაგერა) კი წამლის სახელია, საიდანაც შეიძლება **ქაქირის** მიღება. „წს“-ში ვხვდებით **ქაქსირის** წყალს (193,4; 193,36). ამ კარაბადინის ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც **ონტყოფა** — *phisalis alkengi*. შესაძლოა სწორედ ამ **ქაქსირს** ჰქონდეს რაიმე კავშირი „ქიმიის“ **ქაქირთან**. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდის სახითაა გამოთქმული, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ტექსტში **ბეხის ბუხად** შეცვლა დაუსაბუთებელია.

იგივე უნდა ითქვას **თანუ ხათაის** შესახებაც. ეს § 2-ის დასათურებაა. სქოლიოში მითითებულია, რომ ეს სათაური აღდგენილია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი საძიებლიდან⁴¹. პარაგრაფზე დართულ კომენტარში ტექსტის ნივთიერებათა სახელები — **წითელი ზირინი**, **შავი საბრი**, **სურინჯი** ახსნილია, თვითონ ქიმიურ პროცესზე კი არაფერია ნათქვამი. შემდეგ ვკითხულობთ: „ამ პარაგრაფის სათაური არ ასახავს მის შინაარსს. ეს შეუსაბამობა იქნებ გადაწყვერის შეცდომით აიხსნას⁴². მაგრამ ლექსიკონში არც **თანუ**, არც **ხათაი** არ არის ახსნილი, ისინი კითხვის ნიშნითაა გამოტანილი. ამდენად, გაურკვეველი რჩება, რატომ „არ ასახავს ეს სათაური პარაგრაფის შინაარსს“ და რატომაა ეს „შეცდომა“, მაშინ, როდესაც უცნობია თვითონ სიტყვათა მნიშვნელობა?!

ძეგლის ტექსტის შესწავლა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ვახტანგის მისწრაფებას უაღრესი სიზუსტისაკენ. როგორც ცნობილია, იგი თვით მხატვრულ ნიმუშთა თარგმნისასაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, რაც ძალზე ხშირად ხელოვნურად, არაქართულად გამოიყურება. ეს ტენდენცია კიდევ უფრო აშკარაა მეცნიერულ ნაშრომთა თარგმნისას, სადაც სიზუსტე აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი. ამიტომ ვახტანგი ზოგჯერ არ ცვლის აღმოსავლურ სიტყვას ქართულში, რადგან შიშობს, ამით არ დაირღვეს ცნების ზუსტი აზრი.

⁴⁰ „ქიმიის“, გვ. 214.

⁴¹ „ქიმიის“, გვ. 71.

⁴² იქვე, გვ. 71.

თუმცა ხშირად ვერ უძებნის მას ქართულ შესატყვისის, ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისი ტერმინოლოგიის არარსებობის გამო. ამ მხრივ შედარებით „გაქართულებულად“ გამოიყურება „ზიგი“ და გარკვეული აზრით „სტროლატი“, სადაც უფრო მეტი აღმოსავლური ტერმინია შეცვლილი ქართული ექვივალენტით, მიუხედავად იმისა, რომ იქაც ბევრია არაბიზმები და სპარსიზმები. ნათქვამი არ ეხება ვახტანგის „ქიმიის“ ორიგინალურ პარაგრაფებს, სადაც თხრობა „ქართულად“ მიმდინარეობს და არა ქართული წინადადების ჩარჩოში მოქცეული აღმოსავლური სიტყვებით. თარგმნილ და ორიგინალურ პარაგრაფთა განსხვავება ლექსიკური თვალსაზრისით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვახტანგის უპირველესად თავმოდრეკილ მიდგომას სათარგმნი მასალისადმი.

ვახტანგის მიერ ასეთი ნაშრომის შედგენა, ცხადია, გულისხმობდა ენაში უკვე არსებული ტერმინოლოგიური მასალის (ქართულის, ორიგინალურისა თუ არაქართულის, მაგრამ მწიგნობრულ ენაში ფეხმოკიდებულის) სრულად გამოყენებას და ამასთან ერთად გარკვეული წვლილის შეტანას ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის (მოცემულ შემთხვევაში ქიმიური ტერმინოლოგიის) შექმნის საქმეში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქიმიური შინაარსის სხვა უფრო ადრეული ქიმიური ძეგლი არაა მიკვლეული. ბუნებრივია, რომ „ქიმიის“ ტექსტში მრავლად იქნებოდა უცხო სიტყვები და ტერმინები, რომლებიც ენამ დროთა განმავლობაში, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ იგუა და ვერ შეითვისა. ამდენად, ეს მეორეული, ქართულისათვის არაბუნებრივი, დასრულებული ტერმინოლოგია მთლიანად არ დამკვიდრებულა ქართულში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ვახტანგის ცდას, შეექმნა ასეთი ტერმინოლოგია. განსაკუთრებით კი ფასეულია და ანგარიშსაკაწრევი მის მიერ ხმარებული ქართული ორიგინალური ტერმინები. ისინი ცხადყოფენ ქართული მეცნიერული აზრის დამოუკიდებელ, თავისთავად არსებობას. „ქიმიის“ ქართული ტერმინებიდან, რომლებიც მესამე ჯგუფში გამოვყავით, გვინდა მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანი:

დაშრობილი — ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ვახტანგი თავდირს „დაშრობილად“ განმარტავს: „თავდირი იმას ჰქვია, რომ ერთი რამ ჰელიდან ამოიღო, მინით იყოს თუ ფიალით, ცეცხლით ამდონი ხარშო, რაც წყალი ჰქონდეს, დაიშროს და ყურსსავით დარჩეს, ქართულად დაშრობილი ჰქვია“ (ყურსი — აბი, კვერი) (§ 110). ვხვდებით აგრეთვე „ნოტიოს ამოშრობას“ (208). (სულხან-საბა დაშრობას განმარტავს როგორც ნოტიოს გაქმობას). ვახტანგის მიერ ნახმარი ეს ქართული ტერმინი „დაშრობილი“ კარგად გამოხატავს თავდირ ცნების არსს, რაც გამოხდას, სულბოიციას ნიშნავს.

ვარდაუხალასებელი მადანი — გადაუმუშავებელი, გაუშენდელი, დასახალასებელი მადანი: „მოიტანე ორი თიხის ფიალა, შიგნიდან ქაშთგამოვლებული და, რა ერთიც გინდოდეს გოგირდი, დანაყე გარდაუხალასებელი მადნიხა, შიგ ფინთფუნთს ნურას შეატან“⁴³ (§ 47). შესაძლოა, აქ უნდა ყოფილიყო გარდაუხალასებელი, რაც იქნებოდა ხალასი — დახალასებიდან მომდინარე.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ტერმინმა გათვისება. ტექსტში ვკითხულობთ: „... ასეც გაწმდება: ვერცხლისწყალი ფიალაში ჩაასხი, შიგ მარილი ჩაყარე და ზედ წყალი დაასხი და ხელით ჰყლიტე, მერმე ვერცხლისწყალი

⁴³ აქ ლაპარაკია სინგურის (ვერცხლისწყლის გოგირდოვანი ნაერთი — HgS) მასალებად ჩატარებული რეაქციისათვის (ვერცხლისწყლისა და გოგირდის შეერთება) სპირო პირობებზე.

გათვისე. გაწმენდილი იქნება“ (§ 108)⁴⁴. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განთავსებული განმარტებულია, როგორც განცალკევებული, სულხან-საბა მას „თუსად მყოფად“ განმარტავს. გათვისება მოყვანილ კონტექსტში ნიშნავს „გამოყოფას, გამოცალკევებას“. ეს ტერმინი კარგად ესადაგება შესაბამისი პროცესის არსს.

როგორც შესავალშია მითითებული, მთელი რიგი ტერმინებისა დღესაც იმავე ფორმითა და მნიშვნელობით იხმარება, როგორც XVIII საუკუნის დასაწყისში. მაგ. კალა, ვერცხლისწყალი, გოგირდი, ნიშადური, ქაფური, არჯახი, სევადი, სულემა, სინგური და სხვ. ორიგინალურია და მისაღები ვახტანგის მიერ ხმარებული ტერმინები: წყალუკრავი ანუ გაუნელებელი და განელებული კირი, რაც უფრო ქართულია და კარგად გამოხატავს ცნების შინაარსს, ვიდრე რუსულიდან კალკირებული ჩამქრალი და ჩაუშქრალი კირი — ამაზე სამართლიანად მიუთითებენ გამოცემის ავტორები⁴⁵. აქვე მითითებულია, რომ ვახტანგი ტერმინოლოგიურად ანსხვავებს კონცენტრირებულსა და არაკონცენტრირებულ ხსნარებს — პირველს ზეთით აღნიშნავს, მეორეს წყლით ან წმინდა წყლით⁴⁶. აქედანაა ძეგლის სათაურიც — „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე ეხება კონცენტრირებულ ხსნართა მიღებას, მათს ურთიერთმოქმედებას.

გაყინვა — „ქიმიასი“ ორი მნიშვნელობით იხმარება. ერთი პირდაპირი — „წყლის გაყინვა თბილ ადგილას“ (§ 278) და მეორე — გამყარების, დაკრისტალების მნიშვნელობით: „მერმე კიდევ ამთონი აღუღე, რომ წყალი გასქელდეს, ერთს რაშიმე ჩაასხი, დადგი. ის მარილს გაყინავს“ (§ 168).

განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინი წურვა. ა. ჩხენკელი თვლის, რომ გერმანულიდან ქართულში შემოსული გაფილტვრის ნაცვლად მიზანშეწონილია წურვის ხმარება, რაც გაფილტვრის იდენტურია⁴⁷. ამ ტერმინს სწორედ მსგავსი მნიშვნელობით სხვა ქართულ ძეგლებშიც არაერთხელ ვხვდებით. მაგ. „ვისრამიანში“, თავში „აქა ქორწილი მოაბადისა და ვისისი“ იკითხება: „შაჰინვა ჯდა მხიარული, გულდაღრევილობისაგან გამოწმენდილი, ვითა გამოწურვილი ვეცხლი“⁴⁸. „გამოწურვილი ვეცხლი“ ამ კონტექსტში სპარსული — *شسته گچ* — სუფთა, წმინდა ვერცხლის ნაცვლადაა ნახმარი. გამოწმენდილიც განმარტავს ფაქტიურად გამოწურვილს. ძველ ქართულ ძეგლებში ვხვდებით სიტყვა წურვილსაც. მაგ. „რომელნი სუმენ წურვილსა ღუნოსა“ (წინასწ. ამოსისი“ 16,6). „გამოწურვილი ღუნო“ სინტაგმაში ისევე, როგორც წინა მაგალითში, ეს ტერმინი წურვის დამკვიდრებული გაგებისაგან („წურვიდა იგი ყურძენსა“ გრ. ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის“, (172,21) განსხვავებულ ნიუანსს იძენს და ნიშნავს „სუფთას, წმინდას“. ამავე შინაარსით უნდა გავიგოთ მათეს სახარებაში ხმარებული დაწურვა: „რომელნი დაწურავთ კურნაკსა და აქლემსა შთანსთქამთ“ (მ. 23,24). აქ დაწურვა გამორჩევას, გამოსუფთავებას ნიშნავს. „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ გამოწურვის ერთ-ერთ მნიშვნელობად მიჩნეულია გამოხდა. მაგ. „შენ გამოსწურე ზეთი („წინასწარმ. მიქიაჲსი“ 6,15). გამოწურვილი კი განმარტებულია, როგორც გამოხდილი. მაგ. „აღსუარულ ზეთითა გამოწურვილითა“

⁴⁴ „ქიმიასი“, გვ. 34.

⁴⁵ „ქიმიასი“, გვ. 33.

⁴⁶ „ქიმიასი“, გვ. 34.

⁴⁷ ა. ჩხენკელი, ქიმიური შინაარსის ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ, საქ. სსრ სამედიცინო საზოგადოების შრომები, ტ. I, 1961, გვ. 297.

⁴⁸ „ვისრამიანი“, გვ. 64.



(წიგნი რიცხუთაი, 28,5). ამ ორ მაგალითში გამოწურვა (გამოწურველი) უნდა გავიგოთ, როგორც **გასუფთავება, გამოხდა (გასუფთავებულო, გამოხდლი)**. წურვა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსი საქართველოსა“—დან ჩანს, დაკავშირებული ყოფილა ლითონთა დამუშავებასთან: „აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, რომელსა **სწურვენ** იგინივე. კუალად არს გოგირდი ფრიად კარგი, არს ლითონიც ვერცხლისა, არამედ არ უწყიან გამოღება“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 645). ამ შემთხვევაში წურვა უნდა ნიშნავდეს **გამოდნობას, დახალასებას**. დ. ჩუბინაშვილი დაწურვის ერთ-ერთ რუსულ ექვივალენტად მიიჩნევს ტერმინს *процеживать*, რაც „**გაფილტვრას**“ ნიშნავს. „ქიმიაში“ ვხვდებით „ნაბლით გაწურვას“ (§ 27), „ქალადღში გაწურვას“ (§ 2). „ხელსახოცში გაწურვას“ (§ 168), „ოტკის საწურავი ქალადღი“ (§ 268) და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში ნივთიერებათა **გაფილტვრა-გასუფთავებაზეა** ლაპარაკი. ამდენად ქართულში ტერმინ წურვას ჰქონდა „გასუფთავება, გამოხდა, გაწმენდა, დახალასების“ მნიშვნელობაც და ამან თავისი გამოხატულება ვახტანგის „ქიმიაშიც“ პოვა, სადაც მას სპეციფიურ-ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეუძენია — იგი უნდა გავიგოთ როგორც „გაფილტვრის, გასუფთავების, დახალასების, გამოხდის“ იდენტური, მისი შესატყვისი ცნება.

ძეგლში მრავალადაა სხვა ქართული ტერმინებიც. თუ მინერალთა და მცენარეთა სახელები ძალზე ხშირად არაქართულია, რაც აიხსნება მათი უცხოენოვანი წყაროებიდან, ან უძველესი ნათარგმნი ძეგლებიდან მომდინარე ტრადიციით, ქიმიურ პროცესთა სახელები თითქმის ყველგან ქართულია; ქართულ ენაში დამკვიდრებული და მრავალგზის ხმარებული, აქ კი სპეციფიური შინაარსით მოხმობილი. ასეთებია: **გამოხდა, გამოწვა, ჩამოსხმა, დაწრობა, გაფოლაღება, დახალასება, შემომიწვა, გაწყალება, დაფვრვა** და სხვ. ასევე განსაკუთრებულ კონტექსტში ნახშიარი ტერმინები: „ოქროდამ სევაღის ამოყრა“ (§ 196), „რკინის გაჰმა“ (§ 179), „ვერცხლისწყლის მოკვდომა“ (§ 128), „გაცეცხლებული ნახშირი“ (§ 39), „გამტყიკული ნაცარი“ (§ 214) და ა. შ. განსაკუთრებით მრავალადაა ამ ტიპის ქართული სიტყვები **ვარაყთან** დაკავშირებით, რაც საქართველოში მოვარაყების ხანგრძლივ ტრადიციასზე მიუთითებს. მაგ. **ვარაყის დავარაყება** (§ 182), **დაკვრა** (§§ 187, 239, 241, 235...), **მიკვრა** (§ 235), **დაფენა** (§§ 236, 238, 240, 241), **დაკერება** (§ 243), **მიცემა** (§ 268) და სხვ. ხშირია ქართული, მაგრამ ხელოვნური გამონათქვამებიც: „ტყვისაგან ჯივის გამოშვება“ (§ 125), „გაუტყეთებელი გოგირდი“ (§ 6), „ბუნების სიშავის გამორთმევა“ (§ 127) და ა. შ.

ჩვენ აღარ შეგჩერდებით ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე — ამის შესახებ გამოცემაში ვრცელადაა საუბარი. რაც შეეხება ვახტანგის მთარგმნელობით მეთოდს, იგი აქაც ისევე, როგორც სხვა ნათარგმნი ძეგლებში, არ ღალატობს თავის პრინციპს — თითქმის ზედმიწევნით სიზუსტეს სათარგმნი მასალის მიმართ, თავის მისწრაფებას — ყველა აღმოსავლურ სიტყვასა და ტერმინს მოუძებნოს შეძლებისდაგვარად ქართული შესატყვისი, ან, თუ ეს ვერ მოხერხდა, ქართულად მაინც აუცილებლად განმარტოს იგი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ „ქიმის“ ხელნაწერის ერთი თავისებურება: ხელნაწერში გვ. 38-ზე აღმოსავლური სიტყვების შემდეგ ვხვდებით ცარიელ ადგილებს. მაგ. ხ ა რ ი ჩ ი ნ ი —, მ ა უ ნ ი ს ა —, რ უ ჰ —, შ ა დ ა ნ ა ჯ —, შ ა ქ —, ჯ ა ს ი —, მაგრამ შესაბამისი ქართული ექვივალენტებით ეს ადგილები არაა შევსებული. მართალია, მათი ახსნა თვითონ ტექსტშივეა მოცემული („ხარჩინი ერთი რამ არის, სარკეს ჰგავს, რბილია, ცოტა იშობა...“, „მაუნ

რამთონიაც ფერია, ქაშანის მხრიდან მოიტანებენ, ის თეთრი იქნება, მაგრამ წითელსაც იქმოდნენ წამლით...“ („შაქი ორი რიგია: თეთრი და ყვითელი. ამას ვერცხლის ქანიდან მოიტანებენ“ და ა. შ.), მაგრამ ეს ადგილები, ალბათ, პირდაპირი შესატყვისი ტერმინისათვის იყო დატოვებული, რის მოქმედაც შემდგომ ვერ მოხერხდა. ამავე მოვლენას შევხვდით „სტროლაბის“ ხელნაწერშიც, სადაც ბევრია ასეთი ცარიელადგილებიანი გვერდები, რომელთაც ვახტანგი ქართული შესატყვისით ავსებს (როგორც ცნობილია, „სტროლაბი“ ვახტანგის ხელითაა ნასწორები). ამ შემთხვევაშიც ვახტანგის წინაშე დგას ქართული ზუსტი შესატყვისის, შესაბამისი ქართული ტერმინის მოძებნის პრობლემა. სხვა ნათარგმნ ძეგლებში ამ მხრივ უფრო მეტია გაკეთებული ჩასწორებების, ძალზე საჭირო და მრავალი საინტერესო ინფორმაციის შემცველი ლექსიკონების შედგენის გზით.

ამგვარად, ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ვახტანგის ნაშრომში შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ფენა: ა) ვახტანგისეული — ქართული, ორიგინალური ტერმინები, ბ) აღმოსავლური — ზოგჯერ მისივე განმარტებით, ზოგჯერ კი მხოლოდ ტერმინის სახით მოცემული, რაც განსაკუთრებით იმ პარაგრაფებში შეიმჩნევა, რომლებიც უშუალოდ არ-რაზის თხზულებას მიჰყვება (აქ. თითქმის ყველა ტერმინი უცვლელადაა გადმოტანილი ქართული წინადადების ჩარჩოში) — ეს პარაგრაფები მკვეთრად განსხვავდება ამ მხრივ არანათარგმნი, ორიგინალური პარაგრაფებისაგან, გ) რუსული, დ) ბერძნულ-ლათინური. თითოეული ამ ტერმინოლოგიური ჯგუფის შესაბამის პარაგრაფთა ლექსიკა დიდად განირჩევა ერთმანეთისაგან, მათ აშკარად ამჩნევა წარმომავლობის კვალი.

Т. Л. АБУЛАДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ ГРУЗИНО-ВОСТОЧНОЙ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

(по «Химии» Вахтанга)

Резюме

«Книга о приготовлении растворов и химических превращениях» Вахтанга VI является первым грузинским памятником химического содержания (она опубликована в 1981 году, подготовили к изданию Енукидзе Т. П. и Кокочашвили В. И.). В представленной работе мы задались целью рассмотреть научно-техническую терминологию на материале «Химии» Вахтанга. Памятник явно носит на себе отпечаток следов восточного, латинского и русского влияний (несколько параграфов взяты Вахтангом из сочинения ар-Рази «Книга тайн»). Языковое разнообразие источников хорошо отразилось в лексико-терминологических слоях памятника.

В результате изучения данного материала было выделено три группы:

1. Иноязычные слова и термины, использованные Вахтангом и закономерно повторяющиеся в тексте в их первичном виде: восточные, русские, латино-греческие.

2. Те иноязычные термины, которым автор подыскивает грузинские эквиваленты, поясняя их, в большинстве случаев, на грузинском языке.

Дело в том, что Вахтангу не всегда удавалось найти грузинские эквиваленты иноязычных терминов в виду отсутствия подобных соответствий в языке. Следовательно, ему нередко приходилось давать

их дословный перевод. В этом и сказывается одна из основных особенностей переводческой деятельности Вахтанга VI, а именно склонность его к крайней точности, верности оригиналу.

3. Грузинские оригинальные термины.

Если в «Химии» названия растений и минералов, которые по традиции свое начало берут от переводческой научной литературы, в основном негрузинского происхождения, то названия химических процессов почти всегда чисто грузинские, оригинальные. В этом мы усматриваем одну из первых попыток ученого внедрить оригинальную химическую терминологию в грузинский язык, что само по себе является исключительно важным этапом в создании грузинской научной терминологии.

თაბილა მგალობლიწვილი

ერთი ფსევდომოქროპირისაული თხზულების
წყაროს საკითხი

წინამდებარე ნაშრომში შევეხებით ამალღების ერთ-ერთ საკითხავს, რომელიც ორ უძველეს ქართულ მრავალთავში — ათონურსა (XI ს.)¹ და კლარჯულშია (X ს.)² დაცული. ათონის მრავალთავში იგი იოანე ოქროპირის სახელითაა შეტანილი³, კლარჯულში კი თავნაკლულია, ამდენად ავტორი არ ჩანს. მაგრამ ამ მრავალთავშიაც ჰომილია იოანე ოქროპირის სახელით ცნობილ ამალღების საკითხავთა ციკლშია ჩართული⁴.

ამ თხზულების შემცველი მრავალი ბერძნული ხელნაწერი არსებობს IX—XVIII სს-ისა. ამთგან ოცდაათზე მეტი შესწავლილია⁵. ჰომილიის ავტორის საკითხი ბერძნული ხელნაწერების მიხედვით ძალზე გაურკვეველია. ოცდაათზე მეტი ხელნაწერი თხზულების ავტორად იოანე ოქროპირს ასახელებს, 14 — კირილე ალექსანდრიელს, 5 — ევსევი ალექსანდრიელს, 1 — ლეონტის, 1 — გრიგოლ ალექსანდრიელს⁶.

ბერძნული ტრადიციით დღემდე შემონახულია ამალღების საკითხავის ორი რედაქცია: 1. მოკლე და 2. ვრცელი.

თხზულების მოკლე რედაქცია XI საუკუნის ათონის ხელნაწერის მიხედვით, სადაც ჰომილიის ავტორად დასახელებულია იოანე ოქროპირი, გამოქვეყნებული აქვს გ. ტეილორს⁷. XVIII ს-ში ამ ჰომილიის გამოცემა ეკუთვნის ბ. დე მონფოკონს⁸, 1935 წელს კი — ქ. პაპადოპულოსს. ამ უკანასკნელმა საკითხავი კირილე ალექსანდრიელის სახელით გამოაქვეყნა⁹. იგივე ტექსტი დაბეჭდილია მინის პატროლოგიის 64-ე ტომში იოანე ოქროპირის სპურებიტს შორის¹⁰.

¹ ათონის მრავალთავი (A) — ხელნაწ. ინსტ. ათონის 11 Rf.

² კლარჯული მრავალთავი (K) — ხელნაწ. ინსტ. A—144.

³ „თქმული იოანე ოქროპირისა ამალღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (A—133r).

⁴ K. 100 r.

⁵ G. Lafontaine, La version arménienne du sermon sur l'ascension d'Eusèbe d'Alexandrie, *Handes Amsorya*, t. 90., Wien, 1976, p. 523.

⁶ G. Lafontaine, La version arménienne... p. 523.

⁷ E. M. Buytaert, L'heritage litteraire d'Émèse, étude critique et historique, *Texts. Bibliothèque du Muséon*, 24, Louvain, 1949, p. 134; G. Lafontaine, La version arménienne... p. 523.

⁸ J. M. Sauget, La version syriaque de l'homélie sur l'Ascension de notre seigneur d'Eusèbe d'Alexandrie, *Augustinianum*, Roma, Ann. XX. fasc. let 2, 1980, გვ. 301—302., G. Lafontaine, La version arménienne... p. 523.

⁹ J. M. Sauget, La version syriaque... p. 301—302., G. Lafontaine, La version arménienne... p. 523.

¹⁰ PG., t. 64, col. 45—48.

გ. ლაფონტენის მიერ შესწავლილ ბერძნულ ხელნაწერთა შორის ხელნაწერი PG-ში გამოქვეყნებული ტექსტის, ე. ი. მოკლე ბერძნული დაქციის იდენტურია.

საკითხავის ვრცელი ბერძნული რედაქცია კი 14 ხელნაწერში დასტურდება, რომელთაგან ზოგიერთი IX—X სს-ით თარიღდება¹¹. ვრცელი რედაქცია მთლიანად გამოქვეყნებული არ არის. იგი მოკლე რედაქციისაგან გ. ლაფონტენის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდად არ განსხვავდება, ვარდა რამდენიმე ჩანამატისა, რომელთაც მეცნიერი აქვეყნებს კიდევ¹². (ამ ჩანამატებს ჩვენ დაწვრილებით შემდეგ განვიხილავთ, როგორც ტექსტის არქაულ ეპიზოდებს).

ამაღლების ჰომილიის მრავალი სომხური ხელნაწერია ცნობილი, რომლებიც XII—XIX სს-ით თარიღდებიან. სომხური ტრადიცია ჩვენთვის საინტერესო თხზულებას სამ ავტორს მიაწერს, ესენია: ევსევი ემესელი, ევსევი კესარიელი და ევსევი ალექსანდრიელი¹³. 1949 წელს საკითხავის სომხური კრიტიკული ტექსტი გამოაქვეყნა ე. ბეიტარმა¹⁴. 1976 წელს კი გ. ლაფონტენმა ე. ბეიტარის მიერ გამოყენებულ სომხურ ხელნაწერებს დაუმატა სხვა სომხური ხელნაწერების ჩვენებებიც და ხელმოკრედა გამოაქვეყნა ეს ტექსტი¹⁵. გ. ლაფონტენი სომხურ თარგმანებში გამოყოფს ორ რედაქციას: მოკლეს და ვრცელს. მოკლე რედაქციაში იგი გულისხმობს ბერძნული ვრცელი რედაქციის შესაბამის სომხურ ტექსტს, რომელიც ე. ბეიტარის მიერ გამოქვეყნებული სომხური რედაქციის იდენტურია და რომელსაც გ. ლაფონტენი განმეორებით აქვეყნებს¹⁶. ვრცელში კი იგი განასხვავებს ორ ქვეჯგუფს: ერთი, რომელსაც დასასრულს აქვს 29-სტრიქონიანი ჩანამატი და გამოქვეყნებულია ე. ბეიტარის მიერ სომხური კრიტიკული ტექსტის სქოლიოში¹⁷, ხოლო მეორე ქვეჯგუფში გ. ლაფონტენი გულისხმობს ზემოთ ხსენებული პირველი ქვეჯგუფის ჩანამატის ანალოგიური ტექსტს, მხოლოდ უფრო გავრცობილს. ამ მეორე ქვეჯგუფის ტექსტს გ. ლაფონტენი ცალკე აქვეყნებს კიდევ¹⁸. ამ ჰომილიის სომხური ორივე კრიტიკული ტექსტის გამომცემლები თხზულებას ევსევი ალექსანდრიელს მიაკუთვნებენ¹⁹.

ამაღლების საკითხავის სირიული ვერსია ერთი ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებული აქვს ი. სოჟეს²⁰. ტექსტი თავნაკლულია და ავტორი არ ჩანს. ხელნაწერს ი. სოჟე IX საუკუნით ათარიღებს, ი. ასემანი კი VII ს-ით²¹, მასვე ეყრდნობა გ. ლაფონტენიც²². სირიული ტექსტი მოკლე ბერძნული რედაქციის ანალოგიურია.

¹¹ G. Lafontaine, La version arménienne... p. 524.

¹² G. Lafontaine, La version arménienne... p. 524—525.

¹³ E. M. Buytaert, L'heritage litteraire... p. 133—134. G. Lafontaine, La version arménienne... p. 525—528.

¹⁴ E. M. Buytaert, L'heritage litteraire... p. 171*—185*.

¹⁵ G. Lafontaine, La version arménienne... p. 533—664.

¹⁶ G. Lafontaine, La version arménienne... p. 533—564.

¹⁷ E. M. Buytaert, L'heritage litteraire... p. 184*—185*.

¹⁸ G. Lafontaine, La version arménienne... p. 565—576.

¹⁹ E. M. Buytaert, L'heritage litteraire... p. 135.; G. Lafontaine La version arménienne... p. 521.

²⁰ J. M. Sauguet, La version suriaque... p. 306.

²¹ J. M. Sauguet Deux homéliaires syriaques du Varican, Orientalia Christiana. Periodica, t. 27 (1961), p. 395.; J. M. Sauguet, La version arménienne... p. 223.

²² G. Lafontaine, La version arménienne... p. 521.



ჰომილიის უძველესი ქართული მრავალთავეების ტექსტების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მრავალთავეებში შეზღუდული მონახული გვაქვს ჩვენთვის საინტერესო თხზულების ორი სხვადასხვა თარგმანი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართების საილუსტრაციოდ:

ქ ლ ა რ ჯ უ ლ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

1. კელთა ჩემთა შექმნეს და დაჰბადეს კაცი მიწისაგან და შუენიერი სასუფეველი მე დავამტკიცე. ხოლო მათ რკინითა შემშუქულეს ჟუარსა.

მე გუერდისა მისგან ადამისა ევამ შევქმენ, ხოლო მათ ლახურითა უგუმირეს გუერდსა ჩემსა. უკუეთუ მივხედი ქუეყანას, შეძრწუნდის და რორინებნ²³.

2. აჰა ესერა, აღვასრულე რასა იგი წინასწარმეტყუელებს ჩემთვის და აღვასრულე ყოველი ნებაჲ მისი, რომელმან მომავლინა მე, მამამან ჩემმან.

და აწ, აჰა ესერა, აღვალ მამისა ჩემისა. ნუ შეძრწუნდები, არა დაგიტევენ თქუენ ობლად, არამედ მოგივლინო თქუენ ნუგეშინისმცემელი იგი სული წმიდაჲ, განმაცხოველებელი იგი, ერთობაჲ მამისაჲ. და მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქუენისათა მიასასრულადმდე ყამათა. ვითარცა ვიყავ დასაბამისაგან ყოველთა წმიდათა ჩემთა თანა, ეგრეცა თქუენ თანა ვიყო²⁵.

ამაღლების საკითხავის ქართული თარგმანების შესრულების დროისა და მათი წყაროების ძიებისათვის აუცილებელი გახდა ამ ჰომილიის სხვადასხვაენოვანი ტექსტების შედგენილობის მიხედვით შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე თხზულების დღემდე შემონახული რედაქციები სამ ჯგუფში გაერთიანდა:

1. ორი ქართული, ვრცელი ბერძნული და მოკლე სომხური რედაქციები;
2. მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები;
3. ვრცელი სომხური რედაქციები.

ა თ ო ნ ი ს მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

კელთა ჩემთა შექმნეს და დაჰბადეს კაცი ქუეყანისაგან და სოფელი კეთილად განავეს. და მათ სამსჭუალნი შემსჭუალნეს.

გუერდისაგან ადამისა ევა შევქმენ და მათ გუერდი ჩემი ლახურითა განაღეს. უკუეთუ მივხედო ქუეყანასა, ძრწის და შეიძრვის²⁴.

აჰა ესერა, აღვასრულე წინასწარმეტყუელებული ჩემთვის. აღვასრულე ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ.

ესერა აღვალ მამისა ჩემისა. არამედ ნუ მწუხარე ხართ, არა დაგიტევენ თქუენ ობლად, არამედ მოგივლინო თქუენ ნუგეშინისმცემელი სული ცხოველსმყოფელი, მსგავსი მამისა ჩემისაჲ. და მე თავადი თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე საუკუნოდ. ვითარცა ვიყავ დასაბამითგან ყოველთა თანა მამათა, ეგრევე ვიყო თქუენ თანა²⁶.

²³ K. 100 r.
²⁴ A. 134 v.
²⁵ K. 101 r.
²⁶ A. 135 r.

ქართული რედაქციების შესასწავლად ამ სამი ჯგუფიდან ჩვენ გამოვიყენეთ მხოლოდ პირველი და მეორე ჯგუფის ტექსტები. მესამე ჯგუფის ვ. ი. ვრცელი სომხური რედაქციები — არ გავითვალისწინებია, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვრცელი სომხური რედაქციები მოკლე სომხური რედაქციისაგან სხვაობს მხოლოდ მის დასასრულს დართული ჩანამართით, რომელიც ვერცერთ სხვაენოვან წყაროში ვერ პოულობს პარალელს. ამის გამო, ტექსტების შეჯერებისას, ჩვენ მხოლოდ მოკლე სომხურ რედაქციას ვიყენებთ.

პირველი ჯგუფის ტექსტები (ორი ქართული, ვრცელი ბერძნული და მოკლე სომხური) მეორე ჯგუფთან შედარებით (მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები) უფრო ვრცელია. მეორე ჯგუფში გაერთიანებული რედაქციებიდან ამოღებულია სამი მნიშვნელოვანი არქაული ეპიზოდი („სამი ცის“, „მოგვის და ლღვის ხის დაწყევლის“ ეპიზოდები), რომელთაგან პირველ ორს, ყურადღება ჯერ კიდევ მ. ვან ესბროკმა მიაქცია თავის მონოგრაფიაში ქართული მრავალთავების შესახებ²⁷. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ვან ესბროკისათვის მაშინ უცნობი იყო ვრცელი ბერძნული რედაქცია, რომლის ფრაგმენტებიც (სწორედ ჩვენთვის საინტერესო სამივე არქაული ეპიზოდი) მოგვიანებით, გამოაქვეყნა გ. ლაფონტენმა²⁸. გ. ლაფონტენი სრულ ვრცელ ბერძნულ რედაქციას არ იძლევა, რადგანაც ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის სხვაობა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხოლოდ ამ არქაული ეპიზოდებით განისაზღვრება. ამის გამო ბერძნული რედაქციების განხილვისას და ქართულთან შეპირისპირების დროს არქაულ ეპიზოდებს ვიმოწმებთ გ. ლაფონტენის გამოცემით, ხოლო საკითხავის დანარჩენი ნაწილებისათვის PG-ს ტექსტს.

პირველ რიგში ჩვენ განვიხილავთ მ. ვან ესბროკის მიერ დასახელებულ ორ არქაულ ეპიზოდს, შემდეგ კი შევეცდებით დავუმატოთ კიდევ ორიოდე, ასევე არქაული პასაჟი, რომლებიც ქართული თარგმანების შესრულების დროისა და წყაროს დადგენაში გვეხმარება.

მ. ვან ესბროკის მიერ დასახელებული არქაული ეპიზოდები:

1. „სამი ცის“ ეპიზოდი:

ამაღლების ჰომილიის ორივე ქართულ რედაქციაში ტექსტის დასასრულს ლაპარაკია „სამ ცაზე“. „სამი ცის ეპიზოდი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემონახულია ასევე საკითხავის I ჯგუფის დანარჩენ ტექსტებში: ვრცელ ბერძნულსა და მოკლე სომხურ რედაქციებში. მაგრამ ვრცელი ბერძნულისა და ორივე ქართული რედაქციებისაგან განსხვავებით სომხურ თარგმანში საუბარია „ორი ცის“ და არა „სამი ცის“ გადაკეთაზე (ასევეა ვრცელ სომხურ რედაქციებშიც, ვ. ი. ტექსტების III ჯგუფში). ჩვენთვის საინტერესო ეს არქაული ეპიზოდი არ არის მხოლოდ II ჯგუფის ტექსტებში: მოკლე ბერძნულსა და სირიულ რედაქციებში²⁹. მ. ვან ესბროკის აზრით, „ეს არის არქაული ეპიზოდი, რომელიც მხოლოდ ქართულმა და სომხურმა რედაქციებმა შემოინახეს“³⁰.

²⁷ M. van Esbroeck, *Le plus anciens homéliaires géorgiens*, Louvain 1975, p. 90, 263.

²⁸ G. Lafontaine, *La version arménienne*. p. 525, 530.

²⁹ ჰომილიის სირიული ვერსია ქართული მრავალთავების ტექსტებს შეუდარა ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცრ. მეცნ. თანამშრომელმა მ. მისურაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

³⁰ M. van Esbroeck *Le plus anciens homéliaires...* p. 90, 282, მ. ვან ესბროკისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნეთ, მისი შრომის დაბეჭდვისას ჰომილიის ვრცელი ბერძ-



ჩვენთვის საინტერესო თხზულებაში „სამი ცის“ ეპიზოდი „პავლენის“ ტექსტზეა დამყარებული. ამას თვით ჰომილის ავტორიც აღნიშნავს: „... რა პირველსა ცასა არს. და მეორესა მას რომელი იყენეს ძალნი, ეგრძეთვე თავყანის-სცემდეს მას, ხოლო მესამითგან და აღმართ ვერლარ მიძს თქუმად, რამეთუ მოძღუარმანცა ჩემმან ნეტარმან პავლე: მიერითგან იჴმნა. ხოლო სხუასა მას, ვითარცა უნდა, აღვიდა...“ K. 103v.

„... რამეთუ ესენი პირველსა ცასა უგალობდნ, და მეორესა ცასა ეგრევე მსგავსად ძალთა თაყუანის-სცეს და მესამესა ზედათ თქუმად ვერ შემკლევ-ზელ ვართ, რამეთუ მოძღუარი ჩუენი კურთხეული პავლე ესრევე იტყუს: და მიერითგან, ვითარცა მას უნდა, აღვიდა, აღასრულა ყოველი...“³¹ A. 136v.

რა შეიძლება ითქვას ამ ეპიზოდის შესახებ? რომელი საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს ტექსტი, რომელშიაც „სამი ცის“ ეპიზოდი დასტურდება?

ადამიანთა მიერ ცის ახსნის პირველი ცდების საფუძველზე იქმნება ასტრალური ანუ ვარსკვლავური მითოსი. შემერული მითოლოგიით ადამიანს დაბადებიდან საქმე ჰქონდა გარე სამყაროსთან, რომელიც სამ სკნელს წარმოადგენდა, ერთი იყო ზესთა, მეორე — ხმელეთი და მესამე ქვესკნელი³². შემერულ-ბაბილონურ მსოფლმხედველობაში სამი, ოთხი, ხუთი, შვიდი, რვა, ცხრა წმინდა რიცხვები იყო.

ქალღმერთი მსოფლმხედველობის მიხედვით მსოფლიო სამ ნაწილად იყოფა: 1. უძრავ ვარსკვლავთა მხარე (ოგდოას, — პერმეტული, საიდუმლო სწავლის თანახმად), 2. მნათობთა მხარე (ებდომას) და 3. მთვარის ქვემოთი მხარე. ამათ ზემოთ სუფევს ღმერთი³³.

აი ამ, და სხვა ანალოგიურ შეხედულებათაგან უნდა წარმოშობილიყო წმინდა რიცხვი სამი, რომლითაც გამოიხატებოდა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი და გაუგებარი მოვლენები³⁴. გარე სამყაროს შესახებ არსებული უძველეს ხალხთა წარმოდგენები, ბუნებრივია, შეირწყა ქრისტიანულ რელიგიაში და თავისი გავლენა მოახდინა მასზე, განსაკუთრებით კი ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. ასე იბადება მოძღვრება სამების შესახებ, ამ რწმენის გამოხატულებაა: „სამი ღმერთი, სამი ფიცი, სამი ჯვარი, სამი ლოცვა“ და ასე შემდეგ³⁵. პითაგორას ფილოსოფიაშიც ხომ სამკუთხედი ითვლებოდა სრულყოფილად³⁶.

ამაღლების ჰომილის, ისევე როგორც „პავლენის“ „სამი ცა“, როგორც არქაული ეპიზოდი, სწორედ ამ წმინდა სამ რიცხვთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც შემდეგ შეიცვალა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მიღებული ცის სფეროთა „სამ ცად“ წარმოსახვის შეხედულება V საუკუნეში ფსევდო-დონისე არეოპაგელის მიერ იცვლება ზუსტად დადგენილი ზეციური იერარქიით, რაც სამი ტრიადისაგან შექმნილ სრულ სისტემას გულისხმობს³⁷.

ნული ტექსტი უნდა იყო, ამას გამო იგი თხზულების არქაული ეპიზოდების ბერძნულ ტექსტს არ იცნობს და ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მხოლოდ ქართულ და სომხურ რედაქციებს იმორჩება.

³¹ შტრ. ... „ალიტატა ესევითარი კაცი, ვიდრე მესამედ ცადმდე“... პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 16, თბ., 1974, გვ. 210.

³² ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976, გვ. 136—145.

³³ J. Kroll, Die lehren des Hermes Trismegistos. Beitrage zur Geschichte der philosophie des Mittelalters. Munster, 1914, B. XII, neft 2—4, S. 307.

³⁴ ეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 45.

³⁵ ეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება... გვ. 45.

³⁶ Wundt, Völkerpsychocogi Laiprig, 1909, B. II, t. III, S. 540.

³⁷ შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური შემკვიდრება, შრო-

ადრეულ ბერძნულ ტექსტებში, მართლაც, დაიძებნა „სამი ცის“ მაგალითები, თითოეული მათგანის დაწერის თარიღი IV საუკუნეს არ სცილდებოდა. მაშასადამე, „სამი ცის“ ეპიზოდის ტექსტში დადასტურება ტექსტის სინკველის მიმანიშნებელი უნდა იყოს, ხოლო თვით ამ ეპიზოდის შემცველი ტექსტი — ბერძნული არქეტიპი — IV საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. ამრიგად, ამ დღეების ჰომილიის ორივე ქართულ, ვრცელ ბერძნულსა და მოკლე სომხურ რედაქციებში შემონახული უნდა გვექონდეს ბერძნული არქეტიპის მოდელი, რომელმაც შემდეგ საუკუნეებში სახეცვლილება განიცადა. ამ ცვლილებათა ასახვას კი წარმოადგენს ერთი მხრივ პირველი ჯგუფის ტექსტებს შორის (ვრცელი ბერძნული, ორივე ქართული და მოკლე სომხ. რედაქციები) არსებული სხვაობები, მეორე მხრივ კი მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები (მეორე ჯგუფის ტექსტები), რომლებშიაც „სამი ცის“ ეპიზოდი საერთოდ არ დასტურდება, რადგანაც ცის სფეროთა ამგვარი გაგება ქრისტიანობის პირველი საუკუნეების შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მიუღებელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ დროისათვის იგი უკვე შეცვლილ იქნა.

2. „მოგვის“ ეპიზოდი:

თხზულების დასაწყისში ქრისტე თავის მოწაფეებს აუწყებს, თუ ვინ შეიძლება მოინათლოს. მოსანათლთა შორის დასახელებულია ყველა, ვინც კი ეშმაკეულისაგან განთავისუფლდება.

კლარჯულ მრავალთავში ვკითხულობთ: „და ნუგის დააყენებთ ნათლისღებისაგან, გინა თუ მახობელთაგანი იყოს, გინა თუ მეძავი, ანუ თუ მეზუერე, გინა თუ მოგვ, გინა კაცის-მკლველი, გინა ავაზაკი, გინა ჰურიაჲ, გინა სამართელი, გინა წარმართი, გინა მონაჲ, გინა აზნაური“ K. 100r.

ასევეა ათონის მრავალთავშიც, მეტ-ნაკლები ცვლილებებით, არ არის მხოლოდ „მოგვ“: „ნუცა ერთსა ვის აბრკოლებთ ნათლის-ღებად, თუ იყოს მეძავი, გინა მემრუშე, გინა მეზუერე, გინა ბილწი, გინა ავაზაკი, გინა სამართელი, გინა ჰურიაჲ, გინა წარმართი, გინა მონაჲ, გინა აზნაური“ A. 134v.

მოკლე ბერძნულსა და სირიულ რედაქციებში (II ჯგუფის ტექსტები) ეს ფრაგმენტი საერთოდ დამოკლებულია და ნათქვამია, რომ მონათვისს ყველა მსურველს შეუძლია მოინათლოს მამის, ძისა და სული წმიდის სახელით³⁹.

მოკლე სომხურ რედაქციაში კი ისევეა, როგორც ქართულში, მცირეოდენი ცვლილებებით. აქაც, ქართული მრავალთავების მსგავსად, „მოგვ“ ზოგ ხელნაწერში გვხვდება, ზოგში კი — არა. „**Մի զօք արգելօք ի մկրտելոյ, եթէ պիտնիկք իցեն, եթէ մաքսաւորք, եթէ մոլօք, եթէ մարդասպանք, եթէ աւագակք, մթէ չամրոսցի, եթէ հրէայ, եթէ հեթանոս, եթէ ժառայ, եթէ աղատ**“⁴⁰. მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით იმ სომხურ ტექსტში, სადაც „მოგვი“ არ დასტურდება, მის სანაცვლოდ ყველგან **կախարք** (ჯადოქარი) გვაქვს.

ორივე ქართული რედაქციის განხილვის შედეგად მ. ვან ესბროკი აღნიშნავს, რომ სიტყვა „მოგვს“ ჩართვას ქართულ ტექსტში ადგილი უნდა ჰქონოდა სასანიდების ბატონობის დამხობამდე და ამდენად, ათონის მრავალ-

მები, ტ. V, თბ., 1975, გვ. 271—275; პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) შრომები, გამოცემული ს. ენუქაშვილის მიერ, 1961, თ. V, გვ. 99—151.

³⁸ W. F. Arndt, F. W. Gingrich, A Greek-English Lexicon of the New Testament and other Early Christian Literature, London, 1957, p. 598,—599; G. W. L a m p e D. D., A Patristic-Greek Lexicon, Oxford, 1965, p. 978

³⁹ PG, t. 64, col. 45.; J. M. S a u g e t, La version syriaque... p. 306,

⁴⁰ G. Lafontaine, La version arménienne... გვ. 536; იქვე შენ. 7.; F. M. B u y t a e r t, L'heritage litteraire.. p. 172*; იქვე შენ. 15 16.

თავის ტექსტი, რომელშიაც „მოგვი“ არ დასტურდება, კლარჯული მრავალ-
თავის რედაქციაზე უფრო ძველი უნდა იყოსო⁴¹.

სიტყვა „მოგვს“ ძირითადად ორი მნიშვნელობა აქვს:

1. ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმი, 2. ჯადოქარი⁴².

„მოგვის“ ტექსტში ჩართვა ან ამოღება ჩვენთვის საინტერესო თხზულებ-
ის ფარგლებში ტექსტის თარგმანის შესრულების გარკვეული პერიოდის მი-
მანიშნებლად, ჩვენი ვარაუდით, ვერ გამოდგება. როგორც უკვე ითქვე, ქარ-
თულის მსგავსად, სომხურ ხელნაწერებშიაც (როგორც ადრეულში, ისე გვიან-
დელში) „მოგვი“ ზოგან გვხვდება, ზოგან მას „ჯადოქარი“ (*კასარყ*) ენა-
ცვლება. „მოგვის“ კლარჯულ მრავალთავში დადასტურება და ზოგიერთ სომ-
ხურ ხელნაწერში „ჯადოქარის“ (*კასარყ*) მნიშვნელობით არსებობა, გვა-
ფიქრებინებს, რომ უძველეს ბერძნულ ორიგინალში მოსანათლთა შორის
„მოგვიც“ (*ὁ μάγος*) უნდა ყოფილიყო დასახელებული, რომელიც კლარჯულ
მრავალთავში შემონახული ჰომილიის მთარგმნელმა ასევე გადმოიღო, სო-
მეხმა მთარგმნელმა კი თარგმან და მას დაუძებნა სომხური შესატყვისი *კა-
სარყ* — ჯადოქარი. მართლაც. მოგვიანებით გამოქვეყნებულ ვრცელი ბერძ-
ნული რედაქციის ფრაგმენტებში მოსანათლთა შორის „მოგვიც“ აღმოჩნდა⁴³.
საერთოდ, მოსანათლ პირთა შორის „მოგვის“ დასახელება (თუ კი მან უარ-
ყო ყოველი ეშმაკეული), სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან
ამას საეკლესიო კრებების კანონები და კანონიკური ეპისტოლეებიც უჭერენ
მხარს⁴⁴.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სიტყ-
ვა „მოგვის“ არარსებობა, როგორც ათონის მრავალთავში, ისე ზოგიერთ
სომხურ ხელნაწერში შემთხვევითობით უნდა იყოს გამოწვეული და ვარიან-
ტულ დონეზე უნდა იქნას განხილული. რის გამოც ჰომილიის ქართულ თარგ-
მანთა „მოგვის“ საფუძველზე დათარიღებისათვის საფუძველი არ ჩანს.

ახლა, რაც შეეხება, საერთოდ, „მოგვის“ ეპიზოდს. ამ ეპიზოდის შესწავ-
ლამ დაგვანახა, რომ იგი ორი რედაქციით არის შემონახული ჰომილიის დღეი-
სათვის ცნობილ სხვადასხვაენოვან ტექსტებში: 1. ვრცელი რედაქცია დაცუ-
ლია ორივე ქართულ, ვრცელ ბერძნულ და ორივე სომხურ თარგმანებში. აქ
ჩამოთვლილია მონათვლის ყველა მსურველი, ვისაც შეუძლია მონათლოს მა-
მის, ძისა და სული წმიდის სახელით⁴⁵. 2. მოკლე ბერძნულ და სირიულ რე-
დაქციებში შემორჩენილია ამ ეპიზოდის მოკლე რედაქცია, სადაც მონათვლის
მსურველნი აღარ არიან ჩამოთვლილნი, უბრალოდ ნათქვამია, რომ მონათ-
ვლის ყველა მსურველს, რომელიც ეშმაკეულს განუდგება, შეუძლია მონათ-
ლოს მამის, ძისა და სული წმიდის სახელით⁴⁶.

ჩვენი აზრით, „მოგვის“ ეპიზოდის ვრცელი რედაქცია ბერძნული არქე-
ტიპიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგანაც ქრისტიანობის პირველ საუკუ-

⁴¹ M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires...* p. 263.

⁴² *Greek-English Lexicon of the New Testament...* p. 486; *A Patristic-Greek Lexicon...* p. 819.

⁴³ G. Lafontaine, *La version arménienne...* p. 530.

⁴⁴ დიდი სკულსკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. ვაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დო-
ლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 152—153.

⁴⁵ G. Lafontaine, *La version arménienne...* P. 530, 536, 537. A. 134 v;
K. 100 r.

⁴⁶ PG., t. 64, col. 45; J. M. Saugey, *La version syriaque...* p. 306.



ნებში, მართლაც, ზედმიწევნით ზუსტად იყო საჭირო მოსანათლ პირთა განსაზღვრა და ჩამოთვლა. შემდეგ საუკუნეებში კი, ბუნებრივია, ამის საფუძველი როება აღარ არის და სრულიად საკმარისია ეშმაკეულისაგან განდგომა, რომ მონათელის მსურველი მოინათლოს (მამის, ძისა და სული წმიდის სახელით). ამას მოწმობს საეკლესიო კრებების კანონებიცა და კანონიკური ეპისტოლენიც⁴⁷.

მაშასადამე, ამ არქაული ეპიზოდის შემცველი ბერძნული არქიტიპი, შესაბამისად, IV—V სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ამაღლების ჰომილიის პირველი ჯგუფის ტექსტებში (ვრცელი ბერძნული, ორივე ქართული და მოკლე სომხური) შემონახულია კიდევ ერთი არქაული ეპიზოდი.

„ლედვის ხის წყევლის“ ეპიზოდი.

ეს ეპიზოდი წარმოადგენს სახარების მათეს 21-ე თავის მე-19 მუხლის თარგმანებას.

სახარებაში ვკითხულობთ: „... და იხილა [ქრისტემ] ლედვ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არარაჲ პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განკმა ლედვ იგი მიესეულად“⁴⁸.

ეს ეპიზოდი აღწერილი და განმარტებულია ამაღლების ჰომილიის ორივე ქართულ თარგმანში:

კ ლ ა რ ჯ უ ლ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

უკუეთუ მრქუათ მე, რაჲსა სწყევდე ლედვ იგი? რამეთუ არა ვპოვე ნაყოფი მას შინა.

ისინეთ, რაჲსათჳს ვწყევდე იგი განკმობად მისა ძირითურთ: თქუნთჳს ვწყევდე იგი, რაჲთა თქუნ განგათავისუფლნე წყევლისაგან. და თქუნთჳს განვაკმე იგი ძირითურთ, რამეთუ მიზეზით მივედ და ვეძიებდ მისგან ნაყოფსა, რაჲთამცა განვაკმე იგი. ნუთუ არა გიცოდეა, ვითარმედ არა აქუნდა მას ნაყოფი, რამეთუ უამიცა ზამთრისაჲ იყო? და ჩემთჳს თქუა წინაწარმეტყუელმან: „რამეთუ რომელი გამოეძიებჳს გულსა და თირკუმელთა ღმერთი“. გულსა და თირკუმელთა გამოვიწუთლილავ და ლედუსაჲ მის არა-მემცა ვიცოდეა, ვითარმედ არა აქუს ნაყოფი? არამედ სახე იყო, რომელი-იგი ყოფად იყო. არამედ ზრახვად იყო, რაჲჲმს-იგი აღსრულებად იყო. რამეთუ,

ა თ ო ნ ის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

უკუეთუ ლედუსათჳს სტქუათ, დავწყევდე, არა ვპოე რაჲ ნაყოფი მის თანა.

თქუნთჳს დავწყევდე იგი, რაჲთა თქუნ წყევლისაგან განგათავისუფლნე. თქუნთჳს იგი განვაკმე ძირითურთ, რამეთუ მივედ ლედუსა მის ძიებად ნაყოფისა მის თანა, რაჲთა იგი განვაკმო. ნუთუჲე არა ვიცოდეა, რამეთუ არა აქუს მას უამსა ნაყოფი არესა მას ზამთრისასა? ჩემთჳს თქუა წინაწარმეტყუელმან, ვითარმედ: „განიკითხავს გულსა და თირკუმელთა ღმერთი“. კაცთა გულსა და თირკუმელთა განვიკითხავ და ლედუსაჲ არა ვიცოდეა, რამეთუ არა აქუს ნაყოფი? არამედ, სახე არს ქმნული ესე და საიდუმლოჲ აღსრულებული. რაჲჲმს გარდაჰხდეს ადამ და ევა მცნებასა, ლედუსა ფურცელი შეიმოსეს და საკრველითა ცოდვისაჲთა ფურცელი

47 დიდი სჯულისკანონი, გვ. 524—526, გვ. 152—153.

48 ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ძველი ქართული ენის ძეგლები, 2, თბ., 1945, გვ. 74.

რაჟამს-იგი შესცოდეს ადამ და ევა, ფურცელი იგი ლელუსაჲ აქუნდა სამოსლად, სირცხულსა ცოდვისა მათისასა იფარვიდეს.

ამისთვის მოვედ ლელუსა მის ნაყოფისა ძიებად. და ვცან, ვითარმედ ფურცელი ხოლო აქუნდა, და ვწყევლე იგი, რაათა განკემეს ძირითურთ, რაათა განკემენ შეცოდებანი იგი ცოდვისანი. არა თუ ყოველი ზმ ლელუსაჲ ვწყევლე, არამედ ერთი იგი ხოლო სახისა მისთვის, რაათამცა მარტოდ ცოდვანი იგი ადამისნი დავჰქსნენ, ამისთვის ვწყევლე ლელვი იგი, ესე თვით ცოდვაჲ იგი განვაკემე.

ესე ყოველი ვყავ, და ესე ყოველი აღვასრულე, რასა-იგი წინაწარმეტყულებდეს ჩემთვის. არამედ ლელუსა მისთვისცა, რომელი-იგი განვაკემე, წინაითვე თქუა წინაწარმეტყუელმან: განვიდე მე ერისა მის მწირობისა ჩემისა, უფალო, რამეთუ ლელუმან არა გამოს(!) ნაყოფი თვისი.

აჰა ესერა, აღვასრულე, რასა-იგი წინაწარმეტყულებს ჩემთვის. და აღვასრულე ყოველი ნებაჲ მისი, რომელმან მომავლინა მე მამამან ჩემმან.

K. 100v—101r.

ასევეა ვრცელ ბერძნულ და სომხურ რედაქციებშიაც ოდნავი ვარიანტული სხვაობებით⁴⁹. ეს ეპიზოდი არ არის მხოლოდ II ჯგუფის ტექსტებში (მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები)⁵⁰.

„ლეღვის ხის დაწყევლის“ ეპიზოდი ცოდვის მისტიკიას უკავშირდება. ეს ეპიზოდი ისრაელის დაწყევლის, მისი უნაყოფობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული⁵¹. სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ძველი ქრისტიანი ავტორები, როგორც წესი, თავს არიდებდნენ ამ ეპიზოდის გადმოცემას თავიანთ თხზულებებში, განსაკუთრებით VI საუკუნიდან. ამ მხრივ გამოჩვენდა არის მიჩნეული VI საუკუნით დათარიღებული სინოპის ბერძნული სახარების სახელით ცნობილ ხელნაწერში ამ ეპიზოდთან დაკავშირებული მინიატურის არ-

ლელუსაჲ გარე შვირტყეს.

ამისთვის მივედ ლელუსა მას თანა, ვიცოდე, რამეთუ ფურცელი ოდენ აქუნდა. და ვწყევლე იგი და განვაკემე, რაათა განვაკემო ცოდვაჲ იგი გარდასლვისაჲ. არა ყოველი ლელუ დავწყევლე, არამედ ერთი ხოლო სახედ, რაათა ცოდვაჲ იგი ადამისი დავწყევო, ესე ხოლო დავწყევლე ლელუ, ესე არს ცოდვაჲ იგი.

ყოველივე ვემენ, ყოველივე აღვასრულე წინაწარმეტყუელი ჩემთვის, რამეთუ ლელუსა მისთვის, რომელი განვაკემე, პირველვე თქუა წინაწარმეტყუელმან: აღსლვასა მას ჩემსა ერისა მის მწირობისა ჩემისასა, რამეთუ ლელუმან არა გამოიღო ნაყოფი თვისი.

A. 135r.

⁴⁹ E. M. Buytaert, *L'heritage litteraire ...* p. 174*—176*; G. Lafontaine, *La version arménienne...* p. 541—545.

⁵⁰ PG., t 64, col. 46., J. M. Souget, *La version syriaque...* p. 310.

⁵¹ *Theologisches Wörterbuch zum Neuen Testament*, Gerhard Eriedrich, B, 7., p. 756—757.; Wycliffe, *Bible Encyclopedia*, Chicago, v. 2, p. 1358.; Б. Геце, *Библийский словарь*, Варшава, 1938, (1978) с. 442.



სებობა, რომელზედაც გამოსახულია ქრისტე ლედვის ხის დაწვევლებზე⁵² ცესში⁵².

როგორც ჩანს, აქ საქმე უნდა გვექონდეს ცოდვის მისტერიასთან დაკავშირებულ გარკვეული ტიპის ლეგენდების განვითარებასთან გარკვეულ სამქაროში. ამ ეპიზოდის აკრძალვის გამოძახილთან უნდა გვექონდეს საქმე ამაღლების საკითხავის II ჯგუფის ტექსტებში (მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები), რომლებშიაც ეს ეპიზოდი არ დასტურდება. ამ ეპიზოდის ბერძნული მოდელიდან ამოღება, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო VI საუკუნიდან, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, VI ს-ში ამ ეპიზოდის ამსახველი მინიატურის არსებობა უკვე გამონაკლისად არის მიჩნეული.

ამრიგად, ამ ეპიზოდის შემცველი ბერძნული არქეტიპი შესაბამისად IV—V სს-ით შეიძლება დათარიღდეს⁵³.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სამივე არქაული ეპიზოდის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ამაღლების ჰომილიის ბერძნული არქეტიპი IV—V სს-ით დავათარილოთ. მისი რედაქტირება კი, ერთგვარი რევიზია, VI საუკუნიდან უნდა მომხდარიყო, რაც თვალნათლივ არის ასახული II ჯგუფის ტექსტებში (მოკლე ბერძნული და სირიული რედაქციები), რომლებშიაც არც ერთი ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ეპიზოდი აღარ დასტურდება. ხოლო რაც შეეხება ვრცელი ბერძნული რედაქციის დღეისათვის ცნობილ 14 ხელნაწერს (რომელთაგან ზოგიერთი IX—X საუკუნეებით თარიღდება), რომლებშიაც ეს არქაული ეპიზოდები შემონახული გვაქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ არ შეეხებია მკაცრი რედაქტორის ხელი, რომელიც VI საუკუნისათვის უკვე მოქველბულ ამ სამივე არქაულ ეპიზოდს ტექსტიდან ამოიღებდა.

ბერძნული არქეტიპის დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან ერთად, ბუნებრივია, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ორივე ქართული თარგმანის წყაროსა და თარიღის დადგენა და მათი ადგილის გარკვევა ამაღლების ჰომილიის მრავალენოვან და მრავალრიცხოვან თარგმანთა შორის.

ქართული თარგმანების სხვა უცხოენოვან წყაროებთან შეჯერების შედეგად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დადგინდა რედაქციათა სამი ჯგუფი. შედგენილობის თვალსაზრისით ქართული თარგმანები აღმოჩნდა რედაქციათა I ჯგუფში ვრცელ ბერძნულსა და მოკლე სომხურ რედაქციათა შორის. ქართული თარგმანების ვრცელ ბერძნულთან და მოკლე სომხურ რედაქციებთან შეჯერების შედეგად, ვერსაძლებელია ითქვას, რომ ორივე ქართული თარგმანის წყარო ბერძნული ორიგინალია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამაღლების ჰომილიის სომხური კრიტიკული ტექსტის გამომცემელი გ. ლაფონტენი აღნიშნავს, რომ ქართული თარგმანი (ავტორი ასახელებს თარგმანს და არა თარგმანებს) სომხურიდან მომდინარეობსო. სამწუხაროდ, მეცნიერს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად არც ერთი მაგალითი არ მოაქვს, გარდა იმისა, რომ აღნიშნავს ქართულ და სომხურ ტექსტებს შორის დიდ სიახლოვეს. მაგრამ ასეთივე დიდი და შეიძლება ითქვას, სომხურთან შედარებით უფრო მეტი სიახლოვითაც კი გამოირჩევა ორივე ქართული და ბერძნული რედაქციები.

⁵² Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, publié par F. Cabrol et R. P. dom Henri, Leclercq, Paris, 1923, t. V, v. II, p. 1593.

⁵³ შდრ. M. van Esbroeck, Le plus anciens homélieaires... გვ. 262; G. Lafontaine, La version arménienne... P. 522.

ქართული ტექსტების ბერძნულიდან მომდინარეობაზე მიგვითითებს ქართულ თარგმანებში დადასტურებული საკუთარ სახელთა ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები, სიტყვათა რიგი წინადადებებში, ათონის მრავალთავში აღმოჩენილი ბერძნიზმი (ხალენი)⁵⁴ და სხვა.

ქართულ, ბერძნულ და სომხურ რედაქციათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „სამი ცის“ ეპიზოდის განხილვა. როგორც ვიცით, ეს ეპიზოდი მხოლოდ I ჯგუფის ტექსტებში (ორი ქართული, ვრცელი ბერძნული და მოკლე სომხური რედაქციები) შემოგვინახეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ეპიზოდის ქართულ, ბერძნულ და სომხურ რედაქციათა შეპირისპირებისას ერთ მხარეს დგება ქართულ-ბერძნული რედაქციები, სადაც ლაპარაკია სამი ცის გადაკვეთაზე, მეორე მხარეს კი სომხური რედაქცია, რომელიც მხოლოდ ორი ცის გადაკვეთას ეხება:

ქ ლ ა რ ჯ უ ლ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

... ხოლო აღსლვასა მას მისსა ზეცად შეძრწუნდეს ძალნი და საუნჯენი წუმისანი და თოვლისანი, სეტყუსა და ცეცხლისანი და ყოველნი იგი ძალნი, რომელნი იყვნეს პირველსა ცასა, მოვიდეს და შიშით თაყუანის-სცეს მას. და ყოველნი დიდებულნი ძალნი იყვნეს პირველსა ცასა. აკურთხევდეს უფალსა, ვითარცა-იგი სამთა მათ ყრმათა გუაუწყეს: წუმად და ცუარი, სიცხე და მზე, მოვარე და ვარსკულავები, ქუხილნი და... შიშით თაყუანის-სცემდეს მას. რამეთუ ესენი პირველსა ცასა არს. და მეორესა მას რომელნი იყვნეს ძალნი, ეგრძევე თაყუანის-სცემდეს მას. ხოლო მესამითგან და აღმართ ვერღარა მიძს თქუმად, რამეთუ მოძღუარმანცა ჩემმან ნეტარმან პავლე მიერთგან იჯმნა, ხოლო სხუასა მას, ვითარცა უნდა, აღვიდა, ხოლო უფალმან ჩუენმან აღასრულა ყოველივე იგი მოხედვად და აღვიდა...⁵⁵

K. 103v.

ამრიგად, ქართული თარგმანების წყარო, ჩვენი აზრით, ბერძნული ორიგინალია. მართალია, ქართული ტექსტები რედაქციულად ახლოს არიან სომხურთან, მაგრამ ეს სიახლოვე მხოლოდ და მხოლოდ საერთო ბერძნული დედნით არის განპირობებული. ხოლო რაც შეეხება იმ მცირეოდენ სხვათ-

ათონის მრავალთავი

... და აღსლვასა მათსა ძრწოდეს ძალნი და საუნჯენი წუმისა და თოვლისა და სეტყუსანი და ცეცხლისანი და კელმწიფებანი, რავედენნი არიან პირველსა ცასა. თაყუანის-სცეს შიშით ყოველმან დაბადებულმან, უგალობდეს უფალსა შესხმასა სამთა ყრმათასა. წუმად და ცუარი, ცეცხლი, მზე და მოვარე, ვარსკულანი, ქუხილნი ყოველთა თაყუანის-სცეს შიშითა, რამეთუ ესენი პირველსა ცასა უგალობენ. და მეორესა ცასა ეგრევე მსგავსად ძალთა თაყუანის-სცეს და მესამესა ზედაით თქუმად ვერ შემძლებელ ვართ, რამეთუ მოძღუარი ჩუენი კურთხეული პავლე ესრევე იტყუს: და მიერთგან, ვითარცა მას უნდა, აღვიდა, აღასრულა ყოველი...

A. 136v.

54 იხ. ათონის მრავალთავის ამავე საკითხავის შესახებ არსებული გამოკვლევა (ხელნაწერი).

55 შტრ. G. Lafontaine, La version arménienne... p. 525, 562—564

ბებს, რომლებიც დღეისათვის შემონახულ ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის შეინიშნება, ეს ფაქტი მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დღეისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს ქართული თარგმანების შესაბამისი ბერძნული ორიგინალი.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე ციტატი ქართული თარგმანებიდან, რომელთა განხილვაც კიდევ უფრო აზუსტებს მრავალთაგების საკითხავების შესაბამისი ბერძნული დედნების თარიღს. ასე მაგ.:

ათონის მრავალთაგში ვკითხულობთ:

1. ... „ნუ მწუხარე ხართ, არა დაგიტევენ თქვენ ოზლად, არამედ მოგივლინო თქვენ ნუგეშინისმცემელი სული ცხოველსყოფელი, მსგავსი მამისა ჩემისა...“

A. 135r.

2. ... „და დაჯდა მარჯუნით მამისა და განაგო ყოველივე ჩუენისა ცხოვრებისათჳს მსგავსმან მამისამან“.

A. 136v.

ტერმინი „მსგავსი მამისა“ ეს არის ბერძნ. *ὁμοεισότης*-ის ქართული შესატყვისი. ათონის მრავალთაგში სულიწმიდისა და ძის მიმართ ტერმინ „მსგავსი მამისა“—ს დადასტურება IV საუკუნის ღვთისმეტყველებაში სამების წევრთა მიმართ გავრცელებული არიანული დოქტრინის ასახვას წარმოადგენს.

ღვთისმეტყველებაში ეს ტერმინი მხოლოდ IV ს-ში იხმარებოდა, შემდეგ იგი შეცვალა *ὁμοεισότης*-მა (ერთარსება)⁵⁶, რაც ამაღლების ჰომილიის დღეისათვის ცნობილ ბერძნულ და სომხურ რედაქციებში დასტურდება კიდევ⁵⁷.

ამის გამო, ვფიქრობთ, რომ ათონის მრავალთაგის საკითხავის დედანი IV ს-ში შექმნილი ბერძნული არქეტიპი უნდა იყოს. შესაბამისად მისი თარგმანი, ე. ი. ათონის მრავალთაგში შემონახული ჰომილია, უნდა შექმნილიყო არა უადრეს V ს-ის დასაწყისისა.

კლარჯული მრავალთაგის შესაბამის ადგილებში კი ვკითხულობთ:

1. ... „ნუ შესძრწუნდებით, არა დაგიტევენ თქვენ ოზლად, არამედ მოგივლინო თქვენ ნუგეშინისმცემელი იგი—სული წმიდაა, განმაცხოველებელი იგი, ერთობაა მამისა...“

K. 101r.

2. ... „და დაჯდა მარჯუნით მამისა და აღასრულა ყოველივე ერთობაა მამისაა, ყოვლად ერთღმრთეებაა მამისა...“

K. 103v.

სამების წევრთა მხოლოდ ერთიანობის „ერთობის“ აღნიშვნა IV ს-ში საკმარისი არ იყო. ქრისტიანულ სამყაროში ნიკეის სიმბოლოს დამცველთა თუ მოწინააღმდეგეთა შორის მართლმადიდებელთა მიერ დადგენილი დოგმებისა და ტერმინთა გარშემო არსებული პოლემიკის ერთგვარ გამოძახილს

⁵⁶ А. П. Лебедев, Вселенские соборы IV—V веков, 1896; В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, Петроград 1918. с. 1—134.

⁵⁷ იხ. PG., t. 64, col 45, 48.; G. Lafontaine, La version arménienne... p. 546, 564.

უნდა ვხედავდეთ კლარჯული მრავალთავის ზემოთ მოტანილ ციტატებში, სადაც პირველად სულწმიდა ნახსენებია როგორც „ერთობა მამისა“, შემდეგში იგივე ტერმინი გამოყენებულია ძის მიმართაც, მაგრამ იქვე დაზუსტებულია, რომ იგი, ე. ი. ძე, არა მართლ „ერთობა“ არს მამისა, არამედ მისი ერთღმრთეობაც⁵⁸, მისი ერთარსებობა. შესაბამის ბერძნულ და სომხურ ტექსტებში გვაქვს ერთარსებობა (*ἑνωσις, միասնական*).

ტერმინ „ერთობის“ დაზუსტება და მასზე „ერთღმრთეობას“ დამატება ტექსტში, ჩვენი აზრით, III—IV სს-ში ფართოდ გავრცელებული საბელიანოსელთა მიმდინარეობის უარყოფის ცდას უნდა გულისხმობდეს⁵⁸. ამადლების ჰომილიის სირიულ რედაქციაში კი, პირიქით, ამ მიმდინარეობის ანარქულიან უნდა გვეჩინდეს საქმე, აქ იგივე შემთხვევაში, სულწმიდასთან და ძესთანაც გამოიყენება ტერმინი თანამუდმივი, უფალთან მუდმივად ერთიანობაში მყოფი⁵⁹.

ტერმინ *ἑνωσις*-ის ნაცვლად „ერთობისა“ და მასზე დამატებული „ერთღმრთეობა“-ს, „ერთარსების“ დადასტურება ქართულ თარგმანში უფლებას გვაძლევს კლარჯული მრავალთავის პარალელური ბერძნული ორიგინალი IV ს-ის დასასრულით ან V ს-ის დასაწყისით დავათარილოთ, ხოლო თვით მრავალთავის საკითხავის თარგმანი კი შესაბამისად V ს-ით.

ამადლების ჰომილიის ქართულ და სხვა უცხოენოვან ტექსტებში დადასტურებული არქაული ეპიზოდებისა და საღვთისმეტყველო ტერმინთა გათვალისწინება თხზულების დღემდე შემონახულ რედაქციათა დათარიღების საშუალებას იძლევა.

1. ჩვენთვის საინტერესო საკითხავის ბერძნული არქეტიპი IV ს-ით უნდა დათარიღდეს.

2. მის თარგმანს წარმოადგენს ათონის მრავალთავში დაცული საკითხავი, შესრულებული არა უადრეს V ს-ის დასაწყისისა.

3. ბერძნული არქეტიპის ერთ-ერთი პირველი ვადამუშავეების მოდელს უნდა წარმოადგენდეს კლარჯული მრავალთავის ბერძნული დედანი, რომელიც IV ს-ის დასასრულით ან V ს-ის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.

4. შესაბამისად, კლარჯული მრავალთავის საკითხავის თარგმანი V ს-ით თარიღდება.

5. დღეისათვის ცნობილი ვრცელი ბერძნული რედაქცია, რომელიც IX—X სს-ის ხელნაწერებით არის შემონახული, ბერძნული არქეტიპიდან მომდინარეობს. მაგრამ, ბუნებრივია, საუკუნეთა მანძილზე მასში შეტანილია მცირე კორექტივები (ასე მაგ.: დაზუსტებულია საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია).

6. ვრცელი ბერძნული რედაქციის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს მოკლე სომხური რედაქცია, რომელიც დაახლოებით VI—VII სს-ით შეიძლება დათარიღდეს არქაული ეპიზოდებისა და საღვთისმეტყველო ტერმინთა გათვალისწინებით, თუმცა დღეისათვის ცნობილ სომხურ ტექსტებს გვიანდელი ვადამუშავეების კვალიც ატყვიათ (მხედველობაში გვაქვს ვრცელი სომხური რედაქციები).

7. წყარო მოკლე ბერძნული რედაქციისა, რომელიც XI საუკუნის ხელნაწერებითაც კი არის ცნობილი, VI ს-ში უნდა შექმნილიყო (დათარიღების საშუალებას იძლევა არქაულ ეპიზოდთა გათვალისწინება).

⁵⁸ А. П. Лебедев, Вселенские соборы... с. 23—110.

⁵⁹ J. M. Saugey, La version syriaque... p 310—311, 316—317.



8. თხზულების სირიული თარგმანი მოკლე ბერძნული რედაქციიდან უნდა იყოს შესრულებული VI—VII სს-ში.

ახლა, რაც შეეხება თხზულების ავტორს, ქართული მრავალთავეების დონეზე, სადაც ამდღეების საკითხავის მხოლოდ ორი თარგმანია შემონახული, ჰომილიის ავტორობის საკითხის გარკვევა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. ერთი რამ კი ცხადია, ქართულ მრავალთავეებში ამ საკითხავის იოანე ოქროპირისადმი მიეკუთვნება მხოლოდ ბერძნული ტრადიციით შეიძლება აიხსნას, სადაც ხელნაწერების უმრავლესობა ჰომილიას იოანე ოქროპირს მიიწერს, განსხვავებით სომხური ტრადიციისაგან, რომლის მიხედვითაც საკითხავი სამ ავტორს მიეკუთვნება, ესენია: ევსევი კესარიელი, ევსევი ალექსანდრიელი და ევსევი ემესელი.

კლარჯულ მრავალთავეში ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ამდღეების ჰომილიის მსგავსი უძველესი თარგმანების გამოვლენა კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ვარაუდს, რომ ეს კრებული ერთ-ერთი უძველესი კრებულიდან უნდა იყოს გადმოწერილი. რაც შეეხება თარგმანთა საკითხს, ჩვენ მიერ შესწავლილი თხზულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ ძველი მთარგმნელები დიდი მოწიწებით ექცეოდნენ დედანს, თარგმნიდნენ ზუსტად. ხოლო თარგმნის ხარისხი დამოკიდებული იყო, რაღა თქმა უნდა, მთარგმნელის ხელოვნებაზე. ასე გაჩნდა ამ უძველეს ქართულ მრავალთავეებში ძლიერი და სუსტი თარგმანები. მაგრამ ჩვენ მიერ განხილული ამდღეების საკითხავის ქართულ, ბერძნულ და სხვაენოვან წყაროთა შორის არსებული სხვაობანი შეუძლებელია აიხსნას იმ გარემოებით, რომ ქართველი მთარგმნელები, თითქოსდა განუჩრჩევლად სარგებლობდნენ ერთდროულად სხვადასხვა ენაზე არსებული თარგმნილი ტექსტებით⁶⁰.

მრავალთავეებისა და საერთოდ, ანალოგიური უძველესი კრებულებისათვის მასალის შერჩევა ხდებოდა ძალზე ფრთხილად და თუ კი საჭირო მასალა არ აღმოჩნდებოდა დედნისეულ ენაზე შემონახული, ან ხელმისაწვდომი, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდნენ მთარგმნელებიცა და კრებულის რედაქტორ-შემდგენლებიც საჭირო თხზულებათა სხვაენოვან ტექსტებს. ძირითადად ქართული მრავალთავეების საფუძველი უნდა ყოფილიყო ანალოგიურ უძველესი ბერძნული კრებულები და მათი მასალა, ხოლო შემდეგ კი ამ თხზულებათა სხვაენოვანი თარგმანები.

Т. Г. МГАЛОБЛИШВИЛИ

ОБ ИСТОЧНИКЕ ОДНОЙ ГОМИЛИИ ПСЕВДО-ЗЛАТОУСТА

Резюме

В данной работе рассматривается гомилия о Вознесении псевдо-Златоуста. Она представлена в виде двух самостоятельных переводов в древнегрузинских многоглавах X—XI вв. (Кларджетский — X в., Афонский — XI в.). Текст этой гомилии также сохранился на многих языках христианского востока (на греческом, сирийском и армянском).

В результате сравнительного изучения этих редакций выяснилось, что грузинские тексты должны были быть переведены с греческого в V веке. В пользу данного предположения свидетельствуют некоторые архаические эпизоды и отдельные идеологические моменты памятника.

⁶⁰ M. van Esbroeck, Les plus anciens homéliers... p. 256.

ლალი ჯღამია

XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

(თუენის ზოგიერთი ათონური ნუსხის შესახებ)

თუენის ათონურმა ნუსხებმა შემოგვინახეს მნიშვნელოვანი მასალა თუენის შექმნის ისტორიისა, მისი თავდაპირველი კომპოზიციისა და თუენის ზოგიერთი ბერძნული წყაროს შესახებ. ამ თვალსაზრისით ათონური ნუსხები სრულიად უნიკალურია.

გიორგი მთაწმიდელის მიზანი იყო შეექმნა „სულთა განმანათლებელი, წყაროა უკუდავებისა და პირი ეკლესიისა“ სათუეო წიგნი (Ath. 65), რომელიც, როგორც ერთი ათონური ნუსხის ანდერძში იკითხება, „მისწორებულ იქმნებოდა საბერძნეთისა ეკლესიათა საგალობელთა სიმრავლითა“ (Ath. 73). სწორედ ამიტომ მას თუენზე მუშაობისას უსარგებლია მენაიონის რამდენიმე შესაძლოა, ათეული ბერძნული დედნით და მათგან საუკეთესო „ვითა ნათელი მზისა, ეგრეთ გამოუკრებია“ (Ath. 52).

ათონურმა ნუსხებმა ასახეს თუენზე გიორგი მთაწმიდელის მუშაობის მთელი პროცესი.

ათონურ კოლექციაში ჰიმნოგრაფიული კრებულების 21 ნუსხაა, რომელიც სამ ჯგუფს ქმნის:

1. მცირე ფორმის საგალობლები,
2. კანონები, რომელთაც უძღვის ერთი ან ორკომპლექტიანი სტიქარონები,
3. თუენის სრული სახის კრებულები.

პირველი ჯგუფის ნუსხები სტიქარონთა შემცველია. მათი ცალკე კრებულად არსებობა უკვე მიუთითებს იმას, რომ გიორგი მთაწმიდელმა, ვიდრე ის თუენს საბოლოო სახეს მისცემდა, თარგმნა თუენის შედგენილობისათვის აუცილებელ კომპონენტთა ცალკე არსებული კრებულები, მთელი წლის სტიქარონები, რომლებიც აერთიანებს მცირე ფორმის საგალობლებს — უფალო ღალატყავსას, აქებდითსას, საკუთრივ სტიქარონებს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, წარდგომანის მასალას (Ath. 58, 65, 66, 73).

ანდერძში, რომელიც ერთვის თვეებად დალაგებულ მთელი წლის სტიქარონების კრებულს, გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს: „დავწერია წმიდასა ამას წიგნსა. ხოლო აქა სტიქარონნი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, ჩებერვალი, მარტი სუბუქადრე, აპრილი სუბუქადრე და ეგრეთვე მაისი და ეგრეთვე ივნისი და ეგრეთვე ივლისი და ეგრეთვე აგუსტოსი“ (Ath. 73)¹.

¹ Ath. 73 ნაკულოა. წყდება 22 სექტემბრის მასალზე. ამ ნუსხის ვაგრაჟებაა Ath. 58, რომელიც იმავე ხელთაა ნაწერი: იწყება 23 სექტემბრის მასალით, გრძელდება 24 მაისამდე. (ხ. R. Blake Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laura d'Jviron au mont Athos, 1934, p. 248. ბლეიკის № 57-ის აღწერილობა შეესაბამება № 58 ხელნაწერს და არა № 57-ისას).



Ath. 52-ს დართულ ანდერძში კი გიორგი მთაწმიდელი პირდაპირ მიუთითებს, რომ მას ხელთ ჰქონდა სოფიაწმიდის სტიქარონთა კრებული:

„გულსავსებით უწყოდეთ, რომელ არღარა რომელსა საბერძნეთისა ეკლესიასა არა იპოვბის ამისი უკეთესი სათუეე, სრული და უნაკლულო. პეტრეწმიდისა დიდისა ეკლესიისა სათუეე და სუმეონწმიდისაჲ მქონდეს და სოფიაწმიდისა სტიქარონნი“. მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელის მუშაობის ეს საფეხური ბერძნულის ტრადიციას ასახავს: ბერძნულშივე არსებობდა მცირე ფორმის ვალობათა ცალკე კრებულები.

თუენის მუშაობის პირველ საფეხურზევე გიორგი მთაწმიდელმა მეორე ჯგუფის ჰიმნოგრაფიული კრებულები თარგმნა. აქ კი შემოდის ისეთი ნუსხეები, რომლებსაც პირობითად მცირე თუნეს ვუწოდებთ (Ath. 57,52). ეს ნუსხეები შეიცავენ კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებულ კანონებს, ყოველი დღის განგებაში შემავალი ერთი ან ორკომპლექტიანი სტიქარონებით, რომელთაც მოსდევს (არა სისტემებრ) გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თუენისათვის დამახასიათებელი ვალობა-წარდგომანი.

Ath. 52, რომელიც ე. წ. მცირე თუნეს წარმოადგენს, თავისი შედგენილობით მიჰყვება თუენის სინურ ნუსხებს (Sin. 7—2, 9, 56)². სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნუსხა დათარიღებულია 1040 წლით და აქედან გამომდინარე, ითვლება გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფად³. Ath. 52-ის ხელით ნაწერია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის სვინაქსარი (Ath. 76), რომელიც, აგრეთვე 1040 წლითა დათარიღებული⁴...

საინტერესოა ის, რომ ასეთი შედგენილობის თითოეული თვის მასალას (იგულისხმება ე. წ. მცირე თუენი) გიორგი მთაწმიდელი ურთავს თვის სტიქარონთა ცალკე კომპლექტს, რასაც მოსდევს „ოხითანი“ და „გამოავლინენი“ (მცირე ფორმის დასდებლები). სტიქარონთა კომპლექტი ყოველი დღისათვის რამდენიმე (ოთხ-ხუთ) და ზოგჯერ უფრო მეტ სტიქარონს შეიცავს (განსაკუთრებით საუფლო დღესასწაულებზე).

როდესაც გიორგი მთაწმიდელი ანდერძში შენიშნავს, რომ თარგმნისას მას ხელთ ჰქონდა „პეტრეწმიდისა დიდისა ეკლესიისა სათუეე და სუმეონწმიდისაჲ“, პეტრეწმიდისა და სუმეონწმიდის სათუეოში იგულისხმება სწორედ მეორე ჯგუფის ჰიმნოგრაფიული კრებულები, ე. წ. მცირე თუენი. ბერძნული მენაიონის ყველაზე ადრეული, XI საუკუნით დათარიღებული, ნუსხეები სწორედ ასეთი შედგენილობისა (ΠΒ. греч. № 553)⁵, მაგრამ წარდგომანის გარეშე. ბერძნულ მენაიონებს არც სტიქარონთა კომპლექტი ერთვის.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის მუშაობის ეს საფეხურიც ბერძნულ ტრადიციის ამსახველია. მაგრამ აქ უკვე აშკარად გამოიკვეთა გიორგი მთაწმიდელის ტენდენცია, რომ თავი მოუყაროს მთაწმიდლისეული რედაქციის თუენში შესატან მთელ ჰიმნოგრაფიულ მასალას. ამის ერთი დამადასტურებელი ფაქტი ისიცაა, რომ ყოველი დღის განგებაში, კანონის წინ მოთავსებული სტიქარონები თუნეს დართულ სტიქარონთა კომპლექტში არ შედის.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, 1979, გვ. 162.
³ А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, 1886, с. 81; R. Blake Catalogue des manuscrits Géorgiens..., p. 251) აღ. ცაგარლის აზრით, ეს ნუსხა XI საუკუნით თარიღდება, წაავას გიორგი მთაწმიდელის ხელს და შესაძლებელია, ავტოგრაფი იყოს რ. ბლევიც 1040 წლით თარიღებს და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფად მიიჩნევს.
⁴ R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens.., p. 257.
⁵ Е. Гранстрем, греческие рукописи в собраниях Советского союза, В. В., XVI, вып. I, 1960.

ამ ორი სახის ჰიმნოგრაფიული კოებულის შეერთება-გამთლიანებამ მოგვცა ნუსხათა მესამე ჯგუფი, თუეის სრული სახე, დღის განგებაში შემავალი და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თუენისათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტით: უფალო ღალატყავსა, სტიქარონი, სტიქარონის „სხუანი“ (რომელიც ზოგჯერ ათეულამდეა), უძლისპირო წარდგომანი, კანონი, აქენდითსა (Ath. 48, 51, 55, 46...), ე. წ. ამ ჯგუფში გაერთიანდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ბერძნულშივე ცალკე არსებული კრებულები, კალენდარული თანმიმდევრობით შეირწყა მთელი ის ჰიმნოგრაფიული მასალა, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა „უნაკლულო“, სრული სახის თუენის შექმნისათვის თარგმნა. უფრო ზუსტად, გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სტიქარონების მთელი მასალა (სტიქარონთა ცალკე კომპლექტი, მცირე თუენის სტიქარონები) მთაწმიდლისეული რედაქციის სრულ თუენში გამოლიანდა და საბოლოოდ მივიღეთ ყოველი დღის განგებაში, კანონის წინ სტიქარონთა კომპლექტის გავრცობილ ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ ხუთ-ექვს და ზოგჯერ ერთ ათეულამდე სტიქარონს შეიცავს.

როგორც ჩანს, გიორგი მთაწმიდელი ასეთივე მეთოდით მუშაობდა სხვა ლიტურგიკული ძეგლების — მარხვანის, პარაკლიტონის შექმნისას. ის ცალკე თარგმნის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონების კრებულს. ამაზე მიუთითებს Ath. 73-ის ანდერძი: „სტიქარონნი საწელიწდონი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი და მარხვათანი, ვიდრე ყოველთა წმიდათამდე ადგომისანი და სამარადისონი, რვათა კმათანი და წარდგომანი რვათა კმათა სამარადისოთანი — ყოველი ძლისპირსა ზედა და სხუად მრავალი კეთილი, ვითა ზანდუკსა შინა თითოეულად სწერია წიგნისა დასაბამსა“⁶.

ათონურ კოლექციაში მარხვანის სტიქარონების კრებული არა ჩანს. მაგრამ გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ერთ იერუსალიმურ მარხვანს (Ier. 61) ერთვის სტიქარონების კომპლექტი, რომელიც შემდეგ ამ ტიპის კრებულში აისახა, გამოლიანდა⁷. როგორც ჩანს, ასეთივე მოსამზადებელი საფეხურებით მუშაობს გიორგი მთაწმიდელი პარაკლიტონზე...

თუენის გამოლიანების პროცესში გიორგი მთაწმიდელი მარტო არ ყოფილა. ის ქმნის თუენის სრული რედაქციის ალბათ რამდენიმე თვეს, ანდერძებით კი მიანიშნებს უკვე არსებული, მის მიერ თარგმნილი მასალის მიხედვით თუენის გამოლიანებაზე. „სტიქარონნი და წარდგომანი ჩუენსა დედასა არა ეწერნეს (შემდეგ არ იკითხება)... მიწყებით და კარვად, რომელნიც სწერდედ, დაწერეთ... (მე) ბერძულთა სტიქარონთა შინა მინდა ძებნად და თარგმნად და თულავად..., ძნელ არს. წყალობითა ღმრთისათა მზა აქუს“, — წერს გიორგი მთაწმიდელი Ath. 66-ს დართულ ანდერძში.

ასეთ პირებად, რომელნიც გიორგი მთაწმიდელის მიერ დასახული გეზით მუშაობენ, ათონური ნუსხების ანდერძების მიხედვით, XI საუკუნის მოღვაწენი — გრიგოლ ხახულელი და ნიკოლა მონაზონი ჩანან.

1076 წელს გადაწერილ ოქტომბრის თუენს დართულ ანდერძში (Ath. 54) გრიგოლ ხახულელი წერს (მოგვაქვს ანდერძი მთლიანად):

„წმიდანი და სათნო ღმრთისანი, მას ღმერთშემოსილსა მამასა გიორგის ესე სათუეოდ დედისა ვერ ერთობით პოენისა მიზეზითა არა მიწყებით დაეწე-

⁶ Ath 72-ის ანდერძის წინა ნაწილი გამოქვეყნებულია. იხ. ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, 1982, გვ. 9.

⁷ ლ. ხევსურიაანი, სტეფანე საბაწმიდლის უცნობი საგალობლები ათონურ პერიოდის მარხვანებში, 1982 (ხელნაწერი).

რა. გარსა ჩუენ მისითავე მადლითა, ვითარცა პატიოსანსა ნუსხასა შინა მისსა ვპოვეთ, ყოველივე მიწყებით დაგვწერია.

„ესე რომელ ოკდომბერისა წმიდათა გალობანი ბოლოსა დაგვწერიან, არათუ მისსა სათუშოსა შინა ეგრეთ ვპოვეთ, არამედ თვსაგან ერთობით დაწერილისაგან გამოვიხუშნით. და მე, გლახაკმან გრიგოლმან, ამით თუეთა დაწერებაჲ კელ-ყვაჲ. ეგრეთ გამოვარჩიე, რაჲთა თითოეულსა თუშსა თუსნი გალობანი თანა აქუნდენ და ოდესცა ვის უნდეს, გარდიკდიდეს. ღმერთმან უმეტესად ნეტარ-ყვენ სული მამისა გიორგისი, რომელმან ესოდენი შრომაჲ თავს-იდვა ამის წმიდისა საგალობლისა თარგმნისათჳს.

„ლოცვა ყავთ, წმიდანი ღმრთისანო, ჩემ უღირსისა ბერისა გრიგოლ ხახულელისათჳს, რომელმან სიყუარულითა წმიდისა ამის საგალობლისაჲთა ვინებე წმიდათა ამით თუშთა აღწერაჲ, არათუ ნამეტავისაგან სიმდიდრისა ვიიძულე, არამედ გულსმოდგინებისა მისწრაფებითა სიგლახაკმ უკლებელს-ყვაჲ, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი, ვითარმედ სურვილი სომრთელესა მისცემს, გულსმოდგინებაჲ მკუდართა აღადგინებს, ხოლო სიყუარული ყოველსავე მიუტეობს“.

ანდერძი რამდენიმე თვალსაზრისითაჲ საინტერესო: ანდერძმა წარმოაჩინა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის სრულიად უცნობი პიროვნება, რომელსაც ხელეწიფებოდა გიორგი მთაწმიდელის მიერ გაკვლეული გზით მუშაობა, რომელიც გარკვეული იყო ზოგადი ჰიმნოგრაფიის საკითხებში და რომელსაც შეეძლო ღირსეული მემკვიდრე ყოფილიყო თავისი ღირსეული მოძღვრისა.

როგორც ანდერძიდან ჩანს, გიორგიეულ ნუსხას, საიდანაც გადაიწერა და გასრულდა გრიგოლ ხახულელის მიერ თუენის ეს ნუსხა, ბოლოს ერთვოდა სტიქარონების კომპლექტი, გრიგოლმა კი მცირე ფორმის გალობანი თავთავის ადგილას ჩასვა და გაასრულა, გამათლიანა თუენი.

„ესე რომელ ოკდომბერისა წმიდათა გალობანი ბოლოსა დაგვწერიან, — წერს გრიგოლ ხახულელი — არათუ მისსა სათუეთსა შინა ეგრეთ ვპოვეთ, არამედ თვსაგან ერთობით დაწერილისაგან გამოვიხუშნით“.

როგორც ანდერძის ამ მონაკვეთიდან ჩანს, გრიგოლ ხახულელმა გამთლიანების საპირისპირო პროცესიც შეასრულა. მან ოქტომბრის თვის თავისავე გამთლიანებულ ნუსხას დაურთო საგალობელი, რომელიც მიძღვნილია ოქტომბრის თვის წმიდანებისადმი. მართლაც, ნუსხას ერთვის ერთი საერთო საგალობელი, რომელშიც მოხსენიებულია კალენდარული თანმიმდევრობით ოქტომბრის თვის ყველა წმიდანი — 1 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით, სულ 122.

გრიგოლ ხახულელის სურვილია, რომ ყველა თვეს ერთვოდეს ამ სახის საგალობელი. ის ამართლებს კიდევ ასეთი მუშაობის მიზანს: „მე, გლახაკმან გრიგოლმან, ამით თუეთა დაწერებაჲ კელ-ყვაჲ. ეგრეთ გამოვარჩიე, რაჲთა თითოეულსა თუშსა თუსნი გალობანი თანა აქუნდენ და ოდესცა ვის უნდეს, გარდიკდიდეს“.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში არ მოიძებნება მსგავსი შემთხვევა, რომ ერთ საგალობელში თავმოყრილი იყოს ხსენება ასეთი რაოდენობის წმიდანებისა. ამ მხრივ გრიგოლ ხახულელის ნამუშავენი სრულიად ორიგინალურია*.

* აქ ვასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: X—XI საუკუნის იადგარებსა და მარხვანებში (Sin. 5,75; Sin. 34, 59, 64) ყველიერის შაბათს მერვე ხმაზე შესულია კანონი,

საგალობელი ჰიმნოგრაფიის ყველა მოთხოვნის დაცვითაა შესრულებული. მისი კომპოზიცია ასეთია: ხუთმუხლიანი უფალო ღალატყავსა, რვაოდიანი კანონი, ყოველი ოდის შემდეგ ძლისპირის შესაბამისი ღმრთისმშობლისანი. გრიგოლ ხახულელმა იცის, რომ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თუენის დამახასიათებელი ნიშანია ყოველი დღის განგებაში კანონის წინ, სტიქარონების რიგში, მცირე ფორმის გალობის, წარდგომანის არსებობა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც იგი აგრძელებს მთაწმიდლისეულ ტრადიციას და თავის საგალობელში წარდგომანიც შეაქვს. მაგრამ მან ისიც შესანიშნავად იცის, რომ წარდგომანის ტექსტი შეიძლება დაეყრდნოს უფალო ღალატყავისას ტექსტს (ამის შესახებ — ქვემოთ) და თავის საგალობელში წარდგომანის ადგილს, უფალო ღალატყავისას შემდეგ, ასეთ შენიშვნას ურთავს: „ესევე (ე. ი. უფალო ღალატყავსა) წარდგომანად თქუნენ“.

აღსანიშნავია ის, რომ ხუთსტროფიან უფალო ღალატყავისაში თავმოყრილია, შექმებულია ოქტომბრის თვის ყველა წმინდანი, კანონში კი კალენდარული თანმიმდევრობით წმინდანების შექმბა თავიდან იწყება.

ამ საგალობელმა დაასრულა ოქტომბრის თუენი. გრიგოლ ხახულელი ურთავს მას გიორგი მთაწმიდელის ანდერძს ოქტომბრის თუენის თარგმნის შესახებ, გადმოყოლილს პირველწყაროდან: „დიდება ღმერთსა. დასრულდა თუე ოკდომბერი. ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგი თარგმანისათუს, რომელმან დიდითა შრომითა ვთარგმნე წმიდაჲ ესე საგალობელი“. გრიგოლ ხახულელის ანდერძი კი, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა, მოსდევს გიორგი მთაწმიდელის ანდერძს. ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ თუენის გამთლიანება-გავრცობა, რასაც გრიგოლ ხახულელი ასრულებს, მასვე მიაჩნია გიორგი მთაწმიდელის ნამოღვაწარად.

გრიგოლ ხახულელისეული ოქტომბრის თვე გადაწერილია ივერონში 1076 წელს ზოსიმე მონაზონის მიერ: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთაწმიდას, ლავრასა შინა დიდებულსა ქართველთასა კელითა უღირისა ზოსიმე მონაზონისათა. უცბად ჩხრეკისათუს შემინდევით და ლოცვა ყავთ.“

ოღეს ესე დაიწერა, დასაბამითჲან წელნი იყვნეს ხქოვ, ხოლო ქრონიკონი იყო სტვ, ინდიკტიონი — იდ, ხოლო აფხაზეთს — ძჲ ბაგრატიისი. ხოლო წინამძღუარი ლავრისა ჩუენისაჲ იყო წმიდაჲ მოხუცებული გიორგი ოლთისარი, ხოლო ღმერთსა ჩუენსა დიდებაჲ აწ და უკუნისამდე, ამენ“.

გრიგოლი თავის ანდერძში გიორგი მთაწმიდელს გარდაცვლილად იხსენიებს: „ღმერთმან უმეტესად ნეტარ-ყვენ სული მამისა გიორგისი, რომელმან ესოდენი შრომაჲ თავს-იდვა ამის წმიდისა საგალობლისა თარგმნისათუს“.

გიორგი მთაწმიდელი გარდაიცვალა 1065 წელს⁸. მაშასადამე, გრიგოლ ხახულელს, ათონელ მოღვაწესა და, ალბათ, გიორგი მთაწმიდელის თანამედროვეს, ოქტომბრის თუენზე უმუშავია 1065—1076 წლებს შორის.

რომლის ავტორია თეოდორე სტუდიელი (*Theodoros, Roma, 1879, გვ. 17*); კანონის I ნაწილში, VII ოღამდე, ანბანის რიგზე შექმებულია წმიდა მამანი ანტონიდან ხარიტონამდე, კანონის მეორე ნაწილში კი (VII, VIII, IX ოღები) შექმებულია წმიდა დედანი, რომელთა შორის ნახსენებია წმიდა ნინო, „ქართლისა დედაჲ“ (საგალობელი მოგვაწოდან ლ. ხევსურიაშვილმა).

როგორც ჩანს, ბერძნული ჰიმნოგრაფიის ისტორიასა და აქედან ქართულ ჰიმნოგრაფიაში არსებობდა გარკვეული ლიტერატურული ტრადიცია ერთ კანონში ერთი ჯგუფის წმინდანების მოხსენიებისა. მაგრამ გრიგოლ ხახულელის საგალობელი თავისი ფორმით და შინაარსობრივი დაცვირთვით სიხალეა ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში.

⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 217.

გრიგოლ ხახულელი რომ წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან, ხახულელად ყოფილა, ამაზე მისი ზედწოდება, ხახულელი მიანიშნებს. ხახულელის ამ დროს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ჰიმნოგრაფიული სკოლა არსებობდა, ამ სკოლის წარმომადგენელია XI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ბასილი ბავრატის ძე⁹. ამ სკოლაშივე ისწავლა გიორგი მთაწმიდელმა, როგორც მისი ბიოგრაფი ვადმოგვეცეს, „შეწყობილებანი იგი გალობათანი“¹⁰. (შტრ. ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა: „... თქუნენ ჩუენსა უკეთუ უწყით, თუ რაბამი ჭირი უნა ამათ დიდთა ძლისპირთა ზედა თარგმანსა და თულავასა და შესწორებასა. უკეთუ კულა ესე ძლისპირნი სხუებრ ვინ იცნოდით, ნუ გიკვრს, მე ხახულს დამისწავლიან“ (Ath. 73). ამავე ჰიმნოგრაფიულ სკოლაში ვანი-სწავლა, ალბათ, გრიგოლ ხახულელი.

შემდგენელ-რედაქტორის მუშაობა გამოიხატა იმიტაც, რომ სხვა კომპონენტებთან ერთად მან თუნეში შემავალი ყოველი დღის განგებაში აუცილებელ ელემენტად კანონის წინ შეიტანა ერთმუხლიანი მცირე ფორმის გალობა, რომელსაც წარდგომანი ეწოდება. წარდგომანი გიორგი მთაწმიდელის თუნეში ჩვეულებრივ უგალობდითსას წინაა მოთავსებული, სტიქარონების რიგში. იგი იმდენად გიორგისეულია, რომ ჰიმნოგრაფიულ კრებულში ამ მუხლის არსებობის მიხედვით შეიძლება ზუსტად განსაზღვრა იმისა, საგალობელთა კრებული გიორგის რედაქციისაა თუ არა. სწორედ წარდგომანის მიხედვით განისაზღვრა, რომ იანგრის (H 2338), თებერვალ-მარტის (Ier. 100), აპრილის (H 2336) თუნი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

როდესაც ვამბობთ, „წარდგომანი“ გიორგი მთაწმიდელის თუნის დამახასიათებელი მოვლენაა, ამით ხაზს ვუსვამთ შემდეგ გარემოებას: წარდგომანი, როგორც მცირე ფორმის გალობის გარკვეული სახე, გიორგი მთაწმიდელმა აქცია საგალობლის (რა თქმა უნდა, არ იგულისხმება კანონი) კომპონენტად. თავისთავად წარდგომანი ქართული ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკის აუცილებელი ელემენტია.

აუენს დართული ანდერძების მიხედვით გიორგი მთაწმიდელის, როგორც გიორგი მთაწმიდელის თუნეში წარდგომანი ყველა შემთხვევაში უძლისპიროდაა წარმოდგენილი. იქნება შთაბეჭდილება, რომ წარდგომანი ე. წ. თეთინი, თეთიავაჯი, ისეთი გალობა, რომელიც ძლისპირს არ საჭიროებს და რომელსაც საკუთარი მეტრი და ავაჯი, მუსიკალური კომპოზიცია აქვს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ათონური კოლექციის თებერვლის თუნეს (Ath. 55) დართული ანდერძი ვადამწერისა.

ანდერძში იკითხება: „დიდებამ და მადლი ყოვლად ძლიერსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა. დაესრულა თუე თებერვალი სრულად და უნაკლულად ჩემ საწყალობელისა და მწარედ ცოდვილისა ნიკოლა რეცა მონაზონისადათა.

„ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, ნუსხათავან წმიდისა მამისა გიორგი თარგმანისათა. წმიდანო მამანო, მეცა ნუ ვიქმნები ბრალეულ. ნეტარსა მამასა გიორგის ფებერვალისა ანდერძი არაა დაეწერა. თუ არა მე, ვითარცა წმიდისა სახარებისა სიტყუათა, ეგრეთ თანა არა წარგვჰდებოდე. მაგრამ ვითარცა ემცნო სხუათა

⁹ ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI ს., თბ., პედაგოგ. ინსტ. შრომები, IX, 1952, გვ. 183; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურატიურის ისტორია, I, 1980, გვ. 235.

¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლატერატურის ძეგლები, II (XI—XV ს.), 1967; ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, 1982, გვ. 10.

ანდერძთა შინა, ამას კანდიერ ვიქმენ და სტიქარონნი, რომელ უკანაჲს ეთარგმნეს, მისვე ღმერთშემოსლისა ბრძანებითა თანავე თავის თავისა აღვიღსა დამეწერა. და რომელ ძლისპირსა ზედა წარდგომანი ეთარგმნეს, თუთადაცა დამიწერიან და თუ კმასა არა მოეზავებოდის, ნუ გიკვრს. მას, ვითარცა სული წმიდაჲ, მოსცემდა თარგმანი. და შენ ორივე წინა ვიც, ნუ ჰმიზეზობ. მე, რომელი ძალ-მედვა, გულსმოდგინებაჲ ვაჩუენე. და ამის თუხაჲ ყოველივე თუს-თუსად დაეწერე. შენ, ვინცა სწერდე, გინა იქმარებდე, თუ რამჲე გამეგრყუნას, შემინდვე. და მცნებისათჳს ღმრთისა თქუ ერთითა სიტყუთა შენდობაჲ ურიცხუთა ცოდვათა ჩემთაჲ. და ვინცა სწერდე, ამათ სიტყუთა თანავე დასწერდი. დაღაცათუ არა მის ნეტარისანი არიან, არამედ მისნივე მცნებულნი და მისითა მადლითა.

„უფალმან ღმერთმან მადლითა წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა წმიდისა მამისა ეფთჳმესითა, გიორგისითა მამაჲ ჩუენი ნიკოლა პროტოსინგილოსი დაიცევინ, მისსა წინამძღურობასა დაიწერა ესე თუე“¹¹.

ანდერძი რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო: უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ როგორც ანდერძიდან ჩანს, გიორგი მთაწმიდელს წარდგომანი ბერძნულიდან უთარგმნია „ძლისპირსა ზედა“. ე. ი. წარდგომანს, ისევე როგორც მცირე ფორმის გალობებს (უფალო ღალატყავისა, აქებღითსა, აღვიგენითსა), ჰქონია ძლისპირი, რაც წარდგომანისათვის მეტრულ-მელოდიურ ყალიბს წარმოადგენდა.

სტიქარონების ათონურმა ნუსხებმა (Ath. 52, 66) ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათი აჩვენეს: სტიქარონების კრებულში (Ath. 66) ოქტომბერ-ნოემბრის სტიქარონებია წარმოდგენილი, დალაგებული კალენდარული თანმიმდევრობით. ყოველ დღეს ორი, სამი ან ზოგჯერ ერთ ათეულამდე სტიქარონია (განსაკუთრებით საუფლო დღესასწაულებზე). Ath. 66-ისა და გიორგი მთაწმიდელის ოქტომბრის თუენის იერუსალიმური ნუსხის შედარებისას (Jer. 124) წარმოჩნდა, რომ თუენის იერუსალიმურ ნუსხაში შესულია მთლიანად ათონური სტიქარონების მასალა. სტიქარონების კრებულიდან, კონკრეტული დღისათვის განკუთვნილი სტიქარონებიდან, ყოველი ბოლო სტრიქონი ოქტომბრის თუენის იერუსალიმურ ნუსხაში გამოყენებულია წარდგომანისათვის: უკუგდებულია ძლისპირი, ზოგჯერ შეცვლილია ხმა, ამის შესაბამისად გამართულია ტექსტი და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა გიორგი მთაწმიდელის თუენის უძლისპირო, თვითავაჯი წარდგომანი:

თა ოკდონბერსა იგ, წმიდათა მოწამეთა კარბო და პაპილესი.

კა ზ ბ გი.
ყოველი სასოებაჲ.
ვითარცა ყოვლად ბრძენმან,
ღმრთისმხილველმან დიდებულმან,
კარბე, ყოვლად ნეტარო,
იხილე შენ ცანი,
ზესკენელი განხუმეილნი,
ხოლო ქრისტე ღმერთი
საყდართა მჯდომარე
საშინელთა,

თა ოკდონბერსა იგ, წმიდათა მოწამეთა კარბო და პაპილესი (158v)

სტიქარონი ბ გი.
ყოველი სასოებაჲ.
ვითარცა ყოვლად ბრძენმან,
ღმრთისმხილველმან დიდებულმან,
კარბე, ყოვლად სანატრელო,
იხილენ შენ ცანი,
ღირსო, განხუმეილნი,
ხოლო ქრისტე ღმერთი
საყდართა მჯდომარე
საშინელთა

11 რ. ბლეიკის აღწერილობაში ანდერძის ეს ბოლო ამზაცი გამოქვეყნებული არ არის. 89



ქერაბინნი
 სერაბინთა თანა
 ვარემოას მისსა განათლებულნი,
 ხოლო ჩუენ კულად შენ მიერ
 განენათლდით, ბრძენო
 მამათმთავარო,
 სამწყსონი შენნი
 და გვედრებით, ითხოვე სოფლისა-
 თუს მშუდობაჲ
 და აურაცხელი დიდი
 წყალობაჲ სულთა ჩუენთათჳს.

ჯ' ა დ გ' ი.
 ედემთა.
 ნაყოფნი ღმრთისმეცნიერებისანი
 შრომითა მით შენითა
 აღაორძინენ
 და უღმრთოებითა
 ეკალნი ძირითურთ აღმოჰვებურენ
 და იცხე საცხებელითა
 მღდელობისათამე,
 რომლისა მიერ
 და დაჰმწყსი ერი
 მღდელთმარტულთა, შჯულეირად
 ილუაწე
 და მრჩობლსა
 მოსაგებელთა ღირს იქმენ შენ მიერ
 კურნებათა
 დიდებაჲ მეუფისა,
 რომელმან გადიდა, დიდებულო.

Ath. 66.

და ქერაბინნი
 სერაბინთა თანა
 ვარემოას მისსა განათლებულნი,
 ხოლო კულად ჩუენ შენ მიერ
 განენათლდით, ბრძენო
 მამათმთავარო,
 სამწყსონი შენნი
 და გვედრებით, ითხოვე სოფლისა-
 თუს მშუდობაჲ
 და აურაცხელი დიდი
 წყალობაჲ სულთა ჩუენთათჳს.

წარდგომაჲ ჯ' ა ა.
 ნაყოფნი ღმრთისმეცნიერებისანი
 აღაორძინენ შრომითა შენითა
 და უღმრთოებისა ეკალნი
 ძირითურთ აღმოჰვებურენ
 და საცხებელითა მღდელობისაჲთა
 იცხე ღმრთისა მიერ
 და დაჰმწყსი ერი, მღდელთმოდუ-
 არო
 და სჯულეირად ილუაწე
 და მრჩობლსა მას მოსაგებელსა
 ღირს იქმენ,
 ნეტარო კარპე,
 დიდებაჲ, რომელმან განგაძლიერა
 შენ,
 დიდებაჲ, რომელმან გვრგვნოსან-
 გყო შენ,
 დიდებაჲ, რომელი აღასრულებს
 შენ მიერ
 ყოველთა შორის კურნებასა.

Jer. 124.

როგორც ამ შედარებითი მასალიდან ჩანს, სტიქარონების კრებულიდან სტიქარონები თუენში უცვლელადაა გადატანილი, ბოლო სტიქარონი კი თუენის წარდგომანის მასალადაა გამოყენებული.

მნიშვნელოვანია მეორე მხარეც: ზემოთ მოტანილი ანდერძიდან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელმა მის მიერ თარგმნილ ჰიმნოგრაფიულ კრებულებს (სტიქარონებს, თუენს) დაურთო ანდერძები, საიდანაც გამოიკვეთა მეთოდი, რომლის მიხედვით უნდა გამოთიანდეს, გასრულდეს თუენი. ანდერძის მწერალი, ნიკოლა მონაზონიც სწორედ სხვა ანდერძებიდან ამოკითხული შენიშვნების მიხედვით იქცევა: „სტიქარონნი, რომელ უკანაჲს ეთარგმნეს, მისივე ღმერთმემოსილისა ბრძანებითა თანავე თავის-თავისა აღგილსა დამეწერა“ (შდრ. ანდერძი, რომელიც ერთვის Ath. 65-ს: „სტიქარონნი მიწყებით და კარგად დაწერეთ“). გიორგი მთაწმიდელის მითითებების მიხედვითვე ნიკოლა მონაზონმა იცის, როგორ მოექცეს გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირიან წარდგომანს.

სტიქარონების კრებულისა (Ath. 52) და ნიკოლა მონაზონის მიერ გადა-



წერილი თებერვლის თუენის (Ath. 55) შეჯერების შედეგად სტიქარონ-წარდგომანის ურთიერთმიმართებისა გამოიკვეთა იგივე სურათი, რაც ზემოთ Ath. 66-ისა და თუენის იერუსალიმური ნუსხის (Ier. 124) შედარებისას ვაჩვენეთ. სტიქარონების კრებული (Ath. 52) შეიცავს ძლისპირიანი წარდგომანის მასალას. ნიკოლა მონაზონი სტიქარონების კომპლექტიდან (Ath. 52), კონკრეტული დღისათვის განკუთვნილი სტიქარონებიდან (ზემოთ ნაჩვენები სურათის მსგავსად) ბოლო სტიქარონს იყენებს თებერვლის თუენში შესატანი წარდგომანისათვის: უკუაგდებს ძლისპირს, შეუვცლის ხმას, ამის მიხედვით გამართავს ტექსტს და მიიღებს უძლისპირო თვითავაჯ წარდგომანს:

Ath. 52 (სტიქარონების კრებული)

თა თებერვალსა ა, წინა დღე მიცვალებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.
 სტიქარონნი დ გ^ი.
 არაჲ დააკლდი.
 ზეცისა კამარათავან გარდამოკდეს ძალნი ცათანი და პირმშოსა ყოველთა დაბადებულთასა
 ხედვენ დედისა მიერ ყოვლად წმიდისა,
 ჩჩვლებრ ტურთულსა და ტაძრად მომავალსა და ვალობენ ჩუენ თანა განკრვებულნი
 ვალობასა წმიდასა წინა დღესასწაულობისასა დღეს.

Ath. 55 (თებერვლის თუენი)

თა თებერვალსა ა, წინა დღე მიცვალებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.
 წარდგომაჲ გ^ა ა.
 ძალნი ცათანი
 ზეცისა კამარათავან ქუეყნად გარდამოკდეს და ხედვენ პირმშოსა ყოველთა დაბადებულთასა
 დედისა მიერ უქორწინებელისა ჩჩვლებრ ტურთულსა და ტაძრად მომავალსა და წინა დღესასწაულისა ვალობასა განკრვებულნი ჩუენ თანა ვალობენ.

ნიკოლა მონაზონი წარდგომანზე ასეთი მუშაობის გამო ანდერძში თავს იმართლებს: „ვითარცა ემცნო სხუათა ანდერძთა შინა, ამას ოდენ კანდიერ ვიქმენ და სტიქარონნი, რომელ უკანაჲს ეთარგმნენს, მისავე ღმერთშემოსილისა ბრძანებისა. თანავე თავისა-თავისა ადგილსა დამეწერა და რომელ ძლისპირსა ზედა წარდგომანი ეთარგმნეს, თვთად დამიწერიან“.

ნიკოლა მონაზონის მიერ გადაწერილ თებერვლის თუენში სტიქარონები (მცირე ფორმის ვალობები) ყოველი დღის განგებაში კანონის წინ თავისი რიგითაა შესული, წარდგომანზე კი, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული სამუშაო ჩაატარა, რისი უფლებაც მან გიორგი მთაწმიდელისავე სხვა ანდერძებიდან მიიღო. იგი გიორგი მთაწმიდელის ნამუშავეს როგორც წმიდათაწმიდას, ისე უყურებს და მისი „სულიწმიდით მოცემული სიტყვა თუ გამერყვნას, შენდობა მიიხარითო“, — მოწიწებით აცხადებს.

ნიკოლა მონაზონი ანდერძს ასე ამთავრებს: „უფალმან ღმერთმან მადლითა წმიდათა მამათა ჩუენთათა წმიდისა მამისა ეფთუმესითა, გიორგისითა მამაჲ ჩუენი ნიკოლა პროტოსინგილოსი დაიცევი. მისსა წინამძღურობასა დაიწერა ესე თუე“.

ეჭვი არ არის, ნიკოლა მონაზონი ათონის ივერონის ლავრის მოღვაწეა. ანდერძში ნიკოლა პროტოსინგილოზის წინამძღვრების მოხსენიებამ განსაზღვრა ნიკოლა მონაზონის მოღვაწეობის თარიღი: აკად. კ. კეკელიძე ივერონ-



ში ნიკოლას წინამძღვრობას ვარაუდობს მე-12 საუკუნის I მეოთხედში, ითვალისწინებოდა, რომ ნიკოლა წინამძღვრობის მამობის შემდეგ, 1118 წლიდან¹⁴. იგი ეყრდნობა ათონურ ლექციის ზატიკს, რომელსაც ა. ცაგარელი და რ. ბლეიკი XI—XII საუკუნეებით ათარიღებენ¹³. ზატიკის ანდერაში იკითხება (მოგვყავს ანდერაძი მთლიანად): „წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, წმიდანი ესე ზატიკნი წმიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა თაგმნილისაგან დაიწერნეს ფრიადითა იძულებითა, გამოწულილეთა. რომელი ძალ-მედვა, ვითა დედასა შინა მიპვნია, არა შემცილთა. სტიქარონი ბოლოსა სწერია მორაგებით. ამისთვის მეცა უღირსი და ფრიად ცოდვილი ესე ბერი გრიგოლი ვითხოვ თქუენგან ლოცვასა, რაათა უფალმან თქუენცა მოგიტევენს ცოდვანი თქუენნი და უმეცრებისა ჩემისა ნამუშავევი... ამა (ზა)ტიკსა ზედა, მეტი ვერაჲ მოვაგუარენ.“

„დაიწერნეს წიგნი ესე ზატიკნი მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა, წინამძღვრობასა მამისა ნიკოლოზისა, ბრძანებითა მისითა დიდისა ეკლესიისათვის. ღმერთმან შეუნდვნეს აქა და საუკუნესა ცოდვანი მისნი ნეფსითი და უნებლიეთნი ღმერთმან“¹⁴.

ორ სხვადასხვა ხელნაწერში მოხსენიებული ნიკოლა წინამძღვარი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, რომლის მამობაც, აკად. კ. კეკელიძის მიხედვით, 1118 წლის შემდეგაა სავარაუდო.

თუ ამ პირების იდენტურობა კორექტივს არ საჭიროებს და ათონის კოლექციის ხელნაწერების ანდერაძ-მინაწერები გამოავლენენ დამატებით მსაღვთისა ზემოთ მოტანილი თვალსაზრისის სასარგებლოდ, მაშინ ნიკოლა მონაზონი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის თებერვლის თუენზე უმუშავია, XI—XII საუკუნის მიჯნის მოღვაწე ყოფილა.

ამრიგად, თუენის ათონურმა ნუსხებმა წარმოაჩინეს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის სრულიად უცნობი სახელები, ათონის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლები, გრიგოლ ხახულელი და ნიკოლა მონაზონი, რომლებიც, რა თქმა უნდა, მარტო გადამწერები არ ყოფილან.

გრიგოლ ხახულელისა და ნიკოლა მონაზონის მუშაობის შედეგი — ეს არის გიორგი მთაწმიდელის ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება, გიორგის ნამუშავევის შედეგი, გიორგი მთაწმიდელის მეთოდით შესრულებული სამუშაო, მთაწმიდელისეული რედაქციის თუენები.

„ამასვე თუესა ოკლონბერსა ყოველთა წმიდათაჲ, რომელნი მას შინა იკსენებიან“

უფ. ლალატყავსა კ^აბ.
მდინარენი.
მოვედით, ქრისტეას მორწმუნენო,
უგალობდეთ
ანანიას, პრომანოს მგალობელსა
და აბრაჰამს მოღუაწესა და ნეტარ-
სა მიქაელს
და მის თანა ღირსთა

მამათა, რომელ
მოსწყდეს ქრისტესთვის და კვპრია-
ნეს და იუ(თ)სტანას
და დიონოსის და იეროთეოს
და წმიდასა ადავკტოსს და მკნესა
კალისტენის
და პეტრე
კაპეტოლელსა

¹⁹ კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტ., ტ. II, გვ. 235.

¹³ А. Цагарели, Сведения... с. 78; R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens..., p. 234.

¹⁴ R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens... p. 234.

და აკედსიმას, ლეონს და ისიდორეს,
ნეოფიტეს, გაიოსს,
დიოგენის და დომენტის
და გაიანეს, ლეოკნოს მღვდელ-მოწამესა,
მამელებს და საბინეს და იეროდოსს,
თეოდორეს, ხარტიონის და მალფეტას
და დიდებულსა
თომას მოციქულსა, სერგისს და ბაქოსს
და პელაგია მოწამესა და პელაგისს
ქალწულსა და ტასიას
და არტემონს ხუცესსა,
აღმსარებელსა
და ანნას და ელისაბეთს, მოწამეთა,
იაკობს აღფესსა,
იუვენტინეს და მაქსიმეს,
დოროთე დიდსა და აბრაჰამს,
ისაკს იაკობს თანა და ლოსს.

ილუაწეს კეთილად და ღმრთივშუენიერად
ევლამპი და ევლამპია და იასონ
და ორასთა მოწამეთა და ნეტარმან
პუპლია,
მკნემან აკედსიმა
და ვასიანე
და სანატრელთა
მამთა, რომელნი შეკრბეს
მეშუდესა კრებასა მეორედ ნიკიას,
და ნეკტარი არსაკი, ატიკო და სინინი
და წმიდამან
ზინაფლო და
ფილონილთა და თეოფანე აღმსარებელმან,
ფილიპე შუდთავანმან
და ახოვანთა მარტულთა:
ტარახოს, პროვოს და ანდრონიკე
მკნეთა
და ანასტასია ყოვლად უძლეველმან,
დომნა, დიოდორე და ანდრომახო,
ალათოკლია
და კარპო და პაპულე მღვდელმოწამეთა

და ნაზარი, გერვასი, პროტასი და
კელსი,
ლუკიანე ქებულმან,
საბინე და ფლორენტი,
ალათოდორე
და ლომგინოს ორთა მკედართა თანა,
ლეონტი, ტერენტი,
დომინე და მათ თანათა,
და მალონ და თეოფანე
და მეოხ არიან სულთა ჩუენთათუს.

მთავარანგელოზსა გაბრიელს ვადიდებდეთ
და ოსე წინაღმარმეტყუელსა და ანტილონეს
და წმიდათა მოწამეთა: ხრუსანთოს და დარიას
და ნეტარსა კლავდის და ილარიას
და იასონს და
მავრეს მკედართა მათ თანა,
რომელნი მათ თანა მახულითა სრულეკმნენს
და წმიდასა კალინიკეს და კოზმანს და დამიანეს
და ლუკას
მახარებელსა
და წინაღმარმეტყუელსა იოველს და ახოვანსა ვაროსს
და ასორმეოცდაათთა
სადღულ მამთმთავრისა თანა აღსრულებულთა
და ამფილოქეს ეკლესიისა სუეტსა და დიდსა არტემის მთავარმოწამესა
და კორნილიოსს, ანდრეას, სტეფანეს და პეტრეს და პავლეს
და ანდრეას, მამასა და მოწამესა
და დიდსა ილარიონს
და დასის და ზოტიკეს
გაიოას თანა და აბერკის, სწორსა მოციქულთასა
ალექსანდრეს თანა
და ჰერაკლე მოწამისა,
რამეთუ მეოხ არიან
ქრისტემს მიმართ ცხობრებად სულთა ჩუენთათუს.

დიდსა იაკობს, ძმასა უფლისასა, ვა-
დიდებდეთ
ზაქარია და სუმეონ მართლისა თანა
და ანნას და თეოდოტეს, ელისა-
ბეთს და ღლუკერიას
და ღირსსა სოკრატის
და თეოდოტის
და შუდთა ყრმათა,
იფესოს დაძინებულთა:
მაქსიმოლიანეს და იამბლიქეს,
მარტინეს, დიონოსის, იოვანე და
კოსტანტინეს
და ანტონინეს
ყოვლად ქებულთა
და ოთხ ათას ორასორმეოცდა ათ-
ცამეტთა
არეთაჲს თანა მკნისა
მახულითა და ცეცხლითა
პირად-პირადად აღსრულებულთა
მოწამეთა
და მარკოსს და სოტირიქოს და
უვალენტის
და ეგნატის და პროკლეს მამათმა-
ვართა
და ღლუკერიას და
მარკიანეს და მარტურის ღირსთა,
პავლეს აღმსარებელსა და მკნესა
ვაროსს
და შუდთა მოწამეთა,
რომელთა თანა სრულ-ყო
წამებაჲ თვისი
და ნესტორს, უვალერიანეს და
ხრუსაფეს
და ღირსსა ტაბილას
და დიმიტრის უძლეველსა,
რამათა გუთხოოქონ ქრისტესგან
შენდობაჲ ბრალთაჲ და დიდი წყა-
ლობაჲ.

კაპეტოლინე და ეროტიდე ნეტარ-
თა
და არტემიდორეს და ღირსსა დომ-
ნინეს
და იოვანეს ქოზიბელსა, სტეფანეს
და რომანოსს
და ფარმილიანეს
და დიომიდეს,
მელქიონ მღდელსა,

ტერენტის და ნეონილას, ნიკიტას,
ნიტას, ზარპილს, თეოდულეს და
იერაქს
და ვლასის და ფოტის და ივნიკია-
ნეს მკნეთა,
ტროფიმეს
და დორიმედონს
და კოზმანს და დამიანეს და ვასის
და საბას სტრატელატსა
და პავლეს თებადელსა
და წმიდასა მოციქულსა კლეოპას,
ანასტასიას და მინის და მინეოსს,
აბრაჰამს, ზინობის და ზინობიას
და მარკიანეს,
კლავდის, ასტერის, ნეონს და თეო-
ნილას,
კურიაკოსს, ეპიმახოსს და ჰერაკლეს
და ნეტარსა ლეონტის
გალობით ვადიდებდეთ
და შევასხმიდეთ,
რამათა გუთხოოქონ ქრისტესგან წყა-
ლობაჲ
და გუქსნეს ხილულთა
და უხილავთა მტერთგან
და მოსცეს სოფელსა მშულობაჲ
და სიმტკიცე წმიდათა ეკლესიათაჲ.

ესევე წარდგომად თქუნ
უგალობდითსა
ზღუსა ლელვათა.
ქუსა დაკრებაჲ
ქრისტესთვის დაითმინე,
ანანია და
მკედრ-იქმნა მის წინაშე,
ხოლო რომანოზ მგალობელმან შე-
ამკვნა
ეკლესიანი
გალობათა ქნართა
და ღირსად იქებიან მორწმუნეთა-
გან.

აბრაჰამს, დიდსა
მოლუაწესა, ვაქებდეთ
და მიქაელს და
მის თანა მონაზონთა,
რომელნი მოსრნეს
ბილწთა აგარიანთა
და კუპრიანეს
და ღირსსა იოსტინას

ტანჯვათა მიერ მზეებერ განბრწყინ-
ვებულთა.

მახვლითა და ცეცხლითა შემკო-
ბილსა
და სიბრძნითა და
მოძღურებითა გახთქმულსა,
მამათმთავართა გურგუნსა დიონისის
ღირსად ვაჭებდეთ
იეროთეთს თანა —
უხილავთა მხილველთა და გამო-
მთქმელთა.

ადავკტო მკნემან
მახვლი მიითულა
და კალისთენი
სიწმიდით აღესრულა
მამაჲ ნეტარი
და ასული ღმრთივბრწყინვალჲ,
ვადიდნეთ პეტრეს
კაპეტოლეუსა თანა
და აკეფსიმას, ლეონს და ისიდორეს.

ნეოფიტეს და
გაიოსს, გაიანეს
ჭრისტემს მარტულთა
და ლეოკნო ნეტარსა
მღღელმოწამესა
დომეტის, დიოგენის
მამელხთეს თანა
ქებით ვადიდებდეთ ჩუენ,
რომელმან ქვთა განტუნვად მიითუ-
ალა.

მსგავსად მკსნელისა
ლაჭურითა განგუმირა
ჭრისტემს ქადაგი თომა ყოვლად
ქებული,
რომლისა თანა
უგალობდეთ საბინეს
და იერადოსს
და თეოდოსის ნეტარსა,
ხარიტონის და მალფეტამს თანა
ღირსთა.

მოდრიკნა.

განძლიერდასა.
განქსნილნი.
სერგის მახვლსა
წარუპყრა ქელი თვისი

და ღირსმან ბაქოს გუემათა შინა
მისცა სული უფალსა
და პელაგია ბრძემდსა შინა შემ-
წუველსა
სრულ-იქმნა პატიოსნად და საწადე-
ლად
ეპა სამგზის ნეტარნი.

ქალწულებითა
ბრწყინვიდა პელაგია
ტასიას თანა ფრად დიდებულსა,
მათ თანა ვჰნატრით
და ელისაბეთს და მათ თანათა
და არტემონ მღღელსა და აღმსარე-
ბელსა,
ახოვანსა სულითა.

ჯუარი შეიტკბო
იაკობ აღფემსმან და წადიერებით
ჯუარს ეცუა დიდებული და
მახვლითა
სრულ-იქმნნეს
იოვენტინე და მაქსიმე,
ჩულთა თანა ვაჭებთ დიდსა დორო-
თეს,
ტურელთა მღღელმთავარსა.

მოვიკსენებთ ჩუენ
ლოთს აბრაჰამის თანა
და დამასკისა მღღელმთავარსა ია-
სონს
შესხმით პატივ-ვსცემთ
პუპლამს თანა დედათდიაკონისა,
რომელმან სატანჯველთა ღელვად
წილ-ვლო
და მადლობით დაიძინა.

ევლანაჲ და
ევლანაჲ დიდებულნი
ორასთა თანა ახოვანთა მარტულთა
შემდგომად დიდთა
ტანჯვათა მახვლისა... იქმნნეს
და აკეფსიმა მკნემან წამა ქრისტე-
მსთუს
წამებუაჲ ჰეშმარიტი.

პატივ-ვსცემდეთ ჩუენ
მეშუდისა კრებისა

ღირსთა მამათა, ნიკეას შეკრებილთა
და ნექტარის და
არსაკის და სისინის ატტიკოსს თანა
მამათმთავართა
დიდთა სამეუფოთა,
რადთა ვბოთ წყალობად,
რომელმან გვშევი.

მესამასა.
საქმენი შენნი.
ზინადლოს და ფილონოპპას ვაქებ-
დეთ
ორთა მსახურთა ქრისტესთა, საკუ-
თართა
და თანარჩეულთა
და დიდსა თეოფანეს,
აღმსარებელთა ღმრთივგამომეტყუ-
ელსა
და შემასხმელსა ყოველთა წმიდა-
თასა.

ხარატოს, პროვოს და ანდრონიკეს
მკნეთა,
ტანჯვათა მიერ ურიცხუთა განკა-
ფულთა
და მახვლისა
მიერ აღსრულებულთა,
გალობით შევასხმიდეთ
და მოციქულსა
ფილიპეს, შუდთა დიაკონთა სრულ-
მყოფელსა.

ანასტასია, სამკაული ჰრომისად,
მიუწოთმელთა ტანჯვათა თავმდე-
ბელიჲ
იდიდებოდენ
და ნეტარი დომინა
ახოვანი მარტული
და დიდოდორე,
ანდრომახის თანა მკნენი მოწამენი.

ნეტარი კარპო მკნისა პაპილამს
თანა
ბევრეულთა ტანჯვითა განიცადნეს
და ყოველთავე
უზეშთაეს გამოჩნდეს
და ესრეთ აღსასრული
ცეცხლისა მიერ

მიითუალეს მათ აღათოკლიადს თანა
აღათოდორეს და ფლორენტის ნე-
ტართა
და ნაზარის და გერვასის და პრო-
ტასის
ყოვლად ქებულთა ღირსისა კელსის
თანა
ვპნატრიდეთ, მორწმუნენო,
რომელთა-იგი
სიმკნით წარუპყრნეს მახვლსა ქედ-
ნი მათნი.

უფსკრული ვრცელი სიბრძნისად
ლუკიანე
ეწყო ძლიერად მძლავრთა განცო-
ფებულსა
და სიყმილითა განკაფული სრულ-
იქმნა
და აწ წინაშე ღმრთისა
მართალთა თანა
ილუაწეს ცხორებისათჳს სულთა
ჩუენთამასა.
მხოლოდყოველთადა.

ღამითგანსა.
განვიბანე.
ღირსსა საბინეს
მღღელთმთავარსა ვაქებდით
და ლომგინოსს ასისთავსა უგალობ-
დეთ
ორთა მათ თანა მკედართა მოწა-
მეთა,
რომელნი მის თანა სრულ-იქმნენს
მახვლითა,
რადთა გუთხოონ ცოდვათა მოტევე-
ბად.

ტერენტის თანა
ლეონტის და დომინეს
და ღირსსა მალომს საკურველთმოქ-
მელსა
და თეოფანეს მადლთა შემ
კობილთა და ანტილონეს უძლეველ-
სა მოწამესა
გალობითა საღმრთოთათა შევასხმი-
დეთ.

ძალთა მთავარსა
გაბრიელს უჯორცოსა
წმიდაისა ქალწულისა მახარებელსა
და სიხარულისა ჩუენდა მომატყუე-
ბელსა
გალობითა ღმრთივბრწყინვალითა
ვაქებდეთ,
რამთა გუთხოოქს მოტევებამ ცოდ-
ვათაჲ.

მუნესა ხრვანთოს
და ნეტარსა დარისა,
ღუაწულთა სიმრავლითა განშუენე-
ბულთა
და მთხრებლსა შინა მიწითა დაფა-
რულთა
მარგალიტთა მათ მრავალსაყიდლი-
სათა,
ოსე ღმრთისმეტყუელისა თანა ვა-
დიდებდეთ.

კლავდი ნეტარი,
ლოდ დამოკიდებული,
უფსკრულსა შინა სრულ-იქმნა და
ილარია
მეუღლმ მისი და იასონ და მავრა,
შველნი მათნი, მახვლითა აღსრულ-
ნეს
მკედართა თანა ქრისტეს აღმსარე-
ბელთა.

ყოვლად ქებული
ლუკა მახარებელი,
მნათობი დიდი ქრისტცს ეკლესია-
თაჲ,
გალობითა საღმრთოთა გვრგვნო-
სან-ვეყოთ
კალინიკეს, კოზმანს და დამიანეს
თანა,
საკუთართა მსახურთა სამებისათა.
ძ ა ლ ი მ ტ ე რ ი ს ა ჲ .

ღალადყავსა.
წინაღწარმეტყუელმან მან.
წყლისა
შენისა იოველის
საქენებელსა
ვდღესასწაულობთ,

7. მრავალთაჲ XII

ქრისტე მაცხოვარ, და ვაროსს, მო-
წამესა
შენსა, უგალობთ, სადულ
მღღღღღმთავრისა და
ასორმეოცდაათთა მარტულთა თანა.

დიდმან მამათმთავარმან
ამფილოქე შეამკო
იკონიელთა
დედაქალაქი
და განაშუენა ეკლესიაჲ ქრისტესი
და დამწყსნა მორწმუნენი
ღმრთივშუენიერად
და მშუდობით მას ზედა დაწვა.

დიდებულმან არტემი
ახოვანდ ბრძოლა-უყო
უხილავსა და ხილულსა მძლავრსა
და ეწყო სიმრავლესა სატანჯველ-
თასა,
ხოლო დირსმან კორნილიე
შემდგომად ღუაწულთა
ძალი იგი მართალთაჲ დაითმინა.

ანდრეა მამისა და
მოწამისა თანა დღეს
ვადიდებდეთ ჩუენ
კულად ანდრეას
სტეფანეს თანა და პეტრეს და პავ-
ლეს
მარტულთა უძლეველთა,
რამთა გუთხოოქს
ქრისტესს მეუფისაგან დიდი წყა-
ლობაჲ.

დიდთა მოღუაწებთა
ილარიონ დიდისა
მთიებისათა
ქებამ და შესხმამ
კაცობრივთა სიტყუათაგან უღონო
არს,
რომლისა თანა ვჰნატრით დასის,
გაიოსს
და ზოტიკეს — ახოვანთა მოწამეთა.

ხასწაულთა და ნიშთა
უტიცხუთა სიმრავლითა
განბრწყინდა დიდი მამათმთავარი,
სწორი მოციქულთაჲ ნეტარი აბერკი

და ანნას და თეოდოტის
და ლუკერას
ალექსანდრეს თანა მიენიჭნეს
გვრგუნნი.

შ ე ნ ვ ი თ ა რ ც ა .

კურთხეულარსა.
რომელმან პირველ.
განტუნულ იქმნა
ძელითა მოციქული,
ძმად უფლისად იაკობ, ყოვლად ქე-
ბული
და ზაქარია
და სუმეონ მართალი
და ელისაბეთ
და ჰერაკლე მოწამმ
სოკრატის თანა
ჯეროვნად იქებიან.

ააზბლიქეს და
მაქსიმილიანეს და
მარტინეს, დიონოსის და იოვანეს
და ანტონინეს
კუსტოდინეს თანა
ლირსად ვაქებდეთ,
რომელთა დაიძინეს
ჟამთა მრავალთა
და კუალად განიპყრეს.

ქრისტემს მკედარსა
ნეტარსა თეოდოტის
და წმიდასა ეგნატის
მამათმთავარსა
და სოტირიქოსს,
მარკოსს და უვალენტის,
მკნეთა მარტულთა
ლუკერიაას თანა დღეს
წადიერად
ერთობით შევასხმიდეთ.

არეთაჲს თანა
მრავალსახედ სრულქმნულთა
ოთხ ათას ორასორმეოცდაათცა-
მეტთა
პირად-პირად
გუემულთა მოწამეთა
ნეგრაიტელთა
ეპნატრიდეთ, მორწმუნენო,

და ვლადებდეთ:
ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ



მამათმთავარსა
პროკლეს თანა ვაქებდეთ
მარკიანეს და მარტურის მწიგნო-
ბართა,

რომელთა წამეს
წამებაჲ ჭეშმარიტი
ქრისტემს მკსნელისად,
ვითარ-იგი ისწავეს
პავლეს მიერ და
მახულითა სრულ-იქმნენს.

მათვე გუემათა
შინა შეჰვედრა ღმერთსა
სული ოთხი ღუაწლით შემოსილმან
ვაროს,
რაჟამს შეერთო.
შუდთა მათ მოწამეთა
თთწოდებული
და მკეცებრ განძუნებულმან
მძლავრმან უწყალოდ
დაბძარნა კორცნი მისნი
გ ა ნ უ ყ ო ფ ე ლ ი .

აკურთხევდითსა.
დაბადებულნი.
ნესტორის, ნეტარსა
თუალსა მოწამეთასა,
უვალერიანეს თანა და ხრესაფოქსა
მკნეთა მარტულთა
ვალობით შევასხმიდეთ,
წადიერებით
მათ თანავე ვაქებდეთ ღირსსა ტა-
ბილას,
წყალობის-მოყუარესა.

მთავარმოწამმ
დიმიტრი დიდებული
ბრწყინავს კრებულსა
შორის მოწამეთასა,
ვითარცა რად მწმ
და შეამკობს სივრცესა
ქუეყანისასა
და განაბრწყინებებს ქრისტემს ეკლე-
სიათა
და დასწუავს სულთა ბოროტთა.

არტემიდორს,
მკნმ მოწამმ ქრისტესი,
კაპეტოლინეს და ეროდიტეს თანა
ყოვლად ქებულთა
შეიმკო გვრგვნითა
ზეგარდამოხთა
და ითხოვენ წყალობასა ქრისტეს
ლუაწლისაგან
ჩუენ შემსხმელთა მათვს.

გუემათა შინა
სრულ-ყო საღმრთოჲ სრბაჲ თვისი
ღირსმან ღომნინე და გვრგვოსან-
იქმნა
და იოვანე
და ნეტარი სტეფანე
მოლუაწებითა
შეიმკუნეს სამკაულნი მონაზონთანი
და ჩუენდა მეოხ-არიან.

ფირმილიანე
და ნეტარმან მელქიონ
დაამკუეს ბილწი პავლე სამოსა-
ტელი
და საუკუნოჲ
კურთხევაჲ დაიმკვდრეს
მღდელმან ქებულმან
და მღდელმოდღუარმან ღიდმან და
ბრწყინვალემან
და ჩუენდა მეოხ არიან.
ს ა მ ე ბ ა ა წ მ ი დ ა ე .

ტერენტი მკნემან
და ღირსმან ნეონილა
შფოთთა მათ თანა მათთა ღმრთივ-
ბრწყინვალეთა
ნიტას და ზარბილს,
თეოდულეს, იერაქს,
კილისს და ფოტას
და იოვანიკის ილუაწეს და გვრგვნი-
თა
შეიმკუნეს ახოვანნი

ადიდებდითსა.
უზეშთაეს არს.
ფორიმენდონს და
საღმრთოსა მას ტროფიმეს
და დამიანეს

და კოზმანს დიდებულთა და ღირსსა
ვასის
და საბას სტრატოლატსა
კრებულთა მათთა თანა ქებით შე-
ვასხმიდეთ
და სამებასა
წმიდასა ვადიდებდეთ.

პავლეს თებელსა,
მოლუაწეთა გვრგვნსა,
და მოწამეთა მინოსს მინის თანა
და მოციქულსა
კლეობას დიდებულსა
და ანასტასიას მკნესა, ლუაწლისა
მძლესა,
შევასხმიდეთ ჩუენ
ერთობით წადიერად.

აბრაჰამს დიდსა,
მონაზონთა მნათობსა
და ზინობი და
ზინობია ნეტარსა
და მარკიანეს,
სურაკოსელთა მწყემსსა,
სიკილისა მკვდრთა მომაქცეველსა
ღმრთივბრწყინვალესა
გალობით შევასხმიდეთ.

კლავდი, ასტერი,
ნეონ და თეონილა
ლუაწლი კეთილი
მოილუაწეს ახოვნად
და სარბიელი თვისი სრულ-ჰყვეს ძა-
ლითა
და აწ სუფევენ წინაშე სამებისა
ყოვლად წმიდისა
და ჩუენდა მეოხ არიან.

მამათმთავარსა
ნეტარსა კურიაკოსს
და ბრძენთმთავარსა ლეონტის დი-
დებულსა
და ეპიმახოსს
და ჰერაკლეს ქებულსა,
ღმრთივგონიერო მორწმუნენო,
ვაქებდეთ,
რამთა გუთხოვენ
ზეციით დიდი წყალობაჲ.

ზეცისა ძალთა
ურციხო სიმრავლო
და მოციქულთა
და წინამსწარმეტყუელთა
და მოწამეთა
და მამათა კრებულო,

მამათმთავართა თანა და მოძღვართა
მოდღუართა
მეოხ გუეყვენით წინაშე სამეხისა,
დაგუამტკიცენ ჩუენ
ვედრებითა შენითა.



Л. К. ДЖГАМАЯ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ГИМНОГРАФИИ XI ВЕКА

(по поводу некоторых афонских списков грузинской минеи)

Резюме

В афонской коллекции грузинских рукописей содержится свыше двадцати (21) списков Миней, отражающих историю создания грузинской Миней редакции Георгия Афонского. Эти списки воссоздают два этапа работы над Минеей.

Группа списков первого этапа соответствует первоначальной композиции Миней, когда песнопения малой формы (стихиры и прокимны) составляют отдельные от канонов сборники.

Списки другой группы представляют собой полную редакцию Миней, вобравшую в себя все песнопения отдельных сборников первой группы (стихиры, прокимны, каноны).

Перевод гимнографических сборников, входящих в первую группу, принадлежит Георгию Афонскому, их объединение — преемникам Георгия Афонского. По колофонам афонских списков этими преемниками являются деятели XI века — Григол Хахулели и Никола Монах (Аф. 55,73), лица совершенно неизвестные в истории грузинской литературы.

საქმიანობის თვის მატარებლის ათონური ნუსხა

ათონის მთაზე დაცული ქართული ხელნაწერები, რომელთა უმეტესობა გასულ, 1981 წლამდე ქართველი მეცნიერებისათვის მხოლოდ აღწერილობით იყო ცნობილი, მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამ კოლექციის უნიკალურ ხელნაწერთა რიცხვს მიეკუთვნება სექტემბრის თვის მეტაფრასების თეოფილე ხუცესმონოზონისეული თარგმანების შემცველი კრებული Ath. 20, რომელიც გადანუსხულია მთარგმნელის მიერ და დათარიღებულია 1081 წლით.

თუმცა თეოფილე ხუცესმონოზონის მეტაფრასტიკაში გაწეული შრომისა და დამსახურების შესახებ დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე, რ. ბლეიკი), მაგრამ რჩებოდა რიგი საკითხებისა, რომელზედაც პასუხის ვაცემა მხოლოდ ხელნაწერების დეტალურად გაცნობის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

ხელნაწერი Ath. 20 განსაკუთრებული მნიშვნელობის კრებულია:

1. მხოლოდ ამ ნუსხაშია დაცული სექტემბრის თვის მეტაფრასების თეოფილესეული თარგმანები (არსად სხვაგან ეს თარგმანები ჯერ-ჯერობით არ ჩანს).

2. უნიკალურია ეს ხელნაწერი თავისი აღნაგობით — ვგულისხმობთ მასალის თანმიმდევრობას.

3. ხელნაწერს ახლავს „შესავალი“ და „ანდერძი“, შედგენილი ქართველი მთარგმნელის მიერ, სადაც ბევრი საინტერესო საკითხია გაშუქებული. არც ამ „ანდერძისა“ და „შესავალის“ სხვა ნუსხა მოგვეპოვება.

4. ამ კრებულშია დაცული აგრეთვე თეოფილეს ორი ორიგინალური პოეტური ქმნილება — ორსავე მხრივ კიდურწერილი აკროსტიქული ლექსი.

ხელნაწერი Ath. 20 იწყება ზანდუკით, მას მოსდევს თეოფილეს მიერ შედგენილი ვრცელი შესავალი, შემდეგ მოდის სექტემბრის თვის დღეების მიხედვით წარმოდგენილი საკითხავები, რომელთა უმეტესობას ერთვის მთარგმნელის ანდერძ-მინაწერები, საკითხავების ბოლოს მოცემულია ორი აკროსტიქული, ორიგინალური ათმარცვლიანი ლექსი, ისევ მინაწერი და ბოლოს ვრცელი ანდერძი.

საგანგებოდ უნდა განვიხილოთ თვითეული ნაწილი ჩვენი ხელნაწერისა, რადგანაც ყოველ მათგანს მეცნიერული ღირებულება გააჩნია:

ხელნაწერის „ზანდუკს“ უჭირავს ერთი ფურცელი:

„ზ ა ნ დ უ კ ი რ ჩ ე უ ლ ი წ ი გ ნ ის ა ა მ ის მე ტ ა ფ რ ა ს ის ა ი ა დ, აღ წ ე რ ი ლ ი ბ ე რ - ძ უ ლ ა დ ს ა ნ ა ტ რ ე ლ ის ა მი ე რ ს უ მ ე ო ნ ლ ო ლ ო თ ე ტ ის ა, ხ ო ლ ო თ ა რ გ მ ა ნ ე ბ უ ლ ი ქ ა რ - თ უ ლ ა დ ც ო დ ვ ი ლ ის ა მი ე რ თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ც ე ს მ ო ნ ო ზ ო ნ ის ა.“

უჩვეულოდ ვრცელი განმარტებაა „ზანდუკისათვის“ მოცემული.

რას ნიშნავს „ზანდუკი რჩეული?“ რაზე მიუთითებს „რჩეული“? აქ იგულისხმება: საგანგებო, გამორჩეული (იგივე „რჩეული“) სხვა ზანდუკებთან

მიმართებით, რადგანაც ამ „ზანდუკში“ მოცემულია არა მხოლოდ

არამედ თხზულების დასაწყისი ფრაზაც:

დავასახელებთ ორიოდ ნიმუშს:

„თუესა სეკდენბერსა :ა: ცხორება და მოქალაქობა და წმიდისა მამისა ჩუენისა სუმეონ მანდრელისა, რომელ არს ჰალაბელი, რომლისა თავი ესე არს: სუმეონს სანატრელსა დიდსა მას“...

„თუესა სეკდენბერსა :ბ: წამება და წმიდისა და დიდებულისა მოწამისა მამამისი, რომლისა თავი ესე არს: მამას დიდსა მას მოწამესა ქრისტესა“...
და ა. შ.

„ზანდუკი“ შედგენილი არის ბერძნულად სუმეონ ლოლოთეტის მიერ და ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო თეოფილე ხუცესმონოზონმა. გაფორმებაც კი ბერძნულის მიხედვით არის შესრულებული, რაზედაც „ზანდუკის“ ბოლოს მინაწერი მიგვითითებს:

„ესრეთ ჯერ-არს დაწერია ზანდუკისა, ვინ სწერდით, რამეთუ ბერძულად ესრეთ არს; თუ არა მე სინგური არა მმეტობდა“.

რაკი გაფორმება ვახსენეთ, აქვე უნდა ითქვას, რომ „ზანდუკის“ დასაწყისში (რვა სტრიქონის ოდენობით) ცარიელი ადგილია დატოვებული, არ არის დაწყისი ასო ზ წარმოდგენილი. აშკარად ჩანს, რომ ეს გაფორმება სხვას უნდა შეესრულებინა (უნდა ვიფიქროთ, ისეთივე, როგორც წარმოდგენილია 1 სექტემბრის საკითხავის დასაწყისში. სხვაგან განსაკუთრებული გაფორმებანი კამარისა და მოხატულობის თვალსაზრისით ხელნაწერში არა გვაქვს).

„ზანდუკში“ სექტემბრის თვის საკითხავები ჩამოთვლილია დღეების თანმიმდევრობის მიხედვით. სულ 4 დღეა „თავისუფალი“, ე. ი. ისეთი, რომელზედაც საკითხავი არ არის წარმოდგენილი. ეს დღეებია: 5, 18, 21 და 23 სექტემბერი².

„ზანდუკში“ 7 სექტემბრის საკითხავს მოსდევს 8 სექტემბრის — „ღვთისმშობლის შობის“ ორი საკითხავი, ხოლო 13 სექტემბრისას („კორნილიოსის წამებას“) მოსდევს 14 სექტემბრის — „ჯვრის ამაღლების“ საკითხავი. როგორც 8 სექტემბრის, ასევე 14 სექტემბრის საკითხავების დასახელებისას მოცემულია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ეს თხზულებანი კრებულის ბოლოსაა მოთავსებული. ამაზე ყურადღების შეჩერება აუცილებელია როგორც კრებულის, ასევე მისი „ზანდუკის“ შედგენის ისტორიისათვის.

„თუესა სეკდენბერსა :გ: შობა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა. საკითხავნი ორნი ჰპოვნე ბოლოსა :კბ: რვეულთა. ხოლო თავები საკითხავთა მათ ესე არს:

მოვედით ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი...

ბრწყინვალედ დღესასწაულობენ...“

„თუესა სეკდენბერსა :იდ: ამაღლება ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, ხოლო თავი საკითხავისა ესე არს:

ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ...

რომელი ჰპოო აღსასრულსა წიგნისასა“.

8 სექტემბრის საკითხავების შესახებ იგივე შენიშვნა, რომ ამ საკითხავებს ვიპოვით 22-ე რვეულში, არის მოთავსებული ხელნაწერის 89-ე გვერდ-

¹ თეოფილეს დამხმარეთა შესახებ იხ. ქვემოთ.

² 18 (ან 19) და 21 სექტემბერი „თავისუფალი“ სხვა ქართულ კრებულებშიც, ხოლო 5 და 23-ის შესახებ საგანგებოდ ვიმსჯელებთ მეტაფრასული კრებულების ურთიერთმიმართების განხილვისას.

ზე, სადაც თავდება 7 სექტემბრის საკითხავი და იწყება 9 სექტემბრის საკითხავი. ამ გვერდის ქვემო აშიაზე ასომთავრულით წერია:

„თუ ესა სეკდენბერსა :**მ**: შობაა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაა. საკითხავნი ორნი ჰჰოვნე აღსასარულსა წიგნისასა :**კ**: რვეულთა“.

ამ მომენტებზე დაყრდნობით ხერხდება Ath. 20 კრებულის შედგენილობის საკითხის გარკვევა და ეს საკითხი საინტერესო არის მეტაფრასული კრებულების შედგენილობის ისტორიის თვალსაზრისით. სანამ კრებულის შედგენილობას შევეხებოდეთ, „ზანდუკის“ შესახებ დავამთავროთ მსჯელობა: მიუხედავად იმისა, რომ „ზანდუკი“ თარგმნილი და გაფორმებულია ბერძნულის მიხედვით, მასში მაინც გვაქვს თეოფილეს ჩანარები, „ზანდუკი“ შექმნილია (გადმოქართულებულია) თხზულებების თარგმანის შესრულების შემდეგ: ამას ადასტურებს, როგორც ნაწარმოებების დასაწყისი ფრაზები, ასევე შენიშვნები 22-ე რვეულში და წიგნის ბოლოს საკითხავების დართვის შესახებ.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ კრებულის Ath. 20-ის შედგენილობის საკითხს. ხელნაწერში ცალკეული ღდეების საკითხავები წარმოდგენილია ასეთი თანმიმდევრობით: 1, 2, 3, 4, 6, 7, 9, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 8 (ორი საკითხავი), 14. მაშასადამე, 30 სექტემბრის საკითხავის შემდეგ დამატა 8 და 14 სექტემბრის საკითხავები.

საკითხავების ასეთი თანმიმდევრობა: 30 სექტემბრისას 8 და 14-ისა მოსდევს, ადასტურებს იმას, რომ იმ ბერძნულ ხელნაწერში, საიდანაც ითარგმნა Ath. 20-ის ძირითადი ნაწილი (1-დან 30.IX-მდე), ეს საკითხავები (22-ე და 23-ე რვეულებში მოთავსებული) არ იყო წარმოდგენილი.

ამასვე გვაუწყებს თეოფილე ხუცესმონაზონის ანდერძიც, რომელიც მან 8 სექტემბრის პირველ საკითხავს დაურთო:

„უწყებაჲ ჯერ-არს, რამეთუ ესე საკითხავი ყოვლად წმიდისაა არა ეწერა მას წიგნსა შინა, რომლისაგან ესე თუე დაეწერეთ. ამისთვისა სხუსა წიგნისაგან უკუანაამსკნელ აქა დაიწერა. ხოლო ვინ სწერდეთ ანუ თუ იკითხვიდეთ, ჯერ-არს, რაათა თავისა ადგილსა ჰყოთ ესე, სეკდენბერსა :**მ**: და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა-ყავთ. გარწმუნოს ღმერთმან“.

„ღვთისმშობლის შობის“ 8 სექტემბრის საკითხავი არ იყო იმ ბერძნულ ღედანში, საიდანაც თეოფილემ ქართულად თარგმნა სექტემბრის თვის მეტაფრასები. ამ მიზეზით ეს საკითხავი მოხვდა წიგნის ბოლოს, 30 სექტემბრის საკითხავის შემდეგ: „არა ეწერა მას წიგნსა შინა, რომლისაგან ესე თუე დაეწერეთ. ამისთვისა სხუსა წიგნისაგან უკუანაამსკნელ აქა დაიწერა“. მთარგმნელს ეს საკითხავი აუღია სხვა წიგნიდან (სხვა ბერძნული ხელნაწერიდან) და დაბეჭდვით მოითხოვს მკითხველისა თუ გადამწერისაგან, ეს მასალა თავის ადგილას, ე. ი. 7 სექტემბრის საკითხავის შემდეგ მოათავსონ: „ვინ სწერდეთ ანუ თუ იკითხვიდეთ, ჯერ-არს, რაათა თავისა ადგილსა ჰყოთ ესე სე.:**მ**:“.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის სხვა წიგნი, საიდანაც აიღო თეოფილემ 8 სექტემბრის (და ასევე 14 სექტემბრის) საკითხავები? აქ ალბათ უნდა ვივარაუდოთ სექტემბრის თვის მეტაფრასების ისეთი ბერძნული კრებული, რომელიც 8 და 14 სექტემბრის საკითხავებსაც შეიცავდა და მხოლოდ ამით სხვაობდა იმ ბერძნული ნუსხისაგან, რომელიც თავიდანვე აუღია სათარგმნელად თეოფილეს.

8 სექტემბერს „ღვთისმშობლის შობის“ ორი საკითხავია (ავტორი იოანე დამასკელი) წარმოდგენილი. Ath. 20 ნუსხისათვის ეს ერთადერთი შემთხვევა

ვაა, რომ ერთ დღეზე ერთზე მეტი თხზულება იკითხება (საგულისხმოა, რომ სექტემბრის თვის მეტაფრასების სხვა ქართულ კრებულებში ეს ტრადიციული დაკრძალვა, იქ იოანე დამასკელის ამ ორ თხზულებას ემატება სხვა ავტორების ამავე თემაზე დაწერილი საკითხავები). იოანე დამასკელის ეს ორი თხზულება ასევე თეოფილე ხუცესმონოზონის მიერ შესრულებული თარგმანით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება 14 სექტემბრის „ჯვრის ამალების“ საკითხავს, თეოფილეს აულია უკვე არსებული, მისთვის ცნობილი ქართული თარგმანი, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს ეკუთვნის, და შეუტანია სექტემბრის თვის საკითხავების კრებულში. ამის შესახებ თეოფილე გვამცნობს საკითხავის სათაურშიც და ხელნაწერზე დართულ ანდერაშშიც:

„თქუშული წმიდისა ბასილისი³ ამალებისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჟუარისა, თარგმანებული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი“.

„ამას წიგნსა შინა ქართულითგან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოველად არარაჲ წერილ არს, თჳნიერ ჟუარისა საკითხავისა, სხუაჲ ყოველივე ახალი არს“.

თეოფილე საგანგებოდ მიგვითითებს და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას თვითნებურად არაფერი გაუკეთებია, რომ ის ბერძნულს მისდევს, და სხვებისაგანაც მოითხოვს, რომ უცვლელად დაიცვან მის მიერ თარგმნილი კრებულის მონაცემები. ზემოთ ვნახეთ, რომ ზანდუკის შედგენილობა და გაფორმება კი ბერძნულისაგან მომდინარეობდა. კრებულის ბოლოს დართულ ანდერაშში ვკითხულობთ:

„ვევედრებო და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რაჲთა უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითარცა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რაჲთა არა ბრალეულ იქმნას საშჯელთაგან საღმრთოთა; და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა, რამეთუ მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია, რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენაჲ თავს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ურწმუნო იყოს, შეაწამენ და მიერ ისწავენ ჰეშმარიტებაჲ სიტყუასა“.

ამ ანდერაშით თეოფილე „ვევედრება და ამცნებს ყოველთა ეკლესიათა“, სადაც „მიიწიოს წიგნი ესე“, რომ აქედან ზუსტად ვადაწერონ, არ შეცვალონ არც წინადადება (=სიტყუაჲ), არც დასაწყისი (=თავი) და არც სასვენი ნიშნები (=წერტილი).

„მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია“.

ამ განაცხადის მიხედვით, თეოფილე მხოლოდ ბერძნულ დედანს მიჰყვება, თვითონ არაფერს ამატებს, არც არაფერს აკლებს: რამდენადაც მე შემეძლო და ქართულ ენას შესაძლებლობა აქვს გადმოსცეს ბერძნულის ვითარება, ისე შესრულდა თარგმანებიო. ეს ეხება ბერძნული ტექსტების, ცალკეული თხზულებების ზუსტად და ადეკვატურად გადმოღებას და არა მთლიან კრებულს. თეოფილეს როლი Ath. 20-ის შექმნისას უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მთარგმნელისა (რომელმაც ბერძნული მასალა ქართულად თარგმნა).

³ ჯვრის ამალების საკითხავის ექვთიმესული თარგმანის შემცველი ნუსხები (Ath. 32, Jer. 14, H 2251) ტექსტის ავტორად შეცდომით ასახელებენ ბასილ დიდს, სინამდვილეში, როგორც გარკვეული აქვს კ. კეკელიძეს, ეს თხზულება არას ანდრია კრატელისა.



ზემოთ უკვე ითქვა, რომ 8 სექტემბრის საკითხავი არ იყო იმ წიგნში, საიდანაც „ესე თუე დავწერთ“-ო. ამიტომ თეოფილემ ეს საკითხავი (და მასთან ერთად კიდევ ორი საკითხავი) სხვა წიგნიდან აიღო და დაუბრუნა უკვე გამოზადებულ სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების კრებულს: „ამის-თვისა სხვა წიგნისაგან უკუანაძსკნელ აქა დაიწერა“.

ე. ი. ბერძნულ ენაზე სექტემბრის თვის მეტაფრასების კრებულის ორგვარი მოდელი სჭერია ხელში თეოფილეს: პირველსა და მეორეს შორის სხვაობას ქმნიდა მხოლოდ 8 სექტემბრისა და 14 სექტემბრის საკითხავები. მას პირველის მიხედვით შეუსრულებია თარგმანი, მაგრამ აქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ შემდგომ დამატებული მასალა უსათუოდ თავის ადგილას იქნეს გამოყენებული.

თეოფილე Ath. 20-ზე მუშაობისას სხვა ხელნაწერსაც იყენებს. ეს ის ხელნაწერია, სადაც მოთავსებულია 14 სექტემბრის — „ჯერის ამაღლების“ საკითხავის ქართული თარგმანი.

მასასადამე, თეოფილე არა მარტო მთარგმნელია, არამედ ერთგვარი რედაქტორ-შემდგენელიც Ath. 20-ისა.

ამ კრებულზე მუშაობისას მას ხელთ ჰქონდა სულ ცოტა სამი ხელნაწერი:

1) სექტემბრის თვის საკითხავები ბერძნულად იმ მოცულობით და იმ აღნაგობით, როგორც არის წარმოდგენილი Ath. 20-ში პირველიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

2) მეორე ბერძნული კრებული პირველისაგან განსხვავებით შეიცავს 8 სექტემბრის ორ საკითხავს (ავტორი იოანე დამასკელი) და 14 სექტემბრის საკითხავს (ავტორი ანდრია კრიტელი).

3) 14 სექტემბრის საკითხავის ბერძნულიდან თარგმნა თეოფილეს აღარ დასჭირდა, რადგანაც მისთვის ცნობილია და ხელმისაწვდომიც ამ თხზულების ექვთიმესეული თარგმანი. ეს თარგმანი აღებულია მესამე (ამჯერად ქართული) ხელნაწერიდან.

რომ ერთზე მეტი ხელნაწერი აქვს თეოფილეს გამოყენებული, ამას ანდერძის ზემოთ დამოწმებული ადგილიც გვიჩვენებს:

„ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიად წარჩინებულთა, ესრეთ ქართულად დამიწერია“.

ყურადღებას იქცევს განსაზღვრება წიგნისა: „წიგნთა შინა მართალთა და ფრიად წარჩინებულთა“, ე. ი. საიმედო, სწორი, ორთოდოქსალური, სხვებისაგან გამორჩეული და უპირატესი.

Ath. 20-ის „შესავლისა“ და „ანდერძის“ იმ ნაწილის მიხედვით, რაც ადრეც იყო ცნობილი, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ თეოფილე ხუცესმონოზონი სვიმეონ ლოლოთეტს მიიჩნევდა მთელი წლის (12 თვის) მეტაფრასების ავტორად. „ანდერძის“ სრული ტექსტის გაცნობა აშკარად გვაჩვენებს, რომ სექტემბრის თვის მეტაფრასები არის ერთი თორმეტთავანი:

„მომეც მე, მქსნელო, ძალი იგი ორკეცი და შეპრთენ ერთსა ამას თანა (სექტემბრის თვე მთლიანად, ნ. გ.) ათერთმეტნი იგი“.

სრულიად უეჭველია, რომ აქ არ იგულისხმება სვიმეონის შრომების 12 წიგნად დაყოფა⁴. ეს ფაქტი დამაფიქრებელია და მეტად საგულისხმო. მით უმეტეს, რომ ვერც ეფრემ მცირესთან ვხვდებით იმის მინიშნებას, რომ სვი-

⁴ კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 149—150.

მეონს შთელი წლის საკითხავები არ გაუკეთებია, რომ მან ამ საქმის მხედროდ ნაწილი შეასრულა.

სხვათა შორის Ath. 20-ის ცნობას, რომ სექტემბერი არის 12-ის ერთი ნაწილი, მხარს უჭერს Ath. 37-იც, რომელიც ნოემბრის თვეს მესამე წიგნად ასახელებს: „წიგნი მესამე, ნოემბერი“. პირველი წიგნი სექტემბერია (სრული თვე), რომელიც წარმოდგენილია Ath. 20-ის სახით; მეორე წიგნი უთუოდ ოქტომბერია, რომლის ნუსხა დღეს დაკარგულია, მაგრამ რომლის არსებობის კვალი ათონურ ნუსხათა შორის აშკარად გამოჩნდა. მესამე თვე, ბუნებრივია, ნოემბერია, რომლის ტექსტების ნაწილია ჩვენამდე მოღწეული Ath. 36—37.

თეოფილე ხუცესმონაზონი Ath. 20-ზე დართულ შესავალსა და ანდერძ-ში რამდენჯერმე ასხენებს თავის დიდ მასწავლებელს — გიორგი მთაწმიდელს:

„... მადლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისათა, — რამეთუ კმარს ქსენება ოდენ სახელისა მისისა შესხმად მისა, რომელსაცა კმამალად ოხრიან ყოველნი ეკლესიანი ქართველთანი, — აღალო პირუტყუსასჴ ესე პირი ჩემი... და შევკადრე საქმესა უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რომელ არს თარგმანება წიგნთა ბერძულისაგან ქართულად“.

„მე უღირსსა ამას თეოფილეს, რეცა ხუცესმონაზონსა, მოწაფესა გეორგი მთაწმიდელისასა, რომელი არა ღირს ვარ მოწაფე წოდებად მისა, ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამომილია“.

„მოიქსენენ, უფალო, მოიქსენენ პირველ დაძინებულნი მონანი შენნი: მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გეორგი მთაწმიდელისანი — მარიამ და იაკობ — რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რამ-ესე იქმნა“.

თეოფილე გიორგი მთაწმიდელს უწოდებს თავის „მოძღუარს და გამზრდელს“, რომლის „მადლით“ შეძლო „თარგმანება წიგნთა ბერძულისაგან ქართულად“. თავის თავზე ამბობს: „არა ღირს ვარ მოწაფე წოდებად მისა“.

აქ ბუნებრივია დაისვას კითხვა: რა მონაწილეობა აქვს თეოფილეს მთარგმნელობით მოღვაწეობაში გიორგი მთაწმიდელს, რა წვლილი აქვს მას შეტანილი კონკრეტულად მეტაფრასების ქართულ ენაზე გადმოღების საქმეში?

მეტაფრასებზე (კრებულებზე) მუშაობას თეოფილე, მისივე ანდერძის თანახმად, იწყებს მეფე გიორგი II-ის ბრძანებით⁵. გიორგი II-ის გამეფების დროისთვის (1072 წელი) გიორგი მთაწმიდელი უკვე კარგა ხნის გარდაცვალებულია (1065 წელი). მაშასადამე, თეოფილე ხუცესმონაზონს მეტაფრასებზე მუშაობა გიორგი მთაწმიდლის უშუალო ხელმძღვანელობით და მიითვებთ არ დაუწყია.

თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ შესრულებულ სხვა დიდტანიან კრებულებზე⁶ დართულ ანდერძებშიც გიორგი მთაწმიდელი არსად არ ჩანს ცოცხალი და უშუალო ხელმძღვანელი მისი მთარგმნელობით-ლიტერატურული შემოქმედებისა:

„საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევა ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღუარისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისა და მშობელთა მისთა“ (A 1105).

⁵ იგივე გიორგი მეფე და მისი ძე დავითი ფიგურირებენ მე-11 საუკუნის მეტაფრასულ კრებულში S 384.

⁶ მაგ., Ath. 29, A 1105.

„ითარგმნა... წიგნი... მადლითა წმიდათა მამათა და მნათობთა სოფლისადათა ამასვე დიდსა ოქრობირსა თანა წმიდისა მამისა ეფთჳმისითა და დიდისა მამის გეორგი მთაწმიდელისა, აღმზრდელისა ჩემისადათა, მწირისა, გლახაკისა და ობლისა“ (Ath. 29).

ანდერძებში თეოფილე ჩანს როგორც მადლიერი შეგირდი, მოწაფე, რომელსაც არასოდეს ავიწყდება თავისი მასწავლებლის ამაგი.

თეოფილეს თარგმანებზე მუშაობის ეტაპების განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ გამოვყავდგება მის მიერ თარგმნილ ერთ-ერთ თხზულებაზე — „პატაპის ცხოვრება“ — დართული ანდერძი, რომლის მიხედვით ჩანს, რომ თეოფილეს მიერ სიჭაბუკეში ნათარგმნი „პატაპის ცხოვრება“ დედოფალს ჰქონია და „სიბერესა შინა იიძულა“ მეორედ ეთარგმნა. ლოგიკური იქნება, თუ დავუშვებთ, რომ მეორედ თარგმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო დეკემბრის თვის მთლიანი კრებულის თარგმნით. ეს კი ხდება მთარგმნელის სიბერის ქაშ.

თეოფილე თავს ახალგაზრდად არ თვლის 1081 წელს, რაც იგრძნობა Ath. 20-ის ანდერძ-მინაწერებიდან: „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიკსენებ“. „სიგლახაკემან კორცთამან“ მუშაობაში დამაბრკოლო და სხვ.

თეოფილე ხუცესმონაზონი — Ath. 20-ის „თარგმან-მნუსხავი“ — დიდი მადლიერებით იხსენებს აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც მას დახმარება გაუწიეს; ესენია: მარიამ დედოფალი (ბაგრატის ასული, გიორგი მეფის და), რომელიც მატერიალურად დახმარებია თეოფილეს („ამის წიგნისა ეტრატის ფასი“ დედოფალს უბოძებია); მღვდელი მიქაელი („დრაჰკანნი ჰრთვანან აქა მისნი“), მღვდელი საბა („შემომოსა ესე წიგნი“), ხრისტოდულე ებრაელოფილი („ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას უკახმავს“).

მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე ბევრია და ვავლენიანიც, თეოფილე მაინც უჩივის გაჭირვებასა და „იწროებას“. „სივერაგემან უამთამან, შეუწევნელობამან კაცთამან და სიგლახაკემან კორცთამან სიძურესა თანა ეტრატისასა... დამიხრწიეს“, ე. ი. ხელი შემეშალესო. ეს ის ქამია, როცა თურქ-სელჩუკები იპყრობენ ბიზანტიის სამფლობელოებს, როცა კონსტანტინოპოლში სამეფო კარზე გადატრიალება ხდება. ბუნებრივია, ბიზანტიის სატახტო ქალაქში მყოფ ხუცესმონაზონს სათანადო პირობები არ აქვს მშვიდი შემოქმედებითი შრომისათვის. ალბათ ამიტომაც წავიდა იგი „ქუეყანასა ელადისასა“ და შემდგომ ათონზე⁷.

„ანდერძში“ ნათქვამია, რომ „ითარგმნა უკუშ წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფოსა კონსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანდაფილვის დედისა ღმრთისასა“, ე. ი. კონსტანტინოპოლში ტრიანდაფილვის ღვთისმშობლის მონასტერში.

სახელწოდება ტრიანდაფილვი, რ. ყანენის გამოკვლევის თანახმად, მომდინარეობს *τρια κονταψυλλου*-საგან: სირიაში საბედისწერო ექსპედიციის შემდეგ, — წერს რ. ყანენი, — რომანოზ III-მ (1028—1032) ვინმე ტრიანკონტაფილოსისაგან შეისყიდა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ზღვის მახლობლად პატარა პლატო და იქ ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, რაზედაც ძალიან დიდი თანხა დახარჯა. შემდგომ ნიკიფორე ბოტანიოტმა (1078—1081)

⁷ ივ. ლოლაშვილი, მნათობი, № 5, 1982 წ., გვ. 159.

შეაკეთებინა შენობა და იგი აქვე აღკვეცეს ბერად გამარჯვებულმა კომენდანტმა. აქ თარგმნა თეოფილემ ქართულ ენაზე სექტემბრის თვის საკითხავში მოხსენიებულია. რ. იანინი სახელწოდებას „ტრიაკონტაფილუ“ უკავშირებს იმ მიწის მესაკუთრის გვარს, რომელზედაც აშენდა ეს მონასტერი. აქვე გვაქვს, ჩვენი აზრით, ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ მონასტრის ღვთისმშობლის ხატზე გამოხატული ყოფილა 30 ციხე და ქალაქი (თითოეული წარწერილი აქვს თავისი სახელი), რომლებიც შეუწირავს მონასტრისათვის რომანოზ III-ს. რიცხვი ოც და ათი შედის სახელწოდებაში (τριακοντα — φυλλου) და მისი შემოკლებული ფორმა τριαντα, რაც ქართველი მთარგმნელის ანდერძშია მოცემული, ჩვეულებრივია ბერძნულისათვის⁹. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტრიანდაფილვის ღვთისმშობლის მონასტრის სახელწოდება ქართულში დღემდე მცირეოდენი უზუსტობით გვაქვს წარმოდგენილი: ტრიანფილუ, ტრიანდაფილუ, ტრიანდაფილუ, ტრიანდაფლიც¹⁰.

ქართველი საზოგადოებისათვის სულ ახლახან გახდა ცნობილი თეოფილე ხუცესმონაზონის პოეტური ქმნილებანი — რამდენიმე ორიგინალური ლექსი, რომლებიც გამოაქვეყნა ივ. ლოლაშვილმა წერილში „XI საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი“¹¹. ამ ლექსებიდან ორი მოთავსებულია სწორედ ჩვენს კრებულში. ეს არის ორივე მხრივ კიდურწერილი ამარცვლიანი იამბიკო. როგორც ლექსები, ასევე ანდერძის ტექსტი თეოფილეს წარმოგვიდგენს მხატვრულ სიტყვის დახელოვნებულ ოსტატად, რომელსაც ენერჯება ეპითეტებისა და მეტაფორების უხვად გამოყენება, გააჩნია თავისებური წერის მანერა. ეს პრობლემა დაწვრილებით ანალიზსა და შესწავლას მოითხოვს.

დანართის სახით წარმოვადგენთ სექტემბრის მეტაფრასების ათონურ ნუსხაზე დართული თეოფილე ხუცესმონაზონის „შესავალისა“ და „ანდერძის“ სრულ ტექსტს.

შესავალი

[3v] „ვინაფთჳან უკუჲ მდიდარმან მან დიდებითა და უმრავლესმან წყალობითა ღმერთმან მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაფთა და მადლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისაფთა, — რამეთუ კმაარს კსენება ოდენ სახელისა მისისაჲ შესხმად მისა, რომელსაცა კმამაღლად ოხრიან ყოველნი ეკლესიანი ქართველთანი, — აღაღო პირუტყუთსახჲ ესე პირი ჩემი და კულად მეცა, უღირსმან ამან, ვეყვ მრავალი მოსწრაფებაჲ ამისთვის და სიყუარულისათჳს ამთ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა, დაუტევე ზრუნვაჲ სულისა ჩემისაჲ და ტირილი ცოდვათა ჩემთაჲ, და შეეკადრე საქმესა უზემთაესსა ძალისა ჩემისასა, რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთაჲ ბერძელისაგან ქართულად, ამისთვისცა უნებლიეთ თანამაც, რაფთა გაუწყო ყოველთა მიზეზი წიგნთაჲ ამთ და თუ ვინაჲ აღწერნეს ანუ ვის მიერ და თუ რა და რა ითარგმნეს ძუელთა მიერ თარგმანთა.

უწინარეს უკუჲ ქრისტეს ძისა ღმრთისა კორციელად ჩუენდა მოსლვისა ფამთა მათ შინა პირველთა იყო წესი და ბრძანებაჲ სამეუფოჲ ბრძენთა მათ

⁸ R. I an in, A. A. La geographie ecclesiastique de l'empire Bizantin, 1969, p. 218, 488.

⁹ იხ. ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონი, შემდგენლები Liddell და Scott.

¹⁰ ლ. მე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 406, შენ. 13.

¹¹ იხ. ჟურნალი „მნათობი“, № 5, 1982 წ.



მიერ ძუელთა შჯულად დადებული, ხოლო უმეტესად იულის ვისმე მიერ ჰრომაელთა კეისრისა მტკიცედ განწესებული და შეკრძალული, რომელსა-იგი აქუნდა პურობაა ზღუსა და კმელისაჲ, რაჲთა ყოველივე მთავარნი, ყოველსა შორის სოფელსა განფენილნი, წერდენ ყოველთავე საქმეთა და მშჯავრთა მათთა კაცისა მიერ სამეუფოჲსა ბოროტთაჲცა და კეთილთა დაუკლებლად. და რაჲთა რაჲ წელიწად აღვიდოდინან ჰრომედ, ანუთუ წარსცემდენ წერილთა მათ და მუნ მეფისა მიერ და მთავართა და ათორმეტთა მათ მიერ ფილოსოფოსთა ბჭეთა ქალაქისათა გამოიძიებოდნის თვთოეულად ყოველივე საქმე მათი: უკუეთუ ვისმე ავნეს უსამართლოდ, ანუთუ ქრთამი მიიღეს და მოკლეს, გინათუ შურითა ვიეთთამე მონაგები ვისიმე იავარ-ყვეს და მიიხუეჭეს.

ესე ყოველი რაჲ წულილად გამოიძიან, უკუეთუ კეთილ იყვის, კუალად-ეგის სამთავროდ თჳსა, უკუეთუ კულა არა, მიეკადის უკუანაჲსკენელი საშჯელი. ამას იქმოდეს წარმართნი იგი ფრიადცა კეთილად, რაჲთა ამის მიერ მშედობით განეგებოდნის სოფელი. ესევე წესი ეპყრა თუთ თავადთაჲცა კეისართა და მეფეთა, რომელთ-ესე მეფესა ბერძენთასა უპყრიეს ჳერეთცა დალათუ არა სრულიად, დაწერდენ ყოველსავე რას მომავალთათჳს ნათესავთა და ესე შჯული და წესი მათგან შეუნდობელ არს.

ამით უკუჲ წესითა იწერებოდეს ღუაწლინცა წმიდათა მოწამეთანი და პალატად სამეუფოდ შეკრებებოდა ყოველივე იგი სრული და ჳეშმარიტებაჲ საქმისაჲ. ხოლო რომელ-ესე ძუელად იყენეს წამებანი წმიდათანი, აღიწერნეს ესრე სახედ.

რაჲამს-იგი დიდად ბორგდა სამაელ, აღშფოთებული ქრისტეს მიმართ და სამწყსოთა მისთა და ეძიებდა ღონესა განბანად მკსნელისა მიერ ჩუენისა ძლეულებისა მის თჳსისა და ევარაჲ პოვა, მაშინ შეუტდა მეფეთა მათ უღმრთოთა და მთავართა უშჯულოთა და აღადგინა ღვენულებაჲ ქრისტეანეთა ზედა [4] ესოდენ სასტიკი, ვიდრეღა რომელნიმე მოსწყყუნა და რომელნიმე ლტოლვილ ყვნა.

ხოლო რომელნი-იგი მოსწყდებოდეს სახელისათჳს ქრისტესისა, მათგან თავიეთ წამებისა დაწერა შეუძლებელ იყო. რაჲთამცა დაპრჩეს ქრისტეანეთა; კუალად რომელნი-იგი შიშისათჳს ლტოლვილ იყენეს მათთა შინა, მათმცა რაჲ აღწერეს, თუ რაჲ იქმნების ქალაქთა შინა, გარნა თუ მივიდის ვინმე კაცი ქრისტეანე, უკუეთუ იპოვის ოდენ დამალულთა მათ თანა, და იგიცა მდაბიო ვინმე და ლიტონი, და აუწყის მას, რაჲ-იგი მას ასმიოდის, ვითარმედ მას რომელსამე ადგილსა იწამა ვინმე წმიდაჲ.

რომელი-ესე ესმის რაჲ მას, ამისთჳს ოდენ, რაჲთა. დარჩეს მოსაჯენებულად და არა სრულიად განქარდეს ჟამთაგან, დაწერის რაჲმე, ვითარცა ნაჭ-შირითა ხატი გამოსახული. ხოლო ჳეშმარიტნი იგი და მთავართა მიერ აღწერილნი მიიხუნის პალატმან და საუნჯემან სამეუფომან, ვითარცა ჳემორე სიტყუამან გამოაჩინა. ესრეთ უკუჲ აღიწერნეს ძუელნი იგი ცხორებანი წმიდათანი და უკუანაჲსკენელ მწვალებელთა მიერ განიხრწნეს, რომელსაჲცა ამას ჳედა ფრიად იხარებდა ეშმაკი.

ხოლო არავინ იპოვა ესე ვითარი კაცი, რომელსამცა აქუნდა მადლი და სიბრძნე სულიერი და დიდებაჲ და კელმწიფებაჲ ჳორციელი, რაჲთამცა გამოეხუნეს იგინი საგანძურთაგან სამეუფოთა და შეეწყენეს იგი და შეეკაზმნეს და ქრისტეანეთა ეკლესიისადა მიეცნეს, ვიდრე ღღეთადმდე ბასილი მეფისათა.

უკუანაჲსკენელთა სამე შემდგომად ჟამთა გამოჩნდა კაცი იგი საკრველი სუმეონ სანატრელი, რომელი შემკობილ იყო სიბრძნითა საღმრთოთათაჲცა და

კაცობრივითა და აქუნდა მას კელმწიფებადცა ფრიადი პალატსა შინა
თუ იყო ლოდოთეტი.

ამან სანატრელმან აღუწერნა ქრისტიანეთა ათორმეტნი ესე წიგნი მეტა-
ფრასნი და მიანიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოდ ესე მარგალი-
ტი, რომლისათუსცა ყოველნი ეკლესიანი მას იკითხვენ და მითა განათლდებიან.
და სწორად სახარებისა პატივ-სცემენ.

ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, თუ: ვინაფთგან ესოდენ საწადელ არიან
ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი, რად არა თარგმნეს წმიდათა მამათა
ჩუენთა ეფთუმი და გეორგი? მე ვაუწყო ჰეშმარიტი მიზეზი: რამეთუ კაცი
რაჟამს სიყმილითა პურისაფთა მომყმარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანო-
ვაგეთა არა სცალს, რამეთუ უფრო საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთვის
დაშთეს უთარგმანოდ.

რომელთაგან მე უღირსსა ამას თეოფილეს, რეცა ხუცესმონოზონსა, მო-
წაფესა გეორგი მთაწმიდლისასა, რომელი არა ღირს ვარ მოწაფე წოდებად
მისა, ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამომიღია. უკუეთუ ვაჰმარჯოს ღმერთ-
მან სხუათათუსცა — კეთილ და უკუეთუ არა, ამისთვის ლოცვა-ყავთ. სივერა-
გემან ჟამთამან, შეუწვენელობამან კაცთამან და სიგლახაკემან კორცთამან
სიძურესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელანი მოვიდოდეს
დრაჰკანად. თუ არა მცირეთა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა. აწ,
ღმრთისათუს, უკუეთუ ვინმე სწერდით ამას, რაფცა აჟა ჰპოოთ, სრულად და-
სწერდით და შეუცვალებულად, და აღიდებლით ღმერთსა უკუნისამდღჳ.

ანდმარძი

[189] „რომელი-ეგე მხოლოდ ხარ მეუფე მეუფეთაჲ, უფალი დაბადებულ-
თაჲ და მთავარი საუკუნეთაჲ, რომელი სამწმიდაარსობით იდიდები და ერთ-
არსებით თაყუანის-იციემები, რომელი დიდებულ ხარ ყოველთა ზედა საქმეთა
შენთა და საკრველ ყოველთა ზედა ქმნულთა შენთა, რომელი დაუსაბამო ხარ
და უხილავ, მიუწოდომელ და სამარადისო, რომელი ზეშთა ხარ და გარეწარ-
სრულ ყოველთაგანვე გონებათა, ჟამთა და ცნობათა, რომელი ხარ შუენიერე-
ბაჲ არსთაჲ და შემამკობელი ძალთაჲ, რომელი სიმრგულესა მას ცათასა
იპყრობ სოფელსა თანა სიმდიდრითა, რომლისა სუფევჲა მოუკლებელ და
მოწყალეებაჲ მიუთხრობელ.

მხოლოდ წმიდაო, მხოლოდ ტკბილო, მხოლოდ სანიერო და კაცთმოყუა-
რეო, ღმერთო ღმერთათო და უფალო უფლებათაო, რომელსა გაქუს ძლიე-
რებაჲ უბრძოლელი და კელმწიფებაჲ წინადაუდგრომელი, რომელი გამო-
აბრწყინებებ ბნელისაგან ნათელსა და ადვილად შესცვალებ წინა-შემდგომო-
ბასა საქმეთასა, რომელმან განაშუენენ ცანი ვარსკულავითა, ხოლო გონიერნი
იგი ცანი სრულ-ჰყვენ მადლითა; რომელმან შეამკვე ქუეყანაჲ ნერგთა მით
მიერ მრავალფერთა და თვთოსახეთა მიერ ყუთვილთა განასურნელე იგი; ხო-
ლო კაცსა პატივ-ეც პატივითა მით ღმერთყოფისაფთა და აღამაღლე იგი სა-
კრველითა მით სიმაღლითა დიდებასა თანა უაღრესსა, რომელი-ეგე ღმრთიე
შუენიერად განაგებ ყოველსავე და იპყრობ რისხვასა წყალობითა, რომელი
ნიეთთაგან კნინთა შეჰშადებ საქმეთა დიდებულთა, რომელსა არა გნებავს
სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული მისი საცხორებე-
ლად, რომელი აღადგენ ქუეყანისაგან გლახასა და ორთა მათგან სკორეთა
აღადგინებ დავარდომილსა და აღიყვანებ მას ზმ და აღამაღლებ, გარნა არა

დაუტყვევებ მას ვიდრე მუნადმდე, არამედ დასუამცა მთავართა თანა ერისა შენისათა, დიდებულებადა ესე საქმისაჲ ვინ განიცადოს, რომელი-ესე მრავალგზის ჰქმენ მრავალთა ზედა, ხოლო უმეტესადლა აღასრულე დღეს უნდოებასა ჩემსა ზედა და აღსრულებითა არა ლიტონითა, არამედ საკურველითა.

რომლისა ამის ყოვლისათს ვაკურთხევე შენ და თაყუანის-გცემ და ვჰმადლობ ვერცელთა მათ და ურიცხუთა წყალობათა შენთა, რამეთუ განმრავლენ და გარდაჰმატენ ქველისმოქმედებანი სულგრძელებისა შენისანი უბადრუკებასა ზედა ჩემსა. აღვიარებ მადლსა, ვჰადაგებ წყალობასა. არა დავფარავ კეთილის მოქმედებასა, არამედ განგკურდები და უსიტყუელ ვარ და ვადიდებ მღუმარედ განუვლელთა მათ განკითხვათა შენთა, ნანდვლვე, ნანდვლვე, ჰემ-მარიტად შენ ხარ უფალი მხოლოჲ, ღმერთი დიდი, ღმერთი წმიდაჲ და ძკრუ-სენებელი, რომლისა ძლიერებათა ვინ შეუძლოს გამოთქჳმად, ანუ ვინ სას-მენელ ყვენს ყოველნი წყალობანი.

რამეთუ ჩემთვის, მ მეუფეო უფალო, უტანველად ოდენ ყოფად სოფელსა ამას შინა დიდ იყო და ფრიადცა დიდ და ნამეტნავ და არა მოგებად აღვიარე შემსგავსებულად ცოდვათა ჩემთა, რამეთუ ფრიად არიან და მრავალ ცოდ-ვანი ჩემნი წინაშე ღმრთეებისა შენისა, რომლისათსცა გვევდრები და შე-ვიგრდები და აღვიარებ წინაშე სუფევისა შენისა ბრალთა ჩემთა, ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეტეებისა ჩემისათა ნუ მოიკსნებ. მიწყალე მე, უფალო, მიწყალე და ულხინე ჰირვეულსა სულსა ჩემსა. განხეთქე, მეუფეო, განხეთქე კელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ. დამიწერე მე, მაცხოვარ, დამიწერე კელით-წერილი იგი ლხინებისა და გამოკსნისაჲ. მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნ-დოებასა ზედა ჩემსა და განანათლენ დაბნელებულნი თუალნი სულისა ჩემი-სანი.

მ წმიდაო წმიდათაო, მთავარო მთავართაო და სრულმყოფელო ყოველ-თაო, ღმერთო დიდებისაო და უფალო სუფევისაო, რომელსა ვმსახურებენ დასნი იგი ბევრეულნი ზეცისა მკედრობათანი კრებულსა მას თანა და სუ-ლებსა წმიდათასა, ისმინე კჳაჲ უნდოჲ ვედრებისა ჩემისაჲ და წმიდამყავ მე ყოვლისაგან ბოროტისა და ბრძელისა ვნებათაჲსა. და ზრძანე, სახიერო, შე-წყალებად ჩემდა აწცა აჰა და მერმე სამთა მათ შინა ჟამთა საშჯელისათა. და ნუშცა გარდამატებულებაჲ მადლთა შენთაჲ მექმნების მე გარდამატებულება სატანჯელთა, არამედ განაგე ცხორებაჲ ჩემი უაღრესად შეცვალებითა მეოხე-ბითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ძალთა მათ წმიდათა უსნეულ-თაჲთა, დიდებულთა მოციქულთა და მოძღუართა და ახოვანთა მოწამეთაჲთა; ხოლო უმეტესადლა, რომელნი წერილ არიან წიგნსა ამას სეკდენბერისა თსა-სა, რომელი-ესე შეჰმზადა თარგმანებით უნდოებისაგან ჩემისა ყოვლად ძლი-ერმან წამის-ყოფამან შენმან, ვითარცა ეკლისაგან ვარდი, სულნელებაჲ იგი მთავართაჲ, და მატლისაგან აბრეშუმეი, სამოსელი იგი მეფეთაჲ, და ფუტკრი-საგან უნდოჲსა სიტკობებაჲ და სინათლე, სასურველი იგი და საწადელი ყო-ველთა კაცთაჲ.

ნათელო ნათელთაო და დიდებოო წმიდათაო და სიმდიდრეო არსთაო, მე-უფეო დიდებისაო და უფსკრულო წყალობისაო იესუ ქრისტე, ძეო და სი-ტყუარო ღმრთისა ცხოველისაო, რომელი არა მართალთა მოხუედ წოდებად, არა-მედ ჩემებრთა ცოდვითა სინანულად, რომელმან ყოველივე შემსგავსებუ-ლად დიდებისა შენისა აღასრულე, რამეთუ ესე პირველიგანვე წეს არს შენ-და, რაათა ნივთთაგან კინინა და უნდოთა შეჰმზადნე საქმენი დიდებულნი, რაათა ყოველივე იყოს ღმრთეებისა შენისა მიერ აღსრულებულ და რაათა შენ თავადისა ძისა მამითურთ და სულით მოდრკეს ყოველი მუჰკლი: ზეცისათა,



ქუეყანისათა და ქუეცკნელთაჲ. და ყოველმან ენამან აღგიაროს ყოვლად წმი-
დასა სამებასა ღმერთსა ჩუენსა.

მოიკსენენ, უფალო, მოიკსენენ პირველ დაძინებულნი მონანი შენნი, მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გეორგი მთაწმიდელისანი — მარამ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რაჲ-ესე იქმნა, და კუალად უნდონიცა იგი მშობელნი უღირსებისა ჩემისანი — მარამ და იოვანე ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღვწერე ესე.

ეგრეთვე ყოველნივე, რომელნიცა შემწე მექმნენს ყოვალ ამის საქმით ანუ სიტყვით, [190] მიეც მათ მადლი და კურთხევაჲ და ქსნაჲ ცოდვათგან. და ყოველნი, რომელნი იკითხვიდენ და ისმენდენ გულსმოდგინედ და სურვილით, დაიცვენ და დაიფარენ და იქსნენ ივინი საუკუნოჲსაგან საშჯელისა.

კუალადცა მრავალგზის შევივრდები შენ, უფალო, და გვედრები, წარჰმართენ სღვანი სულისა ჩემისანი ალაგთა მიმართ წმიდათა მცნებათა შენთაჲსა და მომეც მე, მქსნელო, ძალი იგი ორკეცი და შეჰრთენ ერთსა ამას თანა ათერთმეტნი იგი, რაჲთა სრულ იქმნეს ჩემ ზედა მოწყალეზაჲ შენი და სრულისაჲ სრულსა შინა სრულიად იდიდებოდის სრული იგი სახელი შენ წმიდისა სამებისაჲ.

რამეთუ შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ, სრული, მადალი, დაუხაბამოჲ, გამოუსახველი, განუცდელი, უსაზღვროჲ, მოუკლებელი, უკუდავი, გამოუთქუმელი, უხილავი, მიუწოდომელი, უხრწნელი და სამარადისოჲ და შენი არს ყოველივე იდიდებაჲ, პატივი, სიმტკიცე და სუფევაჲ აწ და მარადის და უკუდავთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდჲ, ამინ.

ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილესთვის, რეცა თარგმნისა. რამეთუ მე არარაჲსათვის სხუსა, არამედ ლოცვათათვის თქუენთა წმიდათა თავს-მიც შრომაჲ ამისი.

ხოლო ვევედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რაჲთა უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რაჲთა არა ბრალეულ იქმნას საშჯელთაგან საღმრთოთა და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა. რამეთუ მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია, როდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენაჲ თავს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ურწმუნო იყოს, შეაწამენ და მიერ ისწავენ ჭეშმარიტებაჲ სიტყუსაჲ.

ესრეთვე კუალად ვევედრები წინამძღუართა და დეკანოზთა, რაჲთა არცა ტანსა ზედა, არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განჰყოფდენ საეკლესიოდ კითხვასა, არამედ მეცნიერთა ზედა და ღმრთისმოშიშთა. და ესე წესი იპყარ მანცა, რომელი უპყრის ეკლესიათა საბერძნეთისათა, რაჲთა პირველსა დღესა მიეცემოდის წიგნი და დღე ყოველ დაიწუართოს მკითხველმან ცისკრად წარსაკითხავი იგი საკითხავი.

რამეთუ თუთლა თქუენ განბჭეთ და განიკითხეთ, თუ არა სირცხულ არსა ესე ჩუენდა, უკუეთუ ბერძენნი ესოდენსა მას სიბრძნესა ზედა და წურთილებასა და წერილთა მათთა სიკეთესა და აღნიშნვასა კუალად დაიწურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა თუთ ენაჲ მას ზედა ამოუღგამს? და ჩუენ ჩუენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდიოთ ამას!

ითარგმნა უკუჲ წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანდაფილვის დედისა ღმრთისასა უღირსისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცესმონოზონისა და

მათვე კელთა მიერ დაინუსხა დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხ-
მეოცდა მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს
გეორგი კესაროსისა ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღუაწებნი-
თა ვიწყე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისაგან ქართულად. მიეცინ
ღმერთმან სრულეზაჲ კეთილთაჲ აქაცა და საუკუნოდ!

ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა მისევე გეორგის დისასა და მე-
ფობასა ნიკიფორე ბოტანიოტისა და ალექსი კომნიანოსისასა, მას ჟამსა, ოდეს
ბაგრატის ასული მარიაჲ დედოფალი აღმოსავლეთით კოსტანტიპოვლეს შე-
მოვიდა.

მოვიდა. და ჩუენ ზედა მეუფეზბასა იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისასა, რომელი-
ოგი სუფევსმცა საუკუნოდ სულთა ზედა და კორცთა ჩუენთა აწ და ყოველთა
მიმართ საუკუნეთა უკუნისამღწ, ამინ!“

Н. Д. ГОГУАДЗЕ

АФОНСКИЙ СПИСОК МЕТАФРАЗОВ НА СЕНТЯБРЬ

Резюме

Афонский список № 20 метафрастических чтений на сентябрь, представляющий автограф Феофила и датируемый 1081 годом, является единственным сборником, содержащим переводы Феофила. В сборнике имеются введение и оглавление, колофон писца, в нем много приписок, внесены в него и оригинальные стихи. Все это дает возможность определить характер работы переводчика.

В результате изучения состава сборника выясняется, что Феофил пользовался двумя греческими моделями; кроме того, им был использован и грузинский список, содержащий чтения на 14 сентября в переводе Евфимия Афонского. Таким образом, Феофил является не только переводчиком, но и редактором-составителем данного сборника.

ენო ქაჯაია

გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა
ძველი ქართული თარგმანები

გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მკაფიოდ აისახა იმდროინდელი ბიზანტიის იმპერიის სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მისი ეპისტოლეები ღრმად და ამომწურავად გვაცნობენ IV საუკუნეს, ეპოქას, რომელიც მუდამ იწვევდა ბიზანტიის ისტორიკოსთა შეუწელებელ ინტერესს.

ამ ეპისტოლეების ავტორი ზედმიწევნით განათლებული პიროვნებაა. ყველა მისი ლიტერატურული ქმნილება და მათ შორის ეპისტოლეებიც დიდი ხელოვნებით არის დაწერილი. ამდენად, განუზომელია მათი ლიტერატურული ღირებულება. ეს წერილები გვაცნობენ არა მარტო IV საუკუნის საზოგადოებას, არამედ ავტორსაც, მაღალი ღირსებებით დაჯილდოებულ ადამიანს, მწერალს, ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს. მათში დაუფარავად არის გადმოცემული ყველა ის გრძნობა, რომელიც გრიგოლის მღელვარე და დახვეწილ სულის აწვითებს.

გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ქართული თარგმანები შესრულებულია ეფრემ მცირის მიერ და დაცულია ერთადერთ გვიანდელ ქართულ ხელნაწერში — A 292¹. გრიგოლის ეპისტოლეთა რიცხვი ორიგინალში 245-ს აღწევს (PG, 37, 21—388). ქართულ ენაზე შემონახული 42 ეპისტოლე ამ დიდი მემკვიდრეობის მცირე ნაწილს წარმოადგენს და სრული სახით პირველად ქვეყნდება².

გრიგოლის ეპისტოლეების ქართული თარგმანის შესწავლისას ჩვენ ამ შრომაში გვერდი ავუარებთ მის სამ საღვთისმეტყველო ეპისტოლეს (101, 102, 202), რომლებიც თავისი მნიშვნელობით გრიგოლის დოგმატური სიტყვების ტოლფასნი არიან და სპეციალურ შესწავლას მოითხოვენ.

ხელნაწერი A 292 გრიგოლის ორი საღვთისმეტყველო ეპისტოლის (101, 202) გარდა შეიცავს გრიგოლისა და ბასილის ეპისტოლეთა მცირე ანთოლოგიას, რომელიც ხელნაწერში სამი ნაწილით არის წარმოდგენილი: I. ეპისტოლენი ურთიერთარსნი ვასილის მიერ დიდისა გრიგორი ღმრთისმეტყველისა: ბ. 14; გ. 4, 6, 5, 2; ბ. 2; გ. 1, 114, 47, 53, 48, 49, 40, 19, 58, 44; ბ. 71 (331v—341v). II. ეპისტოლენი გრიგორისნი: 41, 43 100, 242, 122, 16, 111, 107, 109, 116, 226, 112, 113, 108, 119, 118, 76, 73, 81, 72, 80, 215, 214, 99, 228, 224, 221, 56 (341v—346r). III. ეპისტოლენი ვასილისნი: 105, 261,

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ქ. I, შეადგინეს და დასაბუქლად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველიშ რედაქციით, თბ., 1980, გვ. 183—191.

² გამოცემულია გრიგოლის მე-80 ეპისტოლის ქართული თარგმანი. იხ.: ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ., 1978, გვ. 44.

252, 279, 192, 299, 55, 134, 40, 41, 301, 154, 277, 150, 90, 12, 13, 351, 352, 353, 354, 341, 342, 46, 180 (346r—358r)³.

53-ე ეპისტოლე მოწმობს, რომ გრიგოლმა პირველმა მოუყარა თავი ბასილისა და საკუთარ მიმოწერას. ეს კოლექცია, მისივე თხოვნის თანახმად, გრიგოლმა გაუგზავნა თავის უახლოეს ნათესავსა და ამ ეპისტოლის ადრესატს ნიკობულოს. ეს უნდა მომხდარიყო გრიგოლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (384—390 წწ.). დღეს ძნელი წარმოსადგენია, როგორ იყო ამ პირველადი კრებულის შედგენილობა. იგი ალბათ შეიცავდა: 1. ნიკობულოსადმი მიწერილ იმ ოთხ ეპისტოლეს (51, 52, 53, 54), რომლებიც ეხებიან საზოგადოდ ეპისტოლურ ქანრს და გრიგოლის მიერ გაგზავნილ კრებულთან დაკავშირებულ საკითხებს; 2. ბასილის ეპისტოლეებს მიმართულთ გრიგოლისადმი; 3. გრიგოლის ეპისტოლეებს ბასილისადმი და 4. გრიგოლის სხვა წერილებს. დასაშვებია, რომ გრიგოლმა ამ კრებულში არ შეიტანა მის ხელთ არსებული ყველა ეპისტოლე. გრიგოლის კარდაცვალების შემდეგ ნიკობულოსთან დაკული კოლექცია თანდათან შეივსო. მას დამატა გრიგოლის გადანახული, კრებულის შედგენის შემდგომ დაწერილი და ადრესატების მიერ წარმოდგენილი ეპისტოლეები. ამგვარად ჩამოყალიბდა გრიგოლის ეპისტოლეთა სრული კრებული⁴.

ბასილ კესარიელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანების კვლევისას, ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ A 292-ში დაცულ ბასილისა და გრიგოლის მიმოწერას. ბასილის ეპისტოლეთა ბერძნული ხელნაწერების ე. წ. B განშტოების Bx ოჯახი ერთადერთია, რომელიც შეიცავს ბასილისა და გრიგოლის „გაცვლით“ ეპისტოლეებს. ამ ოჯახისა და მასთან ახლოს მდგომ ბერძნულ ხელნაწერთა ნათესაობა ქართულ მასალასთან ეჭვმიუტანელია⁵.

ბასილის კორესპონდენციათა კვლევისას ი. რუდბერგმა დაასკვნა: გრიგოლისა და ბასილის მიმოწერა პატარა დამოუკიდებელ კოლექციას წარმოადგენს. იგი ალბათ დამოუკიდებლადაც არსებობდა და შეიცავდა მათ 25 ეპისტოლეს. სწორედ ამ ანთოლოგიაზე მიანიშნებდა გრიგოლი თავის 53-ე ეპისტოლეში⁶.

ქართულ ენაზე შემონახული 17 „გაცვლითი“ ეპისტოლიდან გრიგოლის კალამს განეკუთვნება 14. დანარჩენი 28 კორესპონდენცია გაერთიანებულია ჯგუფში — „ეპისტოლენი გრიგორისნი“.

ტექსტისათვის: ტექსტი იბეჭდება ერთადერთი A 292 ხელნაწერის მიხედვით. იგი გადაწერილია 1800 წელს იოანე ოსეს ძის მიერ. ანტონის გრამატიკული სკოლის კვალი ამჩნევია ძეგლის ორთოგრაფიას, ფონეტიკას, მორფოლოგიას. ერთმანეთის გვერდით გვხვდება XI და XVIII საუკუნეების ქართულისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები.

³ ბასილისა და გრიგოლის ეპისტოლეთა ქრონოლოგიური რიგი შემუშავებული ჯერ კიდევ ბენედიქტიანელთა მიერ XVII—XVIII საუკუნეებში, უცვლელად არის დატოვებული მინს პატროლოგის 32-ე და 37-ე ტომებსა და შემდეგი დროის კრიტიკულ გამოცემებში; იხ.: Saint Basile. Lettres, Texte établi et traduit par Y. Courtonne, I, Paris, 1957 pp. V—VI; Saint Grégoire de Nazianze, Lettres, Texte établi et traduit par P. G a l l a y, I, Paris, 1964, pp. XX—XXI.

⁴ Saint Grégoire de Nazianze, Lettres, I, pp. XXI—XXIII.

⁵ N. K a d z h a y a, Les traductions anciennes géorgiennes des lettres de Basile de Césarée. Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XLI, Paris, 1983, pp. 145—156.

⁶ Stig. Y. R u d b e r g, Études sur la tradition manuscrite de saint Basile, Lund, 1953, pp. 39—47.



1. გამოცემაში შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ ეფრემის დროინდელი ორთოგრაფია, გავასწორეთ აშკარა ორთოგრაფიული, გრამატიკული და დაწერის შედეგად დაშვებული სხვა რიგის შეცდომები. შეძლებისდაგვარად უნიფიცირებულია საკუთარ სახელთა დაწერილობა. ის ფორმები, რომლებიც გასწორდა (გარდა უმცირესი კომპლექსიანი სიტყვებისა, როგორცაა მაგ. კუშრთხი, ქუჩყანა) ჩავიტანეთ სქოლიოებში.

2. ტექსტში განსხვავებული შრიფტით იბეჭდება ხელნაწერისეული „შეისწავეები“ და სქოლიოები, რომლებიც აშეიბზე იყო მოთავსებული⁷. ისინი შესაბამის წერილებს ერთვის ბოლოში.

ტექსტში გამოყენებული აღნიშვნები:

ა) არაბული ნუმერაციით აღვნიშნავთ ტექსტზე დართულ კომენტარებში განმარტებულ ადგილებს.

ბ) „შეისწავეებისა“ და სქოლიოების ხელნაწერისეული აღნიშვნა (არაბული ციფრი და ფრჩხილებში მოთავსებული ვარსკვლავი) დატოვებულია უცვლელად.

გ) ვარსკვლავიანი არაბული ციფრით აღინიშნება ბიბლიური ციტატა.

დ) მხოლოდ ვარსკვლავით — შენიშვნა.

ეპისტოლეთა ტექსტს ვურთავთ ტაბულას. ტაბულაში მოცემულ ნომერთა ორი წყებიდან პირველი აღნიშნავს ეპისტოლეთა თანმიმდევრობას ქართულ ხელნაწერში, მეორე კი ბერძნულ გამოცემაში*.

1	4	ბასილის 361 წ.	22	107	კლიდონის 382 წ.
2	6	მასე 361 წ.	23	109	მასე 382 წ.
3	5	მასე 361 წ.	24	116	ველოლიოსს [Eυλαλιος] 382 წ.
4	2	მასე 361 წ.	25	226	ანესიოსს
5	1	მასე 361 წ.	26	112	კელესიოსს 382 წ.
6	114	[კელესიოსს] 382 წ.	27	113	მასე 382 წ.
7	47	ბასილის 372 წ.	28	108	კლიდონის 382 წ.
8	53	ნიკოლასს 384—390 წწ.	29	119	პალადის 382 წ.
9	48	ბასილის 372 წ.	30	118	ევგენის 382 წ.
10	49	მასე 372 წ.	31	76	გრიგოლი ნოსელსა 379 წ.
11	40	მასე 370 წ.	32	73	მასე
12	19	მასე 365 წ.	33	81	მასე 381 წ.
13	58	მასე 372—373 წწ.	34	72	მასე 375 წ.
14	44	[ევგენის] 370 წ.	35	80	ფილავრიოსს 380 ან 381—2 წწ.
15	41	ეკლესიასა კესარიელისა 370 წ.	36	215	საქერლოსს
16	43	[ეპისკოპოსებს] 370 წ.	37	214	მასე
17	100	გილიტოსს [Γιλιτιος] 381 წ.	38	99	მასე 381 წ.
18	242	პეტრეს სიცილიის უკან. წლები.	39	228	პანსოფიოსს
19	122	თეოდორეს	40	224	აფრიკანოსს 383 წ.
20	16	ევსევას, კესარიის ეპისკოპოსისა 365 წ.	41	221	ომფორონოსს
21	111	ევგენის 382 წ.	42	56	თეკლას 372—375 წწ.

⁷ შესაძლოა ეს „შეისწავეები“ და სქოლიოები მთარგმნელის კალამს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ არც ბერძნული ხელნაწერიდან მათ მომდინარეობას გამოვრცხავთ.

* Saint Grégoire de Nazianze, Lettres, T. I—II, Texte établi et traduit par P. Gallay, Paris, 1964, 1967.

შენ უკუე ჰქენჯნიდ და ჰბასრობდ ჩუენთა ამით, გინა თუ სიმღერით, გინა თუ მოსწავებით, რამეთუ არარაჲს სხუსა საქმისათჳს, თუნეირ ხოლო ღიმილისათჳს, და რაჲთა მიილო სწავლულებისაგან და შეიძინო მეგობრობისაგან ჩუენისა. რამეთუ ჩუენდა ყოველივე შენმიერი ტკბილ არს, ვითარცა რაჲმე იყოს, რამეთუ აქაცა ქენჯნაჲ ესე ჩუენი ჩემდა საგონებელ არს, არა რაჲთა მქენჯნიდე, არამედ რაჲთა შენდა მიმართ მიმოზიდვიდე, ვინაჲცა მე შენ თანა ვარ, რომელი-ეგე ამას ჰყოფ მსგავსად მათსა, რომელთა-იგი ყოვლითა კერძო დაჰყვიან განსაგალი მდინარისა, რაჲთა სხუთ გზით მიიზიდონ იგი. ჩუენდა უკუე შენნი ეგე მარადის ესევეთარნი არიან.

ხოლო მე დამიკვრდების შენი ეგე პონტოჲ და პონტოჲსა ეგე ექსორიაობაჲ და სავანე ღირსი ლტოლვისაჲ, ზესთა თავისანი ეგე მღნარნი და ნადირნი, რომელნი-ეგე სარწმუნოებასა გამოსცდიან¹(*), და ზედაღადებული ეგე უშენოებაჲ, გინა თუ მცირე ჯურელოვანებაჲ²(*), შემკული პატივოსნითა სახელებითა მონასტრობისა და უღაბნოებისაჲთა, აღმოცენებაჲ ნერგთა ველისათა და მთხრებლთა სიღრმისა და მთათა გვრგვინსაჲ, რომელთაგან ნუ ჰგვრგვინსობთ, არამედ დამდაბლდებოდეთ. განზომილი ეგე ჰაერი და სასურველი მზე, რომელი კუამლით გამო გიბრწყინავს, მ პონტოელნო, ჩრდილონო და უშეჲონო, რომელნი-ეგე არა ხოლო ექუსთთუეობითა ღამეთათაჲ³(*) დასკილ ხართ, ვითარ-იგი ვიეთნიმე იტყუან, ვითარმედ არცაღა კერძოჲ იგი ცხოვრებისაჲ გაქუს უჩრდილოდ, რამეთუ ერთ ღამე არს განგრძილებულ ყოველივე ესე საწუთო და ნამდვლვე აჩრდილ სიკუდილისა⁴*, რაჲთა ვთქუა რაჲმე წერილისაჲ.

ვაქებ იწროსა მასცა და საჭირველსა გზასა⁴(*), არა უწყი თუ სასუფეველად გინა ჯოჯოხეთად მიყუანებელსა, ხოლო შენდა უწყი, ვითარმედ სასუფეველად მიყუანებელ არს. და შორის ამათსა რაჲმე გნებავს, რად სახელესდვა მე, განტრუებულმან, ედემად და ოთხად თავად განყოფილად წყაროდ, რომლისაგან სოფელი ირწყვის, ანუ განკმეღად და ურწყულად უღაბნოდ, რომელსა მოამშვდებს მოსე ვინმე კუერთხისა მიერ წყარო-ყოფითა კლდისაჲთა⁵ 333 თა?²* რამეთუ არს მისი /კლდოვანობისაგან განლთოლვილი იგი ღირღუაროან და ღირღუარობისაგან ეკლოვან, ხოლო ზესთა ეკლოვანთასა არს პარეხოვანი და უზესთავს მათსა შესავალი მთხრებლოვანი და მრჩობლ შთასაჭრელი, რომელი შემოჰკრებს გონებასა მას ზედა-მავალთასა და გამოცდილ-ჰყოფს უცთომელობისა მიმართ. ხოლო მდინარე თანა-წარავალს შენსა მავას მოქალაქედ შეუებულებასა და მყუდროებასა, არა ხოლო თევზოვანი და მორეგობად ტბისა მოქცევონი, არამედ სიღრმედცა შთაზიდული. მ შენ, მაღალმეტყუელი და მოქმედო ახალთა სახელთაო, რამეთუ ჰეშმარტიად დიდ და საშინელ და კმამაღალ ზენანი იგი არიან გალობანი, რომელთა მიმართ არა-რაჲ არიან საქანელი კატარაქტთანი და ძლევეანი კატადუპოასანი⁶, რომელ- 40 ესე კმობს ჩუენ შორის ღამე და დღე სიფიცხით უკუე, არამედ შეუჰყრობელობითეუ და მწყურნებოვნად არა სასმელოვანად, რომლისა-ესე ხოლო არს

2 გრიგორი. ვასილის. 3 უკვე. 11 უკვე. 13 ლტოლვისა. 14 გამოსცდიან. 15 ჯურელოვანება. 16 უღაბნოებისათა. აღმოცენება. 17 გვრგვინსა. 20 ექუსთთუეობითა ღამეთათა. 21 ცხოვრებისა. 22 გაქუს. 23 ვასთქვა. 27 სახელესდვა. 30 კლდისათა. 32 ღირღვარობისაგან. 36 შეებულებასა. 39 არაჲ. 40 რომელი-ესე. 41 კმობს. უკვე.

1* ლ. 1, 79. 2* გამოს. 17, 5—6.
* ეპისტოლენი „ურთიერთარსნი“ ხელნაწერში დანომრილია.



კატმოყუარება, რამეთუ არა ჰბასრობს სავანესა თქუნესა, რაჟამს აღბოგ-
 დებოდენ მას ზედა კმანი ღირღუაროანთანი, გინა თუ კუთებანი
 სანი. აწ უკუე რაჲ-ესე ჩუენ გულისხმა-გვყოფიეს ნეტართა ჭალაეებისა³ ამის-
 თუს, ესე იგი არს, თქუნ ნეტართა მაგათუს, აჰა ესე არს. ხოლო შენ საკრველ
 5 გინდინ ჩემდდ მთოვარისა სახენი ეგე წიადნი, საზღვარნი თქუნესა მთისძი-
 რისანი, შემამთობელნი უფროას, ვიდრეღარა შემზღუდველნი; და თხემით-
 კერძო აღყვანებულნი მწუერვალნი კლდისანი, რომელნი-ეგე ტანტალო-ჰყო-
 ფენ⁴ ცხოვრებასა თქუნესა; გარემომბერველნი ნიავნი და ჰაერკეთილობანი
 10 ქუეყანისანი, ნუგეშინისმცემელნი თქუნესა სულმოკლებისანი; და მფრინველნი
 მკმობარენი, რომელნი-იგი კმობენ უკუე, არამედ სიყმილითა, ფრინვენ სად-
 მე, არამედ უღაბნობითა. ხოლო თქუნდა მომავალად არავის, თუნიერ ნა-
 დირობად მომავალთა, იტყუ, შესძინე უკუე, ვითარმედ ვითარცა მკუდართა,
 ეგრეთ მოხილვად თქუნდა. ესე სიტყუანი ნუუკუე და ეპისტოლისა თქუნე-
 15 სსა უგანგრობილეს იყენენ, ხოლო უღარეს მათსა მლიქნელობითა, არამედ შენ
 აღვრ-ასხნე თუ სწავლულებასა სიმდაბლითა, სამართლად ჰყო ესე, ხოლო
 უკუეთუ არა, და უმრავლესიცა დაესძინოთ.

„შეისწავე, რამეთუ ზემოხა მის ეპისტოლისა სიტყუათა შემდგომობასა
 მიუღეს პასუხი სიტყუათა ამის ეპისტოლისათა“*.

1(*) „შეისწავე, თუ ვითარ გამოსცდიან სარწმუნოებასა, ანუ თუ ცხად
 20 არს, ვითარმედ მოთმინებთა უღაბნოხა შიშთათა, სასოებითა საუკუნოთა
 კეთილთათა“.

2(*) „იხილე, რამეთუ თავცხა კურელთა უწოდს მთხრებლთა უღაბნო-
 ხათა რეცა თუ კითხვისა სიტყუათა“.

3(*) „ექუსთითუეობა ღამეთა არს ყოველი რიცხვ ღამეთა წელიწადისათა“.

4(*) „უღაბ[ნ]ოხას მისთვის იტყუს, რომელსა შინა დიდი ბასილი იყოფე-
 25 ბოლა“.

2(6)

[გრიგოლი ბასილის]** 6

რაჲ-იგი პირველ მოვსწერე ქცევათა მათთვის პონტოხასათა, მოციხარ-
 30 თა იყო, არა მოსწრაფეთა, ხოლო რასა-ესე აწ მოვსწერ, და ყოვლადცა
 მოსწრაფეთაჲ. ვინმცა მომცა თთუე ერთი დღეთა მათგან³, რომელთა-იგი
 ვიშუებდი შენ თანა ძვრის-ხილვითა, რამეთუ უპატივოსნეს არს მწუხარებაჲ
 ნებსითი შუებასა უნებლიეთსა. ვინღა მომცნეს ჩუენ ფსალმუნებანი იგი და
 ღამისთევანი და ლოცვანი, ღმრთისა მიმართ განსლვანი, და რეცა თუ უნიე-
 35 თომ ცხოვრებაჲ და უხორცოა? / ვინ მომცეს ერთნებაობაჲ და ერთსულობაჲ
 ძმათაჲ, შენ მიერ განღმრთობილი და ამაღლებული, ანუ ვინ — შესწორებაჲ
 და აღლესვაჲ ურთიერთარსი სათნობათა მიმართ, რომელნი-იგი საზღვრითა
 და კანონთა აღწერთა განვამტკიცენით? ვინ—სიტყუათათუს საღმრთოთა ტკი-
 ვილმოყუარებაჲ და მათ შორის მყოფისა მის ნათლის პოვნაჲ თანა-ძღუანეთა

2. ღირღუაროანთანი. კუთებანი. 3 უკუე. რა-ესე. გულისხმა-გვყოფიეს. 6 უფროს. 7 მწუერვალნი. 10 ჰკმობენ. უკუე. ჰფრინვენ. 12 შესძინე. უკუე. 13 ნუუკუე. 14 იყუნენ. 15 აღვრ-ასხნე. 16 უკუეთუ. დაესძინოთ. 19 გამოსცდიან. 20 შიშთათა. 21 კეთილთათა. 22 თავგისა. 24 ექუსთითუეობა. 25 ვასილი. 29 რა-იგი. მოვსწერე. 30 მოვსწერ. 31 მოსწრაფეთა. თთუე. 32 მწუხარება. 33 ნებსით. 34 ლოცუანი. 35 ცხოვრება. ერთნებაობა. ერთსულობა. 36 ძმათა. შესწორება. 37 აღლესვა. საზღვრითა. 38 ტკივილმოყუარება. 39 თანა-ძღუანეთა.

3* იობ. 29, 2.
 * ხელნაწერის ზემო ამაზე აღნიშვნის გარეშე მოთავსებული ეს „შეისწავე“ გვამცნობს, რომ გრიგოლის მე-4 ეპისტოლე წარმოადგენს ბასილის მე-14 ეპისტოლის პასუხს.
 ** ეს ეპისტოლე ხელნაწერში ბასილს მიეწერება.

სულისადათა?² ანუ (და მცირეთა ვიტყოდე და უუსრულებსთა) ვინდა მომცეს
 მოქმედება იგი დღითი-დღედი? ვინ — მეშეშობადა და მკუთეთლობა? ვინ —
 მწერგველობადა და მწყლველობა? ანუ ვინ — ხე იგი ძელქვისა, უფროსდა
 ოქროსა უპატეოსნისი ნერგსა მას ქსერქისისა³, რომლის ქუეშე მქდომარე
 იყო არა მეფე განლაღებული, არამედ მონაზონი შეცინებული? ნერგსა მას
 ვიტყვი, რომელი მე დავასხ, აპოლო მორწყო, შენმან მაგან პატეოსნებამან,
 ხოლო ღმერთმან ალაორძინა პატეივად ჩუენდა, რათა ცხოველ იყოს ჩუენ
 შორის საცენებელი ჩუენისა მის ტეივილთმოყუარებისა, ვითარ-იგი კილო-
 ბანსა შინა ყუავილოვნება აპრონის კუერთხისა ითქმისცა და ირწმუნე-
 ბისცა⁴*. ამისი უკუე ლოცვაა ადვილ არს, ხოლო მიმთხუევაა არა ადვილ
 არს. არამედ შენ ჩემ თანა იყავ და ერთსულობდ და თანა-მოქმედებდ სათ-
 ნოებასა და სარგებელი, რომელი-იგი ოდესმე შევიკრბებთ, სცევდ მას ლოც-
 ვითა მიერ, რათა არა მცირედ-მცირედ დავიკსნნეთ, ვითარცა აჩრდილი მიდ-
 რეკასა დღისასა⁵*. ვითარ-ესე მე შენ შორის ვფშუ უფროს, ვიდრელა ჰაერ-
 სა ამას შინა, და მით მხოლოდ ცხოველ ვარ, რომლითა შენ თანა ვიქმნე, გინა
 თუ მახლობელი, გინა თუ შორიელი, განცდითა ხატისა შენისადათა.

3(5)

გრიგოლი ბასილის დ

ვინადათა უკუე ზომიერად დამდაბლდი სწავლულეებისათს, და შემდგო-
 მიცა შეეცხინოთ. ხოლო ომპროსგან იყავნ დაწყებად მისი: „მიიცვალე უკუე
 შინაგანისა ამის სოფლისაგან უშინაგანესთა მიმართ“¹, საართულსა უსართუ-
 ლოსა და კარსა უკაროსა, საზრდელსა უცეცხლოსა და უკუამლოსა, ზღუდეთა
 ცეცხლითა განმქმართა, რათა არა დაგუეცემოდინ წუეთნი თიქისანი ტანტა-
 ლიეთ ვეითმე და დასჯილთა წყურილითა მახლობელად წყლისა საწყალობე-
 ლითა მით და უნოვაგითა სანოვაგითა, რომლისათს კაბადაუკით ვიწოდენით,
 არა ვითარცა ლოტოფალთა² სიგლახაკედ, არამედ ვითარცა ალკინოროს³ ტაბ-
 ლად, ჩუენ ახალნი ესე ღელვაგუემულნი და მოთმინენი. რამეთუ მომეგსე-
 ნების პურთა მათთს და სანოვაგისა, ვლომონ* წოდებულისა, არამედ მო-
 ვიკსენოცა მსგავსება იგი უყისაა, რომელი აქუს ვლომონსა ღრმად შთაფლ-
 ვითა და მძლავრ აღმოწუდითა კბილთადათა. ამას შენ განაქიებდე უმაღლე-
 სად, რომელსა-ევე თუსთა შემთხუევათაგან გაქუს კამაღლობადა, რომელსა
 შინა უკუეთუმცა არა მსწრაფლ გამოვეკსენენით, დიდსა მას და ნამდვლვე
 გლახაკომზრდელსა (შენსა უკუე ვიტყვ/დედასა), რაჟამს ნავთსაყუდელ გუ-
 ექმნა უამისა მის ღელვაგუემულთა, აწმცა ვიყვენით მკუდარ დაძულებულ და
 დანთქმულ სარწმუნოებისაგან, არა საქებელ უფროს, რაოდენ საწყალობელ.
 ვითარ თანა-წარგვკლედ უმტილოთა მით მტილთა და ყოვლად უმტილოთა და
 ნაგეესა მას განთიადისსა***, გარეგანყრილსა სახლით, რამეთუ ამას ვკყოფ-

334

1 სულისათა. 2 მოქმედება. მეშეშობა. მკუთეთლობა. 3 მწერგველობა. მწყლველობა.
 ძელქვისა. 4 ქვეშე. 6 ვიტყვი. მოპწყო. 8 ტეივილთმოყუარებისა. 9 ყუავილოვნება.
 კუერთხისა. ითქმისცა. 10 უკუე. ლოცვა. მიმთხუევა. 12 სცევდ. ლოცუათა. 14 ვფშვი. უფროს.
 16 შენისათა. 18 გრიგორი. ვასილის. 19 უკუე. 20 შეეცხინოთ. მიიცვალე. უკუე. 22 უკვამ-
 ლოსა. 23 დაგვეცემოდენ წვეთნი. 27 ღელვაგუემულნი. მომეხსენების. 29 მსგავსება. უყისა.
 აქეს. 30 კბილთათა. 31 შემთხუევათაგან გაქეს. 32 უკეთუმცა. 33 უკუე. ვიტყვი. გვექმნა.
 34 ღელვაგუემულთა. დაძულებულ. 35 უფროს.

4* რიცხვ. 17, 8—10. 5* ფს. 108, 23.
 * ლექსიკური ერთეული ვლომონ ეფრემს უთარგმნელად აქეს გადმოტანილი ქარ-
 თულ ტექსტში. შდრ. ბერძნული ὁ βλωμός — პურის, სანოვაგის ნაპერი.
 ** ბერძნულ ტექსტში, სადაც ლაპარაკია ავეიოსის ნაკელზე, იგულისხმება მითი ჰერაკ-



დით, რაჟამს ურემსა მას, აღსავსესა ტურთითა, მზიდველ ვიყვნით მეცხოვეთ-
 რიონ* და შენ, ლამკრი** ეგე, ქედებითა მით და ხელებითა, რომელთა-
 ესე ჯერეთ აწცა მოაჩნნ კუალნი მუშაკობისანი? შ ქუეყანაო და მზეო და
 სათნობეაო⁴, რაათა მცირედრე მომღერალ ვიქმნე, — არა რაათა ელისპონტ-
 5 ოსა შევეუღლნეთ, არამედ რაათა დავავაკოთ მთხრებლები⁵. ამათ სიტყუა-
 თათუს უკუეთუ არა გიმძიმდეს შენ, უეჭუელად არცა ჩუენ, ხოლო გიმძიმ-
 დეს თუ შენ, რაოდენ უფროსდა ჩუენ? და რაათა უმრავლესსა თანა-წარგვჯდე
 რილობითა მათ საქმეთათა, რომელთა მრავლად მიმღებელ ვიქმნენით.

4(2)

10

მისივე ე

ამათ არა თავს-ვიდებ ყუედრებად შუებულებასა და აქათა ამათ თიჯათა
 და ზამთართა, შ შენ, ფრიად მოქადულო, მთად აღმავალო და ფიცრებით
 მოარულო, ანუ თუ ფრთოვანო და ზე მავალო და ისარსა თანა ავარიდოა-
 15 სა! აღმავალო, რაათა კაბადუქიელ იყო და კაბადუქისათა ამათგან მლტოლ-
 ვარე იყო. ნუუკუე უსამართლოდ ვპყოდთა, ვინათგან თქუენ ფერყუთელ
 ხართ და იწროდ აღმომშვნველ და განმზომელ მზისა(*), ხოლო ჩუენ ვსუქთ
 და განვძლებით, არამედ არა გარე-შევიწერებით? რომელი-ესე თქუენ შორის-
 ცა არა ეგრეთ არს! რაჟამს იშუებდეთ და განმდიდრდებოდეთ, ამას არა ვა-
 ქებ. აწ უკუე გინა თუ დასცხერ თიჯათა ჩუენდა ყუედრებისაგან (რამეთუ
 20 არცა ქალაქი დაგბადებდეს შენ, არცა ზამთარი ჩუენ), ანუ თუ ჩუენცა გა-
 ყუედრებდეთ შენ თიჯათა წოლ სავაჭროთა და უღაბნოსა შინა მასვე, რაო-
 დენი ჭირად მოაქუს ქალაქთა შინა.

(*) „შეისწავე: ვითარმედ განმზომელობა მზისა არს შესწავება ჟამთა
 დღისათა ლოცვისათუს და მარხვისა“.

25

5(1)¹

გრიგოლი ბასილის %

მტყუვარ ვიქმენ შენდა მომართთა ქადებათა, აღვიარებ, აღვითქუ რაა
 შენ თანა-ყოფად და შენ თანა სიბრძნისმოყუარე-ყოფად² მიერვე ათინით და
 მუნდასა მის ერთსულობისა და მეგობრობისაგან, რომელთა ამათსა არღარა
 30 მაქუს თქუმიდ უსაკუთრესი. ხოლო მტყუარ-ყოფად იგი არა ნებსით იყო,
 არამედ ამისთვის, რამეთუ სჯული სჯულსა მძლე ექმნა, მბრძანებელი იგი
 მშობელთა მსახურებისა უღაბნოასასა მას და ჩუეულებისებრსა. გარნა არა-
 ვე ყოვლად მტყუარ ვიქმენ, უკუეთუ ოდენ შენ მიმთუალველ მექმენ, რამე-

ლეს მეშვიდე გმირობის შესახებ, რომელმაც მდინარის დახმარებით ერთ დღეში გაწმინდა
 ელიდის მეფის აგეგას თავლა. ბერძნული დედანის საკუთარი სახელი *πῆρ Ἀθύλειου* ქართულ
 თარგმანში გადმოტანილია საზოგადო სახელის *πῆρ ἀθύλειου*-ს (განთიადი) მნიშვნელობით.

4 რათა. 6 უკეთუ. უეჭველად. 8 საქმეთათა. 11 ყვედრებად. შეგბულებასა. 13 მოხარულო.
 14 რათა. კაბადუქიელ. კაბადუქისათა. 15 ნუუკუე. ფერყუთელ. 16 ვსუქთ. 17 განვძსძლე-
 ბით. 19 უკუე. დასცხერ. ყვედრებისაგან. 20 გაყვედრებდეთ. 21 უღაბნოს. 22 მოაქუს.
 23 განმზომელობა. მზისა. 24 ლოცუსათუს. 26 გრიგორი. ვასილის. 27 რა. 28 თანა-ყოფა.
 30 მაქუს. თქმიდ. მტყუარ-ყოფა. 31 მსჯული. მსჯულსა. 32 მსახურებისა. ჩვეულებისებრსა.
 33 უკეთუ. მიმთუალველ.

* ო ტ რ ი ო ნ ი — დედნიდან უთარგმნელად გადმოტანილი სიტყვაა. შდრ. ბერძნული
 ὁ βίειρος — მევენახე.

** ასევე უთარგმნელად გადმოტანილი ლამკრის ბერძნულ ტექსტში შეეისაბამება
 ὁ λαμυρῖος.



თუ რომლითამე მე შენ თანა ყოფად, ხოლო რომლითამე შენ ჩემ თანა თავს ვიდვით, რადთა ყოველივე ჩუენი ზიარ იყოს მეგობრობისა და ერთბატი-
ვობისა. რამეთუ ესრეთ იქმნების ამითიცა არა შეწყუხება და შენ თანა მყო-
ფობით ჭეროვნად შუებულეზა.

6(114)¹

5

[გრიგოლი კალმასიოსს]* 6
1 მითოლოგიური პერსონაჟი, აპოლონის ქურდში, რომელმაც ისარზე ამხედრებულმა შემოიარა მთელი დედამიწა. მშვილდოსანი ღმერთის სიმბოლო. გრიგოლის შრომების ცნობილი კომენტატორის ფსევდონონეს (VI ს.) თხზულებაში «თხრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოდლებული», «მეშუდენ თხრობაა არს ავარიღოასთჳს...» (დაწვ. იხ. ი. აბულაძე, «ელინთა ზღაპრობანი, შრომები, III, 1981, გვ. 25—26).

ეპ. 5(1)

1 გრიგოლი და ბასილი ათენშივე შეთანხმდნენ, რომ სწავლის დასრულების შემდეგ მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგებოდნენ. მაგრამ, გრიგოლმა სიცოცხლეში ვერ მიატოვა თავისი მოხუცებული მამა და დაპირება დაირებად დარჩა.



2 სიბრძნისმოყვარე-ყოფა იმ ქრისტიანის სურვილია, რომელმაც მიზნად დაისახა იყოს სრულყოფილი, ეზიაროს ჰეშმარტ სიბრძნეს. ამ შემთხვევაში იგულისხმება სამეცნიერო ნასტრო ცხოვრება.

ეპ. 6(114)

1 ეს ეპისტოლე მიმართულია კელვესიოსისადმი. მისი დასაწყისი ძალიან ჰგავს ბასილი-სადმი მიმართულ მე-5 ეპისტოლის დასაწყისს. ამან ზოგიერთ ბერძნულ კრებულში გამო-იწვია ადრესატების ადრევა. ქართული ხელნაწერი იმეორებს ამ შეცდომას.

2 იგულისხმება პანდიონ მეფის ორი ასულის ფილომენასა და პროკეს ტრაგიკული ისტორია (ოიდიუს ნაზონი, მეტამოფოზები, VI).

3 ფრანგენტი პინდარეს თხზულებიდან (n° 105 de l'ed. Snell, Teubner, 1964).

ეპ. 7(47)

1 372 წლის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორ ვალენტის (364—378) დეკრეტის თა-ნახმად კაპადოკია ორ ნაწილად გაიყო. პირველის დედაქალაქად გამოცხადდა კესარია, მეო-რის — ტიანა. ტიანის მიტროპოლიტმა ანთიმოზმა უარი განაცხადა ბასილის დაქვემდებარე-ბაზე და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მას.

ეპ. 9(48)

1 ბასილისადმი მტრულად განწყობილმა ტიანის მიტროპოლიტმა ანთიმოზმა მიმხრო მისი ეპისკოპოსების დიდი ნაწილი. ეპისკოპოსების რიცხვის გაზრდის მიზნით ბასილმა პროვინციის ეფემერულ საზღვარზე ხელახლა შექმნა ეპარქიები, რომელთაგან ყველაზე სადავო, სასიმი, თავის მეგობარს „მიუბოძა“ და მისი ნების წინააღმდეგ ეპისკოპოსად აყურთხა. პატარა ქალა-ქი სასიმი ტიანის დიდი გზების შესაყარზე მდებარეობდა. ამ გზებით მიჰქონდათ საეკლესიო გადასახადები კესარიაში. ანთიმოზი, ბრალს სდებდა რა ბასილს ერეტეკოსობაში, თვითონ ითვისებდა ამ გადასახადებს. ბასილი იმედოვნებდა, რომ გრიგოლი სასიმის ეპისკოპოსის როლში მეფარველობას გაუწევდა მის მომხრეებს. გრიგოლმა ვერ გაუძლო ანთიმოზთან კონ-ფლიქტს და მთებში გაიხიზნა. 48-ე ეპისტოლე წარმოადგენს ბასილის საყვედურის პასუხს.

2 გრიგოლის ეპისკოპოსად არჩევამდე ბასილმა მონიღომა თვითონ აეკრიფა წმ. ორეს-ტის ეკლესიის გადასახადები. უკან დაბრუნებისას მას თავს დაესხნენ ანთიმოზის მომხრეები. საქმე ხელჩართულ შეტაკებამდე მივიდა.

ეპ. 11(40)

1 კესარიის ეპისკოპოსის ევსევის გარდაცვალების შემდეგ საეპისკოპოსო ტახტისათვის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ბასილმა მძიმე ავადმყოფობის მომიჯნეებით გრიგოლი კე-სარიაში მიიტყუა, რათა მისი დახმარებით დემარცხებინა დანარჩენი კანდიდატება და კე-სარიის ეპისკოპოსი გამხდარიყო. ნაწყენმა გრიგოლმა მძიმედ განიცადა ჭერ ბასილის ავად-მყოფობა, ხოლო შემდეგ მისი სიცრუე და მეგობრის უნაბეად გაბრუნდა ნაზიანზში.

ეპ. 13(58)

1 ნიკეის საეკლესიო კრებამ დაასაბუთა სამების მეორე პირის, ძის ღვთიურობა, რომე-ლიც არიოზელთა თავდასხმების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა. სულიწმიდას ნაკლები ყურადღება მიექცა. მამები დამყაოფილდნენ იმით, რომ სწამდათ იგი და მოიხსენებდნენ ძის შემდეგ. მხოლოდ 372—73 წლებიდან ეწოდა სულიწმიდას ღმერთი. ბასილი მაინც იკა-ვებდა თავს ამ ზედწოდებისაგან, რათა თავისი ნახევრად არიოზული მრევლი შეენარჩუნე-ბინა.

2 მოწამე, სიკვდილით დასჯილი იულიანე იმპერატორის დროს.

ეპ. 14(44)

1 ეპისკოპოსად არჩევნებში ბასილს ერთადერთი ხმა დააკლდა. კრიტიკულ მომენტში უფროსმა გრიგოლმა დაარწმუნა ევსევი სამოსატელი მხარი დაეჭირა მისი რჩეულის კანდი-დატურისათვის. ამ მხარდაჭერამ საქმე ბასილის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მამა-შვილი ნა-ზიანზელების უზომო კმაყოფილებასა და მადლობას გამოხატაეს გრიგოლი უმცროსის 44-ე ეპისტოლე მიმართული ევსევისადმი.

ვალერი სილოგავა

მარი ბროსე — ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლის დაწყება დაკავშირებულია აკად. მარი ბროსეს (1802—1880) სახელთან. უფრო მეტიც, მრავალი წესი, მეთოდი და ხერხი, რომლითაც მ. ბროსემ პირველმა წამოიწყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება, შესწავლა და გამოქვეყნება ამჟამადაც ანა თუ შეწყნარებულია და მისაღები, არამედ ასეთი სახის სამუშაოს წარმატებით შესრულების ერთადერთ სწორ გზადაც არის მიჩნეული.

დაახლოებით 150 წლის წინათ, როდესაც 35 წლის მ. ბროსე პარიზიდან პეტერბურგს გადმოსახლდა და თავისი ცხოვრება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ქართველოლოგიის და, აგრეთვე, არმენოლოგიის საკითხების შესწავლას დაუკავშირა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში ძალზე ცოტა იყო გაკეთებული და ისიც, რაც გაკეთებული იყო, ისევ მის სახელს უკავშირდებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი (1696—1756)¹, აკად. ანტონ გიულდენშტედტი (1745—1781) და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798—1850) — აი მარი ბროსეს წინამორბედები ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის საქმეში. ამ შემთხვევაშიც იმ დროისათვის, როდესაც მარი ბროსე შეუდგა ქართველოლოგიური საკითხების შესწავლას, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, შესრულებული 1742—1745 წწ., ჭერ კიდევ მოელოდა თავის გამომცემელს და ამ საქმის განხორციელებას დიდი ღვაწლი ისევ მ. ბროსემ დასდო, როგორც მისი გეოგრაფიული ნაწილის პირველმა გამომცემელმა²; ა. გიულდენშტედტის ცნობილი „Reisen“³

¹ „არბან აღშენებულნი [ეკლესიანი] ზოგნი მთავართა და ზუროთ-მოძღვართაგან, ვითარცა ზე დევ ეკლესიათა წერაღანი აჩენნა“, — აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი ჭერ კიდევ XVIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 85; 12-14); მისივე აღნიშვნით: „არასაღმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჭუართა ძურფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თუნიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აღზაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჭუართა ზედა“ (ქცა, ტ. IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყულუზიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 292-9). შ. მესხია შენიშვნით, „საპირო შემთხვევაში ვახუშტი მშვენიერად იყენებდა ამ „ზედწერილებს“, რომელიმე თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად (შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, I, თბ., 1944, გვ. 51); შდრ.: ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980, გვ. 9.

² ლეონტიძე თეოდორე აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოს ბროსეტის-გან, SPb., 1842.

³ I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, hrsgb. von P.—S. Pallas, I, SPb., 1787; II, SPb., 1791.



მთლიანად, ქართული წარწერების ტექსტების შემცველ ნაწილიანად, მხოლოდ ჩვენს დღეებში დაიბეჭდა და გახდა ცნობილი ფართო სამეცნიერო-ეპისათვის⁴; ხოლო რაც შეეხება ფრ. დიუბუას განთქმულ „Voyage“-ს⁵, მასში წარმოდგენილი სამ ათეულამდე ქართული წარწერის ტექსტის დადგენა და მათი ფრანგული თარგმანი თვითონ მ. ბროსეს მიერ იყო მომზადებული⁶.

ამასთანავე, მ. ბროსესათვის იმთავითვე ნათელი გახდა, რომ ქართველოლოგიური საკითხების შესწავლა შეუძლებელი იყო და სრულყოფილი ვერ იქნებოდა ძველი ქართული წარწერების მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რომელთა აროდნობა რამდენიმე ათასს აღწევს.

აკად. მ. ბროსეს სამეცნიერო შემოქმედება და მისი შედეგები, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო XIX საუკუნისათვის, თავისი ხასიათით უნივერსალურია, ე. ი. იგი მოიცავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალ დარგს — ისტორიას, ფილოლოგიას და მთელ რიგ ე. წ. სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინებს — ეპიგრაფიკას, სფრაგისტიკას, ქრონოლოგიას, დიპლომატიკას და სხვ.

დასახელებულ დისციპლინათაგან მ. ბროსეს ყველაზე მეტი მუშაობა ჩატარებული აქვს ქართულ ეპიგრაფიკაში. შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ისტორიული მასალების პუბლიკაცია მ. ბროსემ სწორედ ეპიგრაფიკული ძეგლებით დაიწყო⁷.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ბროსე ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ერთნაირად ნაყოფიერად შესწავლიდა და აქვეყნებდა თავისი ხანგრძლივი, ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის თითქმის მთელ მანძილზე, მაინც შეიძლება გამოიყოს ამ სფეროში მისი მუშაობის ორი პერიოდი. ერთია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მის მიერ შესრულებული პუბლიკაციები საქართველოში მოგზაურობამდე და მეორეა ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი და, აგრეთვე, სხვადასხვა გზით შემდეგ მოპოვებული მასალების გამოცემები.

ქართული წარწერების შესწავლაში მ. ბროსეს დიდ დახმარებას უწევდნენ მისი კორესპონდენტები, რომლებიც მას სისტემატიურად აწვდიდნენ ქართული წარწერების გადმონაწერებს, მონახაზებს, ზოგჯერ ვაშიფრულ ტექსტებს. მ. ბროსე ამ მასალებს კომენტარების დართვით, რომელთაც დღესაც არ დაუკარავთ სამეცნიერო მნიშვნელობა, აქვეყნებდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორგანოებში. სხვადასხვა დროს მ. ბროსეს კორესპონდენტები და ინფორმატორები იყვნენ: მისი მასწავლებელი, როგორც ამას თვითონვე აღნიშნავდა, თეიმურაზ ბატონიშვილი, პ. იოსელიანი, დ. მეღვინეთხუცესიშვილი, რ. ერისთავი, საქართველოს ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსი ევგენი (ბაუანოვი), ცნობილი ნუმისმატი და საქართველოს სიძველეთა შემკრები ბართლომეი, მხითარისტი ნერსეს სარგისიანი, არქიტექტორები ივანე მუსლოვი და აბრამ ნოროვი და სხვ.

⁴ გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გაოკველვა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1964.

⁵ Voyage autour du Caucase' cher les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crime par F r é d é r i c D u b o i s d e M o n t p é r e u x, tt. I, II, III, Paris, 1839; t. IV, Paris, 1840; t. V et VI, Paris, 1843.

⁶ Voyage autour du Caucase, t. III, p. 415 etc.

⁷ შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 56; III. А. Х а н т а д з е, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, с. 95.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის 30—50-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები არნახული ენთუზიაზმითა და გატაცებით ედგნენ მხარში მ. ბროსეს და სისტემატიურად აწვდიდნენ მას მასალებს და მათ შორის ქართულ წარწერებს. ასე მაგალითად. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა სამეგრელოსა და აფხაზეთის 14 ეკლესიასა და მონასტრის ხატებიდან გადაღებული 40-ზე მეტი ვერცხლი ქართული ჭედური წარწერის პირი გადასცა მ. ბროსეს, რომელმაც ისინი სათანადოდ გამოიყენა⁸.

ეს მოვლენა, იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ფართო მხარდაჭერა მ. ბროსესათვის და მათი ენთუზიაზმი სიძველეთა შესწავლისადმი, ყურადღებას იქცევს არა მარტო როგორც კერძო შემთხვევა, არამედ როგორც ქართული კულტურის ისტორიის ფაქტი, მაჩვენებელი საზოგადოების ინტერესებისა და კულტურულ-ინტელექტუალური დონისა. ცხადია, პირად ღირსებებთან ერთად, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი მ. ბროსეს წარმატებული და იშვიათი ნაყოფიერებით აღბეჭდილი სამეცნიერო მუშაობისა.

მ. ბროსეს პირველი შეხვედრა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან ფრ. დიუბუას მონაწილეობით შედგა. ფრ. დიუბუამ საქართველოში იმოგზაურა 1833 წელს და ამ დროს სხვა მასალებთან ერთად შეკრიბა რამდენიმე ათეული ქართული წარწერის გრაფიკული მონახაზი და ტექსტის გადმონაწერი. მის მიერ შეკრებილი მასალა 1839—1843 წლებში ექვს ტომად გამოიცა პარიზში და მასში შევიდა ქართული წარწერებიც, რომლებიც, როგორც აღინიშნა, მ. ბროსემ მოამზადა გამოსაცემად.

ამრიგად, ფრ. დიუბუას და მ. ბროსეს ერთობლივი თანამშრომლობით ჯერ კიდევ 140 წლის წინათ გამოიცა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი ჯგუფი. ეს გამოცემა განხორციელდა ფრანგულ ენაზე, რაც მეტად ზრდიდა ამ წარწერებით სარგებლობის მსურველების წრეს ეს კი თავის მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რადგან, როგორც ფრ. დიუბუას ნაშრომისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რეცენზიაშია აღნიშნული, ამ გამოცემამდე საერთოდ ეჭვი არსებობდა ასეთი სახის წარწერების არსებობის შესახებ⁹.

თბილისის (ლურჯი მონასტრისა და სიონის ტაძრის), მცხეთის (სვეტიცხოვლისა და ჯვრის ტაძრის), ქუთაისის (მწვანეყვავილასა და ბაგრატის ტაძრის), სამთავისის, კაცხის, ჭყონდიდის, ხობის, გელათის, გეგუთის, შემოქმედის ეკლესია-მონასტრების წარწერები — აი ის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ქართული წარწერების პირველ პუბლიკაციაში. წარწერების ეს ჯგუფი ამჟამადც ქართული ეპიგრაფიკის ერთ-ერთ ძირითად ბირთვს, მის უძვირფასეს ფონდს შეადგენს; მათი ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავს VII—XVIII სს.

მიუხედავად ცალკეული ნაკლისა, რომელიც ამ გამოცემას ახლდა (ტექსტები წარმოდგენილი იყო მხოლოდ თარგმნილი სახით, ზოგჯერ წაითხვაც მეტ სიზუსტეს მოითხოვდა და სხვ.) და რომელთა შესახებ ამჟამად მსჯელობის გამართვა არ ღირს, ეს გამოცემა მეტად ფასეულია და მას დღესაც არ

⁸ ეს მასალა ამჟამად დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში, მარი ბროსეს არქივში — Н 29(Г 39, Н 26): Р. О р б е л и, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, вып. I, М.—Л.; 1956, с. 89—90; შტრ.: ქართული წარწერების კორპუსი. ტ. II, გვ. 11.

⁹ ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 11.



დაუკარგავს მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ჩვენს დრომდე არმოღწეული, ან უფრო მეტად დაზიანებული სახით მოღწეული წარწერების შესასწავლად (მაგ. გეგუთის და მწვანეყვავილას წარწერები და სხვ.).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გამოცემაში ეპიგრაფიკული ძეგლები უკვე იმთავითვე გამოყენებული იყო, როგორც საისტორიო წყარო. კერძოდ, ხობის მონასტრის ვამეყ დადიანისეული წარწერის (XIV ს. ბოლო) მონაცემები ფართოდ იყო მოხმობილი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების და მათ შორის ჩერქეზების ისტორიის გადმოცემისას¹⁰, საგანგებო ყურადღება ჰქონდა მიქცეული არაბული ციფრების ერთ-ერთი უადრესი გამოყენების დადასტურებას ბაგრატიის ტაძრის 1003 წლის წარწერაში ტაძრის იატაკის „განმტკიცების“ თარიღის აღნიშვნისას და სხვ.¹¹

იმავდროულად პეტერბურგში, ახლადდაარსებული აზიური მუზეუმის ქართულ ფონდში, მ. ბროსეს მეცადინეობით, თანდათან დაიწყო შემოსვლა ქართულმა ეპიგრაფიკულმა მასალამ. ნ. ქუთათელაძემ, პ. იოსელიანმა, საქართველოს ეგზარქოსმა ევგენიმ მ. ბროსეს გადაუგზავნეს, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოში შეკრებილი რამდენიმე ათეული წარწერის პირი. ამათ დაემატა ფრ. დიუბუას მიერ მ. ბროსესათვის ადრევე გადაცემული წარწერები და აზიურ მუზეუმში შეიქმნა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სოლიდური ფონდი, რომელშიც წარწერათა რაოდენობა 250 ერთეულს აღემატებოდა. 1840 წელს აკადემიის „მეზუაგრების“ IV ტომში მ. ბროსემ მთლიანად გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული ეპიგრაფიკული მასალა, რომელშიც შეადგინა დიდი ფორმატის 130 გვერდიანი ნაშრომი „სხვადასხვა ქართული, სომხური და ბერძნული წარწერების ახსნა“¹². მასში წარმოდგენილია გორის, ატნის, მცხეთის, ქვემო ქართლის ძეგლების, გელათის, ბაგრატიის ტაძრის, კაცხის, ნიკორწმინდის, ჯრუჰის, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ჭყონდიდის, ხობის, შემოქმედის წარწერების პუბლიკაცია.

იმხანად სათანადო შრიფტების უქონლობის გამო ქართული მასალები იბეჭდებოდა ძველი ხუცური შრიფტით. მ. ბროსემ 1837 წლის 28 ივნისს, როდესაც ის მხოლოდ მეროდ ესწრებოდა აკადემიის სხდომას, მოითხოვა ქართული მხედრული შრიფტების დამზადება¹³. შრიფტი დამზადებულაქნა (იგი 1838 წელს უკვე გამოყენებაში იყო) იმ მატრიცების მიხედვით, რომელიც მ. ბროსემ თეიმურაზ ბატონიშვილის შეკვეთით და მის მიერვე მიწოდებული ნიმუშების საფუძველზე 1837 წელს პარიზში დაამზადებინა ფრანგ მხატვარსა და გრავიორს დელიაკონს¹⁴. თეიმურაზ ბატონიშვილის და მ. ბროსეს ამ სფეროში ერთობლივი მოღვაწეობით ასე მივიღეთ ერთ-ერთი ულამაზესი ქართული შრიფტი „აკადემიური“, რომლითაც იწყობოდა XIX საუკუნეში ყველა ქართული წიგნი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ე. წ. ვენური შრიფტის ჩამოსხმამდე 1866 წელს¹⁵. ამ შრიფტით დაიბეჭდა „ვეფხისტ-

¹⁰ Voyage autour du Caucase, t. I, 1839, p. 77, об., აგრეთვე, Путешествие вокруг Кавказа, Фредерика Дюбуа де Монперэ, I, пер. с французского Н. А. Данкевич-Пушиной, Сухуми, 1937, с. 14.

¹¹ Voyage autour du Caucase, t. I, 1839, p. 418.

¹² Explication de diverses inscriptions géorgiennes, arméniennes et grecques, MAIS, t. IV, SPb; 1840, p. 315—446.

¹³ შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

¹⁴ ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარი კატალოგი, შედგენილი ბ ე ნ ე გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი ს შ ი ე რ, თბ., 1965, გვ. 31.

¹⁵ იქვე, გვ. 15, 31.



ტყაოსნის“ ბროსე-ფალავანდიშვილ-ჩუბინაშვილისეული გამოცემა 1841 წელს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ გეოგრაფიული ნაწილის მ. ბროსესეული გამოცემა 1842 წელს, დ. ჩუბინაშვილის მონუმენტური ქართულ-რუსული ლექსიკონი 1887 წ. და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური შრიფტი დამზადდა, როგორც ციცერო, ისე პეტტი, ე. ი. შეიქმნა, როგორც მსხვილი და საშუალო, ისე წვრილი, აგრეთვე, ნათელი და მუქი მოსახვის შრიფტები. მოგვიანებით ამ შრიფტის 16 კეგელიდან იაკობ გოგებაშვილმა გამოჩენილ ქართველ გრავიორს ვრიგოლ ტატიშვილს დაამზადებინა კეგელი 24 თავისი საბავშვო გამოცემებისათვის, ძირითადად „დედაენისათვის“¹⁶. ამ შრიფტს ამჟამად „დედაენის გარნიტური“ ეწოდება და დღესაც ამ შრიფტით იბეჭდება სასკოლო სახელმძღვანელოები პირველკლასელთათვის. სხვათა შორის, ამ შრიფტით დაიბეჭდა გ. ქართველი-შვილისეული გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ 1888 წელს, საიუბილეო გამოცემები 1937 და 1966 წლებში. ასე რომ მ. ბროსეს ღვაწლი ქართული შრიფტების სახეობათა შექმნის საქმეშიც მეტად თვალსაჩინო და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

უკვე 1838 წელს მ. ბროსე უშუალოდ დედნების მიხედვით ეცნობა და სწავლობს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. ამ წელს იგი მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით ერთი თვე (25.VII—25.VIII) მუშაობდა მოსკოვში, სადაც მან შეისწავლა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები, შეიძინა აზიური მუზეუმისათვის ხელნაწერები (მათ შორის ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ავტოგრაფული ნუსხა — ამჟამად საქართველოს ცენტრარქივის № 103 ხელნაწერი)¹⁷, ინახულა ქართველთა მიერ დაარსებული სამივე ეკლესია და გადმოწერა იქ არსებულ საფლავებზე მოთავსებული ეპიტაფია-წარწერები. შემდეგ მათ მ. ბროსემ დაუმატა პეტერბურგში არსებული ქართული საფლავების ეპიტაფიები და 1840 წელს აკადემიის „მოამბეში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „მოსკოვისა და სან-პეტერბურგის ქართული საფლავების წარწერები“¹⁸. ამ წარწერების მონაცემების მიხედვით მ. ბროსემ დაადგინა მრავალი გენეალოგიური და ქრონოლოგიური ფაქტი XVIII—XIX სს. რუსეთში მოღვაწე ქართველების შესახებ¹⁹.

მოსკოვში მუშაობისას მ. ბროსეს თან ახლდა ერთ-ერთი იტალიური ქართველი პეტრე ქეზაძე, ქართული მწიგნობრობის მოყვარული, რომელიც შემდგომში ეხმარებოდა აზიურ მუზეუმს მოსკოვში არსებული ქართული ხელნაწერების შეძენაში. მაგრამ, ისევე როგორც სხვა დროს, ამ პერიოდშიც მ. ბროსე, როგორც ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილის (1782—1846) ხელმძღვანელობით და რჩევით მუშაობდა; მაგალითად, 1838 წლის 8 აგვისტოს თეიმურაზ ბატონიშვილი მოსკოვში სწერდა მ. ბროსეს: „მიდიეთ მანდ, მოსკოვში, უსპენის სობოროში... იქ არის ერთი ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი სადღედოფლო მეფის რუსუდანისა, გადმოწერეთ ზუსტური ასომთავრულად დაწერილი. თუ თქვენ ვერ წაიკითხეთ, მე წავიკითხავ აქ. სხვაც დაათვალიერე, ხომ არაფერია ქართული ხატი“²⁰.

¹⁶ ბ. გ. ორდენიანი, ვრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957, გვ. 71.

¹⁷ შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56; შტრ.: ქცა, IV, გვ. 010.

¹⁸ Inscriptions tumulaires géorgiennes de Moscou et de Saint-Petersburg, MAIS, VI série, t. IV, 1840.

¹⁹ შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58; III. А. Хантадзе, Академик Мари Броссе с. 96.

²⁰ რ. დოღაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 30.

მ. ბროსეს დასახელებული ნაშრომი ერთადერთია, რომელშიც ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი რუსეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. მისი მნიშვნელობა განუზომლად იზრდება, თუ გავიხსენებთ, რომ ბევრი ძეგლის ქვა მას შემდეგ დაიკარგა და ამჟამად არ არსებობს. მორიგი ამოცანა მათი ახალი, თანამედროვე პუბლიკაციის მომზადება*.

1847 წელს მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობის შედეგად მ. ბროსემ მიიღო მინისტრთა კომიტეტის ნებართვა და მას მიეცა ერთწლიანი სამეცნიერო მივლინება საქართველოში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მის სამეცნიერო მოგზაურობას მხარი დაუჭირა და კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა მოგზაურობის ხარჯების ერთი ნაწილის ანაზღაურებაც იკისრა²¹.

მ. ბროსემ კავკასიაში დაჰყო თერთმეტი თვე (31.VIII.1847—23.VII.1848), აქედან თვენახევარი (1848 წლის თებერვალი და 12 მარტამდე) მან სომხეთში გაატარა, ხოლო დანარჩენი დრო საქართველოს სიძველეების გაცნობას და შესწავლას მონადომა.

საქართველოში მ. ბროსემ მოიარა თბილისის მიდამოები, თელავის, თეთრიწყაროს, გორის, ახალციხის რაიონები, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, სამურზაყანო, რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. სამწუხაროდ, ზემო სვანეთში მ. ბროსე არ ყოფილა. რაჭის მმართველმა პოლკოვნიკმა კოცებუმ მას ზემო სვანეთში აყვანა აღუთქვა, მაგრამ რადგან მივლინების ვადა იწურებოდა — ეს ხდებოდა 1848 წლის ივნისში, მ. ბროსემ თავი შეიკავა და რაჭიდან თბილისს მოაშურა.

უამრავი მასალიდან, რომელიც მ. ბროსემ საქართველოში მოგზაურობის დროს შეკრიბა, შევჩერდებით ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. ამ მოგზაურობის შედეგები წარმოდგენილია მ. ბროსეს ცნობილ თორმეტ „Rapports“-ში, რომელიც 1849, 1850 და 1851 წწ. სამ წიგნად გამოსცა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ²². მანამდე 1847—1848 წწ. მ. ბროსე მათ აქვეყნებდა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების „ბიულეტენებში“ ნაწილ-ნაწილ, ცალკეული ანგარიშების სახით, იმის შესაბამისად, თუ საქართველოს რომელი კუთხის სიძველეთა შესწავლას დაასრულებდა.

დასახელებულ „ანგარიშში“ წარმოდგენილია მ. ბროსეს მიერ შესწავლილი რამდენიმე ასეული ლაპიდარული, ფრესკული და ჰედური წარწერის პუბლიკაცია. დღეს ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წარწერების შესასწავლად, რომლებმაც ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიეს, მაგრამ მათი ტექსტები, ან მათ შესახებ ცნობები შემოუნახავს მ. ბროსესეულ გამოცემებს: მათ შორისაა ჭყონდიდის მარტვილთა ტაძრის 996 წლის საამშენებლო წარწერა²³ და ამავე ტაძრის წარწერა კალატოზ მიქაელ ოპიზარისა²⁴; XII—XIII სს. წარწერები ეკის ეკლესიაზე, ბედიის ტაძარზე²⁵ და სხვ., აგრეთვე, მთელი წყება ჰედური წარწერებისა, რომლებიც მოთავსებული იყო ხატებზე, ჯვრებზე, ჰედური ხელოვნების ძეგლებზე და ღვთისმსახურების სხვადასხვა საეკ-

* ამ წარწერების ერთი ნაწილის ახალი პუბლიკაცია იხ.: ვ. სილოგავა, მასალები მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისათვის, „მაცნე, ისტორიის... სერია“, 3, 1983, გვ. 162—180, ტაბ. I—XII, სურ. 1—13.

²¹ შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

²² Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie exécuté en 1847—1848, par M. Brosse, 1 livr. SPb., 1849; 2 livr. SPb., 1850; 3 livr. SPb., 1851.

²³ Rapports sur un voyage archéologique, VII, p. 12—13.

²⁴ იქვე, გვ. 13.

²⁵ Rapports sur un voyage archéologique, VIII, p. 93.

ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი ჯგუფი ლევან დადიანის ვრცელი, ხშირ შემთხვევაში უნიკალური ისტორიული ცნობების შემცველი წარწერებისა, რომლებიც ქრონიკალურ ჩანაწერებს უფრო წარმოადგენენ თავიანთი ხასიათით, ვიდრე რიგით კტიტორულ წარწერებს და რომლებიც მოთავსებული იყო ლევან დადიანისავე საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებულ ხატებზე²⁶.

მ. ბროსე შემდეგშიაც პერიოდულად აქვეყნებდა ცალკეულ წარწერებს, ან წარწერათა ჯგუფებს იმის მიხედვით, თუ როგორ უვროვდებოდა მას მასალა იმ კორესპონდენტებისაგან, რომლებიც მრავლად შეიძინა საქართველოში მოგზაურობის დროს. სწორედ მათთვის იყო განკუთვნილი ის ინსტრუქცია (წარწერების ტექსტების გადმოწერის, ან მათი მულაჟების დამზადების წესების აღწერით), რომელიც მ. ბროსემ ჩაურთო 1848 წელს „Кавказский календарь“-ში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ თავის წერილში „საქართველოს სიძველეთა შესწავლის საჭიროებისა და საშუალებათა შესახებ“²⁷.

ასეთი რიგის პუბლიკაციებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს წარწერების კრებული, რომელიც მხითარისტ ნერსეს სარგისიანის მიერ შეკრებილ მასალებს შეიცავს. იგი გამოიცა 1864 წელს აკადემიის „მემუარების“ VIII ტომში. მასში წარმოდგენილია ოშკის, ხახულის, ექექის, იზნის, ყარსის და ჩანგლის წარწერები²⁸. მხედრული შრდტით წარმოდგენილ წარწერათა გაშიფრულ ტექსტებს ახლავს მათი ფრანგული თარგმანი, დაწვრილებითი, ვრცელი კომენტარები და დიდი ზომის ტაბულებზე მოთავსებული გრაფიკული მონახაზები. ხშირ შემთხვევაში უნიკალური ქრონოლოგიური და ისტორიული ცნობების შემცველი ამ წარწერების მნიშვნელობის შესახებ ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, XI ს-ის ქართველ მემკვიდრეებს სუმბატ დავითის-ძეს „ზოგჯერ გამოყენებული აქვს მრავალრიცხოვანი წარწერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა, რომელნიც მოგვიტხოზენ ამა თუ იმ ბაგრატიონის ღვაწლს, მოქმედებას, თუ გარდაცვალებას“²⁹. ამავე დროს, ეს დაკვირვება თვითონ სუმბატ დავითის-ძის ნაშრომის დიდი ღირსების მაჩვენებელიცაა.

1917 წლამდე, სანამ ე. თაყაიშვილი სამხრეთ საქართველოში ექსპედიციას მოაწყობდა და ზემოდასახელებულ, აგრეთვე, სხვა მანამდე უცნობ წარწერებს შეისწავლიდა, ხოლო ამ ექსპედიციის შედეგები ფართო სამეცნიერო წრეებისათვის XX ს-ის 50-იან წლებში გახდებოდა ცნობილი³⁰, მ. ბროსესული პუბლიკაცია ტაო-კლარჯეთის ძეგლების წარწერებისა იყო ერთადერთი და ყველაზე სრული მათ შესახებ. ამ პუბლიკაციას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა არამარტო ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, არა-

²⁶ Rapports sur un voyage archéologique, VII, p. 29, 33, etc; VIII, p. 104, 105 etc. იხ., აგრეთვე, ლ. ხუ სკი ე ძ ე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974, გვ. 9, 21 და სხვ.

²⁷ О необходимости и способах изучать памятники старины Грузии, КК, 1848, с. с. 129—144.

²⁸ Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nerses Sargisian et expliquées par M. Brosset, MAIS, t. VIII, № 10, SPb., 1864.

²⁹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა შესახებ. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებითა და ორი გენეალოგიური ტაბულით აკად. ე. თაყაიშვილი, მსკი, 27, თბ., 1949, გვ. 15.

³⁰ Е. С. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ. 1960.



მედ. მ. ბროსეს მიერ წარწერათა ტექსტებისათვის დართული კომენტარების
სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით.

მ. ბროსე და ქართული ეპიგრაფიკა ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი ფურცელია: საკმარისია აღინიშნოს, რომ მ. ბროსესათვის ცნობილი იყო დაახ. 2000 ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი. მაგრამ საქმე მხოლოდ რაოდენობაში როდია. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მ. ბროსეს მიერ განხორციელებული პუბლიკაციების ღირსება იმაშია, რომ მან პირველმა გამოსცა ქართული წარწერები ასომთავრული შრიფტით, წარწერების დედნისეული მდგომარეობის წარმოდგენით, სათანადო სამეცნიერო და საცნობარო აპარატის თანხლებით, შესაფერისი, იმ დროისათვის ხელმისაწვდომი საილუსტრაციო მასალით და საერთოდ, ქართული წარწერების გამოცემა იმთავითვე თავისი დროის აკადემიური პუბლიკაციების დონეზე აიყვანა, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში დღესაც სანიმუშოდ რჩება.

В. И. СИЛОГАВА

МАРИ БРОССЕ — ИССЛЕДОВАТЕЛЬ ГРУЗИНСКОЙ ЭПИГРАФИКИ

В статье представлен общий обзор деятельности акад. Мари Броссе (1802—1880) по изучению памятников грузинской эпиграфики. М. Броссе внес весомый вклад в дело первоначального изучения древнегрузинских надписей. Издание этих надписей он начал осуществлять на уровне академических публикаций своего времени, заложив тем самым основы научного издания этих памятников. Многие из принципов, способов и приемов, впервые внедренных им для изучения и издания этих памятников, и в наше время успешно применяется исследователями.

Публикации грузинских эпиграфических памятников, осуществленные Мари Броссе, имеют не только историографическую значимость, но и важны для изучения тех надписей, которые до наших дней или не сохранились, или же дошли в попорченном виде; сохраняют научную ценность и те комментарии, которыми М. Броссе сопровождал свои публикации.

მზია სურგულაძე

მარი ბროსე — საქართველოს ისტორიის დოკუმენტური
წყაროების მოგროვებელი და პუბლიკატორი

1837 წელს, როდესაც მ. ბროსე საფრანგეთიდან პეტერბურგში ჩავიდა, საქართველოს ისტორიული წარსულის შესასწავლად. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული ბაზა მეტად მწირი იყო. ქართული თხრობითი საისტორიო წყაროების ტექსტის გამართვა, ცნობების შემოწმება, ქრონოლოგიური ლაქუნების ამოვსება და მათი გამოსაცემად მომზადება მ. ბროსეს შეუძლებლად მიაჩნდა დოკუმენტურ წყაროთა მოხმობის გარეშე.

მაგრამ ქართული დოკუმენტური წყაროები იმ დროისათვის არა თუ შეუსწავლელი, არამედ სრულიად გამოუვლენელი იყო. მ. ბროსე პეტერბურგში სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებისთანავე ეცნობა პეტერბურგელ ქართველებს, იწყებს მიმოწერას საქართველოში მცხოვრებ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მისი პირადი კონტაქტების უპირველესი მიზანი ქართული მასალების მოძიება და შეკრება იყო.

ქვეყნის პოლიტიკური ისტორიისა და შინაგანი წყობის შესწავლისათვის დოკუმენტური მასალის მნიშვნელობაზე იგი ლაპარაკობდა ჯერ კიდევ 1838 წ. სამეცნიერო ბიულეტენში გამოქვეყნებულ სტატიაში: „ქართული არქეოგრაფია“. ამავე დროს მოუწოდებდა ქართული ისტორიული მეცნიერების ბედით დაინტერესებულ პირებს ცხოველი მონაწილეობა მიეღოთ დოკუმენტური წყაროების გამოვლენისა და მოპოვების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

პეტერბურგში ეცნობა მ. ბროსე სიმონ ტაბიძესა და პეტრე ქებაძეს, ამ უკანასკნელთაგან მან მიიღო 28 ქართული დოკუმენტი, რომელთა შორის აღმოჩნდა თეიმურაზ I-ის, ანტონ I-ის, ერეკლე II-ისა და ელენე დედოფლის წერილები და სიგელები¹.

მ. ბროსეს დაუცხრომელი ენთუზიაზმი მალე გადაედო თვით საქართველოში მცხოვრებ ქართული კულტურის მეცვეურებს და ისინიც დროსა და მეცადინეობას არ იშურებენ დიდი ფრანგი მეცნიერისათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

ქუთაისში მცხოვრები მღვდელი, ნიკოლოზ ქუთათელაძე, უგზავნის მას სვანეთის სოციალური ისტორიის შესასწავლად უძვირფასეს დოკუმენტურ წყაროს, XV საუკუნის ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელს.

მ. ბროსეს ქართველ მეგობართა და თანაშემწეთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი, რომელიც თანამშრომლობდა მ. ბროსესთან 1838 წლიდან. პ. იოსელიანს თავადაც მშვენივრად ესმოდა საქართველოს ისტორიისათვის დოკუმენტური წყაროების მნიშვნელობა და ისიც კარგად უწყობდა, თუ სად უნდა მოეძია ისინი. 1838 წ. 12 მაისს ბროსესადმი გაგზავნილ

¹ III. A. Xantadze, Академик Мари Броссе и европейское и русское грузинское нововедение, Тбилиси, 1971, გვ. 91

წერილში იგი წერს: „დიდად და მრავლად სასარგებლო იქმნება მოგვირბოთ ეკლესიათა და მონასტერთა გუჯარები, რომელნიცა სინოდისა კანტორისა ტფილისში, მოსახმარად თვისსა აქუსთ. აქა იპოებიან ძველთა მეფეთა შეწირულობათა სიგელნი, სხუებით გამოტანა მათი არა შესაძლებელია და კაპიტოთა შოვნა — ადვილი. მაგრამ ესეცა არ მოიმოქმედება, უკეთუ არ მოუვა თავად კანტორსა ბრძანება პეტერბურღის სინოდიდამ, რომელსა ზედაცა დამოუკიდების კანტორა ესა“². სხვა წერილში პ. იოსელიანი განმეორებით სთხოვს მ. ბროსეს, გამოუგზავნოს აკადემიის ნებართვა პირადად მას, რათა სინოდმა ასლების გადაღების ნება დართოს³.

პ. იოსელიანი მრავალი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მ. ბროსეს მიერ წამოწყებულ საქმეს. მან მრავალი საბუთის პირი გადმოუწერა სინოდალური კანტორის არქივიდან მას, გარდა ამისა, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგროვებდა ეპიგრაფიკულ მასალას, ხელნაწერებსა და საბუთებს. მ. ბროსესადმი გაგზავნილ წერილებში იგი ხშირად ლაპარაკობს სიგელ-გუჯარების მოძიებაზე და იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც წინ ეღობებოდა მას საბუთთა პირების გადმოღებისას: „გუჯარების გადმოწერა დადგა, — ვკითხულობთ 1841 წ. 15 იანვრის წერილში, — ამისთვის, რომ დიდი ბოროტმომხარებაში ჰპოვეს კაცთა მათ შორის, რომელნიცა მათ იცავდნენ და მოვერიდე, როგორც ცეცხლსა. დრომდინ უნდა მოითმინოთ. მალე გაარჩევნ და შემდგომად გუჯარები და მით ჩვენებურნი ყმანი და მამულნი ეკლესიითურთ სახელმწიფოდ დაიდებიან და მეცა დავიწყებ ახალსა აკადემიისათვის მუშაობასა“⁴.

თავადაზნაურთა საადგილმამულო უფლებების დამტკიცების პროცესი დიდად აფერხებდა პ. იოსელიანს და იგიც ახალ-ახალ ნებართვებს სთხოვს ბროსეს პეტერბურღის აკადემიიდან სინოდალურ კანტორაში წარსადგენად.

მ. ბროსეს ერთგული თანაშემწე გახდა ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი. იგი 1840 წ. პეტერბურღში გაეცნო ფრანგ მეცნიერს და საქართველოში დაბრუნების შემდეგ ბეჯითად შეუდგა მასალების მოძიებას. სწორედ მან გაუგზავნა მ. ბროსეს 1856 წ. მარიამ დედოფლის მზითვის წიგნი, რომელიც ყვარელში, ქობულაშვილების ოჯახში, აღმოუჩინა⁵.

საქართველოში ყოფნის დროს მ. ბროსე დროდადრო თავად მუშაობდა თბილისის სინოდალურ კანტორაში. აქ მან რამდენიმე ასეული დოკუმენტი გადაიწერა. მანამდე კი მ. ბროსეს ქართველ კორესპონდენტთაგან ყველაზე აქტიური და ნაყოფიერი პ. იოსელიანი იყო.

საქართველოში მოგზაურობამ და მუშაობამ მას ადგილობრივ ნაცნობ-მეგობართა წრე დიდად გაუფართოვა. ქართული სიძველეების შემკრებთა რიცხვი იზრდება. ამიერიდან მ. ბროსეს მასალებითა და მათ შორის დოკუმენტური წყაროებით ამარაგებენ დიმიტრი მელვინეთსუციშვილი, რომელიც გორში ყოფნისას გაიცნო მ. ბროსემ. ამ გაცნობის შემდეგ დ. მელვინეთსუციშვილი მ. ბროსეს თითქმის არ მოშორებია საქართველოში მოგზაურობისას, ხო-

² ს.ო. ყუბანეიშვილი, პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, 1941. გვ. 153.

³ იქვე, გვ. 165.

⁴ იქვე, გვ. 184.

⁵ III. A. X a n t a d z e, Академик Мари Броссе и европейское и русское грузино-ведение, стр 153.

ლო მისი პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ კი დამოუკიდებლად აგრძელებდა მასალების ძიებას. დ. მეღვინეთხუციშვილის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს აღმოჩენა, როგორცაა „ძველი ერისთავთა“⁶.

მ. ბროსეს საქართველოში მოგზაურობისას ჩაეყარა საფუძველი მის მეგობრობას და მრავალწლიან თანამშრომლობას რაფიელ ერისთავთან. მომდევნო წლებში, როცა რ. ერისთავი ზუგდიდის მაზრის უფროსად დაინიშნა, მან დიდძალი დოკუმენტური მასალა შეაგროვა მთელ დასავლეთ საქართველოში და მიაწოდა ადოლფ ბერჟეს, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარეს, მ. ბროსესათვის გადასავზავნად⁷.

ა. ბერჟე, თავად კარგი ისტორიკოსი და საქართველოს წარსულით დაინტერესებული პიროვნება, დიდად უწყობდა ხელს მ. ბროსეს მასალების შეგროვებაში.

ა. ბერჟეს არქივში დაცული ცნობები, განსაკუთრებით კი რ. ერისთავისადმი გაგზავნილი წერილები ცხადყოფენ, თუ როგორი მონდომებით იღვწოდა იგი ქართულ საბუთთა მოსაგროვებლად. გასული საუკუნის 60-იან წლებში ა. ბერჟემ სამასამდე საბუთის პირი გაუგზავნა მ. ბროსეს⁸, საბუთთა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდან იყო, რომელთა დედნების დიდი ნაწილი დაიღუპა შემდგომ, უკვე ჩვენს საუკუნეში, ქართულ სიძველეთა ევაკუაციის დროს, და მხოლოდ მ. ბროსეს პირთა კოლექციის წყალობით შემორჩა დღემდე ქართულ მეცნიერებას.

1874 წ. სამხრეთ საქართველოდან გიორგი ყაზბეგმა რამდენიმე ისტორიული დოკუმენტის დედანი ჩაიტანა, რომელთა შორის იყო ტბეთის სულთა მატთანე, ეს დოკუმენტები დ. ბაქრაძემ მ. ბროსეს გადასცა⁹.

ეს არის არასრული სია იმ პირებისა, რომლებიც დოკუმენტური წყაროებით ამარაგებდნენ მ. ბროსეს. ამ ადამიანებმა თავიანთი შრომა, ენერგია და ენთუზიაზმი ერის სასიკეთო საქმისაკენ წარმართეს და ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს არა მარტო მ. ბროსეს, არამედ მთელ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას.

ამგვარად აღმოჩნდა მ. ბროსეს განკარგულებაში 700-ზე მეტი ქართული ისტორიული საბუთი, რომლებიც მ. ბროსეს გარდაცვალების შემდეგ საახლო მუზეუმს გადაეცა. ამჟამად კი ისინი შედიან აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ დოკუმენტთა ფონდში¹⁰.

მოპოვებულ მასალას მ. ბროსე ძალიან სწრაფად აქვეყნებდა, დოკუმენტებში დაცული ყოველი ცნობა მას ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიაჩნდა და ამიტომ ჩქარობდა, მეცნიერების ფაქტად ექცია

⁶ III. А. Хантадзе, Академик Мари Броссе... с. 116; მას მიუწოდებია მ. ბროსესათვის ანდრონიკე მეფის სიგელი წილოსან ქვენიღნეველისადმი, რომლის პირი გადაუღია 1850 წ., დედანი ამ საბუთისა ჰქონია გ. ერისთავს, აგრეთვე კონსტანტინე II-ის სიგელი ზაქარია და კახა ჯავახიშვილებისათვის ბოძებული.

⁷ რ. ერისთავის არქივი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქმე №№ 408—436.

⁸ ა. ბერჟეს არქივი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქმე №№ 408—409, 416, 421, 427, 433, 436.

⁹ ტბეთის სულთა მატთანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 6; გიორგი ყაზბეგის მიერ მოპოვებულ და შემდეგ მ. ბროსესათვის გადაცემულ საბუთთა შორისაა აგრეთვე როსტომ ფაშას წყალობის წიგნი მაჰმად კობაქისათვის; მახრობელ მალლობაძის ნასყიდობის წიგნი.

¹⁰ ამ ფონდის აღწერილობა გამოაქვეყნა საურმაგ კაკაბაძემ, იხ. С. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, М. 1967.

ისინი. უკვე 1838 წ. მ. ბროსემ დაბეჭდა როსტომ მეფის 1652 წ. სიგელის ფრანგული თარგმანი¹¹. მას მოჰყვა ჯაფარიძეთა 1432 წ. სასისხლო სიგელის პუბლიკაცია, 1840 წ. — ერეკლე II-ის წერილი საფრანგეთის მეფე ლუი XV-თან.

ამავე დროს მ. ბროსე განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემას და ამ პრობლემასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების სამეცნიერო წრებრუნვაში მოქცევა გადაუღებებლ საქმედ მიაჩნდა.

1837—1842 წლებში მ. ბროსე ორჯერ ეწვია მივლინებით მოსკოვის სიძველეთსაცავებს. აქ მან რუსეთის საგარეო საქმეთა არქივში მუშაობისას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მრავალი საბუთი გამოიწერა და ნაწილი გამოაქვეყნა კიდევ სამეცნიერო ბიულეტენებში. ამ პუბლიკაციათა შორის მოხვდა გიორგი X-ის წერილი ბორის გოდუნოვისადმი, იმერეთის მეფის, ალექსანდრესა და კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის წერილების ანოტაციები, ნიკიტორე მიტროპოლიტის, ერეკლე I-ისა და ელენე დედოფლის მიმოწერები რუსეთის მეფეებთან, თუშებისა და ფშავ-ხევსურების ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილის მოკლე შინაარსი. დაბეჭდა აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ძირითადი ეტაპების ქრონოლოგია 1492 წლიდან ვიდრე 1740 წლამდე.

მოსკოვში მივინებული საარქივო მასალების დიდი ნაწილი შევიდა მის ნარკვევში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ¹².

საარქივო მასალები დაედო აგრეთვე საფუძვლად მ. ბროსეს გამოკვლევას ვახტანგ VI-ის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდზე და იქ ქართველთა ემიგრაციაზე. ამ ნაშრომში მ. ბროსე მდიდარ საილუსტრაციო მასალას იყენებს და ფაქტიურად მას პუბლიკაციის ღირებულება ენიჭება¹³. XVII „დამატებაში“ მან გამოაქვეყნა ერეკლე II-ისა და პოტიომკინის მიმოწერა¹⁴.

დოკუმენტური მასალის დიდი ნაწილი (500-ზე მეტი საბუთი) მ. ბროსემ წარმოადგინა XVI დამატებაში¹⁵. ეს არის ნაშრომი, რომელიც საუკეთესოდ ასახავს მის მრავალწლიან დაუცხრომელ მოღვაწეობას ქართული დოკუმენტური წყაროების მოპოვებისათვის, მის ზოგად შეხედულებებს დოკუმენტურ წყაროთა ღირებულებაზე ქვეყნის ისტორიული წარსულის შესასწავლად, ცალკეულ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს კონკრეტულ საკითხებზე.

„XVI დამატების“ I პარაგრაფში მ. ბროსე მიმოიხილავს მის მიერ შეკრებილი ქართული დოკუმენტური მასალის ხელრთვებასა და ბეჭდვებს. მართალია, მ. ბროსე, უმრავლეს შემთხვევაში, მსჯელობს დედნების ანაბეჭდების გადმოღებული პირების მეშვეობით, მაგრამ მისი დაკვირვებანი ხელრთვათა განვითარებაზე, ბეჭდების ლეგენდებზე და მათ ისტორიულ მნიშვნელობაზე ფრიალ საყურადღებოა. უფრო ადრე, 1838 წ. სამეცნიერო ბიულეტენის IV

¹¹ Monographie Géorgienne de Moscou BSc, IV 1838, p. 292.

¹² Correspondance en grec des rois géorgiennes du Cakheth avec la Russie, pendant le XVII—esiècle, BSe, IX, 1842, გვ. 349—380, X, გვ. 112—128; Examen critique des annales géorgiennes, pour les temps modernes au moyen des documents russe Bul. h. p. II, 1845, p. 209—240. 241—273, 289—336; III, 1847, p. 49—62, 67—112. 161—164, 177—197.

¹³ Notice historique sur les trois dernières années du règne de Wakhtang VI et sur son arrivée en Russie, d'après des documents authentiques Bul. h. p. III. 1847 p. 321—345, 353—376.

¹⁴ Lettées du comte Paul Potemkin au roi Erekle II, Additio XVII, შიგნით: Histoire moderne de la Géorgie 1857, p. 563—576.

¹⁵ Histoire moderne de la Géorgie, Addition XVI, p. 441—562.

ტომში მ. ბროსემ ორმოციოდე ქართული ბეჭდის ლეგენდა დაბეჭდა, ხოლო კიდევ უფრო ადრე, პარიზში ლითოგრაფიულად გამოსცა თეიმურაზ ბატონი-შვილის მიერ შეცდომით დავით აღმაშენებლის ბეჭდად მიჩნეული ლეგენდის ტექსტი: „ჯუართა მტერთა მძლეველი, მე, დავით, ვარ უძლეველი“¹⁶. სწორედ ამ ნაშრომებით იწყება ქართული სფრაგისტიკის ისტორია. მართალია, მ. ბროსეს ხანდახან შეცდომები მოსდის პირთა იდენტიფიკაციის, ან ტექსტის ამოკითხვის დროს, მაგრამ ასეთი შეცდომები სრულიად გარდაუვალი იყო იმ ვითარებაში, როდესაც მეცნიერი მასალის მხოლოდ ნაწილს იცნობდა და მასაც მხოლოდ გადმოღებულ პირებში.

ბეჭედთა ლეგენდებზე დაკვირვებისას მ. ბროსემ გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ორენოვანი ბეჭედების ლეგენდები საქართველოს ირანთან ვასალური დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას. შეამჩნია ისიც, რომ ერთი და იგივე ბეჭედი შესაძლოა რამდენიმე პიროვნებამ გამოიყენოს და ამიტომ ბეჭედთა საშუალებით ისტორიული ფაქტის დადგენა სფრთხილეს მოითხოვს.

„XVI დამატების“ II პარაგრაფი შეადგენს ამ ნაშრომის ძირითად ნაწილს. სწორედ აქ არის თავმოყრილი და ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი ის ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც იმხანად მ. ბროსეს ხელთ იყო. „XVI დამატების“ II პარაგრაფი პირველი სერიოზული ცდაა ქართულ ისტორიულ საბუთთა კატალოგის შედგენისა. ამავე დროს იგი გაცილებით უფრო ფართე მნიშვნელობისაა, ვიდრე კატალოგი, მასში დადგენილია ყველა ვასახილველი საბუთის რაობა, მოცემულია თარიღი ან მსჯელობა თარიღზე და ტექსტის შინაარსი ან მოკლე ანოტაცია ფრანგულ ენაზე. ზოგიერთი საბუთი, შედარებით საინტერესო, მთლიანად თარგმნილია ფრანგულ ენაზე. დართული აქვს კომენტარები და შენიშვნები. ფაქტიურად „XVI დამატება“ იმ დროისათვის ქართული ისტორიული საბუთების პუბლიკაციის ფუნქციას ასრულებდა. საბუთთა ერთი ნაწილის თარგმანები თუ ანოტაციები მან შეიტანა „საქართველოს ისტორიაში“¹⁷.

მ. ბროსე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისტორიული ქრონოლოგიის საკითხებს და ამიტომ ბრძოდ არ ენდობოდა დოკუმენტებში ნაჩვენებ თარიღებს, ავლენდა აშკარა შეუსაბამობებს თხრობით წყაროთა ქრონოლოგიურ მონაცემებსა და საბუთებში დადასტურებულ თარიღებს შორის და განხილვის საგნად აქცევდა ასეთ შემთხვევებს. მან პირველმა მიაქცია ყურადღება იმ შეუსაბამობას, რომელიც ჩნდება მეღქმისედეკ კათალიკოსის დაწერილის თარიღსა და ამ საბუთში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ქრონოლოგიას შორის.

ბროსემ მაინც დატოვა საბუთის თარიღად 1020 წელი, ჩათვალა, რომ ეს თარიღი ეხება არა მთელ საბუთს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს (არა ანდერძის ტექსტს, საცა სამწირველოს დაარსებაზეა ლაპარაკი). ამავე დროს მკვლევარი მაინც დაეჭვებულია, რადგან რომანოზ იმპერატორის გამეფების თარიღი ვერაფრით ვერ უთანხმდება „დაწერილის“ თარიღს. აქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ საბუთის თარიღს, სმ, შესაძლოა აკლია ერთეულის აღმნიშვნე-

¹⁶ იგივე ლეგენდა, ასევე შეცდომით, დავით აღმაშენებლის ბეჭდის წარწერად მიაჩნია გ. შარაძესაც. იხ. მისი თეიმურაზ ბაგრატიონი, თბილისი, 1974, გვ. 69. სინამდვილეში იგი ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, გიორგი XII-ის ძეს. იხ. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978, № 41, ტაბ. 11, 13.

¹⁷ Histoire de la Géorgie, Introduction et Tables des matières 1858.



ლი ასო-ნიშანი¹⁸. მ. ბროსე ასწორებს აგრეთვე ამ ძეგლის მტკიცებულებას ნაწილში გამოთქმას: „დისწული კვირიკე მეფისა“ გამოთქმით: „დისწული კვირიკე მეფისა“.

სამცხე-საათაბაგოში ახლად მიკვლეულ დოკუმენტებზე დაკვირვებამ მ. ბროსე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ათაბაგთა სახლის მის მიერ უკვე დადგენილი გენეალოგია გადასინჯვას საჭიროებს¹⁹.

XVI დამატების მოკლე შენიშვნებსა და კომენტარებში მ. ბროსე სრულიად სხვადასხვა საკითხებს ეხება. საკითხები მისთვის ჩნდება გზადაგზა, როდესაც სურს გადმოსცეს საბუთის შინაარსი ან განმარტოს მასში მოხსენიებული პირები და ტერმინები. ამგვარად ვეცნობით ამ ნაშრომში მის დაკვირვებებს ზოგიერთი ფეოდალური საგვარეულოს წარმოშობაზე (მაგ. ქართლის ციციშვილები მომდინარეობენ ფანასკერტელიდან, რომლებიც ჭოროხის აუზში სახლობდნენ, ვიშელი — ალაზნის მიღმა ქვეყნიდან, რატიშვილები — ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან).

კახა თორელის დაწერილის ფრანგული თარგმანის შესრულებისას მ. ბროსეს მოუხდა იმ დროისათვის სრულიად დაუშუშებელი სოციალური და ეკონომიკური ტერმინების ფრანგულ ენაზე გადატანა და ამდენად მათ სპეციფიკურ შინაარსში გარკვევა²⁰. არსებითად ბროსეს ეკუთვნის პირველი განმარტებანი ამ ძეგლში დამოწმებული და საერთოდ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ერთობ გავრცელებული მოვლენების ამსახველი ტერმინებისა. ასე მაგ. მემამულე თარგმნილია როგორც მესაკუთრე, მიწათმფლობელი — *proprietaire*. მამულს ორგვარად თარგმნის, ხან *propriete* — საკუთრება (ამავე სიტყვით თარგმნის ტერმინს — საქონებელი), ხან — *domain*; „ღიდებული“ გადააქვს უცვლელად, ფრანგული ტრანსკრიპციით, ნებიერი — *libre* (თავისუფალი); სიგლოსანი — *cosenti par des chartes*; ასაბია — *maitre*, პატრონი; ფიქრობს, რომ ეს სიტყვა მოდის არაბ. *صاحب*-დან. მოსაკარგავე — *proprietaire ou fermier*, იქვე განმარტავს, რომ ტექსტში „მოსაკარგავე“ ოპოზიციურ წყვილს ქმნის სიტყვასთან „მემამულე“, და მათი მნიშვნელობები ერთმანეთს უნდა უპირისპირდებოდეს.

განაყოფი — ნათესავი, *parent*. შეუვალნი — ხელშეუხებელი, *insaisissables*. სამართალი — *droits*. „მამითადის“ თარგმნისას თავად ექვობს და ასე განმარტავს: *cessiouns de patrimoines*, შეწყვეტა, ქონების, მამულის დათმობა თვალ-მარგალიტი „თანხა“..., ზარქაში — „ოქრო“, ხოდაბუნი — *terre arable* — სახნავი, ბეგარა — *redevance*, — გამოსაღები; სამინდე — *fine fleur de farine* — გამტკიცული ფქვილი; განაყოფი — ნათესავი, ორტალი — სავაჭრო ორგანიზაცია.

მ. ბროსე შეეხო საქართველოში გავრცელებული სპარსული სამოხელეო ტერმინების — ტარულა, მეითარი, — წარმომავლობას და განმარტა მათი მნიშვნელობა. ტარულა, პოლიციის უფროსი, მამასახლისი, მართავდა თბილისს. მეითარი — სპარ. *چو* აღნიშნავს, რომ ამ თანამდებობამ შემდეგ ახალ გვარს — მეითრიშვილს — დაუღო სათავე.

მან შეამჩნია აგრეთვე ქართული ფეოდალური სამართლის წესი ბეითალმან მამულზე მეფის უფლებების გავრცელების შესახებ, თუმცა ვერ ახსნა ამ

¹⁸ Additon XVI, გვ. 451.
¹⁹ იქვე, გვ. 475. ათაბაგთა სახლის გენეალოგია იხ. მის ნაშრომში *Histoire de la Géorgie* p. I, გვ. 639.
²⁰ Addition XV, p.p. 450—460.

წესის გამოვლინების კონკრეტული შემთხვევა — 1405 წლის საბუთში ნახსენები ხიმშია აბაზასძე მარილელის აბულეთისძედ დასმისა. მანვე გამოავლინა აგრეთვე ქართულ დიპლომატიკაში დადასტურებული ფაქტი, კერძოდ ისე, რომ ძველი საბუთების არსებობა ფეოდალური სამართლის პრაქტიკაში ახალი წყალობისთვის საკმაო იურიდიულ საფუძველად ითვლებოდა.

აქვე ვეცნობით ბროსესეულ დაკვირვებებს XV საუკუნის უფლისწულთა გამეფების ტენდენციებზე, მაწყვერელთა და კუმურდოელთა დამოკიდებულებებზე ქართლის ეკლესიასთან, ფეოდალურ სახელოთა მემკვიდრეობით გადაცემის წესზე, გორისა და თბილისის ვაჭრების სავაჭრო ორგანიზაციებზე, მასხურთა სოციალური კატეგორიის გარდამავალ ბუნებაზე და სხვ.

ისტორიული საბუთების ანალიზის შედეგად ბროსეს მიერ სოციალური ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და ტერმინების წარმოჩენამ ცხადი გახადა იმდროინდელი სამეცნიერო წრეებისათვის, თუ რა საინტერესო და მრავალფეროვანი სამუშაო ელოდა მომავალში ქართული დოკუმენტური წყაროების მკვლევარს.

დოკუმენტურ წყაროებს ეყრდნობა მთლიანად მისი გამოკვლევა საქართველოს საზოგადოებრივი წყობის შესახებ, რომელიც შედის „საქართველოს ისტორიის შესავლის“ მეორე ნაწილში. იგი ამ ნაშრომში ახასიათებს ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, ფეოდალური ზედაფენის უფლებებსა და სხვ. ნაშრომში უხვადაა შეტანილი დოკუმენტთაგან ამოკრეფილი საილუსტრაციო მასალა, ზოგჯერ თარგმნილია სრული ტექსტი, ან მოხმობილია ვრცელი პასაჟები საბუთის ტექსტიდან²¹.

ქართული ისტორიული საბუთების ბროსესეული პუბლიკაციები, მისი საინტერესო შენიშვნები და კომენტარები, მისეული შეფასება საისტორიო დოკუმენტური წყაროებისა და სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინოლოგიაზე ყურადღების გამახვილება ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნების მძლავრ განვითარებას უწყობდა ხელს. მ. ბროსემ პირველმა აქცია მეცნიერების კვლევის საგნად საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები, იმდროინდელი მოწინავე ევროპული მეცნიერების მიღწევათა დონიდან შეაფასა ისინი და ფართო პერსპექტივები გაუხსნა თვით ქართულ ისტორიულ მეცნიერებას.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

МАРИ БРОССЕ — СОБИРАТЕЛЬ И ПУБЛИКАТОР ДОКУМЕНТАЛЬНЫХ ИСТОЧНИКОВ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

В статье рассматривается деятельность Мари Броссе, как первого собирателя и исследователя грузинских документальных исторических источников, характеризуются его первые публикации грузинского документального материала в французском переводе и показано их научное значение для грузинского источниковедения прошлого века. Статья знакомит читателя также с теми лицами-энтузиастами, которые помогли французскому ученому в деле создания коллекции грузинских документов.

²¹ Histoire de la Géorgie, Introduction et Tables des matières, შეფასება ამ ნაშრომისა იბ. III. А. Хантадзе, Академик Мари Броссе... с. 140.

მლენე ცაბარეიშვილი

მარი ბროსე და არმენოლოგიის საკითხები

გამოჩენილი ქართველოლოგისა და ორიენტალისტის მარი ბროსეს მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არმენოლოგიურ კვლევა-ძიებას განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა შეფასებული მარი ბროსეს მრავალმხრივი მოღვაწეობა¹. პროფ. შოთა ხანთაძემ თავის მონოგრაფიაში „მარი ბროსე“ ნათლად აჩვენა, თუ რაოდენ დიდი მისი დამსახურება ევროპასა და რუსეთში ქართველოლოგიის მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბებისა და საერთოდ მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში.

არანაკლები ღვაწლი დასდო მარი ბროსემ არმენოლოგიისაც. წინამდებარე წერილის მიზანია, სწორედ, არმენოლოგიის განვითარებაში მარი ბროსეს ამ დიდი ღვაწლის ერთხელ კიდევ ვახსენება.

აღმოსავლეთისაგან ლტოლვა, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, მათი ენების, ლიტერატურისა და კულტურის შესწავლისა და კვლევის სურვილი ბავშვობიდან მოსვენებას არ აძლევდა მარი ბროსეს. ამიტომ იგი განუღდა დედის მისწრაფებას გამხდარიყო სასულიერო პირი და 1823 წელს მიატოვა აშენის სემინარია. იგი პარიზში დაბრუნდა და ორიენტალისტიკაში განაგრძო მუშაობა. ამ პერიოდს განეკუთვნება, სწორედ, პარიზში არაბისტ სილვესტრ დე სასის, ირანისტ აბელ რემუზასა და არმენოლოგ ანტუან-ჟან-სენ მარტენის თაოსნობით „სააზიო საზოგადოების“ დაარსება, რის შემდეგაც ევროპაში აღმოსავლეთის ისტორიის კვლევას უფრო სისტემატიური ხასიათი მიეცა.

მარი ბროსემ ბევრი გაჭირვება გამოიარა, მრავალი სასწავლებელი და სამსახური გამოიცვალა, მაგრამ ყოველთვის მისი ძირითადი მისწრაფება ახლის ძიება, მეცნიერების დაუფლება იყო.

მარი ბროსემ, სრულიად ახალგაზრდამ, სინოლოგიაში მუშაობით მიიპყრო პარიზის „სააზიო საზოგადოების“ ყურადღება, რომლის წევრადაც იგი 1825 წლის 7 თებერვალს აირჩიეს. მალე მან თავი დაანება ჩინურზე მუშაობას და ქართული და სომხური ენების შესწავლას შეუღდა. აღნიშნული ენების შესწავლის სურვილი მას აღუძრა ანტუან-ჟან-სენ მარტენის თხოვლების „მე-

¹ П. Савельев, Восточные литературы и русские ориенталисты, „Русский Вестник“ 1859 г., III; К. П. Патканов, Библиографический очерк армянской исторической литературы, СПб., 1859 г.; Bibliographie analytique des ouvrages de Marie-Félicité Brosset [par L. Brosset]. SPB 1887. Н. Я. Марр, К столетию со дня рождения М. И. Броссе. „Записки БОИРАО“ т. XIV, 1902; Ch. Beridze, La vie et l'oeuvre de M. F. Brosset 1922; В. В. Бартольд, История изучения Востока в России и Европе, Лгрд. 1925 г., II-е изд.; С. Н. Какабадзе, Акад. М. Броссе и его значение в грузинской историографии, „საისტორიო მოამბე“, 1925, II; რ. დოღაშვილი, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962; შ. ხანთაძე, მარი ბროსე (ისტორიო-გრაფიული ნარკვევა) თბ. 1966.

„შუარები სომხეთზე“ გაცნობამ და არქიმანდრიტ ევგენის ნაშრომის „საქართველოს ისტორიული სურათი“ კრიტიკულმა განხილვამ.

როგორც მარი ბროსეს მოგონებებიდან და საარქივო მასალებიდან ჩანს, მან სენ-მარტენის რჩევით გადაწყვიტა ქართველოლოგიის გზას დასდგომოდა და საფუძვლიანად დაუფლებოდა ამ საჭირო დარგს. „მან შთამაგონა, თუ როგორ შემესწავლა საქართველოს ისტორია — წერდა მარი ბროსე სენ-მარტენის შესახებ, — მაწვდიდა ყველაფერს, რაც გააჩნდა წიგნებსა და ლოკუმენტებს ქართული ენის შესახებ“-ო².

30-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ ევროპაში ყოფნისას, მარი ბროსე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყოველგვარ არმენოლოგიურ მუშაობას, ეცნობოდა ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლებს, რომელთა მეშვეობითაც, როგორც თვითონვე არაერთხელ აღნიშნავს, სურდა საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზის გამდიდრება³, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, მარი ბროსეს მიერ ჩატარებულმა არმენოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა ევროპასა და რუსეთში არმენოლოგიის განვითარებასაც დიდად შეუწყობ ხელი⁴.

XIX საუკუნის 40—50-იან წლებში ევროპაში არმენოლოგიურ კვლევა-ძიებაში უკვე მნიშვნელოვანი შედეგები იყო მოპოვებული. 24 სომეხი ისტორიკოსის თხზულება გამოქვეყნებული იყო. აღნიშნული დროისათვის გამოქვეყნდა აგრეთვე საღვთისმეტყველო ლიტერატურის მრავალი ნიმუში, სომხური ენის გრამატიკა, ლექსიკონები, ძველი სომხური ლიტერატურის — მიმოხილვები, ნარკვევები სომხეთის ისტორიიდან⁵. ევროპის მრავალ ადგილას თავმოყრილი იყო სომხურ ხელნაწერთა, ნუმისმატიკური მასალების მრავალნაირი კოლექციები. სომეხ მხითარისტთა კონგრეგაცია ვენეციაში არმენოლოგიური მუშაობის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ისტორიკოსები და ფილოლოგები. არმენოლოგიური კვლევა-ძიების არანაკლებ ძლიერი კერა იყო პარიზშიც.

როგორც ვენის მხითარისტებთან, ასევე პარიზელ არმენოლოგებთან მარი ბროსე მუდმივ საქმიან კონტაქტში იმყოფებოდა, თვალყურს ადევნებდა მათთან გაშლილ არმენოლოგიურ მუშაობას და რიგ შემთხვევებში აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებდა მასში. ასე მაგალითად, როდესაც 1854 წელს ფრანგმა მკვლევარმა დიულორიემ სომხური წელთაღრიცხვის შესახებ მონოგრაფიაზე დაიწყო მუშაობა, მარი ბროსემ თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ამის შესახებ აცნობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა⁶.

ფართო კონტაქტების საშუალებით მარი ბროსე იმდიდრებდა ცოდნას არმენოლოგიაში და თუ პარიზში ყოფნისას ფრანგი მკვლევარი მხოლოდ ნა-

² რ. დოღაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი. თბ., 1962, გვ. 15.

³ Deux historien arméniens, Kiracos de Candzac, XIII—e s. Histoire d'Arménie. Oukhtanès d'Ourha, X—e s Histoire en trois parties I—re Livraison SPB. 1870. p. 276. II—e Livraison. Introduction; fin d'Oukhtanès, SPB. 1871. LXII. p. 277—351.

⁴ Variétés arméniennes; Bul. de l'Acad VII. 1864. p. 90—99. MAV, 1868, 65—77. Lettre de M. Brosset au comte A. Ouvarof président du Comité préparatoire du Cinq-ème congrès archéologique à Tiflis en date du 14 janvier 1878.

⁵ К. П. П а т к а н о в. Библиографический очерк армянской литературы. СПб. 1879.

⁶ შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე..., გვ. 137.



წილობრივ იყო ჩამბული არმენოლოგიურ კვლევა-ძიებაში, პეტერბურგში გადმოსვლისთანავე მისი მეცნიერული მუშაობის ძირითად ამოცანად და შიზნად ძველი სომხური საისტორიო მწერლობის, ენის, ლიტერატურის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის საფუძვლიანი შესწავლა იქცა.

მარი ბროსეს თავიდანვე კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ როგორც ქართველოლოგიის, ასევე არმენოლოგიის ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე კვლევისათვის აუცილებელი იყო ქართული და სომხური ენების დაუფლება და კრიტიკული მიდგომა როგორც ქართული, ასევე სომხური პირველწყაროების მონაცემებისადმი.

მთელ რიგ პიროვნებათაგან მოწოდებული მასალების შესწავლისა და საკუთარი ძალებითაც ძიებისა და კვლევის წყალობით მარი ბროსემ შეძლო გარკვეულიყო სომხური წელთაღრიცხვის, პასკალური ციკლის რაობის, მოქცევათა ანგარიშის წესის, სტრაგისტის, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, ქრონოლოგიის ბევრ რთულ საკითხში. მას კარგად ესმოდა, რომ როგორც ქართველოლოგიაში, ასევე არმენოლოგიაში წარმატებით მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საისტორიო მწერლობასთან ერთად ზემოთ აღნიშნული დარგების დაუფლებასაც, ამიტომ ამ მიმართულებითაც მან გარკვეული მუშაობა ჩაატარა.

არმენოლოგიური მუშაობა მარი ბროსემ ჯერ კიდევ პარიზში წამოიწყო. აქ მან მხოლოდ რამდენიმე წერილის გამოქვეყნება მოასწრო, ამათგან ერთი ეხებოდა სომხეთის ისტორიას და ლიტერატურას, მეორეში მოცემული იყო ბენგალის „აზიური საზოგადოების“ ერთ-ერთი წევრის ყ. ავდალის მიერ პარიზის „სააზიო საზოგადოებისათვის“ გადაცემული სომხური ხელნაწერების აღწერა⁷.

მარი ბროსეს ადრეული პერიოდის არმენოლოგიურ ნაშრომთაგან ასევე საყურადღებოა „დაწერილებითი ცნობები სომხური სამართლის შესახებ“, გამოვლენილი ვახტანგ მეფის კანონთა კოდექსიდან, რომელიც სააზიო ყურნალშია დაბეჭდილი 1832 წ.⁸

1833 წელს ყურნალში „სამკითხველო კაბინეტი“ დაიბეჭდა მისი მოკლე სტატია „სომხეთის ლიტერატურის შესახებ“, რომელშიც ავტორი აცნობს მკითხველს სომხური ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობას და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ დარგში ვენელი მხითარისტების დამსახურებას. ამავე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება მარი ბროსეს მთელი რიგი წერილები, რომელთა მიზანი იყო სომხური საისტორიო წყაროებიდან საქართველოს შესახებ ცნობების თავმოყრა და განხილვა. ამ ხასიათის ნაშრომთა შორის აღსანიშნავია: „სამეფო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სომხური ხელნაწერიდან გამოკრებილი ადგილები ქართული წელთაღრიცხვის შესახებ“, „ძველი ოსმალეთის საქართველოს, ე. ი. ახალციხის საფაშოსა და გურიის აღწერა“, თარგმანი ლ. ინჰიჭიანის თხზულებიდან და სხვა მრავალი.

როგორც ცნობილია, მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, 1837 წლის 18 ივნისს მარი ბროსე მთელი ოჯახით პეტერბურგში ჩავიდა. 1838 წელს ექსტრაორდინარულ აკადემიკოსად დამტკიცების შემდეგ მას ქართველოლოგიური და არმენოლოგიური მუშაობის წარმართვა დაევალა.

⁷ Liste des ouvrages arméniens, offerts à la Société Asiatique par M. J. Awdall, membre de la Société Asiatique du Bengale, dans la séance du 5 janvier 1835. №JAS, XVI, 1835, p. 285—288.

⁸ Détails sur le droit public arménien extrait du code géorgien du roi Wakhtang et traduits du géorgieon. № JAS. IX 1832. p. 21—30.



მისი მხარდაჭერითა და დახმარებით დაიწყო მოღვაწეობა რუსეთში ცნობილმა არმენოლოგებმა მკრტიჩ ემინმა და ქერაზე პატკანიანმა. იგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის მუშაობასაც.

საქართველოში მოგზაურობისას მარი ბროსე სომხურ მასალასაც არ ტოვებდა ყურადღების გარეშე. ასე მაგალითად, ცნობილმა მეცნიერმა გერმან აბიხმა ბროსეს გადასცა 12 სომხური წარწერა, რომლებიც მან ანისში შეკრიბა, აგრეთვე მიაწოდა ერთი 1206 წლის წარწერიანი ქვა, სადაც ზაქარია მხარგრძელი იხსენიება. სომხური ნუმისმატიკური მასალების შეგროვებასაც მარი ბროსე სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა. მან თბილისის გიმნაზიის დირექტორის როსტოვჩენკოს მდიდარ ნუმისმატიკურ კოლექციაში ქართულ და სასანურ მონეტებთან ერთად სომხურ მონეტებსაც მიაქცია ყურადღება. იგი უკან არ იხვედა სომხური მასალების შექმნიდანაც, თუკი ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ზოგჯერ კი უსასრობის გამო ვერ ახერხებდა სიძველეებისა და ხელნაწერების შექმნას. მაგალითად, იგი გულისტყვილით აღნიშნავდა, რომ სიძვირის გამო ვერ შეისყიდა 6 ძველი სომხური ხელნაწერი, რომლებშიც დაცული იყო ავათანგელოსის, მოსე ხორენაცის, არისტაკეს ლასტივერტეცის, სამველ ანეცის, თომა მეწოფეცისა და მხითარ გოშის თხზულებები. მესხეთში მოგზაურობისას მარი ბროსემ ბევრი ეპიგრაფიკული მასალა შეაგროვა არა მარტო ქართული, არამედ სომხური, ებრაული და არაბული. მან მოინახულა ერევნის ოლქი, რიფსიმეს, მარინესა და გაიანეს ტაძრები და იმუშავა სომხურ ხელნაწერებზე ეჩმიადინის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში.

რაც უფრო ფართოდ ეუფლებოდა მარი ბროსე არმენოლოგიას, ღრმად სწავლობდა სომხურ-ქართულ მწერლობას, მისთვის უფრო თვალნათლივი იყო, რომ კავკასიის ხალხთა ისტორია, ენები და ლიტერატურა ერთობლივ უნდა შესწავლილიყო, არმენოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებაც ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

მარი ბროსეს საარქივო მასალების ზერელე გაცნობითაც კი ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი მუშაობა გაუწევია მას ქართული და სომხური ენების დასაუფლებლად და ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის მთელ რიგ საკითხებში გასარკვევად.

არმენოლოგიის საკითხების სისტემატიურ კვლევას მარი ბროსემ გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მიჰყო ხელი. მისი არმენოლოგიური მუშაობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით წარიმართა:

1. სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლების თარგმნა ფრანგულად და მათი გამოქვეყნება.
2. სომხური საისტორიო წყაროთა მონაცემების მოშველიებით სომხეთისა და საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევა.
3. სომხური სიძველეების შემცველი მასალების შესწავლა (ეპიგრაფიკული ძეგლები, ნუმისმატიკა, სფრაგისტიკა, დიპლომატიკა, ნაქალაქარები, ხელნაწერები, ეკლესია-მონასტრები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარი ბროსემ საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზის გასამდიდრებლად აუცილებლად მიიჩნია ძველ სომხურ საისტორიო წყაროთა შესწავლა, თარგმნა და იმ დროისათვის საკმაოდ კარგად გამოსცა ბევრი სომხური საისტორიო ძეგლი შესაბამისი სამეცნიერო აპარატით:

1. ეპისტოლეთა წიგნიდან ის ეპისტოლეები, რომლებიც უხტანესის მიერ არის გამოყენებული X საუკუნეში.

2. უხტანესი: სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია.
3. თომა არწრუნის: არწრუნთა ისტორია.
4. მოსე კალანკატვაცი: ალვანეთის ისტორია.
5. სამველ ანეცი: ეპითაღმწერლობა.
6. კირაკოს განძაკეცი: სომხეთის ისტორია.
7. გრიგოლ აკანეცი: მოისართა ტომის ისტორია.
8. მხითარ აირივანეცი: ქრონოგრაფიული ისტორია.
9. სტეფანოს ორბელიანი: სისიაკანის სახლის ისტორია.
10. არაქელ თავრიყეცი: სომხეთის ისტორია.
11. ზაქარია ოპონავანეცი: ისტორია.
12. ესაია ჰასან ჯალალიანცი: ალვანეთის მოკლე ისტორია.
13. ანონიმი: დავით ბეგის ისტორია.
14. აბრაამ კრეტეცი: თვისი თავგადასავალი და ნადირ-შაჰის ისტორია.
15. ლუკა ინჰიჰიანი: ოსმალეთ-საქართველოს აღწერა.

ჯერ კიდევ 1840 წელს მარი ბროსემ რუსეთის აკადემიას წარუდგინა პროექტი სომეხ ისტორიკოსთა თხზულებების გამოქვეყნების შესახებ⁹, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა სომხური საისტორიო მწერლობის მნიშვნელობა არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიისათვის. მარი ბროსეს მიერ წარმოდგენილი პროექტი კარგა ხანს განუხორციელებელი დარჩა. 50-იანი წლებიდან კი ამ მიმართულებით მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა. გამოიკა სომეხი ისტორიკოსების თხზულებების როგორც სომხური ტექსტები, ასევე მათი თარგმანები. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლების თარგმნისა და გამოქვეყნების საქმეში მარი ბროსეც ჩაება. სომხურ წყაროთაგან ყველაზე მაღალ შეფასებას იგი სტეფანოს ორბელიანის „სისიაკანის სახლის ისტორიას“ ანიჭებდა. ჯერ კიდევ 1840 წელს მარი ბროსემ კოცებუს წიგნთსაცავში აღმოაჩინა სტეფანოსის ზემოთ დასახელებული თხზულება მთლიანი სახით და 1864—1866 წლებში გამოსცა იგი ორ წიგნად (I — ტექსტის ფრანგული თარგმანი, II — ნარკვევი სტეფანოს ორბელიანისა და მისი თხზულების მნიშვნელობის შესახებ). აღნიშნული გამოცემის შესავლიდან ირკვევა, რომ მარი ბროსემ დიდი მუშაობა ჩატარა, შეკრიბა მრავალნაირი მასალა სიენიეთის ისტორიის შესასწავლად, დააზუსტა სიენიეთის მიტროპოლიტთა და გამგებელთა გენეალოგიური და ქრონოლოგიური სიები, შეისწავლა ამ ქვეყნის საეკლესიო ისტორია, თარგმანს დაურთო მრავალი განმარტება და შენიშვნა, რომლებშიც ხშირად გარკვეულია ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური საკითხები. სოციალური და სამოხელეო ტერმინების ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ბევრი რამ არის დაზუსტებული. რაც შეეხება ტექსტის თარგმანს, იგი ხშირ შემთხვევაში თავისუფალია, ზოგჯერ მასში გამოტოვებულია ძნელად სათარგმნელი ადგილები და არც უშუსტობისაგან არის იგი დაზღვეული. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ სომხურ საისტორიო წყაროთა მარი ბროსეს თარგმანები თავის დროზე მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა, ვინაიდან ბევრი მათგანი მხოლოდ მისი თარგმანითაა ცნობილი ევროპაში.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ კვლევა-ძიებებს მარი ბროსე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არმენოლოგიურ მუშაობაში. ამ თვალსაზრის-

⁹ Projet d'une collection d'historiens arméniens inédits. BSc. VIII. 1841. p. 177—189. IX 1842. p. 253—268.



სით მისი ყურადღება მიიპყრო XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მხითარ აირივანეცის ქრონოგრაფიულმა ისტორიამ, რომლის თარგმანს მარი ბროსემ წინ დაურთო ნარკვევი ავტორის, გელარდის მონასტრის ისტორიული თავგადასავლის, ძეგლის წყაროებისა და საერთოდ მისი მნიშვნელობის შესახებ.

ცალკე წიგნებად გამოსცა მან აგრეთვე უხტანესისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებათა თარგმანები 1871 წ. აღნიშნულმა ძეგლებმა მარი ბროსეს ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებით საქართველოს შესახებ ცნობების სიუხვით. ეს მასალები მკვლევარმა ფართოდ გამოიყენა „ქართლის ცხოვრების“ დამატებებში.

რაც შეეხება მარი ბროსეს მიერ შესრულებულ სხვა თარგმანებს, ისინი 1874—1876 წლებში გამოიცა ორ წიგნად, რომელთაგან I-ში შევიდა: თომა არწრუნის, არაქელ თავრიყეცის, იოანე ძარეცის თხზულებები, ხოლო მეორე ტომში — ზაქარია ოპანავანეცის „სეფიანთა ისტორია“, ესაია ჰასან ჯალალიანცის „აღვანთა ისტორია“, ანონიმის „დავით ბეგის ისტორია“, აბრაამ კრეტეცის „ნადირ-შაჰის ისტორია“ და სამუელ ანეცის „უამთაღმწერლობა“.

მარი ბროსეს ფრანგულ თარგმანებს, თითქმის ყველას, წინ უძღვას ნარკვევი ისტორიკოსისა და თვით ძეგლის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ, თარგმანს კი — სქოლიოებში კომენტარები, რომლებიც მიზნად ისახავენ გენეალოგიური, ქრონოლოგიური თუ სხვა რიგის ფაქტებისა და მოვლენების დაზუსტებას.

დიდი დეაწლი მიუძღვის მარი ბროსეს სომხეთისა და საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევის საქმეში სომხურ საისტორიო წყაროთა მონაცემების მოშველებით. ამ ხასიათის ნაშრომთაგან აღსანიშნავია:

1. ქართველთა და სომეხთა ლიტერატურული მოღვაწეობა რუსეთში, ამიერკავკასიასა და ყირიმში.
2. სომხური ლიტერატურა. ვენეციის მხითარისტთა მოღვაწეობის მიმოხილვა.
3. ენშიაძინის ბიბლიოთეკის წიგნთა და ხელნაწერთა კატალოგი.
4. მხითარ გომის სამართლის ერთ-ერთი სომხური ხელნაწერის შესახებ.
5. სომხური კრიპტოგრაფია.
6. სომხური ისტორიული მწერლობის მიმოხილვა.
7. წმინდა ვარლამისა და იოსაფის თქმულების სომხური პოეტური და პროზაული ვერსიების შესახებ.
8. X—XI საუკუნეების ბაგრატიდთა მეფობის დროის სომხეთის დედაქალაქის ანისის წარწერები.
9. ქართველ ბაგრატიონთა ისტორია XI საუკუნის დასაწყისამდე სომეხ და ბერძენ ავტორთა თანახმად.
10. ანისის ტოპოგრაფიის შესახებ ალიხანის დიდი სომხეთის აღწერის რამდენიმე ნაწყვეტის კრიტიკული განხილვა.
11. სამი სომხური ეპიტაფია მაზანდარანში.
12. ისტორიული ცნობა ახპატისა და სანაინის სომხურ მონასტერთა შესახებ.
13. შენიშვნა სომხეთის ცნობილი უძველესი წარწერის შესახებ.
14. ცნობა სომეხთა სოფელ აკორის და წმინდა იაკობის მონასტრის სიძველეთა შესახებ¹⁰.

¹⁰ იხ. Bibliographie analytique des ouvrages de Marie—Felicite Brosset.
11. მრავალთოვი XII

არმენოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის თავი
სი სიახლით მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მარი
სეს მონოგრაფიამ სომხური ფულების შესახებ, რომელშიც ავტორი ანალო-
გისათვის ქართული ნუმიზმატიკის რიგ საკითხებსაც შეეხა¹¹.

განსაკუთრებით უხვად გამოიყენა მარი ბროსემ სომხურ საისტორიო
წყაროთა მონაცემები „ქართლის ცხოვრების“ I და II ნაწილზე დართულ
დამატებებში (43 დამატება). ამ მასალებით შეივსო და დაზუსტდა „ქართლის
ცხოვრება“-ში აღწერილი ფაქტები და მოვლენები, დამტკიცდა „ქართლის
ცხოვრების“ ღირსება, გაირკვა მისი ნაკლოვანებანიც.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის არსებობითა და ამ
ძეგლის სომხურ საისტორიო წყაროებში მოხსენიებით (სტეფანოს ორბელია-
ნი ასახელებს „ქართლის ცხოვრებას“) მარი ბროსემ მის ადრინდელობას ამტკი-
ცებდა.

მარი ბროსეს „დამატებები და განმარტებები“ V—XVIII საუკუნეების
ვითარებას ასახავენ. აქ განხილული ყველაზე ადრეული მოვლენის (ქართ-
ველ-სომეხთა ბრძოლა სპარსეთის წინააღმდეგ V საუკუნეში) დაწვრილებით
აღსაწერად მკვლევარი იშველიებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსების ლა-
ზარე ფარპეცისა და ელიშეს ცნობებს, კრიტიკულად იხილავს მათ და მით
ავსებას „ქართლის ცხოვრება“-ში არსებულ ხარვეზს. უხტანესის ცნობებზე
დაყრდნობით მარი ბროსემ დაწერა მე-5 დამატება, რითაც შეავსო „ქართლის
ცხოვრება“-ში არსებული კიდევ ერთი ხარვეზი, სახელდობრ, VI—VII საუ-
კუნეთა მიჯნაზე ქართველებსა და სომეხებს შორის საეკლესიო განხეთქილე-
ბის შესახებ ცნობათა უქონლობა. „ქართლის ცხოვრების“ შუა საუკუნეების
ისტორიის ამსახველ ნაწილს ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის თხზულებათა
ნაწყვეტები ცალკე დამატების სახით აქვს დართული (კირაკოზ განძაკეცი,
მალაქია აბელა, მოსე კალანკატვაცი). ეს ცნობები მარი ბროსეს განხილული
აქვს ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხის კვლევისას.

შემდგომი პერიოდის, კერძოდ, ქართველ-სომეხთა ურთიერთობისა და
მათი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის განხილვისას მარი ბროსემ ასოლიკის,
არისტაკეს ლასტივერტეცის, მათე ურპაეცის, ვარდან ბარძრბერდცისა და
სხვათა ცნობებს იშველიებს. ასეთი ვითარება გრძელდება დანარჩენ დამა-
ტებებშიც. ყველა შემთხვევაში მარი ბროსემ შესაბამის სომხურ წყაროს მი-
მართავს. კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევებში ზოგიერთ უხუხს-
ტობათა მიუხედავად, მარი ბროსემ მიერ მოხმობილი ეს დიდძალი მასალა
სომხურ საისტორიო წყაროთაგან ხელს უწყობდა „ქართლის ცხოვრების“
ფაქტებისა და მოვლენების დაზუსტებას, შევსებას, გამართვას.

მარი ბროსეს ღვაწლი არმენოლოგიის განვითარებაში მარტო სომხური
საისტორიო მწერლობის ძეგლთა თარგმნით არ შემოიფარგლება. მან ასევე
ბევრი გააყეთა სომხური ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკის მასალების შევსების,
შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში. მას კარგად ესმოდა, რომ ამ მასა-
ლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა სომხური წერილობითი წყა-
როების ცნობათა შესავესებად და დასაზუსტებლად. ამიტომაც იგი ასეთი დი-
დი გულისყურით ეკიდებოდა მათი შესწავლის საქმეს.

მარი ბროსემ ძველი სომხეთის ნაქალაქარებიდან ყველაზე დიდი მუ-
შაობა ანისის ნაქალაქარის შესწავლისათვის ჩაატარა. 1860—1861 წლებში

¹¹ Monographie des monnaies arméniennes par M. Brosset. „Bull. Scient“. t. VI. 1839.



ორ წიგნად გამოქვეყნებულმა მისმა მონოგრაფიამ საგრძნობლად წინ წასწია სომხეთის ძველი დედაქალაქის ისტორიის შესწავლის საქმე, ვინაიდან ადრეული ნაშრომები ბევრ ხარვეზს შეიცავდა. ვანსაკუთრებული ყურადღება მიექცია მარი ბროსემ ახპატისა და სანაპინის წარწერების შესწავლას, რომლებიც საინტერესო ცნობას შეიცავდნენ ქართველი ბავრათიონების, კვირიკიანებისა და მხარგრძელთა სავაგარეულოთა შესახებ. მკვლევარმა მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალები შეუჯერა ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროთა მონაცემებს და შეადგინა გენეალოგიური ტაბულები. მარი ბროსეს უყურადღებოდ არც სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურსმული დამწერლობის ძეგლები დაუტოვებია, რომელთა მონაცემები სომხეთთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ძველი სომხური მწერლობის ცნობებით შეამოწმა.

დიდა მარი ბროსეს დამსახურება სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერების მოპოვების, შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეშიც¹².

ასეთია მოკლედ არმენოლოგიის საკითხების ის წრე, რომელთა კვლევა-ძიებას მარი ბროსემ თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მოაწოდო. მარი ბროსეს მიერ ჩატარებულმა არმენოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ხელი შეუწყო არმენოლოგიის განვითარებას როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში.

მართალია, წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ ზოგადად წარმოვადგინეთ მარი ბროსეს არმენოლოგიური მუშაობის ძირითადი მომენტები, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმ დიდი ღვაწლის გასათვალისწინებლად, რაც ფრანგმა მეცნიერმა არმენოლოგიური კვლევა-ძიების საქმეს დასწო.

Е. В. ЦАГАРЕЙШВИЛИ

МАРИ БРОССЕ И ВОПРОСЫ АРМЕНОВЕДЕНИЯ

Резюме

Статья посвящается научной деятельности известного ориенталиста М. Броссе в области арменоведения.

На основе рассмотрения главных арменоведческих трудов М. Броссе, посвященных разным проблемам истории, литературы, языка, эпиграфики, нумизматики Армении, показана исключительная роль, которую сыграл М. Броссе в развитии арменологии как в Европе, так и в России.

11 შ. ხანთაძე, მარი ბროსე... გვ. 137—150.

ახალი ბარამიძე

მარი ბროსე და საპარტიველოს ისტორია

XIX ს. კავკასიამ და, კერძოდ, საქართველომ მსოფლიო მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მისდამი ინტერესი უნივერსალური იყო; იგი მკვლევართ იზიდავდა თავისი ბუნებრივი სიმდიდრითა და ჰავით, ისტორიითა და ლიტერატურით, ეთნიკური შედგენილობით, რელიგიით და მაღალგანვითარებული ხელოვნების ძეგლებით. თავის მხრივ, ქართველმა ხალხმაც გამოიჩინა დიდი ინტერესი XIX საუკუნის ეროვნული მეცნიერებისა და მთელი კულტურის მიმართ. მაგრამ იმავე XIX საუკუნეში გაჩნდნენ სკეპტიკოსებიც, რომელთაც არაფრად მიაჩნდათ ისტორიულად შექმნილი და ჩამოყალიბებული ძველქართული კულტურა, თუმცა უმრავლესობის აზრით, ქართული ცივილიზაცია, თავისი გენეზისით ადგილობრივი და თავისთავადი იყო. ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა XIX საუკუნის დრანგული ორიენტალისტიკა მისი დიდი წარმომადგენლების სახით. აკად. ე. სენ-მარტენი პირველი ორიენტალისტთაგანი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართული ფეოდალური საზოგადოების აღიარებულ სახელმძღვანელო ძეგლს — „ქართლის ცხოვრებას“¹ და მასში დაცულ ცნობებს იყენებდა სომხეთის ძველი ისტორიის შესწავლისათვის. მართალია, ე. სენ-მარტენის თვალსაზრისი სავესებით საფუძვლიანი იყო, რაკი ქართული წყაროები ნამდვილად შეიცავენ სომხეთის ისტორიისათვის საჭირო მასალას, მაგრამ იქამინდელი ორიენტალისტიკა მაინც მხოლოდ ქართველოლოგიის დაახლოებითს, არაემპირიულ ცოდნას ემყარებოდა. მტკიცე და დამაჯერებელი, გადამწყვეტი და ბეჯითი სიტყვა საკუთრივ ქართველოლოგიურ დისციპლინათა ღრმა ცოდნით შეიარაღებულ პიროვნებას შეეძლო ეთქვა. და ამგვარი ნათელი პიროვნება თვით ე. სენ-მარტენმა აღმოაჩინა ახალგაზრდა სინოლოგის მარი ფელისიტე ბროსეს სახით.

მ. ბროსემ საფრანგეთში საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება მიიღო. იგი ფრანგულის გარდა, თავისუფლად ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, არაბულ და ჩინურ ენებს. ხოლო გასულა საუკუნის 30-იანი წლებისათვის მან ჩინებულად შეისწავლა ქართული და შემდგომ — სომხური ენები. ენათა ცოდნამ იგი პოლიგლოტად აქცია. 1834—1837 წლებში მ. ბროსე პარიზში აქვეყნებს ორ ნაშრომს ქართული გრამატიკის შესახებ, რომელთაც, პროფ. ა. ცაგარელის სიტყვით, მთელი ეპოქა შექმნეს ქართველოლოგიისმ². ამ ნაშრომებში მკვლევარი იმ თვალსაზრისს გამოთქვამდა, რომ ქართული ენა, თავისი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით, დიდ ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა და, პირველ რიგში, სპარსულს ენათესავებოდა. მართალია, ეს თვალსაზრისი არ

¹ შემდგომში: „ქ. ც.“.

² А. А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1837, с. 57.



იქნა გაზიარებული, მაგრამ ამჟამად, ქართული საბჭოთა ენათმეცნიერება ახალ მეთოდოლოგიურ მონაპოვართა გათვალისწინების საფუძველზე, იტყობს რებს ქართველურ ენებში გარკვეული ნაკადის, ე. წ. ინდოევროპული სუბსტრატის, არსებობის ფაქტს, თუმცა, ამასთან, არ უარყოფს ქართულის იბერიულ-კავკასიურ ენებთან გენეტიკური ნათესაობის თეორიას. ამრიგად, ჰიპოტეზა ქართულის ინდოევროპულობის შესახებ ავად. მ. ბროსეს სახელსაც უკავშირებდა.

მ. ბროსეს განსაკუთრებული ღვაწლი მანც ქართველოლოგიის ორი დისციპლინის განვითარებაში მიუძღვის, კერძოდ, ისტორიულ წყაროთმცოდნეობასა და საკუთრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი როლი ამ დარგთა განვითარებაში, მართლაც, განუზომელია. მართალია, ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ქართველოლოგიაში მ. ბროსეს დამსახურების წარმოჩენაში ერთგვარ წარმატებას მიაღწია და ნაწილობრივ ამოავსო კიდევ არსებული ხარვეზი, მაგრამ გასაკეთებელი მანც ძალზე ბევრია, გასაკეთებელი ბევრად აღემატება გაკეთებულს.

ქართული ისტორიული წყაროთმცოდნეობა მ. ბროსეს საისტორიო კონცეფციის ქვაკუთხედი იყო. მკვლევრის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემატიკა წსწორედ ქართულ ნარატიულ თუ ეპიგრაფიკულ წყაროთა შესწავლა-გამოცემას გულისხმობდა. ჭარ კიდევ პარიზში მუშაობის დროს მისი ყურადღება უნებლეთ მიექცა ქართულ ისტორიულ წყაროებს, რომელნიც დატული იყო საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მათ შორის ერთ-ერთია „ცხოვრება საქართველოსა“, ანუ ე. წ. „პარიზის ქრონიკა“, XVIII საუკუნის 20-იანი წლების ქართული ორიგინალური ანონიმური ხელნაწერი, რომელიც მოიცავდა დროს 1377 წლიდან, ვიდრე 1683 წლამდე, ე. ი. ზუსტად 310 წლის საქართველოს ისტორიას. ეს ხელნაწერი შეუსწავლია და გადაუწერია მკვლევარს და ლითოგრაფიულად გამოუცია 1829 წელს. ამ თხზულების გამოცემათა და შემდგომი ბედის ისტორია ამჟამად კარგადაა ცნობილი გ. ალასანიას ახალი პუბლიკაციის მიხედვით³.

მ. ბროსეს 1829 წლიდან, ე. ი. პარიზში მუშაობის დროიდან, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული (მიწერ-მოწერის სახით) იმჟამად პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბაგრატიონთან. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო თავისი სოლიდური მომზადებითა და განსწავლულობით ქართველოლოგიაში. მ. ბროსე უხვად სარგებლობდა თეიმურაზის უანგარო დახმარებით და ქართველ ბატონიშვილის მიერ მოწოდებული ცნობების მეშვეობით თანდათანობით უფრო ხეწწდა და შინაარსიანს ხდიდა თავის კვლევა-ძიებას ქართველოლოგიაში⁴.

მ. ბროსეს ქართველოგიური მოღვაწეობა ორ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდი 1827—1836 წლებზე, ანუ პარიზულ ხანაზე მოდის, რომელიც ძირითადად, ქართველოგიურ დისციპლინათა ცოდნის დაგროვებასა და შესწავლას უკავშირდება. მეორე პერიოდი 1837—1880 წლებია, ანუ პეტერბურგული ხანა მისი მოღვაწეობისა, რომელიც ქართულ წყაროთა პუბლიკაციისა და საქართველოს ისტორიის საშენ მასალათა შემდგომ შეგროვებას, კვლა-

³ ცხოვრება საქართველოსა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

⁴ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები ავად. მ. ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1964; შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 26—32; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და მარი ბროსე, „ლიტერატურული საქართველო“, 1981, № 24, გვ. 10.

ვინდებურად შესწავლას, მათ განზოგადოებასა და გამოცემის პერიოდს წარმოადგენს. ცხადია, მ. ბროსეს მოღვაწეობაში და შემოქმედებაში უფრო მრავალფეროვანი და ქრონოლოგიურადაც ხანგრძლივია პეტერბურგული პერიოდი (43 წ.), ვიდრე პარიზული (9 წ.).

1837 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ახალი შევესება მოხდა. ქართველოგია-არმენოლოგიის დისციპლინებში აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა მ. ბროსე, პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში იმჟამად უკვე კარგად ცნობილი მეცნიერი-ქართველოლოგი. მ. ბროსე რუსეთში კლავინდებურად წარმატებით აგრძელებს იმ წყაროთმცოდნეობის კვლევებას, რომელსაც ასე ინტენსიურად წარმართავდა საფრანგეთის სააზიო საზოგადოებაში ცნობილი ორიენტალისტის აკადემიკოს ე. სენ-მარტენის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი თავის „მემუარებში“ ჯერ კიდევ 1819 წელს აღნიშნავდა, რომ „ქ. ც.“-ის ცნობები ქართველ ტომთა უძველესი ისტორიისათვის სასეხლოდ სანდოა. კიდევ მეტიც, ქართულ მატიანთა ცნობები სანდოა არა მხოლოდ კავკასიის ტომთა ისტორიის შესახებ, არამედ (წინა, ა. ბ) აზიის ისტორიისთვისაც. ამ გარემოებამ და მდიდარი ქართული ისტორიული ხასიათის ლიტერატურის გაცნობამ მ. ბროსე მიიყვანა „ქ. ც.“-ის ტექსტის შესწავლასთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი ორიენტალისტი უაღრესად აღტაცებული იყო ამ წყაროს მნიშვნელობით საქართველოს ისტორიისათვის. იგი ყურადღებას აქცევდა „ქ. ც.“-ის ტექსტუალურ კრიტიკას და მისი ისტორიული ანალიზის საფუძველზე სათანადო მეცნიერულ განზოგადოებებს იძლეოდა. მ. ბროსე წერდა: „უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია 1675 წელს დაბადებულ ვახტანგს, წინამორბედ მასალათა გაუთვალისწინებლად, დაეწერა ისეთი მატიანე, რომელიც შეიცავდა არათუ წარღვნის დროთა გადმოცემას, არამედ ქრისტეს დაბადებამდე მეოთხე საუკუნის ისტორიულ ფაქტებს. სათანადო მასალები საქართველოში ნამდვილად არსებობდა ვახტანგამდე და არა როგორც განცალკევებული ცნობები, არამედ, როგორც მატიანის მთელი წიგნები. ამას მოწმობენ სომეხი ისტორიკოსები მხითარ ერეწი, რომელსაც იხსენიებს ვარდან დიდი, მხითარ აირივანქელი, თვით ვარდან დიდი და სტეფანოზ ორბელიანი. ეს ისტორიკოსები წერდნენ XII და XIII საუკუნეებში და მოგვითხრობენ, რომ ისინი კითხულობდნენ ქართულ მატიანეებს. სტეფანოზ ორბელიანი იმასაც დასძენს, რომ ამ მატიანეს უწოდებენ „ქართლის ცხოვრებას“ (ხაზი ავტორის ეკუთვნის, ა. ბ.), სწორედ იმ სახელს, რომლითაც ცნობილია აღნიშნული მატიანე“.

მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია ვახტანგისეული რედაქციით ცნობილ „ქ. ც.“-ის იმ მეტად მნიშვნელოვან ადგილს, სადაც ეწერა: „პატიოსანო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან, არლარა წერებულ იყო: ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ქემან ლეონისამან და ქმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კულად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს,

⁵ J. Saint-Martin, Mémoires historiques sur L'Arménie, T. Second, Paris, 1819, 83- 190 n. e.
⁶ M. Brosset, Histoire de la Géorgie... Introduction, SPb, 1858, გვ. XIV — XV. შდრ. ა. ჭყონია, ისტორიული ნარკვევა ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1890, გვ. 76.



და რომელი განრყუნელ იყო, განმართეს და სხვადა წერილი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს.⁷

„ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, — აღნიშნავდა მ. ბროსე, — რომ ვანტანგმა მხოლოდ შეაკრებინა სხვადასხვა მატრიანნი და ცნობანი, რომელნიც მოიხოვებოდა მის დროს საქართველოში, მაგრამ გაბნეული იყო და მხოლოდ დაურთო რამდენიმე წერილმანი ცნობა, რომელიც აკლდა ძველ მატრიანებს. ჩვენი აზრით, ამგვარი შრომაც დიდ ღვაწლად უნდა ჩავთვალოს ვანტანგს“⁸.

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსათვის და 50-იან წლებში მ. ბროსე პეტერბურგში აქვეყნებს საქართველოს ისტორიის წყაროების მთელ სერიას ქართულ და ფრანგულ ენებზე, რითაც მტკიცე მეცნიერულ საფუძველს უყრის ქართველოლოგიის დარგებს — ისტორიულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას. ამ ხანის ქართულ წყაროთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ქ. ც.“-ის ქართულ და ადევკატურ ფრანგულ ტექსტთა პუბლიკაცია (1849, 1858), ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიისა და გეოგრაფიის დასტამბვა, ე. წ. „სომხური ქრონიკისა“ და სხვა მრავალი ძეგლის გამოცემა. აღნიშნულ წყაროთა გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. იმჟამიდან რუს და დასავლეთევროპულ მეცნიერებს მიეცათ ბრწყინვალე შესაძლებლობა გასცნობოდნენ ქართველი ხალხის მრავალ უძვირფასესსა და პირველხარისხიან ისტორიულ ძეგლს და სრული მეცნიერული წაროდგენა შეექმნათ ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაზე. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართულ წყაროთა უაღრესად დიდი მეცნიერული ღირებულების დასადასტურებლად მკვლევარმა გამოაქვეყნა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების გზით სინქრონული ტექსტები მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ამსახველი ნარატიული მასალებიდან, რითაც ნათელყო ქართულ ეროვნულ წყაროთა ნამდვილად მეცნიერული, შემეცნებითი მნიშვნელობა, რის თაობაზეც ადრევე მიუთითებდა მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი ე. სენ-მარტენი. მასალებს, როგორც ცნობილია, მ. ბროსემ თავი მოუყარა მის უკვედა „Additions“-სა (SPb., 1851, გვ. 1—61) და „Introduction“-ში (SPb., 1858), რომლებიც შესავლითა და საგნობრივი საძიებლებით არის აღჭურვილი. მათ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, წინ უსწრებდა მ. ბროსეს საქართველოში 1847—1848 წლებში მოგზაურობის შედეგად ფრანგულად გამოცემული სამი ტომი: „Rapports“-ებისა (SPb., 1849—1851). მათი შემწეობითა და, ამასთან, თვით მატრიანებში დაბეჭდილი შენიშვნებით მ. ბროსემ მრავალი სადავო საკითხი გაარკვია საქართველოს ისტორიისა, რის მეოხებით უარყოფილი და გასწორებული იქნა ნარატიულ წყაროთა მრავალი წინააღმდეგობა.

ამრიგად, XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი, დასავლეთევროპული, მიმართულება იდგამს ფეხს. იმჟამიდან ქართველოლოგიას მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა, რაც დაკავშირებულია გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტის მ. ბროსეს მეცნიერულ მოღვაწეობასთან. ძალზე ძნელია ლაპარაკი მ. ბროსეს დამსახურებათა შესახებ ქართველოლოგიაში საერთოდ, ხოლო საქართველოს ისტორიაში მის სახელთანაა დაკავ-

7 ქართლის ცხოვრება..., თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უფ. ბროსესი. ნაწ. პირველი. სანკტებურგში, 1849, გვ. 15.

⁸ M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. XV, შდრ. ა. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი, თბ., 1890, გვ. 77.



შირებული 50 წლის (XIX ს-ის 30—80-იანი წლები) მანძილზე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება და მისი შემდგომი განვითარება. ნათქვამის მიხედვით, ლუსტრაციოდ მართოდენ ზემოთ დასახელებულ საქართველოს ისტორიის „დამატებათა და განმარტებათა“ მოხსენიებაც საკმარისია. მაგრამ, თუ ამათ დავუმატებთ აგრეთვე „საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მიმოხილვას“, შედგენილს რუსულ ენაზე, მაშინ სავსებით ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება მ. ბროსეს განუზომელ ღვაწლზე საქართველოს ისტორიის მეცნიერების შექმნის საქმეში. ბუნებრივია, რომ საქართველოს ყამირის აღება ერთი პიროვნებისათვის ფრიად მძიმე საქმე იყო, მაგრამ მ. ბროსე არ შეუშინდა ამ დარგში მუშაობის სიძნელეთა გადალახვას და მთელი ებოქა შექმნა ამ მიმართულებით.

მ. ბროსე საქართველოს ისტორიაში მოვიდა, როგორც დიდი ფრანგული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი და შეეცადა მისი თანადროული ქართული ისტორიული მეცნიერების იმავე დონეზე აყვანას, რომელზედაც საკუთრივ ფრანგული იდგა. იქამინდელმა ფრანგულმა ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, როგორც ცნობილია, ერთობ მალალ მეცნიერულ დონეს მიაღწია. მისი ამ ხანის დამახასიათებელი სიმპტომებიდან აღსანიშნავია: ხალხის შინაგანი (სოციალურ-ეკონომიკური) ცხოვრების, კულტურის ისტორიისა (დამწერლობის, რელიგიის, ქრონოლოგიის, ხელოვნების) და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლა მალალ თეორიულ დონეზე⁹. მ. ბროსეს უდიდესი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან მიზნად დაისახა ფრანგულის თანადროული ქართული ისტორიოგრაფიის (რომლის მდიდარი ისტორიული ტრადიციები მისთვის კარგად იყო ცნობილი) ევროპულ დონეზე აყვანა. ამ რთული და კეთილშობილური წამოწყების განხორციელებას, ცხადია, მრავალი სიძნელე ელოდებოდა წინ, მაგრამ ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის თავისთავად მალალმა დონემ მ. ბროსეს საკმაოდ გაუადვილა დასახული ამოცანის სისრულეში მოყვანა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მ. ბროსემ თავის საპროგრამო სიტყვაში, რომელიც მან წაიკითხა 1837 წლის დეკემბერში პეტერბურგის აკადემიაში აკადემიკოსად არჩევასთან დაკავშირებით, დიდი აღტაცება გამოთქვა ქართული ისტორიული მეცნიერების წარმატების გამო. როგორც ფრანგული ისტორიოგრაფიის პროგრესულ ტრადიციებზე აღზრდილი, მ. ბროსე ქართულ ისტორიოგრაფიას ამოცანად უსახავს ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობას. იგი წერს: „ქართველთა მატარებელი ნაკლებად შეიცავენ დაწერილებით (ცნობებს, ა. ბ.) ხალხის შინაგან წყობილებასზე, ვიდრე მაკედონელთა შემოსევამდე. მხოლოდ ომები ხაზარებთან და სპარსელებთან ავსებენ ამ ხანას რამდენიმე საუკუნის მანძილზე“¹⁰.

მ. ბროსესგან შემჩნეული ფაქტი, რომ ქართულ წყაროებში ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების შესახებ მცირე ცნობებია დაცული, მიუთითებს სულ ცოტა სამ გარემოებაზე. უწინარეს ყოვლისა, აქ საქმე გვაქვს ფრანგულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისის გადმონერგვასთან ქართული ისტორიოგრაფიის ნიადაგზე, ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლას რომ გულისხმობდა. მეორე მხრივ, მ. ბროსეს შესანიშნავად პქონდა გათვალისწინებული XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის ეა-

⁹ Э. Н. Косминский, Историография средних веков. М., 1963 с., 204, 207, 184, 190, 191.

¹⁰ М. Броссе, Взгляд на историю и литературу Грузии, ЖМНП., 1838, ч. 19 № 7, с. 276.



ხუმტი ბაგრატიონის განსაცვიფრებელი სისრულით გამოვლენილი ფეოდალური საქართველოს შინაგანი განვითარების რთული პროცესი (ქართული ეკონომიკის სპეციფიკური მხარეები, სოციალური დანაშრეებები და დიფერენციაცია, სახელმწიფოებრივი მექანიზმის მამოძრავებელი ძალების ბუნების თავისებურებანი, ფეოდალური ურთიერთობის სხვადასხვა საფეხური¹¹. ცხადია, ყველაფერ ამის გათვალისწინების საფუძველზე მან ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დასვა პრობლემა მისი ყოველმხრივი შესწავლისა. და მესამე, ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლა ამიერიდან მ. ბროსეს სახელს უნდა დაეუკავშიროთ და ამით საფუძველი გამოვაცალოთ იმ მოსაზრებას, თითქოს, ჩვენში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა გზას იკავფავდა მარტოოდენ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. მართალია, სხვა საკითხია, შეძლო თუ არა მ. ბროსემ ამ ამოცანის გადაწყვეტა, ე. ი. რამდენად შეძლო მან ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების სურათის აღდგენა, მაგრამ მარტოოდენ პრობლემის დასმის თვალსაზრისითაც კი მისი წამოწყება უთუოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, მკვლევრის გულწრფელი სურვილი კვლევადიება ეწარმოება იმ მდიდარ საისტორიო მასალებზე — სიგელ-გუჯრებზე, რომელნიც შეიცავენ ხალხის შინაგანი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს, იმას მოწმობს, რომ მ. ბროსე ნამდვილად ცდილა მათ გამოყენებას საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

მ. ბროსე სიგელ-გუჯრებში ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების პერიოტიკებს ხედავდა. მას მიზნად ჰქონდა დასახული ამ წყაროთა შესწავლის საფუძველზე საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის შედგენა, თუმცა, მარტოოდენ სიგელ-გუჯრების მიხედვით ისტორიის დაწერა შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელნი მომდინარეობენ მხოლოდ XI საუკუნიდან და არსებობენ ვიდრე XIX საუკუნემდე. მაშასადამე, მათი არსებობა, სულ დიდი, 8 საუკუნის მანძილზეა დადასტურებული. ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსების ერთგვარი კომპენსაციაა მ. ბროსეს „მოხსენება“-ში (SPb., წ. III, 1851, გვ. 37) შესული მასალები იბერიის სახელმწიფოებრივი წყობილების სტრატონისეული აღწერილობიდან, როგორც შესასწავლი პრობლემის ძირითადი წყაროდან, მაგრამ ამ ავტორის „გეოგრაფიული“ ძეგლის ცნობა ყოველგვარი კომენტარების გარეშეა დატოვებული. მ. ბროსეს არ უცდია იბერიის თეიმურაზისეული სოციალური წყობილების სურათის შედარება სტრატონის ცნობებთან, რაც, ცხადია, უაღრესად განათლებულ და ერუდირებულ მკვლევარს, მ. ბროსეს, ფრიალ საგულისხმო და ნიშანდობლივ დასკვნებად მიიყვანდა.

ბუნებრივად დაისმის კითხვა — რა მეცნიერულ ღირებულებას შეიცავს ფაქტების ის განზოგადოება, რომელიც თავმოყრილია მ. ბროსეს საქართველოს ისტორიის „შესავალში“? ამ უკანასკნელზე შეიძლება სასესებით დაბეჯითებით ითქვას, რომ სათანადო პირველწყაროთა არასრული შეგროვებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტობის მიუხედავად, ფრანგი ორიენტალისტის საქართველოს ისტორიის „შესავალი“ მეტ-ნაკლებად სრულ სურათს ქმნის XIV—XVIII საუკუნეთა საქართველოს შინაგანი ცხოვრების ვითარებაზე. ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მ. ბროსეს და-

¹¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 449, 463. შტრ. არჩ. ბარამიძე, მისე ჯანაშვილი, „მაცენ“ (ისტორიის ... სერია), 1980, № 2, გვ. 200—201.

წერილი ეს გამოკვლევა „ყველა იმის მრავალტომიან შრომაზე უფრო სერიოზული ტერესოა და ძვირფასი“¹².

ამრიგად, მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის შესავალი“ ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში დადებით, პოზიტიურ, შემეცნებით მოვლენად უნდა ვაღიაროთ. გარკვეული თვალსაზრისით იგივეს თქმა შეიძლება მკვლევრისავე „საქართველოს ისტორია“-ზეც, რომელშიც სისტემატური, მთლიანი ისტორიის გადმოცემისას ისტორიზმის პრინციპი დაზღვეული არაა. ეს ნაშრომი გასული საუკუნის 50-იან წლებში, კერძოდ 1855—1858 წლებში, დაიწერა მ. ბროსეს მიერ რუსულ ენაზე, სათაურით: „Очерк критической истории Грузии“, რომელიც, შემდგომ, ლორან ბროსეს შემწეობით 1895—1900 წლებში ითარგმნა ქართულად სიმონ ლოღობერიძის მიერ. პირველი ტომი მოგვითხრობს საქართველოს უძველესი ხანის ისტორიას, ვიდრე 1469 წლამდე, ე. ი. „განყოფამდე“ („до раздела“), ხოლო, მეორე ტომი შეიცავს საქართველოს ისტორიას სამეფო-სამთავროებად დაყოფიდან 1744 წლამდე, ე. ი. თეიმურაზ II-ის ქართლში, და ერეკლე II-ის კახეთში გამეფებამდე. ავტორს ხელნაწერი თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია. საფიქრებელია, რომ თვით მას ხელნაწერი არ მიაჩნდა ბეჭდურად გამოცემის ღირსად და ამიტომ არ გამოუქვეყნებია იგი.

მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია“ ქართულ ისტორიოგრაფიაში (აკად. ნ. მარი, პროფ. გ. ნათაძე და სხვ.) უარყოფითადაა შეფასებული. იგი სუსტ ნაშრომადაა გამოცხადებული. თვლიან, რომ აქ არა აქვს ადგილი გადახვევას „ქ. ც.“-ის ტრადიციული სქემიდან, მთლიანი ისტორიის გადმოცემისას ავტორი წყაროთა ტყვეობაში იმყოფება და პირდაპირ მატეიანის ამბებს მოგვითხრობს. „საქართველოს ისტორია“-ში სოციალურ-ეკონომიკური და, საერთოდ, შინაგანი ისტორიის საკითხები თითქმის სავსებით მივიწყებულია და სხვ. მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მოყვანილი შეხედულებანი არსებითად მცდარ თვალსაზრისს შეიცავენ. უწინარეს ყოვლისა, მინდა მივუთითო ამ ნაშრომში არსებულ ზოგიერთ ისეთ მომენტზე, რითაც იგი განსხვავდება და გამოირჩევა როგორც მისი წინამორბედი ხანის, ისე მომდევნო ხანის „ისტორიებისაგან“, ცხადია, XIX საუკუნის ისტორიოგრაფიის ფარგლებში. ესაა ორიგინალური გამოკვლევა, ფრიალ საინტერესოდ და კარგად მოფიქრებული. აქ ყურადღებას იქცევს წყაროთა მ. ბროსესეული გამოყენების მეთოდი. მის ძირითად საფუძველს წარმოადგენს „ქ. ც.“-ისა და ვახუშტის „ისტორიის“ გარდა, ბერძნულ, ლათინურ, ბიზანტიურ, სომხურ და არაბულენოვან მასალებზე დამყარებული კრიტიკულ-პრაგმატული გამოკვლევა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ. მას აშკარად ეტყობა გავლენა ფრანგული ისტორიოგრაფიისათვის ესოდენ დამახასიათებელი კვლევა-ძიებითი უნარისა და სხარტი, მოფიქრებული და სტილისტურად დახვეწილი თხრობისა, რაც მას ძალზე მიშვიდველსა და მომხიბლავს ხდის. მიუხედავად რუსულიდან ქართულად სუსტი თარგმანისა, იგი იმდენად დიდი გაცაცებით იკითხება, რომ ერთი სულის მოთქმით გსურთ მისი წაკითხვა. ცხადია, ნაშრომი არაა დაზღვეული ნაკლოვანებათაგან. ეს საერთო ნაკლია XIX საუკუნის ისტორიოგრაფიისა, მისი მეთოდოლოგიური შეზღუდულობისა, თითქმის სრული იგნორირებისა ხალხის შინაგანი ისტორიის, ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებისა და ძირითადად ყურადღების აქცენტირება პოლიტიკური ისტო-

¹² დ. ბაქრაძე, ახალ გამოკვლევაზე დაფუძნებული საქართველოს ისტორია, ივერია, № 2, 1883, გვ. 28.



რიის პრობლემებზე, მაგრამ ორივე მსხვილ და კაპიტალურ ტომში მრავალი და ნიმუშები წყაროებისადმი მკვლევრის კრიტიკული დამოკიდებულებებისა (4, 10—11, 48—49, 62, 93, 96, 107—108, 122, 130—131, 164, 175, 179, 181, 192, 210, 215, 218, 226, 228, 232). ისტორიულ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ძიებისა (40, 199). საქართველოს ისტორია ფართოდ არის განხილული მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების ფონზე (196), განხილულია ქართველთა ეთნოგენეზი (8, 16—17, 19, 26), ქართული ენის სადატურობა, ქრონოლოგია, წარმართობა, ქრისტიანობა, ისტორიული გეოგრაფია, სოციალური ამბები და სხვა.

ამრიგად, მ. ბროსეს მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში ესაა ახალი ეტაპი, ახალი, აკადემიური პერიოდი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებითი განვითარების საქმეში, რომელმაც საფუძვლიანი ნიადაგი მოუმზადა პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას მისი შემდგომი მეცნიერული წინსვლის გზაზე.

А. А. БАРАМИДЗЕ

МАРИ БРОССЕ И ИСТОРИЯ ГРУЗИИ

Резюме

В статье показана роль известного ориенталиста и кавказоведа XIX в., члена Российской Академии наук Мари Броссе в изучении проблем истории Грузии. На основании рассмотрения трудов М. Броссе и, в первую очередь, его «Введения» и «Разъяснений» к Истории Грузии. М. Броссе представляется как исследователь, стоявший на современном ему уровне европейской историографии; опубликованный посмертно его труд «Критический обзор истории Грузии» рассмотрен не как слепо следующее за средневековыми грузинскими летописями повествование (как полагают некоторые ученые), а как основанная на древнегреческих, латинских, армянских и других источниках попытка дать научный обзор исторического прошлого Грузии с древнейших времен до середины XVIII столетия.

სარჩევი — ОГЛАВЛЕНИЕ

მანანა დოლაქიძე, ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ	3
М. Ш. Долакидзе, О составе афонской рукописи № 79	19
უჩა ცინდელიანი, „მეფეთა წიგნები“ ძველი აღთქმის მცხეთურ ვერსიაში და მისი წყაროები	21
У. Е. Цинделиани, К вопросу изучения источников «Книг Царств» михетской версии	35
<u>თამარ ოთხმეზური, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ახალი ქართული რედაქცია</u>	37
Т. З. Отхмезури, О новой редакции мифологических комментариев Псевдо-Нонна	50
თამარ აბულაძე, ქართულ-აღმოსავლური ტექნიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის (ვახტანგის „ქიმიის“ მიხედვით)	51
Т. Абуладзе, К изучению грузино-восточной научно-технической терминологии (по «химии» Вахтанга)	67
<u>თამილა მგალობლიშვილი, ერთი ფსევდოპოპოპირისეული თხზულების წყაროს საკითხი</u>	69
Т. Г. Мгалоблишвили, Об источнике одной гомилии Псевдо-Златоуста	82
ლალი ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (თუნის ზოგიერთი ათონური ნუსხის შესახებ)	83
Л. К. Джгамая, Из истории грузинской гимнографии XI века (по поводу некоторых афонских списков грузинской мишей)	100
ნარგიზა გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა	101
Н. Д. Гогоуадзе, Афонский список метафразов на сентябрь	113
ნინო ქაჯაია, გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები	114
Н. Я. Каджана, Древнегрузинские переводы писем Григория Назианзина	140
<u>ვალერი სილოგავა, მარი ბროსე — ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი</u>	141
В. И. Силогавя, Мари Броссе — исследователь грузинской эпиграфики	148
<u>მზია სურგულაძე, მარი ბროსე — საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების მოპოვებელი და პუბლიკატორი</u>	149
М. К. Сургуладзе, Мари Броссе — собиратель и публикатор документальных источников по истории Грузии	155
<u>ელენე ცაგარეიშვილი, მარი ბროსე და არმენოლოგიის საკითხები</u>	156
Е. В. Цагарейшвили, Мари Броссе и вопросы арменоведения	163
<u>არჩილ ბარამიძე, მარი ბროსე და საქართველოს ისტორია</u>	164
А. А. Барамидзе, Мари Броссе и вопросы истории Грузии	171

МРАВАЛТАВИ, XII
ИСТОРИКО-ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ
(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საირედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 3106

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ო კ ე ჯ ა ვ ა
კორექტორები ნ. ფ ი ფ ი ა, თ. ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 18.6.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.2.1986;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარანტირებული ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 15,1;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,6; სააღრ. გატარ. 15,2;
უფ 01032; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 3749;
ფასი 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

7/6

